საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№45 (136)
14 - 20 დეკემბერი, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## ერთი ნაბიჯი — ნატოსკენ, ორი ნაბიჯი — ომისკენ 4

## დავით სააკაშვილმა და გრიგოლ ვაშაძემ «ქართული ოცნება» წყნეთში აისრულეს



საუბარია მიკელე დე ლუკის არქიტექტურულ კომპანია „პერმა სტელიზაზე“. ეს ის მიკელე დე ლუკია, მტკვარზე შუშის ხიდი რომ დააპროექტა, რომელსაც ხელისუფლება „მშვიდობის ხიდს“ უწოდებს, ხალხი კი — „ოლვეის ულტრას“

აქ რეალურად ორი 4-სართულიანი სახლი შენდება. ერთი სახლი ანანიაშვილ-ვაშაძის წყვილს ეკუთვნის, მეორე სახლი კი, პირველზე გაცილებით დიდი, როგორც საცხოვრებელი ფართით, ასევე ეზოთი, — პრეზიდენტის ძმას, დავით სააკაშვილს 2

ლადო პაპავა:

## ნიუ ვასიუკის რეჟიმში ვიმყოფებით 9





შალვა ნათელაშვილი:

## საქართველო ნაწილებად დაიშლება, ჩვენს ტერიტორიებს მეზობელი სახელმწიფოები მიიერთებენ 13

## «ფერადი რევოლუციების» რუსული ზამთარი 6



## ელჩი, მერი, ფილოსოფოსი 11



## ნეოდაშნაკური ინტერვენცია აჭარაში და «შავიზღვისპირეთის სომეხთა კავშირის» ფარული გეგმები 15

## რამდენი ჰალსტუხი დაილეჯა კვირას ავლაბრის რეზიდენციაში? 8



Ходи лошадью.
Лошадью ходи, дурак!

*(ფრაზა ფილმიდან „იღბლიანი ჯენტლმენები“)*

დეტალების დაზუსტებამდე, ალბათ, აჯობებს, ამ კვლევაზე საერთოდ არ ვისაუბროთ, არ დავსვათ პროვოკაციული კითხვა: სად აქვს სააკაშვილს 74%-იანი რეიტინგი — „ნაცმოძრაობის“ მთავარ ოფისში თუ ცენტრალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში? ან, როგორც მინიმუმი, არ ვუპასუხოთ მას.



## მშიერი კუჭი, ტერიტორიული მთლიანობა და პანთურქიზმი 12

## ბიძინა ივანიშვილის მოხსენება «ქართული ოცნების» პრეზენტაციაზე 16

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დავით სააკაშვილი 3000 კვ.მ მიწის ფართობზე იშენებს სახლს. 4 სართული 1200 კვ.მ გამოდის; ეზოდ 2000 კვ. მეტრს იტოვებს. ეს იქნება ულტრათანამედროვე, გაცილებით უფრო სოლიდური, ქვირადღირებული და პომპეზური სახლი, ვიდრე ე. წ. კანონიერი ქურდის — შაქრო კალაშოვის ვილა ზემო წყნეთში, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ მერე ჩამოართვეს კალაშოვს და ახლა იქ ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის სამსახურებია განთავსებული“.

# დავით სააკაშვილმა და გრიგოლ ვაშაძემ «ქართული ოცნება» წყნეთში აისრულეს



**2008 წლის გაზაფხულზე, აგვისტოს ომამდე ორიოდე თვით ადრე, ქართული მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ნინო ანანიაშვილსა და მის მეუღლეს — გრიგოლ ვაშაძეს წყნეთსა და ბაგებს შუა, პრესტიჟულ ადგილას 8000 კვ.მ მიწის ფართობი აჩუქა (შეგახსენებთ, ნინო ანანიაშვილი მიხეილ სააკაშვილის უმცროსი ვაჟის — ნიკოლოზის ერთ-ერთი ნათლიაა). ანანიაშვილმა ნაწილობრივ უარყო ეს ინფორმაცია და განაცხადა, რომ მიწის ნაკვეთი მას გაცილებით ადრე აჩუქა ხელისუფლებამ და შედარებით მცირე, მაგრამ ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია.**

**«აქ რეალურად ორი 4-სართულიანი სახლი შენდება. ერთი სახლი ანანიაშვილ-ვაშაძის წყვილს ეკუთვნის, მეორე სახლი კი, პირველზე გაცილებით დიდი, როგორც საცხოვრებელი ფართით, ასევე ეზოთი, — პრეზიდენტის ძმას, დავით სააკაშვილს»**

ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი, რომ ანანიაშვილი ვიღაცას გადაეფარა. ამ ეჭვს ისიც ამყარებს, რომ გრიგოლ ვაშაძის ბოლო, 2010 წლის, და არც მანამდელ დეკლარაციებში ეს მიწა არსად ჩანს.

თუმცა მთავარი წინ არის. უკვე 2 წელია, იმ 8000 კვ.მ მიწის ფართობზე გამალებული სამუშაოები მიმდინარეობს. „საქართველო და მსოფლიოს“ ინფორმაციით, **აქ რეალურად ორი 4-სართულიანი სახლი შენდება. ერთი სახლი ანანიაშვილ-ვაშაძის წყვილს ეკუთვნის, მეორე სახლი კი, პირველზე გაცილებით დიდი, როგორც საცხოვრებელი ფართით, ასევე ეზოთი, — პრეზიდენტის ძმას, დავით სააკაშვილს.** ნინო ანანიაშვილის სახლი 3000 კვ.მ ფართობზე შენდება, დანარჩენი 5000 კვ.მ კი ათვისებული აქვს დავით სააკაშვილს. ამ მშენებლობიდან დათხოვნილმა ერთ-ერთმა მშენებელმა „საქართველო და მსოფლიოს“ მოუთხრო, რომ რეალურად ვაშაძის ოჯახი მშენებლობაში ფულს არ იხდის და ეს სახლი სააკაშვილების საჩუქარია ხელისუფლების მსახური ცოლ-ქმრისთვის.

**წყაროს ინფორმაციით, ეს სახლები, რომლებიც ვითომ ერთი ოჯახის საკუთრებაა, მაგრამ ცალ-ცალკე შესასვლელები აქვთ, არაა ერთ სახურავში მოქცეული და მხოლოდ ბეტონის კონსტრუქციით ებმის ერთმანეთს, რომლის მონგრევაც ნებისმიერ დროს შეიძლება. ამასთან, ორივე სახლი განსხვავებული არქიტექტურით შენდება.**

მუშები საუბრობენ, რომ მშენებლობა რამდენიმეჯერ მოინახულა დავით კეზერაშვილმა, ხელისუფლების არალეგალური ბიუჯეტის მთავარმა მაკონტროლებელმა. უფრო ხშირად, ამ მშენებლობაზე მოდის ლევან მხეიძე, კეზერაშვილის ყოფილი მოადგილე ფინანსურ პოლიციაში და ამჟამად ამ სამსახურის შეფი. მშენებლობის პროცესში ჩართული იყო რუსუდან კერვალიშვილის „ცენტრ-პოინტი“, მართალია, თავად არ გამოჩენილა ამ ტერიტორიაზე, მაგრამ, წყაროს განცხადებით, **„ცენტრ-პოინტის“ სამშენებლო ტექნიკა უსასყიდლოდ ემსახურებოდა ორივე სახლის მშენებლობას და დღემდე ის ტექნიკა არავის წაუღია.** სავარაუდოდ, „ცენტრ-პოინტის“ მესვეურებმა, მიუხედავად გაკოტრებისა, ველარ „შეჰბედეს“ პრეზიდენტის ძმასა და კეზერაშვილს ასიათასობით ევროს ღირებულების ტექნიკის გამორთმევა.



**«ორივე სახლი იტალიელმა არქიტექტორებმა დააპროექტეს. საუბარია მიკელე დე ლუკის არქიტექტურულ კომპანია «პერმა სტელიზაზე». ეს ის მიკელე დე ლუკია, მტკვარზე შუშის ხიდი რომ დააპროექტა, რომელსაც ხელისუფლება «მშვიდობის ხიდს» უწოდებს, ხალხი კი — «ოლვეის ულტრას»**

ორივე სახლი იტალიელმა არქიტექტორებმა დააპროექტეს. საუბარია მიკელე დე ლუკის არქიტექტურულ კომპანია „პერმა სტელიზაზე“. ეს ის მიკელე დე ლუკია, ვინც მტკვარზე შუშის ხიდი დააპროექტა, რომელსაც ხელისუფლება „მშვიდობის ხიდს“ უწოდებს, ხალხი კი — „ოლვეის ულტრას“. ▶

მოკლედ

## რუსეთის კომპეტენცია

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ ისეთი საკითხი, როგორიც პოლიტიკური პარტიების რაოდენობაა, რუსეთის მთავრობის პრეროგატივაა და მასში გარე ძალა არ უნდა ჩაერიოს. მედვედევის თქმით, მალე, ალბათ, რუსეთს ჭკუის სწავლებასაც დაუწყებენ, თუ როგორ დაწეროს საკუთარი კონსტიტუცია.** „საკითხი პარტიების რაოდენობის შესახებ რუსეთის ხელისუფლების კომპეტენციაა და არა საერთაშორისო ორგანიზაციების. მათ მიერ არჩევნების დაკვირვება მისაღებია, მაგრამ ის, თუ როგორ არის მოწყობილი ჩვენი პოლიტიკური სისტემა, მათი საქმე არ არის. მალე, ალბათ, იმასაც გვეტყვიან, როგორ დავწეროთ საკუთარი კონსტიტუცია,“ — განაცხადა მედვედევმა.

## თურქეთმა სირიას ახალი სანქციები დაუწესა

**თურქეთმა სირიის წინააღმდეგ ახალი სანქციები დააწესა. თურქული მედიის ინფორმაციით, მკაცრდება გადასახადები სირიიდან შემოტანილ საქონელზე. ქვეყნის ვაჭრობის მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, სირიიდან შემოტანილ საქონელზე გადასახადი 30%-ით გაზარდოს.** შეგახსენებთ, რომ სირიის წინააღმდეგ სანქციები ასევე დააწესეს არაბული სახელმწიფოების ლიგამ, ევროკავშირმა და აშშ-მა. აღნიშნულის მიზეზი ქვეყანაში ანტისამთავრობო გამოსვლების დროს 4000-მდე დემონსტრანტის დახოცვა გახდა.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფლიგელის მონგრევას დავით კეზერაშვილი თავიდან ბოლომდე ესწრებოდა. წყარო აცხადებს, რომ იქ ასაფეთქებელი ნივთიერების გამოყენება გამორიცხული იყო, მცირე გაუთვალისწინებელი ბიძგი და, დავით სააკაშვილის კი არა, ანანიაშვილის სახლიც ჩამოიშლებოდა, ამიტომ მუშები 4 დღის განმავლობაში ანგრევდნენ ამ ფლიგელს, თუმცა მათთვის დამატებითი სამუშაოების შესრულებისთვის არავის გადაუხდია.**

# შესაძლოა პრეზიდენტის ძმამ კომპანიის სახელით შეიძინა რამდენიმე ნაკვეთი, რათა მათი რეალური მფლობელი არ დაფიქსირებულიყო, ისევე, როგორც «ვისოლის» დაფუძნებაში დავით სააკაშვილი არსად ჩანს, მაგრამ რეალურად კომპანიის ყველაზე სოლიდური წილის მფლობელად მიიჩნევა



## მშენებლობა რამდენიმეჯერ მოინახულა დავით კეზერაშვილმა, ხელისუფლების არალეგალური ბიუჯეტის მთავარმა მაკონტრო-ლებელმა

**◀ იტალიელი არქიტექტორები დაახლოებით ორ თვეში ერთხელ ჩამოდიან თბილისში, რამდენიმე დღე მშენებლობას დასტრიალებენ, მშენებლებს მითითებებს აძლევენ და უკან ბრუნდებიან. ბოლოს იტალიელები ოქტომბერში ყოფილან თბილისში დავით სააკაშვილის საგანგებო მოწვევით, მას მშენებლობის ერთი ფლიგელი აღარ მოსწონებია, რომელიც თავდაპირველ არქიტექტურულ გეგმაში იყო, გეგმის გადაკეთება მოინდომა — ამ ფლიგელის მონგრევა და სხვაგვარად აშენება. იტალიელებსაც სხვა რა გზა ჰქონდათ, ადგნენ და მთელი ოთხი სართული მოანგრევინეს, პროექტში დამკვეთის ახირებისამებრ ცვლილებები შეიტანეს.** ამ პროცესს, ფლიგელის მონგრევას, დავით კეზერაშვილი თავიდან ბოლომდე ესწრებოდა. წყარო აცხადებს, რომ იქ ასაფეთქებელი ნივთიერების გამოყენება გამორიცხული იყო, მცირე გაუთვალისწინებელი ბიძგი და, დავით სააკაშვილის კი არა, ანანიაშვილის სახლიც ჩამოიშლებოდა, ამიტომ მუშები 4 დღის განმავლობაში ანგრევდნენ ამ ფლიგელს, თუმცა მათთვის დამატებითი სამუშაოების შესრულებისთვის არავის გადაუხდია.

დავით სააკაშვილის სახლის ერთი სართულის ფართობი 3000 კვ. მეტრია, 4 სართული კი 1200 კვ.მ გამოდის; ეზოდ 2000 კვ. მეტრს იტოვებს. ეს იქნება ულტრათანამედროვე სახლი, რომელიც გაცილებით უფრო სოლიდური, ძვირადღირებული და პომპეზურია, ვიდრე კანონიერი ქურდის — შაქრო კალაშოვის ვილა ზემო წყნეთში, რომელიც „ვარდების რევოლუციის" მერე ჩამოართვეს კალაშოვს და ახლა იქ ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის სამსახურებია განთავსებული.

საინტერესოა, „ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, რომელი სახელმწიფო უწყებები განთავსდება „კაკლების დასახლების" ყველაზე პრესტიჟულ ადგილას მდებარე ფეშენებელურ სახლში? ერთი დრო რომ არავის შერჩება და ამქვეყნად ყველაფერი წარმავალია, ეს ყველას კარგად მოგვეხსენება.

ჩვენ ვცადეთ, გაგვერკვია, რა ინფორმაციას ფლობდა ამ მშენებლობის შესახებ დიდგორის რაიონის გამგეობა. მოგეხსენებათ, წყნეთი სწორედ ამ რაიონს ეკუთვნის. გამგებლის მოადგილემ კახა შაგულაშვილმა პასუხი ვერ გაგვცა. — **ნამდვილად არ ვიცი, იშენებს თუ არა კაკლების დასახლებაში ნინო ანანიაშვილი სახლს. არც არასდროს დავინტერესებულვარ ამ საკითხითო,** — გვიპასუხა. სამაგიეროდ, გაცილებით სიტყვაუხვი და ენაწყლიანი აღმოჩნდა ნინო ანანიაშვილის ძმა, გიორგი ანანიაშვილი. თავდაპირველად პრიმა ბალერინის პრესმდივანს, თამარ მოდებაძეს დავუკავშირდით. ქალბატონმა თამარმა დაადასტურა, რომ ნინო ანანიაშვილს მართლაც ჰქონდა მიწის ნაკვეთი ზუსტად იმ ტერიტორიაზე, სადაც ახლა მშენებლობა მიმდინარეობს, მაგრამ ნინომ ეს ნაკვეთი 5 თუ 7 წლის წინ გაყიდაო.

თამარ მოდებაძესთან საუბრისას, ტელეფონში მოისმა უცნობი მამაკაცის ხმა, რომელიც დაინტერესდა, თუ ვის ესაუბრებოდა ქალბატონი თამარი. როცა თამარ მოდებაძემ უთხრა, ჟურნალისტიაო, მან თავად გადაწყვიტა ჩემთან საუბარი. ეს უცნობი გიორგი ანანიაშვილი, ნინო ანანიაშვილის ძმა, აღმოჩნდა. ცხადია, პირველ რიგში იმით დავინტერესდით, საიდან ჰქონდა ნაკვეთი ნინო ანანიაშვილს „კაკლების დასახლებაში" და მართლა გაასხვისა თუ არა.

**გიორგი ანანიაშვილი:**

— მე ვარ ნინოს ძმა, ნინომ ეს ნაკვეთი მაჩუქა 10 წლის წინ და მე გავყიდე დაახლოებით 7 წლის წინ. მივყიდე „ვისოლს".

**— კომპანიას მიჰყიდეთ თუ „ვისოლის" ოფიციალურ მფლობელ კერძო პირებს?**

— რა მნიშვნელობა აქვს. იურისტი იყო მოსული და მივყიდე მას. ვის სახელზე გააფორმეს, არ ვიცი.

**— ქალბატონმა ნინომ საჩუქრად მიიღო ეს ნაკვეთი თუ იყიდა?**

— შევარდნაძემ გადასცა თავის დროზე.

**— რამდენი კვადრატული მეტრია ეს ნაკვეთი?**

— დაახლოებით ათასამდე. მათ (იგულისხმება „ვისოლი". — ავტ.) ბევრი ნაკვეთი იყიდეს, კახი კალაძის ნაკვეთიც და სხვებიც.

— **კი, იქ რამდენიმე ნაკვეთია, ალბათ, გაერთიანებული, უზარმაზარი ტერიტორიაა და ამბობენ, რომ 2 სახლი შენდება: ერთი ნინო ანანიაშვილისაა და მეორე მიხეილ სააკაშვილის ძმის, დავით სააკაშვილის.**

— არ არის ეგრე. ნაკვეთი გაყიდულია 7-8 წლის წინ, ნინო წყნეთში არაფერს აშენებს.

მართალია, გიორგი ანანიაშვილი აცხადებს, რომ ნაკვეთი (ისიც მხოლოდ 1 000 კვ.მ) დამ აჩუქა, თავად კი „ვისოლს" მიჰყიდა; რომ ნაკვეთი იქ კახი კალაძემაც გაყიდა, მაგრამ კახის მამამ, კარლო კალაძემ ჩვენთან საუბარში კატეგორიულად უარყო ეს ფაქტი — **კახის წყნეთში ერთი სახლი აქვს და მთელმა ქვეყანამ იცის. არანაირი ნაკვეთი „კაკლების დასახლებაში" არც ჰქონია და, შესაბამისად, „ვისოლსაც" ვერაფერს მიჰყიდიდა.**

ამასთანავე, ერთი საგულისხმო ფაქტი იპყრობს ყურადღებას: „ვისოლი", რომელსაც გიორგი ანანიაშვილმა (მისივე სიტყვებით) პრიმა ბალერინასგან ნაჩუქარი ნაკვეთი მიჰყიდა, სწორედ ის ნავთობკომპანიაა, რომლის მეპატრონედაც დავით სააკაშვილი მოიაზრება. დიდი შანსია, რომ პრეზიდენტის ძმამ კომპანიის სახელით შეიძინა რამდენიმე ნაკვეთი, რათა მათი რეალური მფლობელი არ დაფიქსირებულიყო, ისევე, როგორც „ვისოლის" დაფუძნებაში დავით სააკაშვილი არსად ჩანს, მაგრამ რეალურად კომპანიის ყველაზე სოლიდური წილის მფლობელია.

„საქართველო და მსოფლიო" „ვისოლის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს — რუსიკო კბილაშვილს დაუკავშირდა. ის შეგვპირდა, რომ გაგვირკვევდა, მართლა იყიდა თუ არა „ვისოლმა" ნინო ანანიაშვილის, კახი კალაძისა და სხვათა ნაკვეთები, იშენებს თუ არა სახლს ე. წ. კაკლებში დავით სააკაშვილი „ვისოლის" კუთვნილ მიწაზე.

ჩვენ ერთი დღე ველოდეთ რუსიკო კბილაშვილს, მაგრამ არ დაგვკავშირებია. შემდეგ მთელი დღის განმავლობაში ვცდილობდით „ვისოლის" პიარ მენეჯერთან ტელეფონით დაკავშირებას, მაგრამ მან ჩვენს ზარებს არ უპასუხა.

**ლევან ჯავახიშვილი**



**ბოლოს იტალიელები ოქტომბერში ყოფილან თბილისში დავით სააკაშვილის საგანგებო მოწვევით, მას მშენებლობის ერთი ფლიგელი აღარ მოსწონებია, რომელიც თავდაპირველ არქიტექტურულ გეგმაში იყო, გეგმის გადაკეთება მოინდომა — ამ ფლიგელის მონგრევა და სხვაგვარად აშენება. იტალიელებსაც სხვა რა გზა ჰქონდათ, ადგნენ და მთელი ოთხი სართული მოანგრევინეს, პროექტში დამკვეთის ახირებისამებრ ცვლილებები შეიტანეს.**

## 12 მილიარდი — არჩევნებისთვის

**საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის ჩასატარებლად რუსეთში ფედერალური ბიუჯეტიდან 12 მილიარდ რუბლზე მეტს გამოყოფენ.** ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს. მათი ინფორმაციით, რუსეთის ცესკო-მ სპეციალურ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიისთვის თანხების გამოყოფისა და გადანაწილების შესახებ. ყველა ღონისძიებისთვის გათვალისწინებულია 12 მილარდ 113 მილიონ 344 ათასი რუბლი.

## მიტინგები კანონთან შესაბამისობაში უნდა ჩატარდეს

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის — დიმიტრი მედვედევის განცხადებით, საპროტესტო აქციები დემოკრატიის გამოხატულებაა, მაგრამ ის მკაცრად განსაზღვრულ ადგილებსა და კანონთან შესაბამისობაში უნდა ჩატარდეს.** ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა პრაღაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. „ადამიანებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, თავინთი აზრი გამოხატონ, ეს ნორმალურია," — აღნიშნა მედვედევმა.

## უსაფუძვლო მოთხოვნა

**რუსეთის ცესკო არჩევნების შედეგების გადახედვას არ აპირებს. კომისიაში ოპოზიციის მოთხოვნას უსაფუძვლოდ მიიჩნევენ.** „ჩვენ ხელი მოვაწერეთ პროტოკოლს. არჩევნები ცნობილ იქნა ნამდვილად და სხვაგვარი შეფასების საფუძველი არ არსებობს, შესაბამისად, შედეგების გადახედვის საჭიროებასაც ვერ ვხედავთ," — განაცხადა ცესკოს თავმჯდომარის მოადგილემ სტანისლავ ვავილოვმა. მისივე თქმით, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებულ საჩივრებზე ცესკო შესაბამის რეაგირებას მოახდენს.

## კასპიის ზღვაში ორ ნავს ეძებენ

**რამდენიმე დღეა, რაც კასპიის ზღვაში ორი ნავი დაიკარგა.** აზერბაიჯანის სამაშველო სამსახურის ინფორმაციით, ნავები მცირე ზომის იყო. მათი გაუჩინარების მიზეზად კი ძრავის გაუმართაობა სახელდება. დაკარგული ნავების ძებნაში უკვე ავიაციაც ჩაერთო, მაგრამ ჯერჯერობით მათ კვალს ვერ მიაგნეს.

მოკლედ




## ევროკავშირი შეშფოთებულია

**ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ რუსეთის საპარლამენტო არჩევნების გამო შეშფოთებას ევროპაც გამოთქვამს.** ევროკავშირის უმაღლესი კომისრის, კეტრინ ეშტონის განცხადებით, ეუთო-ს დასკვნის მიხედვით, არჩევნების პროცესში მედია მიკერძოებული იყო, არ არსებობდა ზღვარი პარტიასა და ხელისუფლებას შორის და ასევე განგებ უშლიდნენ ხელს დამოუკიდებელ დამკვირვებლებს. ეშტონი იმედოვნებს, რომ შენიშვნების გათვალისწინებით რუსეთის მთავრობა საპრეზიდენტო არჩევნებს უფრო სამართლიანად და კანონიერად ჩაატარებს.



## ბუზეკი რუსეთის არჩევნებს აკრიტიკებს

**რუსეთში ჩატარებულ არჩევნებს გამოეხმაურა ევროპარლამენტის თავჯდომარე იერჟი ბუზეკი.** მისი თქმით, საარჩევნო პროცესი რუსეთში დაბალი კონკურენციის პირობებში წარიმართა და ხმის მიცემის პროცედურა დარღვევებით ჩატარდა, რასაც თან ახლდა დამოუკიდებელ დამკვირვებლებზე ზეწოლა. მან შეშფოთება გამოთქვა, რომ არჩევნებზე ევროპარლამენტის დამკვირვებლები არ დაუშვეს. ასევე, გააკრიტიკა ბოლო პერიოდში ოპოზიციონერების დაკავების ფაქტები.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს ნებისმიერი ნაბიჯი ნატო-სკენ არის ნაბიჯი ახალი ომისკენ რუსეთთან. თავისთავად, საქართველოს მოხსენიება „ასპირანტ ქვეყნად“ მის სტატუსს ნატო-ს მოსაცდელში არანაირად არ ცვლის, ეს არ არის არც მაპ-ის მინიჭება და არც ალიანსში გაწევრიანება, თუმცა რუსეთი უფრო შორს მიდის. მას, როგორც ჩანს, აღარ სურს, რომ საქართველო ნატო-ში გაწევრიანების მოსურნე ქვეყნად მოიხსენიონ... მოსკოვს, სავარაუდოდ, სურს, რომ საკითხი დღის წესრიგიდან საერთოდ მოიხსნას.**

NATO + OTAN

# ერთი ნაბიჯი — ნატოსკენ, ორი ნაბიჯი — ომისკენ

**ძნელი სათქმელია, ვინ ექაჩებოდა მიხეილ სააკაშვილს ენაზე, როდესაც 10 დეკემბერს რუსეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით შემდეგი განცხადება გააკეთა: „ჩვენ გამოვხატავთ სიმპათიას რუსი ხალხის მიმართ, რომელიც დღეს იმავე უსამართლობას ებრძვის, რომლის მსხვერლიც არის არა მარტო რუსეთის საზოგადოება, არამედ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები. XXI საუკუნეში აღარ არის ადგილი იმ რეჟიმებისთვის, რომლებიც ცდილობენ, ფეხქვეშ გათელონ საკუთარი ხალხისა და მეზობელი სახელმწიფოების თავისუფალი არჩევანი“. უფრო წინდაუხედავ, კონფრონტაციის გაღვივებისკენ მიმართულ განცხადებას, ალბათ, ვერავინ მოიფიქრებდა იმ დროს, როდესაც საქართველოს რუსეთთან ურთიერთობებში განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს, რათა 2008 წლის მოვლენების გამეორება თავიდან აიცილოს (ეს საფრთხე გაიზარდა და მასზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ). რატომ აკეთებს სააკაშვილი ასეთ განცხადებებს და ვინ აგულიანებს მას?**



## ენაზე მომდგარ სიტყვასა...

ცხადია, ნებისმიერ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი აზრი რუსეთში (გნებავთ, ავსტრალიასა თუ ჰონდურასში) მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. მეტიც, ის შეიძლება გულშემატკივრობდეს ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალას და მის მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებდეს. მაგალითად, სოლიდარობა „რუსეთის დემოკრატიულ ძალებს“ (ერთობ ძნელი დასადგენია, თუ ვინ იმალება ამ აზრის მიღმა, თუმცა — მაინც) საქართველოში რამდენიმე ცალკეულმა პოლიტიკოსმა, ამასთანავე, „რესპუბლიკურმა“ და „ეროვნულ-დემოკრატიულმა“ პარტიებმა გამოუცხადეს. იმავეს გაკეთება საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს და, უკიდურეს შემთხვევაში, „ნაციონალურ მოძრაობასაც“ შეეძლო. მართალია, მმართველი პარტიის ასეთ განცხადებას კრემლი მტრობის აშკარა გამოვლინებად აღიქვამდა, მაგრამ ეს ზღვარგადასულ ნაბიჯად, ალბათ, მაინც არ ჩაითვლებოდა. რაკი განხილული განცხადება საქართველოს ხელისუფლების პირველმა პირმა გააკეთა, კრემლი ამას ერთმნიშვნელოვნად განიხილავს, როგორც უხეშ ჩარევას რუსეთის საშინაო საქმეებში; საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკა მსგავს სიტუაციაებში სხვა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, უბრალოდ, არ იძლევა.

**არის ამქვეყნად ასეთი სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები; ის თავს დემოკრატიის შუქურად მიიჩნევს და ბევრი ავიამზიდი ჰყავს. ერთი შეხედვით, ეს ორი გარემოება შესაძლებლობას აძლევს, სხვა ქვეყნებში მიმდინარე პროცესები შეაფასოს ისე, როგორც მოეხასიათება, თუმცა გასულ კვირას რუსეთზე საუბრისას თეთრი სახლი, სააკაშვილისგან განსხვავებით, გაცილებით მოზომილი იყო და სიტყვებს ფრთხილად არჩევდა.**

მაგალითად, სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა გამოთქვა „სერიოზული შეშფოთება არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით“ და ახსენა „მთელი რიგი დარღვევებისა, რომლებიც არჩევნების დღეს დაფიქსირდა“. „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ რუსეთის ხელისუფლება მიიღებს ზომებს დამკვირვებელთა ისეთი მისიების რეკომენდაციების შესაბამისად, რომლებიც ეუთო-ს საბოლოო დასკვნაში აისახება,“ — თქვა კლინტონმა. სააკაშვილისგან განსხვავებით, მას არსად უხსენებია რეჟიმი, რომელიც ხალხის არჩევანს ფეხქვეშ თელავს.

**მიუხედავად ამისა, კრემლი განრისხდა: საგარეო საქმეთა სამინისტრომ კლინტონის გამოსვლა შეაფასა როგორც „მიუღებელი“ და აშშ-ის აღმასრულებელ ხელისუფლებას ურჩია, საკუთარ საარჩევნო სისტემას მიხედოს; ვლადიმერ პუტინმა კი განაცხადა, რომ სახელმწიფო მდივანმა მისცა „სიგნალი“ დესტრუქციულ ძალებს რუსეთში, ხოლო „მათ ეს სიგნალი გაიგეს და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დახმარებით აქტიური მუშაობა დაიწყეს“. პუტინმა, ფაქტობრივად, დაადანაშაულა ვაშინგტონი იმაში, რომ რუსეთის საშინაო საქმეებში ერევა.** „აქ არ არის არანაირი სიგნალები,“ — უპასუხა პუტინს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარკ ტონერმა; გაკეთდა სხვა კომენტარებიც, რამაც ცხადყო, რომ ვაშინგტონი, მაქსიმალურად ცდილობს, ეს ბრალდება თავიდან აიცილოს. ამასთანავე, ის არ წარმოაჩენს რუსეთში მიმდინარე პროცესებს „რეჟიმისა“ და „უსამართლობასთან მებრძოლი ხალხის“ დაპირისპირებად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში კრემლს მკვეთრი საპასუხო ნაბიჯების გადადგმის საბაბს მისცემდა.

როდესაც აშშ ასეთ სიფრთხილეს ავლენს, სადღა მიაჭენებს სააკაშვილის ხელისუფლება? სხვათა შორის, სააკაშვილი არ შემოფარგლულა წერილის დასაწყისში ციტირებული განცხადებით და იმავე დღეს შემდეგი კომენტარი გააკეთა: „რაც ხდება იქ, რუსეთში, ეს არის მხოლოდ დიდი პროცესის დასაწყისი, რომელიც დაასრულებს უსამართლობას, უსამართლო სისტემას, რომელიც იქ არსებობს. ეს არის მხოლოდ დასაწყისი იმ დიდი მრავალთვიანი აგონიის, რომელიც ამ უსამართლობას ექნება“ (Civil.ge). ძნელი სათქმელია, რას ეფუძნება მისი ვარაუდები, შესაძლოა, მან დასაშვებზე მეტხანს უყურა სახელისუფლო არხებს, რომლებმაც გასულ კვირას პუტინი დაახლოებით ორასჯერ დაამხეს და რუსეთი მარტივ მამრავლებად დაშალეს. **აქ მთავარი სხვა რამ არის და ეს ფსიქიატრიაში კარგად შესწავლილი ფენომენია: როდესაც მენტალურად აშლილ ადამიანს ესა თუ ის ფაქტი (მოვლენა, გარემოება და ა.შ.) არ მოსწონს, ის მას არარსებულად ან, როგორც მინიმუმი, დაღუპვის პირას მისულად აცხადებს. ზოგადად, რუსეთში შეიძლება ბევრი რამ მოხდეს (დიდი ალბათობით, არანაირ ტექტონურ ძვრებს ახლო მომავალში იქ ადგილი არ ექნება), მაგრამ, ვიდრე ეს მოხდება, საქმის დაჭერა სწორედ პუტინის რუსეთთან მოგვიწევს. რა ვქნათ? თან უსამართლო რეჟიმი ვეძახოთ და თან ურთიერთობების ნორმალიზაციაზე ვესაუბროთ?**

ყურადღება, ალბათ, კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ; ბრალდებები, რომელსაც თეთრი სახლი და კრემლი ცვლიან, გარკვეული თვალსაზრისით, ორივეს აწყობს. **ორივე ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება და ობამა, ისევე როგორც პუტინი, მოწადინებულია, გაანეიტრალოს კრიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ ის რუსეთის (პუტინის შემთხვევაში — აშშ-ის) მიმართ ზედმეტად დამთმობია. აქ, ალბათ, მნიშვნელოვანია რიტორიკა და რეალური პოლიტიკა ერთმანეთისგან გავმიჯნოთ. ძალიან დიდი ალბათობით, არანაირი „გლობალური დემოკრატიული შეთქმულება“, რომელიც მიზნად ხელისუფლებიდან პუტინის ჩამოცილებას ისახავს, დღეს აქტუალური არ არის.** იმედია, სააკაშვილის გარემოცვას ეყოფა კეთილგონიერება, დაარწმუნოს თავისი ბელადი, რომ სიფრთხილე გამოიჩინოს და თავი შეიკავოს ისეთი ნაბიჯებისგან, რომლებიც უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების დროს გადადგა. ცხადია, ის ვერ გააგზავნის ზონდერებს მოსკოვში, ისე, როგორც თავის დროზე დონეცკში, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, გულმოწყალე უკრაინელებისგან განსხვავებით, მათ რუსეთიდან უკან არავინ გამოუშვებს. თუმცა აღგზნებულმა წარმოსახვამ მართლაც შეიძლება რაიმე რადიკალური ნაბიჯისკენ უბიძგოს, რომელიც რუსეთს საპასუხო დარტყმისთვის საბაბს მისცემს. **10 დეკემბრის განცხადებით, სააკაშვილმა, რომ იტყვიან, „ძალიან ცუდად დაიწყო“ და სასურველია, მისმა გარემოცვამ ფიგურანტის შემდგომი ნაბიჯები** ▶



**«ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ რუსეთის ხელისუფლება მიიღებს ზომებს დამკვირვებელთა ისეთი მისიების რეკომენდაციების შესაბამისად, რომლებიც ეუთო-ს საბოლოო დასკვნაში აისახება,» — თქვა კლინტონმა. სააკაშვილისგან განსხვავებით, მას არსად უხსენებია რეჟიმი, რომელიც ხალხის არჩევანს ფეხქვეშ თელავს.**

მოკლედ

## სომალიში არტილერიას იყენებენ

**სომალის დედაქალაქ მოგადიშოში დროებითი მთავრობის ძალებსა და ალ-შაბაბის მოძრაობის ისლამისტ ბოევიკებს შორის ბრძოლები გაიმართა.** BBC-ის ინფორმაციით, ეს იყო ყველაზე მასშტაბური შეტაკებები ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში. მხარეები არტილერიასაც იყენებდნენ. ალ-შაბაბის ბოევიკების წინააღმდეგ ოპერაციაში აფრიკის კავშირის ძალებიც მონაწილეობდნენ, რომლის სომალიში განლაგებულ ბაზებზე ისლამისტები პერიოდულ თავდასხმას ახორციელებდნენ.



## პუტინი კანონის გამკაცრებას ითხოვს



რუსეთის პრემიერმა სხვა სახელმწიფოების დავალების შემსრულებლების მიმართ, რომლებიც ცდილობენ რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევას, კანონის გამკაცრება მოითხოვა. „ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენი სუვერენიტეტი დავიცვათ. ამიტომ უნდა ვიფიქროთ კანონის სრულყოფაზე და პასუხისმგებლობის გამკაცრებაზე მათთვის, ვინც უცხო ქვეყნის ამოცანას ასრულებს შიდასახელმწიფოებრივ პროცესებში,“ — განაცხადა პუტინმა.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არავინ მოისმენს რეციდივისტი მკვლელის მონოლოგებს ჰუმანიზმზე, მეძავის შთაგონებებს მაღალ ზნეობაზე და გამყალბებლის პათეტიკურ გამოსვლებს იმის თაობაზე, თუ რა ცუდია „თავისუფალი არჩევანის ფეხქვეშ გათელვა“. მაგრამ ვერაფერს ვიზამთ — პროპაგანდა სააკაშვილისთვის, სავარაუდოდ, გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე პოლიტიკა და ის, რომ მან, პროპაგანდისტული ჟინით შეპყრობილმა, შეიძლება ისედაც დასახიჩრებული ქვეყანა რუსეთის ახალი დარტყმის ქვეშ დააყენოს, დიდი ხანია, არავის აკვირვებს.**

**იმავე მიმართულებით საიმედოდ დაბლოკოს. ეს მითუმეტეს აქტუალურია დღეს, როდესაც საქართველოს თავზე ცა აშკარად მოიღრუბლა.**



**სერგეი ლავროვი:**

**მე გულწრფელად გავაფრთხილე ჩვენი კოლეგები, რომ მათ ისევ, ნებსით ან უნებლიეთ, არ უბიძგონ საქართველოს დღევანდელ რეჟიმს, რაიმე 2008 წლის აგვისტოს ავანტიურის მსგავსი გაიმეოროს... ეჭვი არ მეპარება, რომ, მიხეილ სააკაშვილის ფსიქიკის გათვალისწინებით, ამან (ბუქარესტის სამიტმა, სადაც გამოცხადდა, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდება. — ავტ.) ითამაშა ძალიან მნიშვნელოვანი როლი იმ გიჟურ, უგუნურ გადაწყვეტილებაში, რომელიც მან მიიღო.**

## ხვალ იყო ომი?!

აშშ-ის სენატში ჩავარდა რეზოლუცია, რომელიც „პრეზიდენტს მოუწოდებდა, ისეთ დიპლომატიურ ძალისხმევას ჩადგომოდა სათავეში, რომელიც ნატო-ს ჩიკაგოს სამიტზე საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მინიჭებას უზრუნველყოფდა“ („American Spectator). დენიელ ლარისონმა ამასთან დაკავშირებით „American Conservative“-ში შემდეგი კომენტარი გააკეთა: **„საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების ძალისხმევა არა მხოლოდ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებს გაამწვავებს... არამედ აუცილებლად გაამძაფრებს დაძაბულობას საქართველოსა და რუსეთს შორის და კონფლიქტის ახალ რაუნდს დააჩქარებს“. „ვინ მოამზადა ეს სქემა — ჩაითრიოს ამერიკელები კავკასიურ ომებში, რომელიც ჩვენი საქმე არაა? — წერს ცნობილი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი პატრიკ ბიუკენენი, — აშშ-ის ომი რუსეთთან, საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამო, ეროვნული სიგიჟის დანაშაულებრივი აქტი იქნებოდა“ („WorldNetDaily“).**

ორივე ამერიკელი ავტორი საუბრობს რუსეთ-საქართველოს ახალ ომზე, როგორც რაღაც სავსებით რეალურზე, ხელშესახებზე; ომის შესაძლებლობაზე 8 დეკემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმაც მიანიშნა: „მე მივაქციე ყურადღება, რომ გუშინდელი კომუნიკე, რომელიც ალიანსის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს, შეიცავს ისეთ ტერმინს, როგორიცაა „პარტნიორები, რომლებიც ნატოში გაწევრიანებისკენ ისწრაფვიან“ (aspirant partners) და ამ ტერმინით აღნიშნულ ქვეყნებს შორის მოხსენიებული იყო საქართველოც... მე გულწრფელად გავაფრთხილე ჩვენი კოლეგები, რომ მათ ისევ, ნებსით ან უნებლიეთ, არ უბიძგონ საქართველოს დღევანდელ რეჟიმს, რაიმე 2008 წლის აგვისტოს ავანტიურის მსგავსი გაიმეოროს... ეჭვი არ მეპარება, რომ, მიხეილ სააკაშვილის ფსიქიკის გათვალისწინებით, ამან (ბუქარესტის სამიტმა, სადაც გამოცხადდა, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდება. — ავტ.) ითამაშა ძალიან მნიშვნელოვანი როლი იმ გიჟურ, უგუნურ გადაწყვეტილებაში, რომელიც მან მიიღო, ამიტომ მე გამოვთქვი იმედი, რომ ნატო-ელები პასუხისმგებლობით მოეკიდებიან წაქეზებას ისეთი მოვლენებისკენ, როგორიც, 2008 წლის აგვისტოს მოვლენები იყო“.

ლავროვის განცხადების ქვეტექსტი, ალბათ, საკმაოდ მარტივია: **საქართველოს ნებისმიერი ნაბიჯი ნატო-სკენ არის ნაბიჯი ახალი ომისკენ რუსეთთან. თავისთავად, საქართველოს მოხსენიება „ასპირანტ ქვეყნად“ მის სტატუსს ნატო-ს მოსაცდელში არანაირად არ ცვლის. ეს არ არის არც მაპ-ის მინიჭება და არც ალიანსში გაწევრიანება, თუმცა რუსეთი უფრო შორს მიდის: მას, როგორც ჩანს, აღარ სურს, რომ საქართველო ნატო-ში გაწევრიანების მოსურნე ქვეყნად მოიხსენიონ. ის ფაქტი, რომ საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭებას ალიანსის ევროპელი წევრები ნებისმიერ შემთხვევაში დაბლოკავენ, კრემლისთვის საკმარისი, როგორც ჩანს, აღარ არის. მოსკოვს, სავარაუდოდ, სურს, რომ საკითხი დღის წესრიგიდან საერთოდ მოიხსნას.**

**მოდით, ყოველივე მაქსიმალურად გავამარტივოთ: რუსეთი საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას სასიკვდილო საფრთხედ აღიქვამს და მიანიშნებს, რომ მზად არის, იომოს იმისთვის, რომ საქართველო ალიანსის წევრი არ გახდეს. კავშირს საქართველოს ნატო-ში სწრაფვასა და შესაძლო ომს შორის ამერიკელი კომენტატორებიც აფიქსირებენ.**

საქართველომ არჩევანი უნდა გააკეთოს: ან „ახალი ფინეთის“ სტატუსისკენ წავიდეს, ან ნატო-ში გაწევრინებაზე ორიენტირებული პოლიტიკა გააგრძელოს. მეორე შემთხვევაში, რომელიც ახალი ომისა და ტერიტორიების სამუდამო დაკარგვის საფრთხეს უკავშირდება, ოფიციალურმა თბილისმა, სავარაუდოდ, მაქსიმალური სიფრთხილე უნდა გამოავლინოს და დასავლელ პარტნიორებთან ერთად დღედაღამ უმტკიცოს კრემლს, რომ საქართველოს გაწევრიანება ნატოში რუსეთის უსაფრთხოებას არანაირად არ ვნებს, რომ მის მიზანს არ წარმოადგენს რუსეთის საქმეებში ჩარევა, ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაციის არევა, აშშ-რუსეთის ომის პროვოცირება და ა.შ. რას აკეთებს ამ დროს სააკაშვილი? ის არ იყენებს ნატო-სთან დაახლობის ერთადერთ შესაძლებელ ტაქტიკას, რომელსაც ხანდახან „დათვის დაძინებას“ უწოდებენ, არამედ პირიქით, — აღვიძებს დათვს (10 დეკემბრის განცხადება, ამ მხრივ, მშვენიერი ილუსტრაციაა) და თითქოს ყველაფერს აკეთებს, რათა დაარწმუნოს ალიანსის წევრები იმაში, რომ მათ რუსეთთან ომში გარანტირებულად ჩაითრევს. ფაქტობრივად, ეს ნატო-სკენ სწრაფვა კი არ არის, არამედ საბოტაჟი, უნაყოფო პოლიტიკა, რომელიც საქართველოს — დროს, ხოლო რუსეთსა და აშშ-ს მოთმინებას აკარგვინებს.

## Свет мой, зеркальце, скажи...

სააკაშვილის 10 დეკემბრის განცხადების მიღმა რთული მოტივების ძიებამ შეიძლება ძალიან შორს წაგვიყვანოს. არადა, საქმე შეიძლება გაცილებით მარტივად იყოს. ციტატა სააკაშვილის გამოსვლიდან ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში (21.01.2010): **„ცოტა ხნით წიგნების კითხვაზე გადავერთე და დავაკვირდი ისტორიას და დავინახე, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, რომ არაფერი არ იყო ახალი, აბსოლუტურად არაფერი. ამ სტრატეგიას თავისი სახელი გააჩნია: მას „სარკის პროპაგანდა“ ჰქვია ან „ბრალდება სარკეში“. იგი მოიცავს შენი მსხვერპლის დადანაშაულებას სწორედ იმ დანაშაულებში, რომელთა განხორციელებას შენ აპირებ, ან უკვე ჩართული ხარ ამ პროცესში, — განაცხადა სააკაშვილმა და ოდნავ მოგვიანებით დასძინა, — რუსი ლიდერები იყენებდნენ და აგრძელებენ სარკის პროპაგანდის გამოყენებას ჩვენ წინააღმდეგ“.**

საქართველოში თითქმის არავინ დავობს იმაზე, რომ 2008 წლის არჩევნებზე სააკაშვილის ხელისუფლებამ „ფეხქვეშ გათელა საკუთარი ხალხის თავისუფალი არჩევანი“. „ყველამ ვიცოდით, რომ მეორე ტური იყო,“ — ამბობს ნინო ბურჯანაძე, რომელიც მაშინ პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა, თუმცა ბურჯანაძის ერთობ დაგვიანებული აღიარების გარეშეც, ასიათასობით ადამიანი თბილისის ქუჩებში გამოდიოდა (იმ მიტინგებში გაცილებით მეტი მოქალაქე მონაწილეობდა, ვიდრე მოსკოვის 10 დეკემბრის თავყრილობაში), არჩევნების ცინიკურ გაყალბებას აპროტესტებდა და სამართლიანობის აღდგენას მოითხოვდა; ხელისუფლებამ მათი პროტესტი ყურად არ იღო. **10 დეკემბერს კი სააკაშვილმა, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ მას მიეცა შესაძლებლობა, ხსენებულ „სარკეს“ წათამაშებოდა და კრემლი დაედანაშაულებია იმაში, რაც საქართველოში თვითონ ჩაიდინა (და, შესაძლოა, ამის გამეორებას 2012-ში აპირებს). ის ამ შანსს ხელიდან ვერ გაუშვებდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროპაგანდისტული ტრიუკი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებულ ნორმებთან გადაულახავ წინააღმდეგობაში მოვიდა.**

ალბათ, ვიღაცას (უპირველესად კი, რუსეთის მოქალაქეებს) შეუძლია რუსეთის ხელისუფლება არჩევნების არასათანადო ჩატარების გამო გააკრიტიკოს, თუმცა სააკაშვილი ამ პირების რიცხვს აშკარად არ მიეკუთვნება. ცხოვრება ასეა მოწყობილი: **არავინ მოისმენს რეციდივისტი მკვლელის მონოლოგებს ჰუმანიზმზე, მეძავის შთაგონებებს მაღალ ზნეობაზე და გამყალბებლის პათეტიკურ გამოსვლებს იმის თაობაზე, თუ რა ცუდია „თავისუფალი არჩევნის ფეხქვეშ გათელვა“. მაგრამ ვერაფერს ვიზამთ — პროპაგანდა სააკაშვილისთვის, სავარაუდოდ, გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე პოლიტიკა და ის, რომ მან, პროპაგანდისტული ჟინით შეპყრობილმა, შეიძლება ისედაც დასახიჩრებული ქვეყანა რუსეთის ახალი დარტყმის ქვეშ დააყენოს, დიდი ხანია, არავის აკვირვებს.**

სხვათა შორის, იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი მომავალი არჩევნების გაყალბებას შეეცდება, მას, ძალიან დიდი ალბათობით, მიეცემა შესაძლებლობა, საკუთარ თავზე გამოსცადოს, თუ რამდენს იწონის სინამდვილეში მისივე ფრაზა რეჟიმებზე, რომელთა ადგილი XXI საუკუნეში აღარ არის.

**დიმიტრი მონიავა**



**იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი მომავალი არჩევნების გაყალბებას შეეცდება, მას, ძალიან დიდი ალბათობით, მიეცემა შესაძლებლობა, საკუთარ თავზე გამოსცადოს, თუ რამდენს იწონის სინამდვილეში მისივე ფრაზა რეჟიმებზე, რომელთა ადგილი XXI საუკუნეში აღარ არის.**

## ჩინეთი 300 მილიარდი დოლარის ფონდს ქმნის

**ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ინვესტირების მიზნით ჩინეთი სპეციალურ ფონდს შექმნის, რომლის მოცულობაც 300 მილიარდი დოლარი იქნება. ესაა ქვეყნის სავალუტო რეზერვების მართვის ახალი ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც თანხები ინვესტიციების სახით ევროპასა და ამერიკაში გადაირიცხება.** ფონდის შექმნის იდეა ჯერ კიდევ ევროზონის კრიზისამდე, უცხოური ინვესტიციების მომგებიანობის ზრდის მიზნით წარმოიშვა. თუმცა ევროპის ფინანსური კრიზისის პერიოდში ჩინეთიდან წასულმა თანხებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს. ჩინეთის სავალუტო რეზერვების საერთო მოცულობა, რომლის დახმარების იმედიც ევროკავშირის ლიდერებს აქვთ, სამ ტრილიონ დოლარს აჭარბებს.

## ნიკოლა სარკოზის კონკურენტი გამოუჩნდა

**დომენიკ დე ვილპენს საფრანგეთის პრეზიდენტობა სურს. ამის შესახებ ქვეყნის ყოფილმა პრემიერმინისტრმა ოფიციალურად განაცხადა ტელეკომპანია TF-1-ის ეთერით.** ვილპენი, რომელიც წლების განმავლობაში სარკოზის პოლიტიკურ ოპონენტად ითვლებოდა, მოქმედ პრეზიდენტს კონკურენციას 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაუწევს.

## ირანი საქართველოს გავლით ელექტროენერგიას რუსეთს და ევროპას მიაწვდის

**სააგენტო „მეჰრის“ ინფორმაციით, შენდება ახალი ელექტროგადამცემი ხაზი რომლის მეშვეობითაც ირანს, სომხეთსა და საქართველოს შორის ელექტროენერგიის გაცვლის მოცულობას გაზრდის.** ირანის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ მოჰამედ ბეჰზადმა განაცხადა, რომ ეს 400 კვ. ძაბვრის ელექტროგადამცემი ხაზი ევროპის ქვეყნებთან ელექტროენერგიის გაცვლისა და ტრანზიტის ახალი მარშუტი გახდება. ახალი ელექტროგადამცემი ხაზის აშენების მიზანია მიაწოდოს ელექტროენერგია საქართველოს, შემდეგში რუსეთს და ევროპის სხვა ქვეყნებს.

მოკლედ

## რუსეთი ნატოსთან თანამშრომლობას შეწყვეტს

**რუსეთი ნატოს თანამშრომლობის გაწყვეტით ემუქრება. რუსული მედიის ინფორმაციით, შესაბამისი განცხადება ალიანსში რუსეთის წარმომადგენელმა დიმიტრი როგოზინმა გააკეთა.** „რუსეთი ალიანსთან მხოლოდ პრაგმატიზმის პრინციპის საფუძველზე ითანამშრომლებს. არ გამოვა ისე, რომ ნატო-მ რუსეთისგან ყველაფერი მიიღოს, სანაცვლოდ კი არაფერი გასცეს,“ — აღნიშნა როგოზინმა.



## აშშ რუსეთთან თანამშრომლობაზე უარს არ იტყვის

**თეთრი სახლი რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობას განაგრძობს, თუმცა დემოკრატიული პროცესების დარღვევაზე თვალს არ დახუჭავს. ასე უპასუხა აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას პრესმდივანმა ჯეი კარნიმ რუსეთის პრემიერ-მინისტრის — ვლადიმერ პუტინის განცხადებას.** „როცა რუსეთსა თუ სხვა ქვეყანაში ადამიანის უფლებები ირღვევა, ამას აუცილებლად გამოვხატავთ,“ — განაცხადა კარნიმ და განმარტა, რომ ჰილარი კლინტონმა სწორედ ეს აღნიშნა ბრიუსელში.

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბევრს დღესაც ჰგონია, რომ თავად ამერიკაში ყველაფერი წესრიგშია, იქ არ არიან მათხოვრები, ყველა ბედნიერი და წარმატებულია. ბევრმა არც ის იცის, რომ სააკაშვილის და მისთანათა რეჟიმები სწორედ მშიერი ამერიკელების ხარჯზე ფინანსდება. ამერიკელებს აღარ უნდათ ასე ცხოვრება. ისინიც, ჩვენსავით, აქციებს მართავენ და პოლიციას არ ეპუებიან.**

**შეერთებული შტატები, რომელსაც წესად ექცა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ღიად ჩარევა, ამ შემთხვევაში იმ გზას მიჰყვება, რომლითაც ე.წ. ფერადი რევოლუციების ექსპორტი საქართველოსა და უკრაინაში მოახერხა**

# «ფერადი რევოლუციების» რუსული ზამთარი



**ოცი წლის წინ საბჭოთა კავშირი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. კვების პროდუქტების დეფიციტის გამო ტალონები შემოიღეს. ეს ბევრმა სისტემის დასასრულის დასაწყისად აღიქვა. მას შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ტალონები ამერიკაშიც შემოიღეს, მაგრამ ამას საკუთარი დასასრულის დასაწყისად არ მიიჩნევენ. პირიქით, სხვა სახელმწიფოებს ასწავლიან, როგორ „აშენონ დემოკრატია“. ვისაც, ვირის და პიტნის არ იყოს, ეს ცხვირში შეჩრილი „დემოკრატიის ტალონები“ არ უნდა, იარაღის ძალით ასწავლიან ჭკუას. ერაყისა და ავღანეთის „დემოკრატიზაციის“ შემდეგ ამერიკელები ირანსაც დაემუქრნენ, ხოლო რუსეთს ჩატარებული არჩევნები დაუწუნეს და იმავე სცენარის განვითარებას ცდილობენ, რომელიც „ფერადი რევოლუციების“ სახელით უკვე აჩუქეს საქართველოსნაირ ქვეყნებს.**

მერე რა, რომ „დემოკრატიას ზიარებულ“ ქვეყნებში იმაზე ბევრად უარესი ვითარებაა, ვიდრე რევოლუციამდე! მერე რა, რომ კოსოვოს შემდეგ ახლა უკვე „გამარჯვებულ“ ეგვიპტეში ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა გაჩაღდა?! მთავარი ეს ხომ არ არის? მთავარია, რომ იქ „დემოკრატია, ადამიანის უფლებები“ და ამერიკის მორჩილი რეჟიმია.

ბევრს დღესაც ჰგონია, რომ თავად ამერიკაში ყველაფერი წესრიგშია, იქ არ არიან მათხოვრები, ყველა ბედნიერი და წარმატებულია. ბევრმა არც ის იცის, რომ სააკაშვილის და მისთანათა რეჟიმები სწორედ მშიერი ამერიკელების ხარჯზე ფინანსდება. ამერიკელებს აღარ უნდათ ასე ცხოვრება. ისინიც, ჩვენსავით, აქციებს მართავენ და პოლიციას არ ეპუებიან. „დაიკავე უოლსტრიტი“ სინამდვილეში გაცილებით უფრო მასშტაბური მოვლენაა, ვიდრე ამას გლობალური ტელევიზია აშუქებს. აგრესია იწვევს აგრესიას. პლასტიკური ქირურგის მიერ „ჭეშმარიტ არიელად“ ჩამოქნილ ანდერს ბრეივიკის მიერ კუნძულ უტოიაზე ივლისში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტა, რომელსაც 80 ახალგაზრდა ემსხვერპლა, სულაც არ არის ერთეული შემთხვევა.

## ველური, ველური ამერიკა

გასულ კვირას ვირჯინიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სროლას ორი ადამიანი – პოლიციელი და სტუდენტი — შეეწირა. ამავე უნივერსიტეტში 2007 წელს 23 წლის სტუდენტმა ჩო სინ ხიმ სროლისას 32 ადამიანი მოკლა, ბოლოს კი თავი მოიკლა.

რამდენიმე დღის წინ 22 წლის როს ტრუეტ ეშლიმაც პოლიციელისა და სტუდენტის მოკვლის შემდეგ თავი მოიკლა. იგი მეზობელი რედფორდის უნივერსიტეტის დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტი იყო.

ათი დღით ადრე ოკლენდში (კალიფორნიის შტატი) მანქანების სადგომზე სროლისას 8 ადამიანი, მათ შორის ერთი წლის ბავშვი, დაიჭრა. ადგილზე 50–ზე მეტი გილზა აღმოაჩინეს.

10 დეკემბერს უცნობმა მამაკაცმა ჰოლივუდში სროლა ატეხა და ერთი გამვლელი მოკლა, რის შემდეგაც პოლიციელებმა მოკლეს. მოტივები უცნობი დარჩა.

ნოემბერში 21 წლის ოსკარ რამირო ორტეგა–ერნანდესმა თეთრ სახლს ესროლა. ოფიციალური ინფორმაციით, იგი ფსიქიურად დაავადებულია და პრეზიდენტ ობამას ფანატია.

1999 წელს „კოლუმბაინის“ სკოლაში ორმა უფროსკლასელმა სროლა დაიწყო, 37 მოსწავლე დაიჭრა, 13 გარდაიცვალა. ერიკ ჰარისმა და დილან კლიბოლდმა თავი მოიკლეს. გაირკვა, რომ მოზარდები ოკლაჰომა-სიტიში 1995 წელს მოწყობილი ტერაქტის მსგავსს გეგმავდნენ. 2001 წლის 11 სექტემბრამდე ეს ყველაზე მასშტაბურ ტერაქტად ითვლებოდა. კერძოდ, დანაღმული ავტომობილის აფეთქების შედეგად 168 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 6 წლამდე ასაკის 19 ბავშვი. 680 ადამიანი დაიჭრა. აფეთქებამ 324 შენობა დააზიანა, 86 ავტომობილი გაანადგურა და 4,5 კილომეტრის რადიუსში მინები ჩაამსხვრია.

გამოძიების მტკიცებით, ჰარისი და კლიბოლდი დენვერის საერთაშორისო აეროპორტიდან თვითმფრინავის გატაცებას გეგმავდნენ, რათა ნიუ იორკში შენობა აეფეთქებინათ. ხომ არაფერს გაგონებთ ეს სცენარი? ორი წლის შემდეგ, 11 სექტემბრის ტერაქტებისას სწორედ თვითმფრინავების შეჯახებით დაინგრა „ტყუპები“ ნიუ იორკში. ერთი თვითმფრინავი კი პენტაგონს შეეჯახა. გარდა ამისა, ორი მოზარდი სკოლის კაფეში დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობის დეტონაციის შემდეგ გადარჩენილების გამოსასვლელში დახვრეტას აპირებდა. მერე, როცა სკოლასთან სახანძრო, პოლიციის და სასწრაფო სამეცინო დახმარების მანქანები მოვიდოდნენ, ავტომობილებში დამონტაჟებული ბომბები უნდა აფეთქებულიყო და გარეთ მყოფები დაეხოცა. ეს გეგმა იმიტომ ჩავარდნილა, რომ კაფეში დამონტაჟებული ასაფეთქებელი ნივთიერების დეტონაცია არ მოხდა.

როგორც წესი, ამგვარ შემთხვევებში ოფიციოზი ფსიქიურ დაავადებებზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა იმის ახსნა, რატომ იმრავლა ასე სულიერმა დაავადებებმა და რაღა მაინცდამაინც უდანაშაულო ადამიანებზე თავდასხმების სახით ვლინდება, პასუხგაუცემელი რჩება.

## THE AMERICAN DREAM

სულ ახლახანს კი კიდევ ერთი ტრაგედია დატრიალდა. ტეხასელმა ქალმა, რომელმაც სახელმწიფოსგან ბავშვებისთვის კვების ტალონები ვერ მიიღო, ჯერ საკუთარ შვილებს ესროლა, ხოლო შემდეგ თავი მოიკლა. ეს ტრაგედია ქალაქ ლორედოს ჯანდაცვის და სოციალური სამსახურის შენობაში მოხდა. პოლიცია 7 საათის განმავლობაში ცდილობდა 38 წლის რაშელ გრიმერის განეიტრალებას, თუმცა — ამაოდ. მისი 10 წლის ვაჟი და 12 წლის გოგონა კრიტიკულ მდგომარეობაში გადაიყვანეს საავადმყოფოში.

სასურსათო დახმარების თხოვნით რაშელ გრიმერმა სახელმწიფოს ჯერ კიდევ ივლისში მიმართა. მას უარი იმ საბაბით უთხრეს, რომ არასაკმარისი ინფორმაცია მიაწოდა. სოციალური სამსახურის ოფისში იგი ბავშვებთან ერთად 5 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე მივიდა. მან პისტოლეტის გამოყენებით დეპარტამენტის ერთ–ერთი თანამშრომელი მძევლად აიყვანა, თუმცა მოგვიანებით გაათავისუფლა.

პოლიცია გრიმერთან მოლაპარაკებას ეცადა. ქალი სოციალური სამსახურების და სახელმწიფო ორგანიზაციების ცუდი მუშაობის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ღამის 11 საათსა და 45 წუთზე სროლის ხმა გაისმა. შენობაში შესულმა პოლიციელებმა რაშელ გრიმერის ცხედარი და მისი დაჭრილი შვილები აღმოაჩინეს.

ორიოდე დღეში Associated Press–მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ 7 დეკემბერს გოგონა — რამი გარდაიცვალა, ხოლო 8 დეკემბერს მისი ძმა – ტიმოთი. გაზეთი The Houston Chronicle წერდა, რომ ორი კვირით ადრე, ვიდრე ტრაგედია დატრიალდებოდა, რაშელ გრიმერი ამბობდა, რომ არ იცის, რა ეშველება მის შვილებს მისი გარდაცვალების შემთხვევაში და არ უნდა, ისინი იტანჯებოდნენ.

ამერიკაში სასურსათო დახმარების ოდენობა ოჯახის შემოსავალზეა დამოკიდებული. ტეხასური ოჯახი საშუალოდ თვეში 294 დოლარის დახმარებას იღებს. თანხა სპეციალურ პლასტიკურ ბარათზე ირიცხება, რომლითაც მხოლოდ სურსათის შეძენა შეიძლება. ამგვარი **სასურსათო „ტალონებით“ დღეს შეერთებულ შტატებში 311 მილიონიდან 46 მილიონი ადამიანი სარგებლობს, ანუ ყოველი მეშვიდე ამერიკელი ამ ტალონების გარეშე იშიმშილებდა.**

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ამერიკელები სწორედ იმის გამო დასცინოდნენ იმ ქვეყანას, რის აუცილებლობაც მისი დანგრევიდან ოცი წლის შემდეგ უდგათ. თუ საბჭოთა ტალონები იმისთვის იყო მოწოდებული, რომ დეფიციტური კარაქი, შაქარი და ხორცი ყველას შეხვედროდა, ამერიკაში ელემენტარულად შიმშილით სიკვდილის თავიდან ასაცილებლად არის აუცილებელი, თუმცა ვერც რაშელ გრიმერი გადარჩა და ვერც მისი შვილები.

**ამერიკელებს აღარ სურთ, აიტანონ ვითარება, როცა ერთ მუჭა მდიდრებს ეკუთვნით ყველა ამქვეყნიური სიკეთე. უფრო მეტიც, საკუთარი მოქალაქეების შიმშილის ხარჯზე მილიარდები იხარჯება შორეულ ავღანეთსა და ერაყში ამერიკის „ნაციონალური ინტერესების გამო“. ეს ინტერესები კი იმ ერთი მუჭა მილიარდერების კიდევ უფრო გამდიდრებას ემსახურება.** ▶



**სასურსათო «ტალონებით» დღეს შეერთებულ შტატებში 311 მილიონიდან 46 მილიონი ადამიანი სარგებლობს, ანუ ყოველი მეშვიდე ამერიკელი ამ ტალონების გარეშე იშიმშილებდა**

## ობამა მსოფლიოს ჰომოსექსუალებს დაიცავს



**აშშ-ის ხელისუფლება სექსუალური უმცირესობების დაცვას მსოფლიოს მასშტაბით შეეცდება. პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ უცხოეთში განთავსებული აშშ-ის ყველა საელჩოსთვის დირექტივა გამოსცა, რათა ამა თუ იმ ქვეყანაში არატრადიციული ორიენტაციის ადამიანების უფლებების დარღვევას წინ აღუდგნენ.** სექსუალური უმცირესობების მხარდამჭერი განცხადებით გამოვიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონიც. „ეს ხალხი ძალადობის მსხვერპლი მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ სხვებისგან განსხვავებულია. როცა სახელმწიფოები მათ კანონგარეშე აცხადებენ, როცა ჰორმონების მიღებას აიძულებენ, რათა „ნამდვილ“ სქესს დაუბრუნონ, როცა მათზე ანგარიშსწორების მოწოდებები ისმის, ეს ყველაფერი ადამიანის უფლებების დარღვევაა,“ — განაცხადა კლინტონმა.

## ირანი დაბომბვით იმუქრება

ირანი რეგიონში არსებული აშშ-ის სამხედრო ბაზების დაბომბვით იმუქრება. იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ის საფრენი აპარატები ირანის საჰაერო სივრცეს კიდევ ერთხელ დაარღვევენ, თეირანი რეგიონში არსებულ აშშ-ის სამხედრო ბაზებს დაბომბავს. შესაბამისი განცხადება ირანის მეჯლისის უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ მუჰამედ კევსერმა გააკეთა. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ რეგიონში აშშ-ის სამხედრო ბაზა თურქეთის ტერიტორიაზეც მდებარეობს.

საქართველოს ხელისუფლებამაც და მისმა ამერიკელმა მეგობრებმაც ერთი მარტივი ჭეშმარიტება უნდა გააოცნობიერონ: რუსეთს კი არ უნდა უთხრიდნენ ძირს (ნათქვამია,სხვისთვის გათხრილ ორმოში ბევრი თვითონ ჩავარდნილა), არამედ იმ ხელისუფალთან უნდა ეცადონ ურთიერთობის მოგვარებას, რომელსაც რუსი ხალხი აირჩევს. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილმა სწორედ ეს თქვა და არა ის, რასაც მას „ნაცმოძრაობის“ სახეები აბრალებენ.

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




**ამერიკელებს აღარ სურთ, აიტანონ ვითარება, როცა ერთ მუჭა მდიდრებს ეკუთვნით ყველა ამქვეყნიური სიკეთე. უფრო მეტიც, საკუთარი მოქალაქეების შიმშილის ხარჯზე მილიარდები იხარჯება შორეულ ავღანეთსა და ერაყში ამერიკის «ნაციონალური ინტერესების გამო». ეს ინტერესები კი იმ ერთი მუჭა მილიარდერების კიდევ უფრო გამდიდრებას ემსახურება.**

# მერე რა, რომ «დემოკრატიას ზიარებულ» ქვეყნებში იმაზე ბევრად უარესი ვითარებაა, ვიდრე რევოლუციამდე! მერე რა, რომ კოსოვოს შემდეგ ახლა უკვე «გამარჯვებულ» ეგვიპტეში ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა გაჩაღდა. მთავარი ეს ხომ არ არის? მთავარია, რომ იქ «დემოკრატია, ადამიანის უფლებები» და ამერიკის მორჩილი რეჟიმია.




## „თეთრი ლენტები“ და „თეთრი დათვი“

ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ ყველაფერი ისევ ისეა. არა, არც სააკაშვილი ეგონათ „დემოკრატიის შუქურა“ და არც საბჭოთა ტალონები იყო ამერიკულზე უარესი, მაგრამ მათ ინტერესებს ასე სჭირდებოდა და ასე ასაბუთებდნენ „ჯვაროსნულ ლაშქრობას“. „ჩვენი მაღალისა“ არ იყოს, რომელმაც რუსეთთან ომი „არ დამთავრა“, ამერიკელებსაც ლაშქრობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც არ დაუმთავრებიათ. ახლა რიგში რუსეთია. ისევ არჩევნების საბაბით (არადა, სააკაშვილისგან განსხვავებით, რუსეთის მმართველმა პარტიამ საკონსტიტუციო უმრავლესობა კი არა, ნახევარიც ვერ მიიღო!), აქაოდა 49%–ს „ედინაია როსია“ ვერ აიღებდაო, ხალხს ქუჩაში მოუხმეს. ოღონდ ვერავინ ხსნის, „თეთრი ლენტების“ ორგანიზაცია ორი თვით ადრე რატომ დარეგისტრირდა და მერე „სპონტანურად“ როგორ გამოვიდნენ თეთრლენტიანი ადამიანები აქციაზე! იმასაც ვერავინ ხსნის, საიდან გაჩნდა „ფერადი რევოლუციების“ მიმსგავსებით ტერმინი „თეთრი რევოლუცია“. კურიოზი ისაა, რომ წელს უიშვიათესი შემთხვევაა, როცა მოსკოვში დეკემბერში თოვლი არ დევს. როგორც წესი, ნოემბრის ბოლოს მოსკოვს თოვლის თეთრი საფარველი აქვს. არ მოვიდა თოვლი და ეს წინასწარ მომზადებული „თეთრი“ სახელიც გამოუყენებელი აღმოჩნდა.

**„მსოფლიო დემოკრატიული რევოლუციების“ ქომაგი, სენატორი ჯონ მაკკეინი მოსკოვში არეულობებისას დაკავებულთა გათავისუფლებას მოითხოვს. აქცია „დაიკავე უოლსტრიტის“ 700 მონაწილე დააპატიმრეს, თუმცა მაკკეინს მათი გამოშვების მოთხოვნა თავშიც არ მოსვლია.** FoxNews–მა მოსკოვში აქციების დრამატიზირებისთვის და რევოლუციური სიტუაციის შექმნისთვის ათენის მასობრივი არეულობის კადრები მოსკოვში გადაღებულად გაასაღა. რაკი მოსკოვში პალმები არ იზრდება, ხოლო „მოლოტოვის კოქტეილით“ სავსე ბოთლები არავის უსროლია და არც შენობები გადაუწვავს, ფალსიფიკაციის დამტკიცება არ გაძნელებულა. ტელეკომპანიის ვიცეპრეზიდენტმა ბოდიში მოიხადა, და საიტიდან ეს ვიდეო ამოიღო, მაგრამ ორი დღის განმავლობაში მაყურებელს ეგონა, რომ მოსკოვში ქუჩის ბრძოლები მიმდინარეობდა.

ვინც 10 დეკემბერს „პირველი კავკასიურის“ გადაცემებს უყურა, უთუოდ დეჟავიუს შეგრძნება დაეუფლებოდა; ეს 2003 წლის „რუსთავი 2“ იყო, ოღონდ რუსულ ენაზე ამეტყველებული. რიტორიკაც ზუსტად 8 წლის წინანდელი იყო და ხზოს ალტყინებაც. 30 ათასი მომიტინგისათვის ნებართვა აქციის ჩატარებაზე რევოლუციის მოედნის ნაცვლად „ბალოტნი“ (ანუ ჭაობის) მოედანზე გაიცა. ცხადია, ამ არცთუ მიმზიდველ სახელზე „გასამარჯვებელი რუსი ხალხის“ ქართული ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ტელევიზიას ხმაც არ ამოუღია. მთავარი აქცენტი იმაზე კეთდებოდა, რომ მიტინგზე ძალიან ბევრი ხალხი მივიდა. დასახელდა სხვადასხვა ციფრი — 30 ათასიდან 80 ათასამდე, მაგრამ შეფასება ყველა შემთხვევაში „ძალიან ბევრის“ შესაფერისი იყო.

ესეც ერთგვარი „რევოლუციური“ არითმეტიკაა, როცა 15-მილიონიან მეგაპოლისში გამოსული თუნდაც 80 ათასი (ტვიტერში გავრცელებული მონაცემი) უფრო ბევრია, ვიდრე ზუსტად ათჯერ ნაკლები მოსახლეობის თბილისში გამოსული 250 ათასი მომიტინგე. თუმცა, არც ამ შემთხვევაში ხდება რაიმე ახალი. 2008 წელს აშშ–ის იმდროინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ჯერ კიდევ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე მიულოცა გამარჯვება მიხეილ სააკაშვილს. ახლა, რუსეთის სათათბიროს 4 დეკემბრის არჩევნების შემდეგ აშშ–ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა საქვეყნოდ ბრძანა, რომ ეს არჩევნები არც სამართლიანი იყო და არც თავისუფალი.

ისმის კითხვა: სამართლიანი და თავისუფალი იყო 2003 წლის შემდეგ ჩატარებული რომელიმე არჩევნები საქართველოში? ცხადია არა, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისთვის მხოლოდ ის არჩევნებია „სამართლიანი და თავისუფალი“ რომელსაც სხვა ქვეყნის სათავეში ამერიკისთვის სასურველი რეჟიმი მოჰყავს ან ტოვებს. პუტინი, რომლის თვალებში ჯორჯ ბუშმა „მონათესავე სული“ დაინახა, ჰილარი კლინტონისთვის კგბ–ს ყოფილი თანამშრომელია, რომელსაც არ შეიძლება სული ჰქონდეს. არ შეიძლება იმიტომ, რომ პუტინმა ელცინის მეშვეობით ამერიკული ინტერესების წინაშე დაჩოქილი რუსეთი წამოაყენა და დასავლეთს აგრძნობინა, რომ მისი გეოპოლიტიკური ინტერესების მონურად გამტარებელი აღარ იქნება.

არ არის სადავო, რომ მოსახლეობა მეტ–ნაკლებად, ყველა ხელისუფალით არის ხოლმე უკმაყოფილო, მაგრამ **შეერთებული შტატები, რომელსაც წესად ექცა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ღიად ჩარევა, ამ შემთხვევაშიც იმ გზას მიჰყვება, რომლითაც ე.წ. ფერადი რევოლუციების ექსპორტი საქართველოსა და უკრაინაში მოახერხა.** თუმცა არის განსხვავებაც. რა შედეგები უნდა მოჰყვეს რევოლუციას რუსეთში? მეორე ადგილზე კომუნისტური პარტიაა გასული, მას მართლაც აქვს მხარდაჭერა. მესამე-მეოთხე ადგილებზე — ჟირინოვსკის „ლიბერალ-დემოკრატები“ და მირონოვის „სამართლიანი რუსეთი“. ის ძალები, რომელთა ხელისუფლებაში მოყვანა ამერიკელებს ასე სწადიათ, ჩვენი რესპუბლიკელებისა არ იყოს, ხალხში უკიდურესად არაპოპულარულნი არიან. „იაბლოკო“ და „მემარჯვენე ძალთა კავშირი“, როგორი სამართლიანი არჩევნებიც უნდა ჩატარდეს, ერთად 3%–საც ვერ მიიღებენ.

**მაშ, რისთვისაა ეს ყველაფერი მოწოდებული? სინამდვილეში ეს ლენტები და აქციები სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი დათვალიერება. ეს არის ტესტი, თუ რამდენი ადამიანის გამოყვანა შეიძლება ხელისუფლების წინააღმდეგ. თავად ეს ტესტი სათათბიროს არჩევნების კი არა, არამედ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადებაა, რომელიც 2012 წლის მარტში უნდა ჩატარდეს. ამერიკული ლოგიკით, პუტინის დაბრუნება ხელისუფლებაში არ შეიძლება, სააკაშვილის პრემიერ-მინისტრის მანტიით დატოვება კი – სრულიად ბუნებრივი. და ამ შემთხვევაშიც არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორ აძლევს ხმას ამომრჩეველი. მის ნაცვლად არჩევანს მსოფლიოს ჰეგემონი – ამერიკის შეერთებული შტატები აკეთებს.**

საკმარისია, რუსეთის ხელისუფლებამ ხმა ამოიღოს მის საშინაო საქმეებში ჩარევაზე, რომ მას ნაციონალისტობაში სდებენ ბრალს. უცნაურია, მაგრამ საკუთარი „სტრატეგიული პარტნიორის“ — საქართველოს ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარებისთვის ასე მძაფრად არც პუტინი გაუკრიტიკებია კლინტონს და არც მედვედევი. ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას ისე, ცალყბად დაუჭირა მხარი. ბუშზე აღარაფერი ითქმის — სარკოზისაც ურჩევდა 2008 წელს, ნუ ჩაერევი მაგ საქმეშიო!

პუტინის მომხრეებმა უკვე განაცხადეს, რომ მზად არიან, ხელისუფლების მხარდასაჭერად მილიონი ადამიანი გამოიყვანონ ქუჩაში. ექსპერტები უკვე ალაპარაკდნენ სისხლიან სცენარზეც. ამერიკელები ამ შემთხვევაშიც მოგებული იქნებიან: საშინელი „რუსული ბუნტის“ შემთხვევაში ქვეყანაში ქაოსი დაისადგურებს და მის დაშლას დიდი ძალისხმევა სულაც არ დასჭირდება. ჩვენი სახელისუფლო ექსპერტები უფრო იმაზე აკეთებენ აქცენტს, რომ პუტინი პირველ (მესამე) ვადას ბოლომდე ვერ მიიყვანს. სინამდვილეში ეს ყველაფერი ყავაზე მკითხაობაა. საქართველოს ხელისუფლებამაც და მისმა ამერიკელმა მეგობრებმაც ერთი მარტივი ჭეშმარიტება უნდა გააოცნობიერონ: რუსეთს კი არ უნდა უთხრიდნენ ძირს (ნათქვამია,სხვისთვის გათხრილ ორმოში ბევრი თვითონ ჩავარდნილა), არამედ იმ ხელისუფალთან უნდა ეცადონ ურთიერთობის მოგვარებას, რომელსაც რუსი ხალხი აირჩევს. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილმა სწორედ ეს თქვა და არა ის, რასაც მას „ნაცმოძრაობის“ სახეები აბრალებენ. მაინც ვინ არის „კრემლის პროექტი“, — ვინც რუსი ხალხის არჩევანს პატივს სცემს, თუ ვინც რუსეთის დანგრევას ელის და აცხადებს: „ჩვენ უნდა გავუძლოთ პუტინის პერიოდსო“?

**ნანა დევდარიანი**



**«მსოფლიო დემოკრატიული რევოლუციების» ქომაგი, სენატორი ჯონ მაკკეინი მოსკოვში არეულობებისას დაკავებულთა გათავისუფლებას მოითხოვს. აქცია «დაიკავე უოლსტრიტის» 700 მონაწილე დააპატიმრეს, თუმცა მაკკეინს მათი გამოშვების მოთხოვნა აზრადაც არ მოსვლია**

**ამერიკული ლოგიკით, პუტინის დაბრუნება ხელისუფლებაში არ შეიძლება, სააკაშვილის პრემიერ-მინისტრის მანტიით დატოვება კი – სრულიად ბუნებრივი. და ამ შემთხვევაშიც არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორ აძლევს ხმას ამომრჩეველი. მის ნაცვლად არჩევანს მსოფლიოს ჰეგემონი – ამერიკის შეერთებული შტატები აკეთებს**



მოკლედ

## რუსეთში რევოლუცია არ სურთ

**რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვალდიმერ პუტინი მიიჩნევს, რომ ქუჩის აქციებისა და დემონსტრაციების ორგანიზატორების დიდი ნაწილი თავიანთი ვიწრო ანგარებიანი მიზნებით მოქმედებენ, თუმცა მოქალაქეთა უდიდეს ნაწილს ქვეყანაში მოვლენების არც ყირგიზული და არც უკრაინული სცენარით განვითარება არ სურს.** „ჩვენ, ყველანი აქ ზრდასრული ადამიანები ვართ და ყველას გვესმის, რომ ორგანიზატორთა ნაწილი ცნობილი სცენარით მოქმედებს და მათ მხოლოდ ანგარებიანი ვიწროპოლიტიკური მიზნები ამოძრავებთ,“ — განაცხადა პუტინმა საერთო რუსული სახალხო ფრონტის საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან შეხვედრაზე.

## კლინტონის სიგნალი

**რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჰილარი კლინტონის განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთში საპარლამენტო არჩევნები არადემოკრატიულად ჩატარდა, რეალურ მასალებს არ ეყრდნობოდა და რომ მან ამ განცხადებით რუსეთის შიგნით მოქმედ გარკვეულ ძალებს სიგნალი მისცა.** „მე ამერიკელი კოლეგების პირველ რეაქციას დავაკვირდი. პირველი, რაც გააკეთა სახელმწიფო მდივანმა, შეაფასა არჩევნები და განაცხადა, რომ ის უსამართლო და არასინდისიერია, თუმცა მას არჩევნების შესახებ დამკვირვებლების მასალები არ ჰქონდა. ამით მან გარკვეულ ძალებს ქვეყნის შიგნით სიგნალი მისცა, ეს სიგნალი მათ კარგად გაიგონეს,“ — განაცხადა პუტინმა.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დეტალების დაზუსტებამდე, ალბათ, აჯობებს, ამ კვლევაზე საერთოდ არ ვისაუბროთ, არ დავსვათ პროვოკაციული კითხვა: სად აქვს სააკაშვილს 74%-იანი რეიტინგი — „ნაცმოძრაობის“ მთავარ ოფისში თუ ცენტრალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში? ან, როგორც მინიმუმი, არ ვუპასუხოთ მას.**



*(ფრაზა ფილმიდან „იღბლიანი ჯენტლმენები“)*

# რამდენი ჰალსტუხი დაიღეჭა კვირას ავლაბრის რეზიდენციაში?

**გასულ კვირას სახელისუფლო პროპაგანდა ცოფიან ძაღლს დაემსგავსა. შეიძლება ვინმე არ დამეთანხმოს და თქვას, რომ ის წინა კვირებშიც გამორჩეულად ცოფიანი იყო და არც ძაღლური თვისებების დეფიციტს უჩიოდა, თუმცა ეს ბოლო დღეები მაინც გამორჩეული გამოდგა.**

დროის მცირე მონაკვეთში საინფორმაციო სივრცეში ამდენი სიცრუისა და სიძულვილის ერთდროულ გადმოღვრას, ალბათ, ერთი მთავარი მიზეზი განაპირობებდა: რეჟიმმა სასიკვდილო საფრთხე იგრძნო. ამ საფრთხის ანარეკლს მისი წარმომადგენლები, სავარაუდოდ, ყველგან ხედავდნენ: სოციოლოგიურ მონაცემებში, რომლებიც გასულ კვირას გამოქვეყნდა; იმ ადამიანების განწყობაში, რომლებიც ფილარმონიაში „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე მივიდნენ; უცხოელი პარტნიორების კვლავინდებურად კორექტულ, თუმცა ამავე დროს ოდნავ, თითქმის შეუმჩნევლად შეცვლილ ტონალობაში ან სულაც, საკუთარი ხელქვეითების უცნაურ, უცაბედად დაფიქსირებულ გამოხედვებში, გამვლელების სახეებში, რომელთაც საკუთარი ლიმუზინების ფანჯრებიდან ხედავენ... **მოკლედ, ასეთ დროს ადამიანის ფსიქიკა გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდის და ნებისმიერ სიგნალს, ბულბულის სტვენისა და შაშვის გალობის ჩათვლით, მოახლოებული აღსასრულის უტყუარ ნიშნად აღიქვამს. სავარაუდოდ, სწორედ აქედან მოდის ის ფსიქოტური სიცოფე, რომელმაც სახელისუფლო პროპაგანდა (და ხელისუფლება) გასულ კვირას შეიპყრო.** ნამდვილად არ ვაპირებ იმ უამრავი სიბინძურის ციტირებას, რომელიც მათ ივანიშვილზე და მის თანამოაზრეებზე თქვეს, უბრალოდ, შემოვიფარგლოთ იმ ფაქტის კონსტატაციით, რომ სახელისუფლო წრეებში დამკვიდრებული შიში, როგორც ჩანს, რეალურია, ხოლო ფსიქოზი — მწვავე.

იყო კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსი; როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი ფილარმონიაში შეკრებილთა შორის „ცნობილ სახეებს“ ეძებდა, მე ყურადღება სხვა ფაქტს მივაქციე. „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე სხვებთან ერთად იმყოფებოდნენ ის (შესაძლოა, შედარებით ნაკლებად ცნობადი) ადამიანებიც, რომლებიც ადრე ნებისმიერ ოპოზიციურ წამოწყებას ეჭვის თვალით უყურებდნენ და მასში მონაწილეობისგან თავს იკავებდნენ. არა იმიტომ, რომ მაშინ სააკაშვილი მოსწონდათ (მათი უმრავლესობა თავიდანვე დასანახად ვერ იტანდა მას), უბრალოდ, ინფორმირებულობის ან განვითარებული ინტუიციის გამო მიიჩნევდნენ, რომ ის საპროტესტო მოძრაობა, რომელსაც ადგილი დღემდე ჰქონდა, მარცხისთვის განწირული იყო. მაშინაც კი, როდესაც ოპოზიციის გამარჯვებას, ერთი შეხედვით, ძალიან ცოტა აკლდა, ისინი პროცესებში არ ერთვებოდნენ. ის, რომ მათ ჩრდილიდან გამოსვლა და ივანიშვილის გვერდით დადგომა გადაწყვიტეს, პირადად ჩემთვის ძალზე სიმპტომატური იყო. თუ ამ ფრთხილმა, წინდახედულმა და, როგორც წესი, კარგად ინფორმირებულმა ადამიანებმა ჩათვალეს, რომ ამჯერად აქტიურად უნდა ამოქმედდნენ, ეს, ალბათ, არცთუ ურიგო ინდიკატორია იმისა, რომ (ანჯეი საპკოვსკის თქმის არ იყოს) „რაღაც სრულდება, რაღაც კი იწყება“. არანაირი განზოგადება და გლობალური დასკვნები, თუმცა ეს მომენტი საკმაოდ ნიშანდობლივი იყო და ეს, სავარაუდოდ, ხელისუფლებამაც იგრძნო.

ეს, საბოლოო ჯამში, მხოლოდ ერთი ადამიანის სუბიექტური დაკვირვებაა. ასე რომ, აჯობებს სოციოლოგიურ კვლევებზე გადავიდეთ, რომელიც, წესით, მოსახლეობის განწყობას ობიექტურად უნდა ასახავდეს. გასულ კვირას „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ და „IRI“-ს (ნაწილობრივ) კვლევების შედეგები გამოქვეყნდა. IRI-ს მონაცემებთან დაკავშირებით უამრავი უხერხული კითხვა გაჩნდა. **კომენტატორების უმრავლესობამ ეჭვი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მიხეილ სააკაშვილს 74%-იანი რეიტინგი აქვს, ხოლო „ყველაზე სანდო ოპოზიციური ლიდერის“ ნომინაციაში ბიძინა ივანიშვილს გიორგი თარგამაძემ აჯობა. ასევე შეინიშნებოდა შეუსაბამობა სხვადასხვა მედიასაშუალებების მიერ გავრცელებულ მონაცემებს შორის. ასე რომ, დეტალების დაზუსტებამდე, ალბათ, აჯობებს, ამ კვლევაზე საერთოდ არ ვისაუბროთ, არ დავსვათ პროვოკაციული კითხვა: სად აქვს სააკაშვილს 74%-იანი რეიტინგი — „ნაცმოძრაობის“ მთავარ ოფისში თუ ცენტრალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში? ან, როგორც მინიმუმი, არ ვუპასუხოთ მას.**

რაც შეეხება „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ მონაცემებს, კითხვაზე — ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები გაიმართოს, რომელ პოლიტიკურ ძალას დაუჭერდით მხარს პირველ რიგში? — რესპონდენტების 36%-მა უპასუხა: „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, ხოლო 32%-მა — „ბიძინა ივანიშვილის პარტიას“; თუმცა აქ ყურადღება ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ. თბილისში, სადაც ამომრჩევლების უდიდესი ნაწილია კონცენტრირებული, ივანიშვილი თითქმის 16%-იანი უპირატესობით ლიდერობს (39,6 პროცენტი „ნაციონალების“ 23,9%-ის წინააღმდეგ), ამასთანავე, ის 13%-იანი უპირატესობით ლიდერობს იმერეთში, სადაც სხვა რეგიონებთან შედარებით (ცხადია, თბილისის გამოკლებით) ყველაზე მეტი ამომრჩეველი ცხოვრობს. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებზე მაღალი აქტიურობა დაფიქსირდება (ან გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტების 77,7%-მა თუ განაცხადა, რომ არჩევნებში მონაწილეობას „აუცილებლად მიიღებს“, ხოლო 11,4%-მა — „ალბათ, მივიღებ“), ივანიშვილის გამარჯვება ქვეყნის მასშტაბით სავსებით რეალური გახდება. მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალებს“ ჩამორჩენის კომპენსირება ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და ნაწილობრივ შიდა ქართლის ხარჯზე შეუძლია, მათი მდგომარეობა ფრიად საგანგაშოდ გამოიყურება, თუნდაც იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მათ მოწინააღმდეგეს საარჩევნო კამპანია პრაქტიკულად არ დაუწყია. ივანიშვილი არ ჩასულა რეგიონებში, არ გაუშლია თავისი განცხადებები კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფების მოზიდვაზე ორიენტირებულ გზავნილებად, არ აუფრიალებია დროშები და მჭექარე ლოზუნგები, არ შეხვედრია ადგილობრივ ლიდერებს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში და ა.შ. მარტივად რომ ვთქვათ, ის ჯერ კიდევ სასტარტო პოზიციაზე იმყოფება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გამოკითხვის ჩატარების მომენტში კითხვარში მოხსენიებული „ბიძინა ივანიშვილის პარტია“, როგორც ასეთი, არ არსებობდა. **ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხვაში ასახული შედეგი ივანიშვილის მინიმუმია, რომელიც ნაციონალების „ნაძალადევი მაქსიმუმის“ ფონზე ძალზე დამაჯერებლად გამოიყურება.**

გავითვალისწინოთ ისიც, რომ სოციოლოგებთან საუბრისას, მოქალაქეების ნაწილი ფრთხილობს და ცდილობს ხელისუფლების საწინააღმდეგო არაფერი თქვას. ეს სიტუაცია გასულ კვირას უკრაინელმა ჟურნალისტმა ოლენა ტრეგუბმა „Kyiv Post-ში აღწერა: **„როდესაც ქართველებს ვესაუბრებოდი, განსაკუთრებით იმან გამაოგნა, რომ ყოველთვის, როდესაც ადამიანი ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად იყო განწყობილი, აუცილებლად მეკითხებოდა, დარწმუნებული ვარ თუ არა, რომ მისი სურათი ან სახელი სტატიაში არ გამოჩნდება. „რატომ გეშინიათ?,“ — ვეკითხებოდი გაოცებით და შემდეგ პასუხებს ვისმენდი: „ისინი სოციალურ დახმარებას შემიწყვეტენ“, „ჩემს კომპანიაში საგადასახადოს გამოგზავნიან“, „სახელმწიფო სამსახურში ჩემი ნათესავი მუშაობს და ჩემ გამო შეიძლება დაითხოვონ“...** ვერაფერს ვიზამთ, ეს რეალობაა; სოციოლოგებთან საუბრისას მოქალაქეები ყოველთვის გაცილებით შეზღუდულები არიან, ვიდრე, მაგალითად, ინტერნეტში, სადაც სხვადასხვა გამოკითხვაში ივანიშვილის რეიტინგი 65-75%-ის ფარგლებში მერყეობს.

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ყველაზე დიდ იმედებს მაჟორიტართა კორპუსზე ამყარებენ. ისინი მიიჩნევენ, რომ ოპოზიცია პარლამენტში მხოლოდ ათიოდე მაჟორიტარის გაყვანას თუ შეძლებს (თბილისი ნაწილობრივ პლუს რამდენიმე რაიონი); ეს მართლაც ერთ-ერთი ყველაზე რთული გამოწვევაა, რომელიც ივანიშვილის წინაშე დგას, თუმცა საუბარი მის სავარაუდო სტრატეგიებზე ძალიან შორს წაგვიყვანდა. ასე რომ, უბრალოდ, დავაფიქსიროთ, რომ ყველა წინასწარი მონაცემის შეჯამება (გამოკითხვები იქნება ეს, ექსპერტების თუ პოლიტიკოსების მოსაზრებები, სხვადასხვა დაკვირვებები და ა.შ.) დღეს დაახლოებით თანაბარ, საყაიმო შედეგს გვაძლევს. თბილისელებს ეს შეფასება შეიძლება ზედმეტად პესიმისტურად მოგვეჩვენოს, რადგან აქ სააკაშვილის მომხრეები აშკარა უმცირესობაში არიან, თუმცა ჩვენ ხშირად ვერ ვაცნობიერებთ, რომ სიტუაცია რეგიონებში განსხვავებულია. ამასწინათ ვიმოგზაურე (რეგიონს არ დავასახელებ, ეწყინებათ) და შთაბეჭდილება დამრჩა, რომ სადღაც სხვა ქვეყანაში, დათრგუნულ, დაშინებულ „მიშისტანში“ მოვხვდი. სააკაშვილის იდეური მხარდამჭერები რომ ყოფილიყვნენ, ფატალური ამაში არაფერი იქნებოდა (ბოლოს და ბოლოს, ყველა ადამიანს აქვს უფლება, მხარი ნებისმიერ პოლიტიკოსს დაუჭიროს, თუნდაც ის ჩამოყალიბებული მობუტუ იყოს), მაგრამ იმ ადამიანებს პოლიტიკაზე საუბრის და თუნდაც მომიჯნავე თემაზე საკუთარი აზრის დაფიქსირების ელემენტარულად ეშინოდათ.

**ივანიშვილის მთავარი მოწინააღმდეგე, ალბათ, არა იმდენად სააკაშვილია, რამდენადაც ეს უტყვი, დამთრგუნველი შიში; თუ მის დამარცხებას შეძლებს, არჩევნებში, სავარაუდოდ, დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწევს.**

„ქართული ოცნების“ პრეზენტაციამ, თუ სათვალავში რამდენიმე ხარვეზს არ ჩავაგდებთ, პრინციპში, კარგად ჩაიარა და, რაც საინფორმაციო თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, ის საზოგადოებაში დღემდე მთავარ განსახილველ თემად რჩება. **ჩვენ ბოლო წლებში მივეჩვიეთ იმას, რომ პოლიტიკოსები ავანსცენაზე ჭკუანაკლული პავიანებივით დახტიან და ისეთ ლოზუნგებს ისვრიან, რომ ნორმალურ ქვეყანაში იძულებითი მკურნალობა არ ასცდებოდათ. ივანიშვილმა, ამ მხრივ, ახალი სტილი — მშვიდი, აზრიანი საუბარი შემოგვთავაზა. ეს, ცხადია, მისასალმებელი ფაქტია, თუმცა ზოგიერთ ამომრჩეველს ამ ტალღაზე მყისიერი გადართვა შეიძლება გაუჭირდეს, რადგან ის პოლიტიკურ შოუს მიეჩვია, რომელშიც ცირკის ელემენტები ჭარბობს.**

მთავარი, რაც „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე დაფიქსირდა, იყო ორიენტაცია საზოგადოების გაერთიანებაზე, იმ ერთიან ფრონტზე, რომელზეც რეჟიმის ოპონენტები ამდენ ხანს ოცნებობდნენ, ოღონდაც ის ფართო პოლიტიკური ალიანსის სახით წარმოედგინათ (მისი შექმნის ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა). ივანიშვილის ინოვაცია ამ ფრონტის არა პოლიტიკურ, არამედ საზოგადოებრივ ფუნდამენტზე დაფუძნება გახლდათ. ეს სხვაობა შეიძლება ძნელი დასაფიქსირებელი იყოს, თუმცა მას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. თუ სრულიად საზოგადოებისა და ხელისუფლების დაპირისპირების მოდელი საქართველოს საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ სივრცეში ცენტრალურ ადგილს დაიმკვიდრებს, სააკაშვილის ხელისუფლება, უფრო სწორად კი მმართველთა არც თუ მრავალრიცხოვანი ჯგუფი, იზოლირებული, ალყაშემორტყმული აღმოჩნდება. ამ მიზნის მიღწევა არც ისე იოლია; ივანიშვილმა, ერთის მხრივ, უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი ფრონტის მუდმივი გაფართოება; მეორეს მხრივ კი, მისი დაშლის პრევენცია მოახდინოს. თუ ამ ამოცანას თავს წარმატებით გაართმევს, რაღაც მომენტში „პოზიციური ჩიხი“, რომელიც დღევანდელ „საყაიმო შედეგს“ განაპირობებს, დაიძლევა და მოხდება გარღვევა, რაც რეიტინგებში კრიტიკულად მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს.

**საინტერესო კია: რამდენი ჰალსტუხი დაიღეჭა 11 დეკემბერს ავლაბრის რეზიდენციაში? არა, ეს ისე, სხვათა შორის ვიკითხე, უბრალოდ, სპორტული ინტერესია.**

**თუ სრულიად საზოგადოებისა და ხელისუფლების დაპირისპირების მოდელი საქართველოს საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ სივრცეში ცენტრალურ ადგილს დაიმკვიდრებს, სააკაშვილის ხელისუფლება, უფრო სწორად კი მმართველთა არც თუ მრავალრიცხოვანი ჯგუფი, იზოლირებული, ალყაშემორტყმული აღმოჩნდება**

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲜᲘᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ. ᲔᲡ ᲜᲘᲣᲡᲘᲪ — ᲚᲐᲖᲘᲙᲐ — ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ. ᲡᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝ ᲗᲔᲛᲐ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲘᲒᲓᲝ. ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲕᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲗ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲖᲔ, ᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ, ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲔᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲚᲐᲖᲘᲙᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲘᲧᲕᲐᲜᲐ. ᲞᲘᲐᲠᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ, ᲡᲬᲝᲠᲘ ᲩᲐᲜᲐᲤᲘᲥᲠᲘᲐ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განათლებულმა მკითხველმა იცის, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ჩვენი კანონმდებლობით მთავრობის მრჩევლად არის აღზევებული. მაშასადამე, არც განსახლების საკითხების განხილვისგან უნდა იყოს გარიყული. და კიდევ ერთხელ — მაშასადამე, ახალი ქალაქის — ლაზიკის აგება-აშენებაზე აკადემიასთანაც უნდა გაემართა კონსულტაციები ხალხის ბედნიერ მომავალზე გადაგებულ აღმასრულებელ ხელისუფლებას.**
**— მოვიდნენ თქვენთან რჩევა-დარიგების მისაღებად? — ვეკითხები ცნობილ მეცნიერს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს — ᲚᲐᲓᲝ ᲞᲐᲞᲐᲕᲐᲡ.**

# ლადო პაპავა: ᲜᲘᲣ ᲕᲐᲡᲘᲣᲙᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘ ᲕᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲗ





## ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲝᲜᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲡᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ

— იმის გამო, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობაში არ ვარ და მხოლოდ რიგით წევრად ვითვლები, არ ვფლობ ინფორმაციას, მიმართა თუ არა ვინმემ აკადემიის ხელმძღვანელობას ამის თაობაზე. რომ მიემართათ, აკადემიაში, ალბათ, შესაბამისი განხილვაც მოეწყობოდა. საქართველოდან ერთი კვირით გასული ვიყავი. შეიძლება ამ დროს განიხილეს? არ ვიცი. წესით, უნდა ეკითხათ, რადგან მას ეს კანონით ევალება.

ისიც უნდა გითხრათ, რომ საქართველოს პრეზიდენტს აქვს ეკონომიკური საბჭო, რომლის წევრი მეც ვარ. სამწუხაროდ, ეს საბჭო მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა — 2005 წლის მარტში. კარგი იქნებოდა, რომ ასეთი საკითხები პრეზიდენტის ეკონომიკურ საბჭოზეც განიხილებოდეს.

**— რომ ეკითხათ ამ ქალაქის აშენების ეკონომიკური დასაბუთების თაობაზე, რას უპასუხებდით?**

— უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური დასაბუთება უნდა წარმოადგინოს იმან, ვინც წამოაყენა ეს იდეა, მისი ვალდებულებაა. სამწუხაროდ, არანაირი დასაბუთება მთავრობის მხრიდან არ მოგვისმენია. ისიც არ ვიცით, რისთვისაა საჭირო ეს ქალაქი, რა დაჯდება და საიდან დაიფარება ეს ხარჯები.

საქართველოს ეკონომიკა, თქვენს მკითხველებს მოეხსენება, კრიზისშია, სამწუხაროდ. ხალხი ამას ვერ გრძნობს იმ დოზით, რომელიც რეალურად არის და რაც განპირობებულია იმ სერიოზული დახმარებით, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველომ მიიღო 4,5 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით. როგორც ფინანსთა მინისტრმა განაცხადა ამ ერთი თვის თუ თვე-ნახევრის წინ, ამ თანხის დაახლოებით 50 პროცენტი ჯერ კიდევ არ არის დახარჯული და ხაზინის ანგარიშზეა. აქედან გამომდინარე, ქვეყანას, რომელიც დონორების დახმარებით არსებობს, რესურსი ახალი ქალაქის ასაშენებლად ნამდვილად არ გააჩნია. ეს ფაქტია.

ნაკლებ სავარაუდოდ მეჩვენება განცხადება, რომ უცხოელებმა შეიძლება ჩადონ ფული ლაზიკის ასაშენებლად: გლობალური კრიზისი ჯერ კიდევ დასრულებული არ არის, ევროზონა სერიოზული საფრთხის წინაშე დგას და იქ კრიზისის გამწვავებამ შეიძლება დიდი ზარალი მიაყენოს მთელი მსოფლიოს ეკონომიკას. ასეთ ვითარებაში, ვეჭვობ, ვინმემ ჩადოს ფული ამ პროექტში.

დასკვნა ასეთია: **ᲐᲠᲪ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ ᲡᲐᲐᲛᲘᲡᲝ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ ᲓᲐ, ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ ᲐᲠᲪ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲝᲘᲫᲔᲑᲜᲔᲑᲐ. ᲒᲐᲛᲘᲒᲔᲗ?**

**— გავიგე.**

— ასეთი რესურსი რომც არსებობდეს, არის **ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲡ ᲮᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ — ᲔᲡᲐᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲣᲠ ᲖᲝᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲘᲐᲮᲚᲝᲕᲔ. ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲐᲠᲢᲘᲙᲣᲚᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲗᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲟᲦᲔᲠᲐᲓᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲓᲐ, ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ ᲠᲝᲛᲪ ᲘᲧᲝᲡ, ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ, ᲐᲠᲐᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ ᲩᲐᲘᲓᲝᲡ ᲘᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲒᲐᲡ.**

**— ამ ქალაქის მშენებლობის ეკონომიკური დასაბუთება როგორ პარამეტრებს უნდა პასუხობდეს?**

— დასაბუთებისთვის საჭიროა: პირველი, ჩამოყალიბდეს მიზანი — რისთვისაა საჭირო; მეორე, ვისთვის უნდა აშენდეს, ვინ იცხოვრებს იქ? ვინ იქნება ის ნახევარი მილიონი — ჩვენი სოფლის მოსახლეობით შეივსება, ქალაქების მოსახლეობა გადანაწილდება თუ უცხოპლანეტელებს ჩამოასახლებენ?

შემდეგ: სამშენებლო პოლიგონი დაცულ ტერიტორიაზეა. ამიტომ ეკოლოგიურად უნდა იქნას გააზრებული, რა ზარალის მიყენება შეუძლია შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების იქ ჩატარებას, რაც ვერ განხორციელდება ჭაობის დაშრობის სპეციალური ღონისძიებების გარეშე.

თავის დროზე ასეულობით მილიონი მანეთია დახარჯული ერთ-ერთი ურთულესი პრობლემის — კოლხეთის ჭაობის დასაშრობად, რაც ბოლომდე ვერ განხორციელდა.

ესე იგი, აუცილებელია ეკოლოგიური ფაქტორის გათვალისწინება, მშენებლობის დასაწყებად მოსამზადებელი სამუშაოების შეფასება. უნდა შედგეს კონკრეტული გეგმა: რა პროფილის იქნება ეს ქალაქი, რომელი საწარმოები განთავსდება, როგორი ორიენტაცია ექნება მის განვითარებას. ნახევარმილიონიანი ქალაქი საკმაოდ რთული წარმონაქმნია და მას გარკვეული ფუნქცია უნდა ჰქონდეს.

**— გრანდიოზომანია ხომ არ სჭირთ იდეის ავტორებს?**

— არც უმაგისობაა. ერთხელ პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ მისი ოცნებაა 200-სართულიანი სახლის აშენება. შეგახსენებთ, როცა მან ქუთაისში მთავრობის სახლი გახსნა, ასეთი რამეც კი განაცხადა, რომ აქედან თვითმფრინავები იფრენენ პარიზში, ლონდონში, ვაშინგტონსა და ნიუ იორკშიო. გეგონება, თბილისიდან უკვე დაფრინავს და, თუ რამე მაინც დაფრინავს, მგზავრებისთვის აბსოლუტურად მოუხერხებელ დროს.

ასეთი განცხადებები შეიძლება შევადაროთ ილფისა და პეტროვის ნიუ ვასიუკის. ნიუ ვასიუკის რეჟიმში ვიმყოფებით.

**— უამქალაქოდ ვერ გაძლებს საქართველო?**

— (*იცინის*) არ არის ეს ქალაქი და ხომ ვძლებთ?

**— გაძლებაზე ვართ.**

— ქალაქის აშენების აუცილებლობა არ დგას დღის წესრიგში. რა ქალაქებიც გვაქვს, არის კი ისინი სათანადო დონეზე? არის ხალხი დასაქმებული? არის თუნდაც განვითარებული ინფრასტრუქტურა, ნორმალური გზები და ა.შ.? ქვეყანას ძალიან ბევრი პრობლემა აქვს. გულდასაწყვეტია, როცა ფოკუსირება ხდება ვირტუალურ საკითხებზე და ყურადღების მიღმა რჩება ის მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც სწრაფ გადაწყვეტას მოითხოვს.

**— ისე ჩანს, რომ ყველა მისეულ სიახლეს მიხეილ სააკაშვილი წარმოგვიდგენს როგორც ვიღაცის ჯინაზე განხორციელებულ ღონისძიებას. ვიღაცას ანგარიშს უსწორებს. ეს ლაზიკაც ამ რიგისა ხომ არ არის?**

— გავიხსენოთ მისი განცხადება, რომ მისი გუნდი მოსულია 50 წლით. თუ ეს ჩანაფიქრი შეუსრულდა, შეიძლება, ლაზიკა მართლაც ააშენოს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ კაცმა არ იცის — ვისთვის და რისთვის.

ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, უნდა თუ არა არსებულ სიტუაციაში დარჩენა.

**— ლაზიკა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ხომ არ „გაახმიანა“?**

— არც უამისობაა. სააკაშვილი ნიუსების შესანიშნავი გენერატორია. ეს ნიუსიც — ლაზიკა — არაფრიდან შექმნა. სალაპარაკო თემა შემოგვიგდო. დღეს ჩვენ არ ვლაპარაკობთ ბიძინა ივანიშვილზე, მის მომავალზე, იმაზე, რაც უნდა გაკეთდეს. ყველანი ლაზიკაზე გადაგვიყვანა. პიარის ტექნოლოგიის თვალსაზრისით, სწორი ჩანაფიქრია.

**— სამაგიეროდ საზოგადოებრივი აზრის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.**

— აბა, მითხარით, რას ჰქონია დადებითი რეაქცია, რაც მას აქამდე უთქვამს?

**— ვერ ვიხსენებ...**

— საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად საკმაოდ ობიექტური გამოკითხვა ჩაატარეს პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა და მისმა გუნდმა, გაირკვა, რომ საქართველოში არის რიგი რეგიონებისა, რომლებიც დიდი უმრავლესობით მხარს უჭერენ სააკაშვილის რეჟიმს.

ლაზიკას დაპირებაც სამეგრელოს რეგიონზეა გათვლილი.

**— ორიოდ დღის წინ სააკაშვილმა გვითხრა, რომ საქართველოში ქუთაისია მეორე ქალაქი, ახლა გვარწმუნებს, ლაზიკა იქნებაო(!). ეს რა, წარმატებულ პიარს ნიშნავს და ჩვენი ელექტორატი მანასესავით „ხან ისე და ხან ასეს“ იოლად შეეგუება? ვერ შენიშნავს ამ ალოგიკურობას?**

— შენიშნავს დაკვირვებული ადამიანი, ის, ვინც მედიაინფორმაციას სისტემატურად ეცნობა. **ᲜᲣ ᲒᲐᲒᲕᲘᲙᲕᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲡᲐᲭᲛᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ, ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲡ ᲕᲔᲠ ᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲡ. ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲠᲮᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ „ᲕᲠᲔᲛᲘᲐᲡ“ ᲙᲝᲞᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲡ.**

**— ცხოვრება საამურია!**

— ადამიანმა თვითონ კი იცის, რომ ცუდად ცხოვრობს, უჭირს, მაგრამ, როცა ეკრანიდან უყვებიან, სადღაც რაღაც აშენდა, სადღაც რაღაც კარგია, იწყებს ფიქრს, რომ იქ, სადღაც საქმე შესანიშნავადაა აწყობილი. მართალია, მე კი არ ვიცი, ასე თუა ნამდვილად, ფიქრობს იგი, მაგრამ ტელევიზიით გვითხრეს და ხვალ ჩემთვის ეგებ უკეთესობისკენ შეტრიალდეს ყველაფერიო. სიღნაღი ხომ აყვავდა, ბათუმი ხომ გაიფურჩქნა, ქუთაისი ხომ იფურჩქნება, აგერ ახალი ქალაქიც აშენდება, ეგებ მეც ქალაქელი გავხდე და ცხოვრებაც გამიუმჯობესდესო.

**— რაო, ბატონო ლადო, დაწყებით კლასებში აღარ ასწავლიან „ღარიბი გლეხი და ქილა ერბოს“?! ოცნებაში წასული კაცი რომ მოიქნევს სახრეს და მისი უზრუნველი მომავლის წყაროს — ქილა ერბოს ნამსხვრევებად რომ აქცევს? თუ გაიხსენებს ბავშვობაში ნასწავლს, სხვანაირად მოიქნევს იმ სახრეს, მაგრამ ობივატელის აზროვნება ჯერ კიდევ მყარადაა გამჯდარი მოსახლეობაში. ეს კი ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილი სერიოზულ ბრძოლაში შევიდა.**

— ბრძოლა იოლი რომ არ იქნება, უკვე ჩანს: მოქალაქეობა ჩამოართვეს, მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა აგრესიული ომი გამოუცხადა „ბანკ ქართუს“. დაწყებულია სერიოზული დაპირისპირება და გამარჯვება ადვილი არ იქნება.

**— მოერევა?**

— მე მინდა, რომ ქვეყანაში მოხდეს ცვლილებები. ამის გარეშე საქართველო ჩარჩება წუმპეში, უმომავლო ქვეყანად ვიქცევით. თუ სააკაშვილის რეჟიმი დარჩება, არავითარი ცვლილება არ მოხდება, დარჩება ყალბი პიარტექნოლოგიები. ხელისუფლების დაპირებები ისე წაილეკება, როგორც ის ხიდი, ანაკლია-განმუხურში რომ ააგეს და ადიდებულმა ენგურმა რომ წაიღო.

ქვეყანაში ცვლილებათა მოლოდინია.

ესაუბრა
**ᲐᲠᲛᲐᲖ ᲡᲐᲜᲔᲑᲚᲘᲫᲔ**

> **«ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ, ᲐᲠᲐᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ ᲩᲐᲘᲓᲝᲡ ᲘᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲒᲐᲡ»**

ვაი ჭკუისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გიგი უგულავას სურვილი — მონოპოლისტებს არ ჩაუვარდეს ხელში ეს „ბიზნესი“, რეალურად ისეთივე ბლეფია, როგორც მერიის მიერ გამოცხადებული ყველა აუქციონი და ტენდერი — საბოლოოდ, ყველას სახელისუფლო კლანის კომპანიები იგებენ.**

# წინ — ევროპისკენ თუ უკან — რომისკენ?



## უგულავას დადგმულ ხუთასივე ბიოტუალეტს კეზერაშვილი დაეუფლება და ახლა ხალხის ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარჯზეც გამდიდრდება

**ხელისუფლება ახალ-ახალ ინიციატივებს იგონებს, რათა ხალხს ჯიბიდან ფული ამოაცალოს და საკუთარი ამბიციები დაიკმაყოფილოს. ძნელია, სრულად ჩამოთვლა იმ აბსურდული გადასახადებისა, რომლებიც ამ ბოლო დროს შემოიღეს „ნაციონალებმა“. მარტო ელექტროენერგიაზე მიბმული ნაგვის ტარიფი რად ღირს! კაცმა რომ თქვას, რატომ არ არის ეს გადაწყვეტილება გინესის რეკორდების წიგნში შეტანილი, როგორც ყველაზე უაზრო და აბსურდული? თანაც, ამ წიგნში გიგი უგულავაც მოხვდებოდა და, რაც მეტი ქართველი გვეყოლება რეკორდების ამ საყოველთაოდ ცნობილ წიგნში, მით უკეთესი ჩვენთვის.**

საქმეს ისეთი პირი უჩანს, გიგი უგულავას გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრა მაინც არ ასცდება. ისე, წიგნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ხალხის რისხვას მართლა ვერ გადაურჩება, რადგან, ვფიქრობ, საქმე უფრო სერიოზულადაა — გიგი უგულავა ისეთი სისულელის გაკეთებას აპირებს, რომ ხალხი შეიძლება სიცილით დაიხოცოს. ეს კი ის სიცილია, რომელიც ხალხის ნებისმიერ პროტესტსა და აღშფოთებაზე უარესია.

თბილისის მერია, არც მეტი, არც ნაკლები, ახალი წლიდან თბილისში 500 ბიოტუალეტის დადგმას აპირებს. გიგი უგულავას როგორც სჩვევია, სოციალურ და სამომსახურეო პროექტებზე საბიუჯეტო ფულს „ყაირათიანად“ ხარჯავს, ამიტომაც მერიის აპარატს არანაირი ფინანსური კრიზისი დღემდე არ შეხებია და უგულავას აპარატის ხარჯები კი ქვეყნის მოსახლეობის გაღატაკების პირდაპირპროპორციულად იზრდება.

**მერია მალე ტენდერს გამოაცხადებს 500 ბიოტუალეტის დადგმაზე. გაიყიდება 500 ადგილი-წერტილი თბილისის მასშტაბით, თითოეული ტუალეტი 4 კვ.მეტრ ფართობზე განთავსდება. თბილისში ეს 500 წერტილი 3 კატეგორიად დაიყოფა: 100 წერტილი I კატეგორიისა იქნება, 200-200 წერტილი კი — II და III კატეგორიისა.**

თბილისის ყველაზე ხალხმრავალ ადგილებში გათვალისწინებულია I კატეგორიის წერტილები და ფასიც შესაბამისი იქნება: **I კატეგორია — 50 თეთრი; II კატეგორია — 30 თეთრი; III კატეგორია — 20 თეთრი.**

ცხადია, გიგი უგულავა ამ „პროექტის“ განსახორციელებლად ბიუჯეტიდან ერთ თეთრს არ გადაიხდის. პირიქით, იქით აპირებს თანხის მიზიდვას. აკი მოგახსენეთ, რომ ტენდერს ჩაატარებს ბიოტუალეტების დასადგმელ ადგილებზე. **განზრახულია, რომ თითო კატეგორია დაიყოს 5 ლოტად და ერთ კომპანიას არ მიეცეს საშუალება, ერთდროულად, ფლობდეს, ვთქვათ, პირველი კატეგორიის 20 ტუალეტზე მეტს და მეორე კატეგორიის 40 ტუალეტზე მეტს. კანონპროექტი უკვე არსებობს მერიაში, თუმცა მერიის აპარატისა და მერიის შესაბამისი სამსახურები კანონის დახვეწაზე მუშაობენ.** კანონპროექტის თანახმად, რატომღაც, იმ კომპანიებს, რომლებიც I კატეგორიის ტუალეტების ტენდერში მიიღებენ მონაწილეობას, აეკრძალებათ II და III კატეგორიების წერტილების ათვისებაში მონაწილეობა და პირიქით. ამას, მერიის კულუარებიდან გამოსული ინფორმაციით, იმით ხსნიან, ვითომ უგულავა ვინმეს მონოპოლისტობას უშლის ხელს — არ უნდა, ყველა წერტილი ან უმრავლესობა ერთმა ან რამდენიმე კომპანიამ ჩაიგდოს ხელთო.

ჯერჯერობით ჩვენთვის ხელმიუწვდომელია ინფორმაცია, თუ რა საწყისი ფასი დაედება სამივე კატეგორიის წერტილებს ინტერნეტაუქციონზე, რამდენად შეფასდება 4 კვ.მ მიწის ფართობი, ვთქვათ, „თავისუფლების მოედანთან“ და ვაგზლის ბაზრობასთან, ან თემქის IV მიკრორაიონში. სავარაუდოდ, ახალი წლის შემდეგ, ესეც ცნობილი გახდება — აუქციონი იანვარში ჩატარდება.

**გიგი უგულავას სურვილი — მონოპოლისტებს არ ჩაუვარდეს ხელში ეს „ბიზნესი“, რეალურად ისეთივე ბლეფია, როგორც მერიის მიერ გამოცხადებული ყველა აუქციონი და ტენდერი — საბოლოოდ, ყველას სახელისუფლო კლანის კომპანიები იგებენ.**

ამჯერადაც ასე იქნება. ამ აუქციონში მონაწილეობას დავით კეზერაშვილის ერთ-ერთი კომპანია მიიღებს. ცხადია, ის არ გამოჩნდება, მაგრამ დაარეგისტრირებს, რამდენიც საჭირო იქნება, იმდენ შვილობილ იურიდიულ თუ კერძო პირს და კონკურსში ისინი მიიღებენ მონაწილეობას. **საბოლოო ჯამში, ხუთასივე ბიოტუალეტს კეზერაშვილი დაეუფლება და, თუმცა ისედაც არ აკლია, ახლა ხალხის ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარჯზეც გამდიდრდება.** კონკურსის პირობების თანახმად, აუქციონში გამარჯვებული ფირმა, ცხადია, წერტილის შესაბამის თანხასაც იხდის, რასაც შემდეგ ყოველთვიური ფიქსირებული გადასახადიც დაემატება კატეგორიის მიხედვით. **კეზერაშვილი კვლავ „მაშველი რგოლის“ ფუნქციას ასრულებს: თავადაც იხეირებს და მერიის ბიუჯეტსაც ჯერ ერთჯერადად, მერე მუდმივად შეუტანს სოლიდურ თანხას.** კონკურსში გამარჯვებული იურიდიული პირი 10 წლით დაეუფლება ბიოტუალეტების განკარგვის უფლებას და, ცხადია, კონკურსის პირობები და საწყისი ფასიც შესაბამისი იქნება.

თბილისის მუდამ ბედნიერი საკრებულო მერიის ამ იდიოტურ ინიციატივას, ცხადია, ხმოს აღტყინებით მიემხრობა და ისეთებიც გამოჩნდებიან, ამ იდეას „ნოვატორულსა“ და „ხალხისთვის სასიკეთოს“ რომ უწოდებენ (კოკი იონათამიშვილი, მაგალითად, ან საკრებულოს „მთლად უფროსი“ — ზაალ სამადაშვილი).

რომის იმპერატორმა ვესპასიანემ ხალხი გადასახადებისგან დაახრჩო და მისი ერთ-ერთი სულელური იდეა სწორედ ის იყო, რომ რომში ტუალეტით მომსახურების გადასახადი შემოიღო. უკმაყოფილო ხალხი აბობოქრდა და მათ ვესპასიანეს შვილიც მიემხრო — მამას ურჩია, გაეუქმებინა ეს გადასახადი და ხალხისთვის უფასოდ მოშარდვის ნება მიეცა. ვესპასიანე შვილის სიკერპემ გააბრაზა, ქისიდან გალანტი ამოიღო, შვილს ცხვირთან მიუტანა და უთხრა: აი, ნახე! კარგად უსუნე ამ გალანტს, სუნი აქვს?! არა აქვს ხომ? დიახ, ფულს სუნი არ აქვს და ეს დაიმახსოვრე!

**მეეჭვება, უგულავას ან კეზერაშვილს ხალხისადმი სოლიდარობის ისეთივე გრძნობა გაუჩნდეთ, როგორც ვესპასიანეს ვაჟს, მაგრამ, თუ რომელიმე მაინც გაკერპდა, უეჭველია, „კეისარი“ მათ ფულს აუფრიალებს ცხვირწინ და მკაცრად ეტყვის: ფულს სუნი არ აქვს, შვილო, და ეს დაიმახსოვრე!**

კაი, ჯანდაბას, ვესპასიანე იმპერატორი იყო, რომის სენატი კი იმ დროს დაშლილი და ამიტომ ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებებს. ჩვენში კი ამბობენ, თბილისს პირდაპირი წესით, დემოკრატიულად არჩეული მერი ჰყავსო, მერს ასევე დემოკრატიულად არჩეული საკრებულო აკონტროლებსო და, რა ვიცი, ათას რაღაცას ამბობენ... სინამდვილეში კი, ავტოკრატიულ მმართველობაში ვცხოვრობთ და მავანთა აბსურდულ ახირებებს ეწირება ხალხის ნერვები და ისედაც მწირი ფინანსებიო.

**წინ, ევროპისკენ კი არა — უკან, რომისკენ! — აი, „ნაციონალური მოძრაობის“ რეალური საქმე და დევიზი.**

ხალხს კი ვურჩევ: ზოგმა ხურდა ფული მოიმარაგეთ, ან პამპერსი ამოიცვით, ან კათეტერი ჩაიდგით ერთ ადგილას, სინთეტიკური პარკებით იარეთ და, შინ რომ მიხვალთ, გადაღვარეთ. დილით ახალი წამოიყოლეთ. აბა, მეტი რა გირჩიოთ ამ ხელისუფლების ხელში?!

**ლევან ჯავახიშვილი**

---

**ზურაბ კვარაცხელია:**

# მიხეილ სააკაშვილის განცხადების ქვეტექსტი ისიც იყო, რომ ამიერიდან სოხუმზე აღარ უნდა ვიფიქროთ

ლაზიკაში შესასვლელი კარი



**საქართველოს პრეზიდენტის მიერ ზუგდიდში, დადიანების სასახლესთან გაკეთებული განცხადება ყულევსა და ანაკლიას შორის 500-ათასიანი ქალაქ ლაზიკის გაშენების შესახებ მოსახლეობის უმრავლესობამ პრეზიდენტის ფანტაზიის ნაყოფად და პიარაქციად აღიქვა, თუმცა ზურაბ კვარაცხელია ამ განცხადებაში მზაკვრულ მიზნებსაც ხედავს. ამიტომაც, როგორც სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, თავს უფლება მისცა, მიემართა სამეგრელოს მოსახლეობისთვის.**

„ღმერთო ჩემო, მიხეილ სააკაშვილი ნებისმიერ ავანტურაზეა წამსვლელი, ოღონდ ხელისუფლება შეინარჩუნოს. რომელი მონარქი ან რომელი დადიანი ან ბაგრატიონი ეს მყავს, ერთპიროვნულად რომ იღებს ასეთი ტიპის გადაწყვეტილებას?! დარწმუნებული ვარ, ჯეროვანი განსჯისა და აწონ-დაწონის გარეშე გადაწყვეტილებას გვირგვინოსნებიც კი არ იღებდნენ. თუ დააკვირდით, სააკაშვილის ამ ავანტურისტული განცხადების ქვეტექსტი ისიც იყო, რომ ამიერიდან სოხუმზე აღარ უნდა ვიფიქროთ. ხალხის დასაქმება თუ უნდა, სოფლის მეურნეობის აღორძინებასა და სამრეწველო ინფრასტრუქტურის აღდგენაზე უნდა იფიქროს. ერთ რამეზე მსურს კიდევ საზოგადოების ყურადღება გამახვილება: **რატომ მაინც და მაინც ლაზიკა? რატომ მიდის სამთავრობო არხებზე ხაზგასმა იმისა, რომ ისტორიული ლაზიკის ტერიტორია ჭოროხის შესართავამდე გრძელდებოდა? ხომ არ არის ამაში მზაკვრული ჩანაფიქრი — ამჟამინდელი თურქეთის შემადგენლობაში არსებული ისტორიული ლაზეთის (ლაზონის) სამუდამო დავიწყებისა?**

ჩემს მშობლიურ კუთხეს, ჩემს თანამემამულეებს, ჩემს მრავალგზის მოტყუებულ მეგრელებს მინდა მივმართო: ხალხნო! გატყუებთ ეს კაცი, სატანასავით მაცდური და საშიშია. ამ კაცს ჩვენი გადაშენება სწადია. იფხიზლე, ჩემო კოლხო და ჩემო იბერო, იფიქრე იმაზე, რომ არსებობს შენთვის უფრო დიდი ფასეულობები, ვიდრე ეს მიშას პიარაქციებია,“ — აღნიშნა ზურაბ კვარაცხელიამ.

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი

ბოლო ექვსი წელია, ჭიაბერაშვილი უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებს წყვეტს, ისეთებს, როგორც, მაგალითად, შეუშვას თუ არა რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, ხოლო თბილისში ახლაც ხშირად იხსენებენ ფალოსოფოს (აბა, ასეთ ფილოსოფოსს არავინ იცნობს) ჭიამერს, რომლის საზოგადოებრივი დებიუტი „ქართვლის დედის“ მიმართ ფობიების გამჟღავნებით დაიწყო.

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ელჩი, მერი, ფილოსოფოსი

**ის არასოდეს არავის აურჩევია, ყოველთვის დანიშნული იყო: „თავისუფლების ინსტიტუტში“, „სამართლიან არჩევნებში“, თბილისის მერად; შემდეგ ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი იყო, ახლა კი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია ერთბაშად შვეიცარიის კონფედერაციასა და ლიხტენშტეინში, მასვე აბარია ჟენევაში გაეროს განყოფილებებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა.**



მისი „ჩაჩოჩება“ პირველი პრეზიდენტის ვაჟმა — კოკო გამსახურდიამაც კი ვერ შეძლო. ხელისუფლებასთან ფლირტში გართულმა კოკომ ის-ის იყო, თავი ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირსა და მეტეოროლოგიის მსოფლიო ორგანიზაციაში მუდმივ წარმომადგენლად იგულა, რომ მისი აგრიმანი არ მიიღეს და ამცნეს: „ეს ორგანიზაციები გაეროს ეგიდით მოქმედებს და ერთი კონკრეტული ორგანიზაციის ნაწილია. მათი სათაო ოფისები შვეიცარიაშია განთავსებული და მათ შვეიცარიაში აკრედიტებული ელჩები ფარავენ“.

ასეთი კი, ელჩი, მერი, ფილოსოფოსი ზურაბ ჭიაბერაშვილია, რომლის დამსახურება 2003 წლის რევოლუციის „გაპრავებაში“ იმდენად დიდია, რომ მის ამაგს სააკაშვილის ხელისუფლება კიდევ დიდხანს ვერ გადაიხდის. სწორედ მის მიერ განხორციელებული „ხმების პარალელური დათვლის“ შედეგებით ამტკიცებდნენ „ნაციონალები“, რომ პირველ ადგილზე გავიდნენ. 2 ნოემბრის არჩევნების დასრულებისთანავე მან გამოაქვეყნა ეს შედეგები, ოღონდ არავინ იცის, რა მეთოდოლოგიით ჩატარდა კვლევა. მთავარი იყო რაიმე ქაღალდის ხელში დაჭერა და ყვირილი, რომ ხალხს არჩევანი წაართვეს. ამ ამოცანას კი ჭიაბერაშვილმა თავი სანაქებოდ გაართვა. მართალია, ევროპის საბჭო ისევე გამოთქვამდა შეშფოთებას ამ არჩევნებით, როგორც მანამდე, მაგრამ ამას რევოლუცია არ მოჰყოლია.

სააკაშვილმაც დაუფასა გარჯა და ჭიაბერაშვილი რევოლუციის შემდეგ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ გაამწესა, თუმცა ჭიაბერაშვილმა ეს არ იკმარა. „რევოლუციური ღვაწლისთვის“ ვერაფერი საჩუქარი იყო, ცესკოდან, დიდი-დიდი, ხმები მოიპარო და ისიც — ოთხ წელიწადში ერთხელ. მანაც 2004 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო ისტორიული არჩევნები ჩაატარა და გასამრჯელოც მოითხოვა. და აი, 2004 წელს იგი დედაქალაქის მერად დაინიშნა.

**მართალია, იგი იმთავითვე არ მიიღო თბილისმა, რასაც მის პროვინციელობას აბრალებდნენ, მაგრამ არც მან მიიღო თბილისი და თბილისელები და რევოლუციური ეიფორიით ფრთაშესხმულმა ტელეკამერების წინ საკუთარ თანამოქალაქეებს აგინა კიდეც, მაგრამ ეს დიპლომატიური უნარ-ჩვევების გამოხატულებად ჩაითვალა და მომავალი კარიერისთვის მხოლოდ ხელშემწყობი აღმოჩნდა.**

## იგი იმთავითვე არ მიიღო თბილისმა, რასაც მის პროვინციელობას აბრალებდნენ, მაგრამ არც მან მიიღო თბილისი და თბილისელები და რევოლუციური ეიფორიით ფრთაშესხმულმა ტელეკამერების წინ საკუთარ თანამოქალაქეებს აგინა კიდეც

უცნობია, აგინებს თუ არა ჭიაბერაშვილი შვეიცარიელებს, ლიხტენშტეინელებსა თუ გაეროს სხვადასხვა ორგანიზაციის თანამშრომლებს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, რომ არ შია და არ წყურია, ეს დანამდვილებით არის ცნობილი. კაცმა რომ თქვას, არც თბილისში შიოდა და წყუროდა, იქნებ — პირიქით!

მერის კაბინეტში შესვლისთანავე მან რიხიანად განაცხადა: **„პირველი, რასაც გავაკეთებთ, იქნება კორუფციასთან ბრძოლა მერიის სტრუქტურებში. ყველა სამსახურის უფროსსა და მათ მოადგილეებს მოუწევთ თანამდებობებიდან წასვლა, თუმცა პატიოსან კადრებს შევინარჩუნებთ“.** იმ დროს იგი 31 წლის იყო, მხარს კი კიდევ უფრო ნორჩი პრემიერი ბიძინა ბრეგაძე უმშვენებდა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც რევოლუციურ დროებას შეეფერება, სატელევიზიო ეკრანზევე დაიწყო. საქალაქო სამსახურების ის ხელმძღვანელები, რომლებიც თანამდებობებიდან გათავისუფლდნენ, სწორედ პრემიერის კადრები იყვნენ. თუმცა ყველაზე დასამახსოვრებელი სატელევიზიო რეპორტაჟი იმას ეხებოდა, თუ როგორ აჩუქა ერთ-ერთმა გამგებელმა ჭიაბერაშვილს საათი. ნაპერწკლებს ყრიდა ქალაქის მერი: **„არის თუ არა შესაძლებელი, რომ გამგებელმა მერს მიუტანოს, მინიმუმ, 1500-დოლარიანი საათი. მე ვკითხულობ: რატომ მოხდა რევოლუცია ამ ქვეყანაში? და რატომ დამნიშნა მე პრეზიდენტმა აქ? რომ 1500-დოლარიანი საჩუქრები მივიღო? ძალიან მარტივია აქ გადაწყვეტილება“!**

იმავე დღეებში მან ასევე მარტივად გადაწყვიტა ელენე თევდორაძის ვაჟის საკითხიც — საკუთარი ხელით დააწერინა განცხადება წასვლის შესახებ. მაშინ საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი აღშფოთებას ვერ მალავდა: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით ყოველთვის ებრძოდა ერთპიროვნულ დიქტატორებს და ფეოდალებს. ჩვენ არ დავუშვებთ ჩვენი ხელისუფლების პირობებში ვინმემ გაბედოს და მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილებები“.

საკრებულოში ჭიაბერაშვილის გადაყენების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო, მაგრამ სრულიად მოულოდნელად საქმეში სააკაშვილი ჩაერია და მერის მაგივრად პრემიერი გადადგა. „კორუფციასთან მებრძოლ“ ჭიაბერაშვილს არასამთავრობოებმა 30 მილიონი დოლარის ღირებულების ერთ პირთან მოლაპარაკებების გზით დადებული ხელშეკრულება ააფარეს. კანონით კი, 800 ათასის ზემოთ თანხის განკარგვისთვის ტენდერი უნდა გამოცხადებულიყო. თბილისელები მოგვიანებით გაიგებენ, ვისი ინტერესები იმალებოდა იმ კონკრეტული თურქული კომპანიის უკან, იმჟამად კი თბილისის მერი გზების დაგებითა და ახალი აეროპორტის პროექტით იწონებდა თავს.

იმხანად ბადრი პატარკაციშვილიც ცოცხალი იყო და „ახალ მემარჯვენეებსაც“ მეტი ლითონი უჟღერდათ ხმაში. დავით გამყრელიძემ ჭიაბერაშვილს სულ „სააკაშვილის მოჯამაგირე და ხელის ბიჭი“ უძახა, მაგრამ მას არ სწყენია. თბილისის ქუჩები ჭიამერის კარიკატურებით აჭრელდა, მან კი ფილოსოფოსის სიმშვიდით განაცხადა: **„ვთხოვე ამ ადამიანებს და ყველას ვთხოვ, ვინც შეიძლება ასეთი პლაკატები გააკრას ნებისმიერ თემაზე, რომ ახლადშეღებილ ფასადებს ნუ დავამახინჯებთ, ნუ დავამახინჯებთ ისეთი შენობების ფასადებს, სადაც ქვაა და ჩამორეცხვა ძნელია, თორემ სადაც ჩვეულებრივ იკვრება, გააკრან. ამაში მე პრობლემას ვერ ვხედავ“.**

გამყრელიძის განცხადებით, **„პრეზიდენტის ახირების გამო 2004 წელს ქალაქის ბიუჯეტიდან პარლამენტის წინ შადრევნების მოწყობა 2,7 მილიონი დოლარით დაფინანსდა, საახალწლო დღესასწაულებზე 750 ათასი ლარი დაიხარჯა, პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობისთვის კი 2,5 მილიონი ლარი გამოიყო“.** ეჰ, რა იცოდა გამყრელიძემ, სინამდვილეში რამდენი მილიონი წავიდა პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობაზე, თორემ იმ 2,5 მილიონს ხურდას დაარქმევდა! ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ თბილისის მერიის ბიუჯეტიდან თავდაცვის სამინისტრო 7 მილიონი ლარით, ხოლო პოლიცია 23 მილიონით დაფინანსდა, თუმცა ისინი ცენტრალური ბიუჯეტის კმაყოფაზე უნდა ყოფილიყვნენ.

## დავით გამყრელიძემ ჭიაბერაშვილს სულ «სააკაშვილის მოჯამაგირე და ხელის ბიჭი» უძახა, მაგრამ მას არ სწყენია

**ბევრს ეცადა ჭიაბერაშვილი, თბილისელების კეთილგანწყობა მოეპოვებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ერთხანს რუსთაველის გამზირს კეტავდა, გინდა თუ არა, ისეირნეთო, მაგრამ ხალხი არ სეირნობდა, ხოლო ჭიაბერაშვილი ბრაზობდა, — აბა, რა გინდათო! მერე, გაბრაზებულმა, თბილისის ცენტრში „ბერმუდის სამკუთხედი“ შემოიღო და ასე დასაჯა მოსახლეობა, რომელსაც რუსთაველზე სეირნობა ვერ მოანდომა.**

2005 წელს სააკაშვილმა ახალი აეროპორტის პროექტის პრეზენტაცია გამართა. პროექტის გაშლაში (ტელეკამერებს რომ კარგად გადაეღოთ) მას ჭიაბერაშვილი ციმციმ დაეხმარა. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ თბილისის ახალი აეროპორტი იმთავითვე „კაბრიოლეტად“ იყო დაპროექტებული და კარგახანს გვიკვირდა ქარისგან ახდილი სახურავი და კოკისპირული წვიმა მის დარბაზში.

თავად აეროპორტისკენ მიმავალი გზის პრეზენტაციისას კი მიხეილ სააკაშვილმა მაშინდელ გენერალურ პროკურორს მითითება მისცა: **„თუ ეს გზა უხარისხო გამოდგება, უფლებას გაძლევ, ზურაბ ჭიაბერაშვილი დაიჭიროო“!** მორცხვად მომღიმარ ჭიაბერაშვილზე უკეთ ვინ იცოდა, რომ სულ მალე ის ახალდაგებული გზა „ფაჩიკოს გარმონივით“ დაიბრიცებოდა და მანაც, როგორც ჩანს, სწორედ მაშინ გადაწყვიტა, რომ თბილისისთვის ხელი დაექნია და პრობლემებს გარიდებოდა. **ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ჭიაბერაშვილი ახლაც ელჩი იქნებოდა, ხოლო მის „დამჭერ“ ოქრუაშვილს თავად დაიჭერდნენ და ისიც ევროპაში აღმოჩნდებოდა, ოღონდ პოლიტიკური დევნილის სტატუსით გახიზნული!**

ბოლო ექვსი წელია, ჭიაბერაშვილი უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებს წყვეტს, ისეთებს, როგორც, მაგალითად, შეუშვას თუ არა რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, ხოლო თბილისში ახლაც ხშირად იხსენებენ **ფალოსოფოს** (აბა, ასეთ ფილოსოფოსს არავინ იცნობს) **ჭიამერს**, რომლის საზოგადოებრივი დებიუტი „ქართვლის დედის“ მიმართ ფობიების გამჟღავნებით დაიწყო. ფროიდს თუ დავუჯერებთ, დიაგნოზის დასმა იმის მიხედვითაც შეიძლება, თუ რისი გეშინია. იმავე ფროიდის თემაზე, ერთი ანეკდოტის არ იყოს, ზოგჯერ ხმალი მხოლოდ და მხოლოდ ხმალია და არა ის, რაც გეჩვენება. სწორედ „ქართვლის დედის“ მონუმენტისადმი ფალოსთან დაკავშირებული შიშების გამო შეარქვეს მას თბილისელებმა „ფალოსოფოსი“, თუმცა „ჭიამერში“ მისი ფალოსი, მისგანვე განსხვავებით, არავის უგულისხმია. არც მის გარეგნობას უსვამდნენ ხაზს. უბრალოდ, თბილისელებმა საკუთარი ქალაქი ჭიანაჭამობისთვის ვერ გაიმეტეს.

**თამარ დავითულიანი**

# «ფოთის საზღვაო ნავსადგურმა» 387 თანამშრომელი დაითხოვა

**კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურმა“ სამსახურიდან 387 თანამშრომელი დაითხოვა. ინფორმაცია ამის შესახებ livepress-ს ფოთის მერმა, ვახტანგ ლემონჯავამ დაუდასტურა. მერის განცხადებით, შემცირება ჯერ კიდევ 2011 წლის მაისში იყო დაგეგმილი, თუმცა ახალი მმართველი კომპანიის ხელმძღვანელობასთან გამართული კონსულტაციების შემდეგ, ვადა წლის ბოლომდე გახანგრძლივდა.**

„კომპანია, რომელიც კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ აქციების 80%-ის მესაკუთრე გახდა, 700-მდე თანამშრომლის შემცირებას ჯერ კიდევ მაისში ფიქრობდა. კონსულტაციები ჩვენთან და ეკონომიკის სამინისტროსთან მიმდინარეობდა და წლის ბოლომდე თავი შეიკავეს ამ პროცედურისგან. საბოლოოდ, მათ 387 თანამშრომელი გაათავისუფლეს, რომელთაგან 246 ადამიანი საპენსიო ასაკისაა. გათავისუფლებულ ადამიანებს, უკლებლივ ყველას, სტაჟის მიხედვით, მიუხედავად იმისა, მუშაობენ თუ არა სხვა სამსახურებში, 50-დან 90%-მდე მიეცემათ შრომის ანაზღაურება ერთი წლის განმავლობაში. ხოლო ერთ წლამდე სტაჟის მქონე ადამიანებს ერთდროულად მიეცემათ ოთხი თვის ანაზღაურება“, — აცხადებს ვახტანგ ლემონჯავა. ფოთის ნავსადგურის ადმინისტრაციის მენეჯერმა მარიკა ნადარაიამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარისაგან თავი შეიკავა.

ალსანიშნავია, რომ 2011 წლის აპრილში, კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის” აქციების 80% არაბული კომპანია „რაკ ინვესტმენტისგან“, კომპანია APM Terminals-მა შეისყიდა, რომელიც დანიური კომპანია „მაერსკის” შვილობილი კომპანიაა.

გეოპოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუკი დღემდე ჩატარებული ყველა კვლევის შედეგების მიხედვით საზოგადოება საქართველოს ნომერ პირველ პრობლემად კონფლიქტების მოუგვარებლობას ასახელებდა, დღეს უკვე სოციალურ პრობლემებს ასახელებს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ქართულმა საზოგადოებამ დაივიწყა სოხუმი და ცხინვალი, უბრალოდ, მშიერი კუჭი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ფიქრის საშუალებას არ იძლევა, რაც ძალიან სამწუხარო რეალობაა.**

# მშიერი კუჭი, ტერიტორიული მთლიანობა და პანთურქიზმი



**ხელისუფლების გაუაზრებელი და ანტიეროვნული პოლიტიკის გამო საქართველომ დაკარგა თავისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და კავკასიის ლიდერი სახელმწიფოს ფუნქცია. ყველა ჩვენი მეზობელი ცდილობს, საქართველოს წინააღმდეგ მცოცავი ანექსია აწარმოოს და შუა საუკუნეების მიწურულის ავადსახსენებელი ეპოქის ჭაობში ჩაითრიოს. დაძაბუნებული ერის კომპლექსის თუ სნობური ტაკიმასხარაობის გამო საზოგადოება ამ თემებზე მსჯელობას და კრიტიკული აზრის გამოთქმას გაურბის ამერიკელების მიერ არაჰუმანურ საზოგადოებად მოხსენიების თუ „ნაციონალისტის“ იარლიყის მიკერების „საფრთხის“ გამო. მაგრამ ვერც აცნობიერებენ, რომ ყველაზე დიდი საფრთხე წინ გველოდება მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან საქართველოს გაქრობის სახით.**

„ნაცელიტა“ ისევ „ნატო-ნატოს“ გაიძახის. თითქოს რასმუსენს მუხლი ჰქონდეს გადატყავებული საქართველოს ალიანსის რიგებში მიპატიჟების თხოვნის გამო. არადა, უკვე ნატოს „ასპირანტები“ გავხდით ბრიუსელის ბოლო მინისტერიალის გადაწყვეტილებით, მაგრამ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე რატომ უნდა გვიხაროდეს ალიანსში გაწევრიანება, ცოტა გაუგებარია ან საერთოდაც, რამდენად ვაკმაყოფილებთ ნატოში გაწევრიანებისთვის აუცილებელი დემოკრატიის სტანდარტის ნულოვან ნიშნულსაც კი, ესეც საკითხავია, თუმცა „ნაციონალური“ ხელისუფლების პოლიტიკის წყალობით საქართველო თანდათან სახელმწიფოს აჩრდილს რომ ემსგავსება, უკვე ყველასთვის ნათელია.

საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სოციალურმა ვითარებამ ქართული საზოგადოება ერთგვარად ინდიფერენტული გახადა ქვეყნისთვის ისეთი საკითხისადმი, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

**თუკი დღემდე ჩატარებული ყველა კვლევის შედეგების მიხედვით საზოგადოება საქართველოს ნომერ პირველ პრობლემად კონფლიქტების მოუგვარებლობას ასახელებდა, დღეს უკვე სოციალურ პრობლემებს ასახელებს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ქართულმა საზოგადოებამ დაივიწყა სოხუმი და ცხინვალი, უბრალოდ, მშიერი კუჭი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ფიქრის საშუალებას არ იძლევა, რაც ძალიან სამწუხარო რეალობაა.** მაგრამ ხელისუფლებისთვის, რომელიც ნატო-ზე ფიქრით იძინებს და იღვიძებს, ეს ვითარება ყველაზე ხელსაყრელია, ვინაიდან საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ვერ გახდება ტერიტორიული პრობლემებით და ამ ტერიტორიებზე განლაგებული რუსული სამხედრო ბაზებით, ამიტომ ხელისუფლება თავისი პროპაგანდისტული მანქანის მეშვეობით საზოგადოების მოატყუებს და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე საქართველოს ნატო-ში შეყვანას ეცდება, რის შემდეგაც რუსეთის შემაკავებელ ინსტრუმენტად საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ნატო-ს სამხედრო ბაზა მოგვევლინება, სადაც რეგიონში ლიდერობის მოსურნე და ამერიკის სატელიტი თურქეთის სამხედრო ძალები განლაგდებიან, რითაც თურქეთს სერიოზული სასტარტო პირობები შეექმნება პანთურქული იდეის რეალიზებისთვის.

**„ნაციონალური“ ხელისუფლებისთვის საქართველო აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ერთი დიდი ლოტია, რომელსაც ის იყიდის, ვინც მეტს გადაიხდის. ამჟერად აჭარაში თურქები იხდიან და ეს რეგიონიც ეკონომიკურად თანდათან თურქეთის კონტროლს ექვემდებარება.**

ყველა საღად მოაზროვნე ქართველი აცნობიერებს, რომ აჭარაში ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკით წახალისებული ისლამის პროპაგანდა და თურქეთის ეკონომიკური ექსპანსია საქართველოსთვის დამღუპველი შედეგის მომტანი რომ იქნება, ვინაიდან თურქეთს ეძლევა შესაძლებლობა, განახორციელოს თავისი იმპერიალისტური მიზნები კავკასიის რეგიონში, რის შემდეგაც საქართველო ისევ მუსლიმანურ ჭაობში ჩაიძირება.

პანთურქიზმი, ანუ იგივე პანთურანიზმი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობაა თურქეთში (ასევე აზერბაიჯანში). იგი მიზნად ისახავს ყველა თურქულენოვანი ხალხის კულტურულ და პოლიტიკურ კონსოლიდაციას ერთი საერთო სახელმწიფოს ან კონფედერაციის შიგნით. პანთურქიზმის ერთ-ერთმა იდეოლოგმა, ყირიმელმა თათარმა, ისმაილ გასპარლიმ მოკლედ ასე ჩამოაყალიბა პანთურქიზმის მოძრაობის დევიზი: **„ერთობა ენაში, აზროვნებასა და ქმედებაში“.** საგულისხმოა ის, რომ ასეთი გაერთიანებული თურქული სახელმწიფოს ტერიტორია პანთურქული კონცეფციის მიხედვით საკმაოდ ვრცელ არეალს მოიცავს: ერთის მხრივ, ბალკანეთიდან ყირიმამდე, ხოლო მეორეს მხრივ — აღმოსავლეთ ციმბირიდან დასავლეთ ჩინეთამდე, ანუ ამ თურქულმა სახელმწიფომ ე.წ. თურანის იმპერიამ უნდა მოიცვას მთელი თურქულენოვანი ხალხები მათი განსახლების სივრცეებითურთ. ბუნებრივია, ამ არეალში ექცევა კავკასიის ორივე განედი. რელიგიური ფაქტორის გათვალისწინებით, თურქეთს ჩრდილოეთ კავკასიის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა არ გაუჭირდება, თუმცა რუსეთთან პირდაპირი დაპირისპირების გამო აქტიურ ქმედებებს არ მიმართავს.

**პანთურქული იმპერიის შექმნის იდეის პრაქტიკაში რეალიზებას რიგ სხვა მიზეზებთან ერთად აბრკოლებს საქართველო, უფრო სწორად მართლმადიდებელი ქართველი ერის არსებობა კავკასიის უმთავრეს გეოპოლიტიკურ არეალში, რაც ხელს უშლის თურქეთს პირდაპირ შეისრუტოს მუსლიმანური ჩრდილოეთ კავკასია.**

დღეს თურქეთი ღიად ცდილობს, დაანახოს მსოფლიოს, რომ მას აქვს პრეტენზია, გახდეს ისლამური სამყაროს ლიდერი სახელმწიფო და რეგიონში დომინანტური ძალა. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თურქეთს ამ მიზნის მიღწევაში ზურგს ამერიკა უმაგრებს, ვინაიდან თურქეთის სახელმწიფო ინტერესები თანხვედრაშია აშშ-ის ინტერესებთან ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. შესაბამისად, ამერიკის პოლიტიკის გამტარებელი ამ სივრცეში თურქეთია.

საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად გვიჩვენა, რომ ამერიკის, როგორც „თავისუფლების მედროშე“ ქვეყნის ინტერესის საგანს არ წარმოადგენს „მეგობარ“ ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების მხარდაჭერა, როგორც ამას ბევრი ჩვენი თანამედროვე დიდაქტიკური მსჯელობებით გვიმტკიცებს **(ვისაც არ სჯერა, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები გაიხსენონ, როცა არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე აშშ-ის ხელისუფლებამ დამარცხებულ სააკაშვილს „გამარჯვება“ ქართველი ამომრჩევლების ნების საწინააღმდეგოდ მიულოცა),** თუმცა ეს არცაა გასაკვირი, რადგან თანამედროვე მსოფლიოში მხოლოდ „დემოკრატიული ღირებულებები“ და „თავისუფლება“ არ არის ისეთი მნიშვნელოვანი „პრობლემა“, რომელიც ქვეყნისადმი მხარდაჭერას განაპირობებს. უმთავრესი პრიორიტეტი სახელმწიფო ინტერესების დაცვა და უზრუნველყოფაა. კერძოდ, **ამერიკა საქართველოსთან „დამეგობრებით“ განავრცობს თავის გავლენას ამიერკავკასიისა და შუა აზიის სახელმწიფოებზე. ამით ერთდროულად „ორ კურდღელს“ დაიჭერს: გაიმყარებს პოზიციებს ენერგორესურსებით მდიდარ კასპიის აუზში, საქართველოს მეშვეობით კი ხელსაყრელ სატრანზიტო დერეფანს მიიღებს, მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, ერთდროულად აღმოჩნდება რუსეთისა და ჩინეთის საზღვრებთან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ამერიკის მსოფლიო ინტერესებს.** ამრიგად, ამერიკას საქართველო თავისი შორსმიმავალი მიზნების უზრუნველყოფის იარაღად სჭირდება. თავის მხრივ კი, თურქეთი ცდილობს საქართველოზე გავლენის სფეროს მოპოვებას და ჯერჯერობით სავსებით წარმატებულადაც.

დღეს ჩვენ სახეზე გვაქვს ამერიკისა და თურქეთის ინტერესთა თანხვედრა, საქართველოს, როგორც უსუსური სახელმწიფოს, „ათვისებასთან“ დაკავშირებით, რაც ქართველი ერის სამომავლო არსებობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. კერძოდ, ერთის მხრივ, ამერიკას თავისი მიზნების უზრუნველყოფის იარაღად სჭირდება საქართველოს ნატოში გაწევრიანება, მეორეს მხრივ კი, თურქეთს სურს, თავისი „პანთურქული იმპერიის“ იდეას ნატო-ს საფარველქვეშ „ხორცი შეასხას“.

**ამაზე ხმამაღლა საუბრობს ერთ-ერთ ინტერვიუში პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია: „საქართველოს ნატო-ში შესვლას ყოველმხრივ შეუწყობს ხელს თურქეთი, რადგან ეს თურქეთის შეიარაღებული ძალებისთვის გახსნის საქართველოს ტერიტორიას, რაც შექმნის ჩრდილოეთ კავკასიაზე პირდაპირი გეოპოლიტიკური გავლენის პერსპექტივას... ამერიკას სჭირდება ნატო-ს ეგიდით საქართველოში თურქული სამხედრო ბაზის განლაგების შესაძლებლობა იმ მიზნით, რომ გააძლიეროს დაძაბულობა რუსეთის სამხრეთ საზღვრებზე; მეორეც — მთლიანად აკონტროლოს ნავთობ და გაზსადენები; მესამე — ირანთან სამხედრო მოქმედების გაშლის შემთხვევაში, გამოიყენოს ქართული სამხედრო აეროდრომები, რომელთაც, უკვე კარგა ხანია, თურქეთი აკონტროლებს. ამ ამოცანების გადასაჭრელად არც აფხაზეთი, არც სამხრეთ ოსეთი საჭირო არ არის“.**

არავისთვის უცხო არ არის, რომ ერაყისა და ავღანეთის შემდეგ ამერიკის სამიზნეს ირანი წარმოადგენს. ვინაიდან ირანი არის სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია უდიდესი ბუნებრივი რესურსები, რაც ამერიკის, როგორც იმპერიალისტური სახელმწიფოს, ინტერესის საგანს წარმოადგენს. უფრო მეტიც, აშშ-ის აღმოსავლური პოლიტიკა ძირითადად ეფუძნება დაპყრობილი თუ დაქვემდებარებული ქვეყნებიდან ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად ამოქაჩვას და დაკაბალებას, მაგრამ, რაც მთავარია, ეს ყველაფერი კეთდება მარად სასურველი „დემოკრატიის“ სახელით.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ისთვის ისრაელის ტერიტორია არის იდეალური ვარიანტი ირანის წინააღმდეგ, თუმცა შეუძლებელია, ამერიკა მხოლოდ არაკეთილმოსურნე, მუსლიმანური ფუნდამენტალისტი მეზობლებით გარემოცული პატარა, მაგრამ ძლიერი სამხედრო პოტენციალის მქონე სახელმწიფოს დაეყრდნოს და N1 საავიაციო ფრთა მას ჩააბაროს. ამიტომ ამერიკა შეეცდება, ისრაელში, თურქეთსა და საქართველოში განალაგოს სამხედრო ძალები და ამ ქვეყნებიდან შეუტიოს ირანს.

მართალია, ამ ეტაპზე თურქეთისა და ისრაელის ურთიერთობა დაძაბულია, მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორივე სახელმწიფო ამერიკის ინტერესების გამტარებელია რეგიონში და, რაც მთავარია, მათ ჰყავთ საერთო მტერი: შიიტური ირანისა და ისლამური ფუნდამენტალიზმის სახით.

ირან-ამერიკის კონფლიქტის შემთხვევაში საქართველო იქნება სტრატეგიული ადგილი ამერიკისთვის, საწვავითა და სამხედრო არსენალით მომარაგების თვალსაზრისით. „ვარდოსანი“ ხელისუფლების თანხმობით, საქართველოს აეროდრომები იქნება გამოყენებული ირანის დასაბომბად. **ეს საკითხი აუცილებლად დადგება დღის წესრიგში, რადგან ამერიკის ავიაცია ირანს ვაიომინგის შტატში დისლოცირებული სამხედრო-საჰაერო ბაზა „უორენის“ აეროდრომიდან ვერ დაბომბავს, ამიტომ დასჭირდებათ ისეთი ტერიტორია, რომელიც ახლოს იქნება ირანთან და ხალხიც პოზიტიურად იქნება განწყობილი ამერიკის ამ „დამპყრობლური“ პოლიტიკისადმი. ასეთი „იდეალური ვარიანტი“ კი საქართველოა.**

მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი მთავარი ფაქტორი: რომ ირანის არმია კადაფის არმია არ არის (თუმცა მისი დამარცხებაც გაუჭირდა ნატო-ს), რომ ამერიკამ რამდენიმეთვიანი ომის შედეგად შეძლოს მისი დამარცხება, რომც დაამარცხოს, ისლამური ფუნდამენტალიზმის ჭაობში ჩაფლულ ირანულ საზოგადოებაში შეუძლებელია იპოვოს დასაყრდენი და განიმტკიცოს მდგომარეობა.

საქართველოს მარიონეტული ხელისუფლება ამერიკისთვის ერთგულების სადემონსტრაციოდ, სანამ ირანთან ომით აღფრთოვანდება, იმედია, არ დაივიწყებს, იქ მცხოვრებ ასი ათასობით ქართველს და გაიაზრებს იმას, რომ ომის შემთხვევაში მსხვერპლი მათ შორისაც იქნება. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საქართველო ირანთან ომში თუნდაც იმის გამო არ უნდა ჩაერთოს, რომ იქ მცხოვრები ქართველების სისხლი არ დაღვაროს. იმაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია, თუ რამხელა მსხვერპლი მოჰყვება, თბილისს თეირანიდან ნასროლი რაკეტა რომ დაეცეს. მაგრამ ამერიკის ინტერესების გამტარებელ ხელისუფლებას, საეჭვოა, ეყოს კეთილგონიერება, გადამწყვეტ მომენტში საქართველოსთვის დამღუპველ სამხედრო ავანტიურას არ წამოეგოს.

**ზურაბ ჯამბურია**



**ალექსანდრე ჭაჭია:**

**ამერიკას სჭირდება ნატო-ს ეგიდით საქართველოში თურქული სამხედრო ბაზის განლაგების შესაძლებლობა იმ მიზნით, რომ გააძლიეროს დაძაბულობა რუსეთის სამხრეთ საზღვრებზე**

„ივანიშვილი არის მერაბიშვილისა და ამერიკის კაცი და გამოუშვეს იმისთვის, რომ ჩაანაცვლოს სააკაშვილი, რათა საბოლოოდ შეინარჩუნოს ეს რეჟიმი. ჩვენი პარტიის გარდა დღეს ოპოზიცია არ ჰყავს საქართველოს, საუბედუროდ. ასე რომ, ჩვენ გარდა სხვისი, ყველასი მოსვლა ნიშნავს მიშიზმის გაგრძელებას და, შესაბამისად, არ შეიცვლება არც პოლიტიკა, არც ეკონომიკა, არც სოციალური მდგომარეობა“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### შალვა ნათელაშვილი:

# საქართველო ნაწილებად დაიშლება, ჩვენს ტერიტორიებს მეზობელი სახელმწიფოები მიიერთებენ

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი.**

**— ბატონო შალვა, ზოგადად ხელისუფლების მხრიდან მწვავე კრიტიკა და აგრესია არასდროს გაკლდათ, მაგრამ ამ ბოლო დროს „ნაცმოძრაობის“ პროპაგანდისტული მანქანა განსაკუთრებით დაინტერესდა თქვენით...**

— არსებული რეჟიმი მთავარ იდეურ მოწინააღმდეგესა და პოლიტიკურ მესაფლავეს ხედავს ჩვენში, რადგან ჩვენ ვართ ნამდვილი სუვერენული დემოკრატიის მომხრე და არა ამერიკიდან მართვადი პროტექციონისტური კოლონიური რეჟიმის ხელის ბიჭები, როგორიცაა ყველა დანარჩენი პარტია და აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ხელისუფლება ყველაზე მეტ საფრთხეს გრძნობს სწორედ ჩვენგან.

ჩვენ ვართ, მარტო საქართველოში კი არა, დედამიწაზეც ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც ბედავს მსოფლიო იმპერატორის კაბინეტიდან ოცდაათ მეტრში, თეთრ სახლთან, მოაწყოს საპროტესტო აქცია და ამერიკელებს უთხრას, რომ თავი დაგვანებონ და მოუსვან აქედან. ამის შემდეგ თქვენ კიდევ გიკვირთ, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია, მათ შორის ივანიშვილიც, რომელიც ასევე ამერიკის მარიონეტია და იმართება ვაშინგტონიდან, ერთიანი ფრონტით უტევენ ლეიბორისტულ პარტიას? ჩვენ ეს ნამდვილად არ გვიკვირს, ღმერთმა დაგვიფაროს, ისინი არ გვიტევდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველომ ბრძოლა შეწყვიტა, ბრძოლა გადარჩენისა და დამოუკიდებლობისთვის.

**— თქვენ თქვით, რომ თქვენ გარდა ყველა პარტია ამერიკიდან იმართება. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ ხელისუფლების კრიტიკაც ამერიკიდან ყოფილა დაკვეთილი?**

— არა, ხელისუფლების კრიტიკა თვითონ ხელისუფლების წევრებს შორისაც კი ისმის ხოლმე დახურულ თათბირებზე, მაგრამ აქ საუბარია არა კრიტიკაზე, არამედ იდეურ მსოფლმხედველობაზე, რაც არ შეიძლება შეიცვალოს. ეს არის რა — ეროვნული დამოუკიდებლობა, ანუ პოზიცია ხარ თუ ოპოზიცია, არ შეიძლება, იყო უცხო ქვეყნის სატელიტი და ამ დროს თავი მოგქონდეს დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყნის პოლიტიკურ ძალად, არ შეიძლება, ჯერ იყო მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერი, მერე გახდე „ნაცმოძრაობის“ ლიდერი, ამის შემდეგ წამოხვიდე ოპოზიციაში და ისევ იოცნებო, როდის დაგიძახებენ იქ და მოგცემენ რომელიმე პოსტს ან გადაგალახვინებენ ბარიერს. არ შეიძლება, დღეს იყო მემარჯვენე, ხვალ — მემარცხენე, ზეგ — ცენტრისტი; არ შეიძლება, ჯერ იყო ბლოკში შევარდნაძესთან, მერე გადახვიდე ასლან აბაშიძესთან, მერე შეეტენო ასევე ბლოკში მიხეილ სააკაშვილს, მერე იქიდან გადამსავდე ივანიშვილთან, მერე იქიდანაც წამოხვიდე და კიდევ სხვა გეგმები, რაღაც ფარისევლური სქემები დახაზო. მარტივად რომ ვთქვათ, საუბარია იდეურ-პოლიტიკურ ცანცარზე, რაც, დიდი ხანია, უკურნებელი სენივით სჭირს ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს.

სხვათა შორის, ეს სენი სჭირს მიხეილ სააკაშვილსაც. ის ჯერ იყო „სახალხო ფრონტის“ წევრი, მერე იყო „ქარტია ოთხმოცდათერთმეტის“ წევრი, მერე იყო რესპუბლიკური პარტიისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი, მერე შემოძვრა „მოქალაქეთა კავშირში“, — ოცდარვა ნომრად ჩაწერა შევარდნაძემ და გახდა პარტიის ლიდერი. ამის შემდეგ შექმნა „ნაციონალური მოძრაობა“, როცა დაავალეს ამერიკელებმა, და დარწმუნებული ვარ, სანამ მოკვდება, ერთ ოცდაათ პარტიას კიდევ გამოიცვლის.

**— და, ალბათ, სკოლის დირექტორობასაც მოასწრებს.**

— ეს დირექტორობა, უბრალოდ, იმის საპიაროდ მოიგონა, რომ ვითომ მე ინგლისური არ ვიცი და ისეთი ინგლისურის, როგორიც მან იცის, ცოდნისგან კიდევ ღმერთმა დამიფაროს, და რომელიც საქართველოს ასამარებს მთელი მსოფლიოს დასანახად.

**სხვათა შორის, სუფთა ინგლისურად დაიძახა სააკაშვილმა გორში „ლეცგოუ“, როცა სამარცხვინოდ გამოიქცა და მისი ამ „გმირობის“ გამო ჩვენ, ალბათ, კიდევ რამდენიმე საუკუნე ვეღარ ავწევთ სადღეგრძელოს, რომ ვართ მამაცი და მეომარი ერი?..**

**— თქვენ ინგლისურის ცოდნა ახსენეთ და სააკაშვილი ხშირად ერთგვარი ირონიით იხსენიებს ხოლმე იმ პოლიტიკოსებს, რომლებმაც უცხო ენები არ იციან.**

— იცით რა, უცხო ენების ცოდნა აბსოლუტურად არ არის საზომი კრიტერიუმი, პირიქით, რაც მეტ დროს დაუთმობს პოლიტიკოსი საკუთარ ქვეყანას, ხალხის პრობლემებს და ნაკლებს იფიქრებს პოლიგლოტობაზე, მით უკეთესი იმ ქვეყნისთვის, ხოლო უცხო ენების გადაყვანა-გადმოყვანა-გადათარგმნისთვის თარჯიმნების შტატი არსებობს სპეციალურად...

**— რაც შეეხება ხელისუფლების შეცვლის პერსპექტივას, საზოგადოებაში არის მოლოდინი, რომ, თუ კი ოპოზიცია შეძლებს გაერთიანებას და 2012 წლის არჩევნებში გამარჯვებას, სააკაშვილის შეცვლა 2013 წლამდე მოხერხდება. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე?**

— რომელ ოპოზიციას გულისხმობთ?

**— ზოგადად ოპოზიციურ სპექტრს.**

— კონკრეტულად დამისახელეთ.

**— ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილს.**

— **ივანიშვილი არის მერაბიშვილისა და ამერიკის კაცი და გამოუშვეს იმისთვის, რომ ჩაანაცვლოს სააკაშვილი, რათა საბოლოოდ შეინარჩუნოს ეს რეჟიმი. ჩვენი პარტიის გარდა დღეს ოპოზიცია არ ჰყავს საქართველოს, საუბედუროდ. ასე რომ, ჩვენ გარდა სხვისი, ყველასი მოსვლა ნიშნავს მიშიზმის გაგრძელებას და, შესაბამისად, არ შეიცვლება არც პოლიტიკა, არც ეკონომიკა, არც სოციალური მდგომარეობა.**

**— ისე, არჩევნების გზით თუ ხედავთ ხელისუფლების შეცვლის პერსპექტივას?**

— რა თქმა უნდა, ვხედავ, თუ ხალხი არ შეშინდა, არ გაიყიდა ათ ლარზე, არ დაეხარბა დღევანდელ სამსახურს, ლუკმაპურს, თავის ბიზნესს, პატიმრის გამოყვანას ციხიდან და ა. შ., ანუ იმის თქმა მინდა, რომ, თუ ვერცხლისმოყვარეობაზე ხალხის დიდმა ნაწილმა უარი თქვა, ვერანაირი გაყალბება, ვერანაირი ამერიკა წინ ვერ აღგვიდგება, მოვიპოვებთ თავისუფლებასაც, დამოუკიდებელ მთავრობასაც და დავიბრუნებთ ყველაფერს, რაც წაგვართვეს — საძოვრებსაც, მიწებსაც, ტყეებსაც, წარმოების აქციებსაც, წართმეულ ანაბრებსაც და ა.შ. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ ლეიბორისტული პარტია არ მოვიდა ხელისუფლებაში, ქვეყნის ნგრევა და ეკონომიკური მოშლის პროცესი კვლავ გაგრძელდება, ვინაიდან არც ერთი პარტია, რომელიც დღეს ოპოზიციონერობაზე აცხადებს პრეტენზიას, რეალურად არ არის ოპოზიცია...



**ჩვენ ვართ, მარტო საქართველოში კი არა, დედამიწაზეც ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც ბედავს მსოფლიო იმპერატორის კაბინეტიდან ოცდაათ მეტრში, თეთრ სახლთან, მოაწყოს საპროტესტო აქცია და ამერიკელებს უთხრას, რომ თავი დაგვანებონ და მოუსვან აქედან**

**— ხშირად ხელისუფლების უძლეველობა საზოგადოების სისუსტეს ბრალდება და საუბრობენ იმაზე, რომ მოსახლეობამ ვერ გამოიჩინა საკმარისი პრინციპულობა. თქვენი აზრით, ის, რომ ოთხი თვე ხალხი ქუჩაში იდგა, არ იყო სერიოზული ბრძოლა და პრინციპულობა?**

— კი, მაშინ ნამდვილად ვიდექით ქუჩაში და თავიდან ამ ბრძოლას მართლა ჰქონდა სერიოზული ხასიათი, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ მაშინ ოპოზიცია პრაქტიკულად გაიყო და რამდენიმე დაჯგუფებად გაიხლიჩა, ნაწილმა აიღო თავისი კარვები, ნაწილი გავარდა და შეხვდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალგახსნილ შენობაში მიხეილ სააკაშვილს, ხელი ჩამოართვა, გაუღიმა და თავი დაუკრა, რამაც დააგდო ნდობის ხარისხი აქციებისადმი მოსახლეობის მხრიდან და ა. შ., ანუ ის ჟინი ბრძოლისა, რომელიც მანამდე იყო მოსახლეობაში და რომელმაც საზოგადოება ქუჩაში გამოიყვანა, საბოლოოდ იქნა ჩაკლული, რისი შედეგიც იყო ის, რომ ამ ოთხთვიანი დავიდარაბის შემდეგ ხალხმა ვერ მიაღწია ვერაფერს და ახალი ხელისუფლების ნაცვლად ისევ და ისევ ხელში შეგვრჩა სააკაშვილის ავტორიტარული, დრომოჭმული რეჟიმი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ რეჟიმთან არანაირ მოლაპარაკებაზე წასვლა არ შეიძლებოდა და მით უმეტეს დღეს არ შეიძლება, ერთადერთი, რაზეც ამათთან უნდა ისაუბრო, ისაა, თუ როგორ, რა ფორმით უნდა ჩამოსცილდნენ ესენი ხელისუფლებას და როგორ უნდა მოხდეს მათი უსაფრთხოების დაცვა... **სხვა შემთხვევაში ოპოზიციის მხრიდან ნებისმიერი შეხვედრა ხელისუფლების წარმომადგენლებთან (შავნაბადაზე იქნება ეს, შინაგან საქმეთა სამინისტროში თუ ღია ცის ქვეშ) დამანგრევლად მოქმედებს მიმდინარე პროცესებზე და ამიტომაა დღეს ხალხიც ასე სკეპტიკურად განწყობილი ამ პროცესებისადმი.**

**— უსაფრთხოების დაცვაში რას გულისხმობთ და მიგაჩნიათ თუ არა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ უნდა დადგეს კონკრეტულ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი?**

— რასაკვირველია, სააკაშვილი, უგულავა, ბოკერია, მერაბიშვილი —, **ყველა უნდა ჩაჯდეს ციხეში. უბრალოდ, აქ საკითხი უნდა დადგეს ასე: ჰააგის ტრიბუნალს გადაეცნენ როგორც საერთაშორისო დამნაშავეენი, თუ აქ გამართლდნენ. აი, მხოლოდ ამ საკითხზე შეიძლება საუბარი, ვინაიდან მათ ჩადენილი აქვთ საერთაშორისო დანაშაული, რომელიც ჰააგის იურისდიქციის ქვეშ ექცევა.**

**— კონკრეტულად რომელ დანაშაულს გულისხმობთ, აგვისტოს ომი ხომ არ გაქვთ მხედველობაში?**

— რა თქმა უნდა, ის, რაც 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის რეჟიმმა ცხინვალში გააკეთა, დაბომბა მძინარე ქალაქი, ჟენევის კონვენციის თანახმად, არის კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული, რაზეც მას ადრე თუ გვიან პასუხი უნდა მოეთხოვოს. ასევე პასუხი უნდა მოეთხოვოს 26 მაისის სისხლიანი დარბევისთვის, 7 ნოემბრის დარბევისთვის და საერთოდ, ყველა იმ დანაშაულებრივი ქმედებისთვის, რომლებიც სააკაშვილმა და მისმა ბანდიტურმა ხროვამ ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე ჩაიდინა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ. სხვანაირად სამართლიანობის შეგრძნება საზოგადოებაში ვერასოდეს იქნება და ხელისუფლების სათავეში ყოველთვის იპარპაშებენ ისეთი ცანცარა, გაუწონასწორებელი ადამიანები, როგორიცაა მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ტკიპასავით ჩაბღაუჭებია ძალაუფლებას და ცოცხალი თავით არ თმობს მმართველობის სადავეებს...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს ამ ხელისუფლების პოლიტიკის საბოლოო შედეგი, როგორ წარმოგიდგენიათ ქვეყნის მომავალი, თუ კი სააკაშვილისა და მისი გარემოცვის გეგმები თავის ლოგიკურ დასასრულამდე მივა?**

— ღმერთმა ნუ ქნას, ამათი გეგმები და იდეები რამე დასასრულამდე მივიდეს, მაგრამ, თუ ეს მოხდება, შედეგი იქნება ის, რომ საქართველო ნაწილებად დაიშლება: ჩვენს ტერიტორიებს მეზობელი სახელმწიფოები მიიერთებენ და საბოლოოდ აქ შეიძლება დარჩეს რამდენიმე „კარლიკი“ ტერიტორიული ერთეული, სადაც ამერიკის სამხედრო ბაზები იქნება განთავსებული. აი, ეს არის ამათი საბოლოო მიზანი, მაგრამ მე მაინც იმედი მაქვს, რომ ღვთის წყალობით ეს არ მოხდება; ურჩხული დამარცხდება და საზოგადოებასაც ეყოფა კეთილგონიერება, გააკეთოს სწორი არჩევანი, რაც ესოდენ სჭირდება დღეს სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის უღელქვეშ მყოფ, დაუძლურებულ და დაბეჩავებულ საქართველოს.

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

ნაც-ბლეფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საბჭოთა პერიოდში ჩვენ არ გაგვაჩნდა რესურსი საიმისოდ, რომ ბაკურიანი ოლიმპიურ სოფლად გვექცია, რადგან ასეთ სოფელს ერთ კაცზე სჭირდებოდა 1,2 მომსახურე პერსონალი. ამის უზრუნველსაყოფად ბორჯომის რაიონისა და ჯავახეთის მთელი მოსახლეობის გადასახლება და ამ საქმით დაკავება გახდებოდა საჭირო.“



გიგა ბათიაშვილი:

# რა რესურსი გაგვაჩნია — ინტელექტუალური თუ ფიზიკური, რომ ნახევარი მილიონი ადამიანი დავასახლოთ ლაზიკაში თუნდაც 10 წელიწადში?

# ეს ხომ უტოპიაა!

**ქალაქ ლაზიკის აგება-აშენების საკითხზე ვის უნდა ელაპარაკო, თუ არა სახელგანთქმულ ქართველ არქიტექტორს, „ქართული აკადემიის“ წევრს — გიგა ბათიაშვილს?! მეც ვურეკავ:**

**— ბატონო გიგა, თქვენ არაერთხელ განგიცხადებიათ, რომ კაცი არანორმალური უნდა იყოს, საქართველოში ახალმშენებლობაზე უარყოფითი აზრი რომ ჰქონდეს. ახლახან იგივე გაიმეორეთ „კავკასიის“ ეთერში, მაგრამო... გაუშიფრეთ, თუ შეიძლება, ეს „მაგრამ“ ჩვენს მკითხველებს.**

— კიდევ ერთხელ ვიტყვი: ნებისმიერი მშენებლობა სიცოცხლის ნიშნის მატარებელია, მაგრამ ეს ნიშანი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი ღირებულების.

**გააზრებული უნდა იყოს, რატომ ვაშენებთ, რისთვის ვაშენებთ და რით ვაშენებთ.** მით უფრო, როცა საქმე საზოგადოებრივი ღირებულების, ანუ ეროვნული ღირებულების ობიექტს ეხება. ამ შემთხვევაში დაუშვებელია ერთპიროვნული კი არა, თუნდაც ადამიანების მცირე ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ედოს საფუძვლად იდეის განხორციელებას.

**— ეს მცირე ჯგუფი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონსაც რომ წარმოადგენდეს?**

— რა თქმა უნდა, — არც მაშინ. ცივილიზებულ სამყაროში, საითკენაც მივისწრაფით, არ შეიძლება ქვეყნის განსახლების ყოველმხრივ დასაბუთებული პროგრამის გარეშე, თანაც ახალ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში, მიიღო გადაწყვეტილება მძლავრი ურბანული ერთეულის — ქალაქის, დაბის, თუნდაც სოფლის მშენებლობის შესახებ, თუ წინასწარ არ გაქვს შესწავლილი მოსახლეობის ყველა პარამეტრი და მაჩვენებელი: ვინ სად ცხოვრობს, რით არის დაკავებული, სად არის პოტენციური აუცილებლობა შრომის გადანაწილების და ა.შ.

**— მაგალითად?**

— მაგალითად, შენდება კაშხალი და კაშხალთან უეჭველად დასახლება უნდა აშენდეს, რადგან ამ ჰიდრონაგებობას სჭირდება მოვლა, მისი ექსპლუატაციისთვის აუცილებელია სპეციალისტების N რაოდენობა, რომლებიც ობიექტის მახლობლად უნდა დასახლდეს. როგორც ეს მოხდა ხრამჰესის მშენებლობის პერიოდში ან ანანურთან კაშხლის აგების დროს.

ასეთი მოვლენები იწვევს სამუშაო ძალის გადაადგილებას. ამ დროს, პოტენციალის თვალსაზრისით, ერთი ადგილი სუსტდება, მეორე — ძლიერდება. ბალანსის შესანარჩუნებლად გამოკვლევების საფუძველზე დგება განსახლების პროექტი.

**— არის საქართველოში ასეთი პროექტი?**

— არსებობდა, მაგრამ — სხვა პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას მორგებული. დღეს სხვა სიტუაციაა, სხვა ხედვები, სხვა მოთხოვნები, სხვა საფუძველი მსოფლიო ფერხულში ჩვენი თანამონაწილეობის, ამიტომ ასე ხელაღებით გადაწყვეტას არავითარი გამართლება არ აქვს.

**— ასეთი ხელაღებითობა მიხეილ სააკაშვილმა გარკვეული სიამაყით „თავზეხელაღებულ გეგმად“ მოიხსენია.**

— არ მესმის, რა არის აქ საამაყო?! განვიხილოთ, მაგალითად, თავისუფალი ეკონომიკური ზონის გახსნის საკითხი. როგორ შეიძლება, ქვეყნის განსახლების პროექტის გარეშე, შრომითი ძალების პოტენციალის გადანაწილების პროექტის განხილვის გარეშე დადგინდეს, სად, რომელ საზღვრებში უნდა მოთავსდეს თავისუფალი ეკონომიკური ზონა და დადგინდეს მისი სტატუსი?!

წარმოუდგენელია!

**— ასლან აბაშიძე ბათუმში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნას რომ აპირებდა, ესეც ვოლუნტარიზმის გამოვლენა იყო?**

— რა თქმა უნდა! მისი მმართველობა რომ ჩაკვდა, გახარებული ვიყავი, ვიფიქრე, რომ ვოლუნტარისტულ გადაწყვეტილებებს ბოლო მოეღო, მაგრამ, თუ ჩვენ ახლა იმავეს გავიმეორებთ, მითხარით, რა შეიცვალა?!

ქვეყნის განსახლების პროექტს შეიმუშავებს არა არქიტექტორი, არა პოლიტიკოსი, არამედ ყველა სფეროს ინსტიტუტები, ყველა ერთად, რადგან უნდა დაბალანსდეს ყველა პოტენციური შესაძლებლობა. საბოლოო ჯამში ამ ყველაფერს თავს ადგამს და ალაგებს არქიტექტორი და მასთან ერთად ეკოლოგი. **ჩვენი ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებით დაინტერესებულია არა მარტო საქართველო, არამედ მთელი დანარჩენი სამყარო. გასული საუკუნის 50-იან წლებში გაცხადდა, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ჭაობები (დიდ ფართობებზეა ლაპარაკი და არა ერთი ტაშტის ხელაზე), მსოფლიო საკუთრებაა, რადგან ჭაობები აღმოჩნდა ჟანგბადის წარმოქმნის ყველაზე მძლავრი გენერატორი.** ამდენად, ამაზონიის, ბელარუსის თუ კოლხეთის ჭაობების ხელის ხლება კაცობრიობის ჟანგბადით გაღარიბებას ნიშნავს.

როგორ გგონიათ, საბჭოთა კავშირს არ ჰქონდა რესურსები კოლხეთის ჭაობის დაშრობის? ჰქონდა და ერთი პერიოდი კიდეც აამოქმედა, მაგრამ შემდგომ შეწყვიტა.

**— ახალი, 500-ათასიანი ლაზიკის აშენებას კი მაინც და მაინც კოლხეთის ჭაობებში აპირებენ.**

— ეგაა უბედურება.

ამ მაგალითიდანაც ჩანს, თუ რატომ მონაწილეობენ ეკოლოგები განსახლების პროექტების, ქალაქების გენერალური გეგმების შემუშავებაში.

არქიტექტორმა კი უნდა დააბალანსოს შრომითი ორგანიზების, გეოლოგიისა და სხვა სამსახურების, ინსტიტუტების მოთხოვნები.

ქვეყნის განსახლების პროექტის საფუძველზე დგება გენერალური გეგმა.

**— ბატონო გიგა, ტელევიზიით გამოსვლისას თქვენ ილაპარაკეთ შავი ზღვის აკვატორიის გონივრულ გამოყენებაზე.**

— ვილაპარაკე იმიტომ, რომ ეს მართლაც უმწვავესი პრობლემაა.

ჩვენი სანაპირო ზოლი 200 კილომეტრიც არ არის. აქ ფუნქციონირებს ორი საკმაოდ მძლავრი საწარმოო ერთეული — ფოთი და ბათუმი თავისი ნავთობგადამმუშავებელი ქარხნით — „ბენზეთი“.

ფოთი არის ქვეყნის სასიცოცხლოდ აუცილებელი კარიბჭე, რომლითაც ვუკავშირდებით გარე სამყაროს, მაგრამ მისი მნიშვნელობა საქართველოს საზღვრებს სცილდება, იგი რეგიონის — შუა აზიიდან მოყოლებული ჩვენი მეზობლებით დამთავრებული — სასიცოცხლო არტერიაა.

ფოთის ნავსადგური თუ არ გავაფართოეთ და არ გავაძლიერეთ, მაშინ ვერ გავყვებით იმ გზას, იმ ნაკადს, რომელმაც ევროკავშირის მოთხოვნათა დონეზე უნდა გაგვიყვანოს.

პორტმა ნორმალურად რომ იმუშაოს, ჯამურად 80 კილომეტრი პირსი, ხმელეთი არ ეყოფა იმ ტვირთბრუნვისთვის, რაც პერსპექტივაშია მოსალოდნელი. ამიტომ ფოთის პორტის პერსპექტივა არის კონტინენტში სავარცხლისებურად შესვლა, ანუ მდინარეთა კალაპოტების გამოყენება, რათა, ხაზს ვუსვამ, ნაკლებად დავიკავოთ ზღვის სანაპირო ტერიტორია.

**— შეიძლება უფრო დეტალურად?**

— დეტალურად ოცი წლის წინ დავწერე, მაგრამ, რახან მთხოვთ, მოკლედ გეტყვით.

ქალაქი სამტრედია არის მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი. თუ მოვახერხებთ და რიონში სამტრედიამდე შევქმნით საზღვაო გემებისთვის აუცილებელ ფარვატერს (მანძილი 70-75 კილომეტრია), მაშინ შევძლებთ ტვირთების ბარჟებით ამოტანას და რკინიგზით საჭირო მიმართულებით გაგზავნას. სამტრედია გახდება სატვირთო პორტი. გამიგეთ?

**— გავიგე.**

— აი, მაშინ შავ ზღვას არ წავართმევთ სანაპირო ზოლს ანაკლიასთან ნავსადგურის გასაშენებლად. ეს სანაპირო ჩვენ გვჭირდება, როგორც კლიმატურად მიმზიდველი და კულტუროლოგიურად საინტერესო ზონა და არა მაინც და მაინც მრეწველობის განსავითარებელი ტერიტორია.

**— მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ბევრი ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, ავაშენოთო ქალაქი ლაზიკა. ჰგავს ეს გადაწყვეტილება ფიქრისა და ანალიზის შედეგად მიღებულს?**

— მეეჭვება, ბოლომდე არ არის აწონილი შემოთავაზებული იდეა.

ახლა მე გკითხავთ: რა რესურსი გაგვაჩნია — ინტელექტუალური თუ ფიზიკური, რომ ნახევარი მილიონი ადამიანი დავასახლოთ ლაზიკაში თუნდაც 10 წელიწადში? ეს ხომ უტოპიაა!

საბჭოთა პერიოდში ჩვენ არ გაგვაჩნდა რესურსი საიმისოდ, რომ ბაკურიანი ოლიმპიურ სოფლად გვექცია, რადგან ასეთ სოფელს ერთ კაცზე სჭირდებოდა 1,2 მომსახურე პერსონალი. ამის უზრუნველსაყოფად ბორჯომის რაიონისა და ჯავახეთის მთელი მოსახლეობის გადასახლება და ამ საქმით დაკავება გახდებოდა საჭირო.

ხალხის დასასაქმებლად უნდა შეიქმნას ისეთი ახალი რამ, რაც დააბალანსებს შრომით რესურსებს და ავრალის წესით ერთი ადგილიდან მეორეზე არ გადაისვრის.

**— ლაზიკის არქიტექტურული დაგეგმარების შესახებ იტყვით რამეს?**

— „კავკასიის“ ეთერში ჩემმა ოპონენტმა ახალი და თანამედროვე არქიტექტურის შესახებ რომ განაცხადა, რას ნიშნავდა ასეთი ტერმინოლოგია, ვერ გავიგე. იქნებ ვინმემ ამიხსნას მე, არქიტექტორს, პროფესიონალ კაცს? ვინც არ იცის, იმათთვის ვიტყვი: არსებობს ორი ტიპის დაგეგმარება — თავისუფალი და სისტემური. არავითარი ახალი ტიპი ბუნებაში არ არსებობს. მორჩა და გათავდა!

გაიჟღერა იმანაც, რომ უცხოელი არქიტექტორები, ესპანელები და ა.შ., მუშაობენ ამ ქალაქის დაგეგმარებაზე. უცხოელს შეიძლება დაუკვეთო ერთი სახლის დაპროექტება, თანაც მარტო მას არა, რადგან, საქართველოს კანონმდებლობით, აუცილებელია ჩვენი თანამონაწილეობა. **რომელი უცხოელი არქიტექტორი შეძლებს სივრცით ორგანიზაციას, დაგეგმარებას, თუ საქართველოში ჭიპი არ აქვს მოჭრილი, სულიერად არ არის მიბმული ჩვენს ეროვნულ კულტურასთან, ტრადიციებთან და იმ განსხვავებულობასთან, რომლითაც გამოვირჩევით დანარჩენი სამყაროსგან?!** ეს არ არის არითმეტიკა — ორს ორს რომ მიუმატებ და იქნება ოთხი. ეს არის უზარმაზარი კულტუროლოგიური ფენილი, რომელიც ჰქმნის უძლიერეს საძირკველს ზედნაშენისთვის.

ახლა რაც შეეხება მშენებლობის განხორციელებას ჭაობში: მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ჭაობშიც შეიძლება აშენება, წყალშიც, მუდმივი გამყინვარების ადგილზე, კოსმოსშიც აშენებენ.

საკითხი ასე დგას, **რამდენად მიზანშეწონილია ჭაობში ან მუდმივ გამყინვარებაში მშენებლობის განხორციელება?** ამასთანავე, რითაც, რა საშუალებებითაც აშენებ გამყინვარებაში, იგივეთი ზომიერ კლიმატურ ზონაში ან ჭაობში და პირიქით ვერ ააშენებ.

ამის გაკეთება შეიძლება, მაგრამ ძალიან ძვირი ჯდება.

თავი დავანებოთ სიძვირეს.

**ის ქალაქი არც ქართველებით იქნება დასახლებული, არც ქართული სულისკვეთების იქნება. უცხოელი ქართული საცხოვრებელი გარემოს ორგანიზებას ღირსეულად ვერ შეძლებს.**

**— ბატონო გიგა, ორიოდ წლის წინ, როცა ინტერვიუ ჩამოგართვით ავლაბრის საპრეზიდენტო სასახლის შესახებ, თქვენ თქვით, რომ ჩვენი ქვეყანა ხოშით იმართება. ახლაც ეგრეა?**

— *(იცინის)* ეგრეა, აბა, რა არის!..

«გასული საუკუნის 50-იან წლებში გაცხადდა, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ჭაობები (დიდ ფართობებზეა ლაპარაკი და არა ერთი ტაშტის ხელაზე), მსოფლიო საკუთრებაა, რადგან ჭაობები აღმოჩნდა ჟანგბადის წარმოქმნის ყველაზე მძლავრი გენერატორი. ამდენად, ამაზონიის, ბელარუსის თუ კოლხეთის ჭაობების ხელის ხლება კაცობრიობის ჟანგბადით გაღარიბებას ნიშნავს»

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

„ბევრმა შეიძლება არც იცის, რომ არსებობს ასეთი ორგანიზაცია — შავიზღვისპირეთის სომეხთა კავშირი, რომელშიც შედიან აფხაზეთის სომხები, აჭარის და ასევე აჭარის იქით, თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური სომხებიც. ეს ორგანიზაცია, დღიდან მისი დაარსებისა, იბრძვის და ყველა ღონეს ხმარობს იმისთვის, რომ მთელი შავიზღვისპირეთის გასწვრივ, ზოლად ჩაასახლონ სომხები, ამისთვის მუშავდება მთელი რიგი პროექტებისა, პროგრამებისა და კოლოსალური თანხები იხარჯება ამ გეგმების განხორციელებისთვის“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნეოდაშნაკური ინტერვენცია აჭარაში და «შავიზღვისპირეთის სომეხთა კავშირის» ფარული გეგმები

**ბოლო დროს აჭარის რეგიონში სომხური ინვესტიციების მასობრივი შემოდინება რომ ქვეყნის დემოგრაფიულ სურათზე მალე უარყოფითად შეიძლება აისახოს, ამაზე საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, დიდი ხანია, აქტიურად საუბრობენ და ამ პროცესს საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის სერიოზულ საფრთხისშემცველ მოვლენად აღიქვამენ... კონკრეტულად რა საფრთხეებზეა საუბარი და რა შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს ქვეყანა არსებულმა რეალობამ, — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ არმენოლოგი ბონდო არველაძე ესაუბრა.**



**— ბატონო ბონდო, მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა ბათუმი და მთლიანად აჭარა ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ კვანძად გამოაცხადა, გამუდმებით გვესმის, რომ სომხეთს ამ რეგიონზე თვალი უჭირავს, რომ სომხური ინვესტიციები ჩვენს დემოგრაფიას გარკვეულ საფრთხეს უქმნის და ა. შ. თქვენ რამდენად საფუძვლიანად მიგაჩნიათ ეს ყველაფერი?**

— საერთოდ, აჭარა და მთლიანად საქართველოს შავიზღვისპირეთი ყოველთვის იყო და დღესაცაა სომხეთის გარკვეული ინტერესის ობიექტი, ეს არახალია და ამაზე აქამდეც არანაკლებ აქტიურად საუბრობდნენ ჩვენი მეცნიერები, მაგრამ ის, რაც ახლა ხდება და რაც მე მესმის აჭარაზე, ნამდვილად დამაფიქრებელია.

ბევრმა შეიძლება არც იცის, რომ არსებობს ასეთი ორგანიზაცია — „შავიზღვისპირეთის სომეხთა კავშირი“, რომელშიც შედიან აფხაზეთის სომხები, აჭარის და ასევე აჭარის იქით, თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური სომხებიც. ეს ორგანიზაცია, დღიდან მისი დაარსებისა, იბრძვის და ყველა ღონეს ხმარობს იმისთვის, რომ მთელი შავიზღვისპირეთის გასწვრივ, ზოლად ჩაასახლონ სომხები, ამისთვის მუშავდება მთელი რიგი პროექტებისა, პროგრამებისა და კოლოსალური თანხები იხარჯება ამ გეგმების განხორციელებისათვის. აი, სწორედ ამ პროცესის გაგრძელება მგონია მე ის, რაც დღესდღეობით აჭარაში, კერძოდ კი ბათუმში ხდება და მიმაჩნია, რომ ამ ყველაფრის მიჩუმათება კატეგორიულად არ შეიძლება. ამით ქვეყანა შეიძლება ისეთი პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს, რომელთა გადაჭრა შემდეგ და შემდეგ გაცილებით რთული იქნება...

**— თქვენი აზრით, რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს საფრთხე რეალობად არ გვექცეს?**

— ეს საფრთხე უკვე დღესაც რეალურია და ამიტომაც ვსაუბრობთ ახლა ამ თემაზე, როგორც პრობლემაზე. რაც შეეხება იმას, თუ რა შეიძლება გაკეთდეს, ცხადია, კონსტიტუციაში ვერ ჩაწერ, რომ ამა თუ იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეს აეკრძალოს საქართველოში შემოსვლა, მაგრამ, მეორეს მხრივ, ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას საკუთარი ხალხისა და ქვეყნის ინტერესები. მიმაჩნია, რომ **უნდა შემუშავდეს გარკვეული მექანიზმი ან თუნდაც კანონი, რომლის თანახმადაც, არაქართველზე არ უნდა გაიყიდოს მიწა, თუ მაინცდამაინც გაიყიდება, ეს უნდა იყოს მხოლოდ შეზღუდული ოდენობით და არა ისე, როგორც დღეს ხდება — უკონტროლოდ; წინააღმდეგ შემთხვევაში, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ყველაფერი მიგვიყვანს სერიოზულ პრობლემებამდე და ჩვენ გვახსოვს, ისტორიიდან, რა უბედურებაც სჭირდა ჩვენს დედაქალაქ თბილისს XIX საუკუნეში, როცა ქართველი მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებელი უკვე კატასტროფულ ზღვრამდე დავიდა...**

**— ამასწინათ თბილისში ვიზიტისას სერჟ სარქსიანმაც განაცხადა, რომ სომხეთ-საქართველოს შორის უნდა მოხდეს ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება. თქვენი აზრით, ესეც რამე საფრთხეს შეიცავს ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის?**

— ზოგადად, თანამშრომლობა, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მეტიც, ჩვენ მეზობელი სახელმწიფოები ვართ და ეს ჩვენი ერთგვარი ვალდებულებაც კია, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სომხური კაპიტალის შემოდინება იმ ფორმით და მასშტაბით, როგორც დღეს ხდება, ქვეყნისთვის სერიოზულ საფრთხედ შეიძლება იქცეს. ჩვენ ამის მწარე ისტორიული გამოცდილება გაგვაჩნია, ამიტომ ამ საკითხის გამარტივება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. პირიქით, როგორც დასაწყისში გითხარით, ეს ყველაფერი ძალიან სერიოზულ და ფრთხილ მიდგომას საჭიროებს ამთავითვე, რათა მომავალში უფრო დიდი თავსატეხი არ გაუჩნდეს ქვეყანას...

> **«უნდა შემუშავდეს გარკვეული მექანიზმი ან თუნდაც კანონი, რომლის თანახმადაც, არაქართველზე არ უნდა გაიყიდოს მიწა, თუ მაინცდამაინც გაიყიდება, ეს უნდა იყოს მხოლოდ შეზღუდული ოდენობით»**

**— რაც შეეხება ჯავახეთში არსებულ პრობლემებს, ამ რამდენიმე ხნის წინ სომხეთის რევოლუციური ფედერაციის — „დაშნაკცუტიუნის“ ბიუროს წარმომადგენელმა გრანტ მარქარიანმა ერთ-ერთ ინტერვიუში, რომელიც სომხური მედიით გავრცელდა, განაცხადა: „ყველა იმ ადამიანმა, ვისთვისაც სომხურ-ქართული ურთიერთობები მნიშვნელოვანია, უნდა გააცნობიეროს, რომ ჯავაკხი დენთით სავსე კასრია, რომელიც ადრე თუ გვიან აფეთქდება“. თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია ეს მოსაზრება?**

— ზოგადად ჯავახეთის საკითხი, ისევე, როგორც აჭარასა, და აფხაზეთში არსებული პრობლემები, არახალია და ყველამ იცის, რომ სომხეთს ოდითგანვე თვალი ეჭირა ამ რეგიონზე. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს არის „დიდი არმენიის“ ტერიტორია, რომელიც ისტორიულად ეკუთვნოდა სომხეთს და დღეს თურმე საქართველოს ძალით ჰქონია მიტაცებული. ის კი არა (არც კი ვიცოდი), **ერევანში რომელიღაც კვლევით ინსტიტუტთან თურმე სომხეთის მიმდებარე ტერიტორიების ისტორიის შემსწავლელი კათედრაც კი არსებულა, რომელიც შექმნილია სპეციალურად იმისთვის, რომ იმუშაოს სწორედ ამ მიმართულებით. ამ კათედრის მუშაკები** (მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ანტიქართული განწყობით ცნობილი ვინმე დოცენტი ზოჰრამიანი) **ნაშრომებს ნაშრომებზე აქვეყნებენ, პროექტებს პროექტებზე დებენ და ლამის ტყავიდან ძვრებიან იმის დასამტკიცებლად, რომ არამარტო ჯავახეთი, არამედ საქართველოს სხვა ტერიტორიებიც, რომლებიც ოდითგანვე ჩვენი იყო და არც არასდროს ყოფილა სომხეთის შემადგენლობაში, თურმე ისტორიულად მათია და ჩვენ წაგვირთმევია; ამ ყველაფრის დასამტკიცებლად კი ხდება ისტორიის ტოტალური გაყალბება და იშველიებენ ხოლმე ისეთ წყაროებს, რომლებიც, არც მეტი, არც ნაკლები, უბრალოდ, ბუნებაში არ არსებობს.**

უბედურება ისაა, რომ ასეთი ორგანიზაციები თუ ინსტიტუტები დღეს ერევანში უამრავია და, სამწუხაროდ, მათ ნამდვილად შეუძლიათ, გარკვეული გავლენა მოახდინონ სომხებით დასახლებულ ჩვენს რეგიონებზე. ასე რომ, რაც შეეხება თქვენს კითხვას, არის თუ არა ჯავახეთი დენთით სავსე კასრი, რა თქმა უნდა ჯავახეთი ყოველთვის იყო და დღესაცაა ჩვენთვის გარკვეული საფრთხისშემცველი, ამიტომ არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, რომ ერთი წუთითაც, წამითაც არ შეიძლება ამ რეგიონზე ყურადღების მოდუნება. ჩვენ მუდმივად უნდა ვიყოთ მზად იმისთვის, რომ ჯავახეთში ნებისმიერ დროს შეიძლება შეიქმნას პრობლემები, რომლის დროულად გადაუჭრელობაც მერე და მერე უკვე ქვეყანას ძალიან ძვირად შეიძლება დაუჯდეს.

**— თქვენი აზრით, ყველაფერი, რასაც თქვენ ამბობთ, რამდენად შეესაბამება სომხეთის სახელმწიფო პოლიტიკას, ანუ ოფიციალური ერევანი რამდენად იზიარებს ამ პოზიციას?**

— ცალსახად იმის თქმა, რომ სომხეთის ხელისუფლება ხელს უწყობს ან აქეზებს რამე ანტიქართულ მოძრაობას, რა თქმა უნდა, არ იქნება მართებული, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ფაქტია: სომეხი მეცნიერები, განსაკუთრებით ისტორიკოსები და ხელოვანთა გარკვეული ნაწილი ყოველთვის იყვნენ ქართული სახელმწიფოს მიმართ ერთგვარი აგრესიით განწყობილი და ეს აგრესია ხშირად იჩენდა ხოლმე თავს მათ ნაშრომებში ხან პირდაპირ, ხან კი ირიბად.

**...იყო ასეთი პოეტი, სილვა კაპუტიკიანი, რომელიც ერთგან წერს: „სამშობლო ღმერთზე მეტია, სამშობლოზე მეტი ეკლესიაა, ეკლესიაზე მეტი ტიგრან დიდია, ტიგრან დიდზე მეტი დიდი სომხეთია“... ხვდებით, ეს რას ნიშნავს და რა არის ამ ყველაფერში ნაგულისხმევი?**

ეს სიტყვები რომ წავიკითხე, ერთი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის ნათქვამი გამახსენდა: „სომხებს ავადმყოფური ისტორიზმი სჭირთო“... ეს ნათქვამი საქმეში ნაკლებადჩახედულ ადამიანს შეიძლება გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ, მეორეს მხრივ, სომხურ საისტორიო მწერლობას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ამის თქმის საფუძველი ნამდვილად არსებობს; მართალია, დღემდე დადგენილი არ არის, მოსე ხორენასი რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა, V, VII თუ IX საუკუნეში, მაგრამ მის თხზულებაში „სომხეთის ისტორია“ ეს ავადმყოფური ისტორიზმი სრული სახითაა ჩამოყალიბებული და მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ადრეშუასაუკუნეების სომხური კოსმოკრატიზმის კლასიკურ მაგალითსაც წარმოადგენს.

გარდა ამისა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხორენასმა ირანის ისტორია მოხერხებულად მოარგო მშობლიურ წარსულს და აქემენიდებისა და სასანიდების სამხედრო გამარჯვებები ჰაიკიდებსა და არშაკუდებს მიაწერა. თხრობა ირანულ სამყაროში გავრცელებული პოლიტიკური თეორიების მიხედვით გააწყო და მწყობრი კონცეფციით აზიური სამყაროს ფრიად მნიშვნელოვან ნაწილზე ჰაოსების უფლებების დასაბუთება სცადა. ანუ იმის თქმა მინდა, რომ სხვისი გამარჯვებებისა და მიწების მიტაცების სენი პირველად მოსე ხორენასმა შეჰყარა სომეხ ისტორიკოსებს და ეს დაავადება მათ გონებაზე ღრმა იარად რჩება დღემდე. მეტიც, სნეულება, როგორც ჩანს, სომხეთის პოლიტიკური ელიტის საკმაოდ დიდ ნაწილსაც გადაედო და ეს ყველაფერი უკვე ძვალ-რბილში ისე აქვთ გამჯდარი, რომ მისგან განკურნება მათ ძალ-ღონეს აღემატება, თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სნეულებისგან გათავისუფლების მცდელობა მათ, ფაქტობრივად, არც არასდროს მოსვლიათ თავში...

**— დასასრულს, მინდა ამონარიდი წაგიკითხოთ სომეხი დეპუტატის, შირაკ ტოროსიანის განცხადებიდან: „საქართველოსთან კარგი ურთიერთობის ფასი საკმაოდ დიდია. ამ ფასად ვკარგავთ ჯავახკს, ვინაიდან იქიდან სომხების მასობრივი ემიგრაცია მიმდინარეობს. თუ ეს პოლიტიკა გაგრძელდება, ჩვენ დავკარგავთ ჯავახკს. ამ შემთხვევაში საქართველოსთან მეგობრობა არ გვჭირდება, ძალიან რომც გვთხოვონ, მაინც“. როგორ ფიქრობთ, რამდენად სერიოზული საფრთხის შემცველია თუნდაც ეს კონკრეტული განცხადება?**

— ტოროსიანი ცნობილია როგორც ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი ანტიქართული პოლიტიკის გამტარებელი ადამიანი სომხეთის პარლამენტში, ამიტომ მისგან მსგავსი განცხადება ნამდვილად არ მიკვირს. ის არის თანამედროვე დაშნაკი, რომლის ინტერესები და მისწრაფებები რეალურად არაფრით განსხვავდება იმ იდეებისაგან, რომლებიც ჰქონდათ თავის დროზე სომხეთის დაშნაკურ მთავრობაში მყოფ რეაქციონერებს; ასე რომ, დარწმუნებული ვარ, მომავალში კიდევ უფრო მწვავე განცხადებებსაც მოვისმენთ, მაგრამ, ამის მიუხედავად, არა მგონია, ტოროსიანი რამე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდეს. ისე, მე თუ მკითხავთ, მიმაჩნია, რომ ყველა ასეთი გამოკვეთილი ანტიქართული განწყობის მქონე პოლიტიკოსს უნდა აეკრძალოს საქართველოში შემოსვლა და, დღეს თუ ვინმე ამას იმსახურებს, პირველ რიგში, ეს არის სწორედ ტოროსიანი. არაფერს ვამბობ მის გარშემო მყოფ იმ ნეოდაშნაკურ გარემოცვაზე, რომელიც დღესდღეობით ზურგს უმაგრებს ამ ადამიანს.

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

პრეზენტაცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„რეფორმებმა, რომლებზეც ხელისუფლება გამუდმებით საუბრობს, დიდი ხანია, ხალხზე ჩატარებული ცინიკური ექსპერიმენტის ხასიათი მიიღო. რეფორმებით მართლდება უმუშევრობა, სოციალური სიდუხჭირე, ჩამორჩენა განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში, ეკონომიკასა და სოფლის მეურნეობაში, სავალალო მდგომარეობა სასამართლო ხელისუფლების სისტემაში.“

ბიძინა ივანიშვილი:

# ჩვენ ისეთი სახელმწიფო გვჭირდება, სადაც სახელმწიფო ბიუროკრატია ემსახურება ხალხს და არა მმართველ პოლიტიკურ ელიტას

## ბიძინა ივანიშვილის მოხსენება «ქართული ოცნების» პრეზენტაციაზე

პირველ რიგში, მინდა მოგესალმოთ ყველას, ვინც მოახერხეთ და დღეს ჩვენთან ერთად ხართ ამ დარბაზში ან დარბაზის გარეთ შეიკრიბეთ. თქვენთან ერთად მივესალმები მათ, ვინც ტელეეკრანებთან და რადიომიმღებებთან ადევნებს თვალყურს ჩვენს შეკრებას.

მივესალმები მათ, ვინც ვერ გვიყურებს და ვერ გვისმენს, მაგრამ ჩვენსავით ფიქრობს. მივესალმები მათაც, ვინც ჩვენსავით არ ფიქრობს, მაგრამ ასევე უყვარს საქართველო და ოცნებობს მის საუკეთესო მომავალზე.

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა უფრო ფართო შეკრების მოწყობა, თუმცა წინ კიდევ ბევრი დიდი თუ პატარა შეკრება გველის და საბოლოოდ მთელ ქვეყანას ერთ მუშტად შევკრავთ თავისუფალი არჩევნების მოსაპოვებლად.

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ იქმნება როგორც საზოგადოების გამაერთიანებელი ძალა, რათა განხორციელდეს საზოგადოების კონტროლი და გავლენა სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესებზე.**

**ძლიერმა, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს ქვეყნის ბედი და მომავალი. ხალხი უნდა მონაწილეობდეს ქვეყნის მართვაში და აკონტროლებდეს არჩეულ ხელისუფლებას.**

მოძრაობა შექმნის რეგიონალურ სტრუქტურებს, რომელთა მთავარი ამოცანა იქნება სამართლიანი საარჩევნო გარემოს დამკვიდრებისთვის საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია, რათა დემოკრატიული არჩევნების გზით ქვეყნის სათავეში მოვიდნენ ის პოლიტიკური ძალები, რომლებსაც ხალხი დაუჭერს მხარს.

საზოგადოებრივი მოძრაობა მოიზიდავს გამოცდილ პროფესიონალებს ისეთ საკითხებზე სამსჯელოდ, როგორიცაა: მართლმსაჯულება და ადამიანის უფლებები, ეკონომიკური პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა, ეკოლოგია, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, მეცნიერება, კულტურა, საგარეო პოლიტიკა, კონფლიქტების მოგვარება, რეგიონული პოლიტიკა, ადგილობრივი თვითმმართველობა, ეროვნული უმცირესობები, უსაფრთხოება, ახალგაზრდობა და სპორტი.

შესაბამისი თემატური ჯგუფები შეისწავლიან ცალკეულ დარგებში არსებულ ვითარებას და შეიმუშავებენ განვითარების ეფექტიან მოდელებს. ჯგუფებში გაიმართება კონსულტაციები კონკრეტული სფეროების ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან.

**ჩვენი მიზანია სახელმწიფოს აღმშენებლობა იმ დემოკრატიულ სტანდარტებსა და პრინციპებზე დაყრდნობით, რომელსაც ვერ უზრუნველყოფს არსებული ხელისუფლება.**

**2003 წლის „ვარდების რევოლუციამ“, მიუხედავად თავდაპირველი წარმატებებისა, ვერ გაამართლა საზოგადოების უდიდესი ნაწილის მოლოდინი.**

სამოქალაქო საზოგადოება უხეშადაა ჩამოშორებული სახელმწიფოს მართვას. მოშლილია ადგილობრივი თვითმმართველობა. **არჩევითი ორგანოები მმართველ ელიტას ემსახურებიან.**

**აბუჩადაა აგდებული ქვეყნის კონსტიტუცია.**



«2003 წლის «ვარდების რევოლუციამ», მიუხედავად თავდაპირველი წარმატებებისა, ვერ გაამართლა საზოგადოების უდიდესი ნაწილის მოლოდინი»

მისი გადაკეთებისა და ერთ ადამიანზე მორგების დამკვიდრებული პრაქტიკა ყოველგვარ სამართლებრივ და მორალურ ნორმებს სცილდება.

ნორმად იქცა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გაუმჭვირვალობა და არამიზნობრივი გამოყენება. **გამეფებულია ელიტარული კორუფცია.**

**ადამიანის უფლებები პრაქტიკულად ყველა სფეროში ირღვევა. ციხეებში პოლიტიკური, უკანონო თუ მცირე დანაშაულის მქონე ათასობით პატიმარია გამომწყვდეული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის პირობებში.** ზეწოლა ხორციელდება მათ ოჯახებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელისუფლება არჩევნებისათვის ემზადება ან შექმნილი ვითარებით უფლებადამცველები ინტერესდებიან.

მასმედიის დიდი ნაწილი ხელისუფლების მორჩილებასა და საზოგადოების დეზინფორმაციაზეა ორიენტირებული. სამოქალაქო საზოგადოებას უკიდურესად შეზღუდული აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ობიექტური ინფორმაცია.

ქვეყანაში დამკვიდრდა ე.წ. ნომენკლატურული კაპიტალიზმი, რაც გულისხმობს ბიზნესის ლოიალობას და, ხშირ შემთხვევაში, სრულ ინტეგრაციას ხელისუფლებასთან. ეს გარემოება თავისთავად გამორიცხავს თავისუფალი კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებას და, შესაბამისად, სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას.

შედეგად მივიღეთ მონოპოლიებითა და კარტელური შეთანხმებებით მართული ეკონომიკა. ქვეყანაში არ არსებობს საშუალო ფენის, როგორც მდგარდი ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის მთავარი გარანტის, ჩამოყალიბების წინაპირობა.

**შორს ვარ იმ აზრისგან, რომ არსებული ვითარება მოსწონთ იმ ბიზნესმენებს ან ჟურნალისტებს, რომლებიც ამ მანკიერი თამაშის წესებს ემორჩილებიან. დარწმუნებული ვარ, რომ სულ მალე ისინიც ჩვენ გვერდით იქნებიან საქართველოს უკეთესი მომავლის მშენებლობაში.**

**უმუშევრობა ინტენსიურად მატულობს.**

დამახინჯებული ოფიციალური მონაცემების მიხედვითაც კი, ტენდენცია მკვეთრად უარყოფითია. უკიდურესად დამძიმდა ვითარება სოფლად. **სოფელი ღატაკდება და იცლება.**

დემოგრაფიული მაჩვენებლების ვარდნა ჩვენი შვილების თაობას ნაციონალურ კატასტროფას უქადის. ასიათასობით ჩვენი მოქალაქე, ქართველი თუ არაქართველი, გადახვეწილია ქვეყნიდან და, ხშირ შემთხვევაში, მონური შრომით ახერხებს ფიზიკურ გადარჩენას.

**ცალკეული სოციალური პროგრამების მიუხედავად, არცერთი წარმატებული რეფორმა არ განხორციელებულა ჯანდაცვის სფეროში.**

მოშლილია განათლების სფერო, ხოლო მეტ-ნაკლებად წარმატებულ სასწავლებლებში დაწესებული გადასახადები მრავალი ოჯახისათვის ხელმიუწვდომელია. უყურადღებოდაა მიტოვებული ქართული კულტურა, ანუ ის, რითაც ჩვენ ყოველთვის ვამაყობდით.

**საქართველოს უმძიმესი დარტყმა მიაყენა 2008 წლის აგვისტოს ომმა. უბედურება ეწვია მრავალ ქართულ, აფხაზურ და ოსურ ოჯახს; კონფლიქტებით გავლებული საზღვრების სხვადასხვა მხარეს დარჩნენ ოჯახის წევრები და ახლობლები. საქართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილი ოკუპირებულია. სავალალო პირობებში ცხოვრობს ათასობით დევნილი.**

საერთაშორისო ორგანიზაციების მასალების ანალიზი მოწმობს, რომ შესაძლებელი იყო კონფლიქტის ესკალაციის არიდება. უფრო მეტიც, შესაძლებელი იყო სამშვიდობო პროცესების წარმატებით განვითარება, რომ არა ხელისუფლების მიერ დაშვებული მძიმე შეცდომები.

**ხელისუფლებას არ გააჩნია კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკური რესურსები. არ არსებობს არც გეგმაზომიერი სტრატეგია, ხედვა მაინც, რომლის განვითარების ხელშესაწყობად მზად იქნებოდა საერთაშორისო თანამეგობრობა.**

ხელისუფლების „სტრატეგიის“ ერთადერთ მიმართულებად რჩება აპრობირებული „რუსული საფრთხის პრევენციის“ პრინციპი. ხელისუფლება ამ მოტივით ამართლებს სხვადასხვა ბრალდებით პოლიტიკურად აქტიური პირების დაჭერას, შპიონაჟის და ტერორიზმის ისტერიას, მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვებს. ▶

## ირანმა აშშ-ის საიდუმლო იარაღი ტელევიზიით აჩვენა

**ირანელმა სამხედროებმა პირველად ეთერში მათ ხელში მოხვედრილი უახლესი ამერიკული უპილოტო თვითმფრინავი აჩვენეს.**

ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის მეთაურის — ამირ ალი ხაჯიზადეხის განცხადებით, აშშ-ის საიდუმლო უპილოტო თვითმფრინავის ვარდნის მიზეზი ირანული სპეცსამსახურების კიბერშეტევა გახდა. ირანელი სამხედროების თქმით, უპილოტო თვითმფრინავი აღჭურვილია დაკვირვების უახლესი სისტემებით, მონაცემთა მიღებით, ელექტრონული კავშირითა და რადიოლოკაციით და მისი გამოყენებით სხვადასხვა სადაზვერვო მასალის მიღებაა შესაძლებელი.

## გერმანიას კვლავ რეცესია ელის

**უმსხვილესი გერმანული საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტის — Deutsche Bank-ის ანალიტიკოსების აზრით, Gგერმანია, შესაძლოა, რეცესიაში შევიდეს.** „ეკონომიკური ჩავარდნის ძირითადი მიზეზი გახდება ქვეყნის ეკონომიკის ექსპორტზე მკაფიო ორიენტაცია,“ — განაცხადა ბანკის მიკროეკონომიკის წამყვანმა სპეციალისტმა შტეფან შნაიდერმა. როგორც Deutsche Bank-ი იუწყება, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ 2012 წელს გერმანიის ეკონომიკის ზრდა ნულოვანი იქნება. ამავე დროს, Deutsche Bank-ი მსოფლიო ბაზრებისთვის 2012 წელს განიხილავს უფრო ხელსაყრელად, ვიდრე 2011 იყო.

**„სახელისუფლო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილად იქცა მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციის და შიდა დაპირისპირების გაღვივების მცდელობა. რომ არა პატრიარქის სიბრძნე, გარდაუვალი იქნებოდა კონფრონტაცია კონფესიებსა და ეროვნებებს შორის, რომელთა მშვიდობიანი თანაცხოვრებით ამაყობს ჩვენი ქვეყანა.“**

# პრეზენტაცია

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რუსეთის აგრესიასთან „პერმანენტული ბრძოლის“ მიზეზითვე ამართლებენ 2011 წლის 26 მაისს საპროტესტო აქციის განსაკუთრებული სისასტიკით დარბევას.

**სახელისუფლო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილად იქცა მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციის და შიდა დაპირისპირების გაღვივების მცდელობა.**

რომ არა პატრიარქის სიბრძნე, გარდაუვალი იქნებოდა კონფრონტაცია კონფესიებსა და ეროვნებებს შორის, რომელთა მშვიდობიანი თანაცხოვრებით ამაყობს ჩვენი ქვეყანა.

როგორც წესი, ხელისუფლებას მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ახსენდება ჩვენი თანამემამულე ეთნიკური უმცირესობები. თვალშისაცემია საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის მინიმალური ხარისხი. უკიდურესად დაბალია მმართველ რგოლებში მათი წარმომადგენლობის დონე.

**თვითნებურად ყალიბდება საარჩევნო კანონმდებლობა.**

საგანგებო სახელისუფლო ჯგუფი მუშაობს გაყალბების უკვე გამოყენებული პრაქტიკისა და მეთოდების დასახვეწად.

ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ჩვენი სრული გაუცხოება სამშობლოსაგან. მისი იდეოლოგია არის აპათია, მისი გეგმაა — გათიშე და იბატონე, **მისი ლოზუნგია — ვინც ჩემთან არაა, ჩემი მტერია.**

განსაკუთრებით მინდა შევეხო ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის აუცილებელი რეფორმებისა და, ზოგადად, ცვლილებების თავსებადობას საზოგადოების მოთხოვნებთან. ჩემი ღრმა რწმენით, არაადეკვატური მართვის სტრატეგიის გამო, **დღეს რეფორმის ცნება აშკარად დამახინჯებულია.**

რეფორმებად წოდებულმა გაუაზრებელმა მოქმედებებმა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გარიყა ინტელექტუალური და შრომითი რესურსების დიდი ნაწილი.

**რეფორმებმა, რომლებზეც ხელისუფლება გამუდმებით საუბრობს, დიდი ხანია, ხალხზე ჩატარებული ცინიკური ექსპერიმენტის ხასიათი მიიღო. რეფორმებით მართლდება უმუშევრობა, სოციალური სიდუხჭირე, ჩამორჩენა განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში, ეკონომიკასა და სოფლის მეურნეობაში, სავალალო მდგომარეობა სასამართლო ხელისუფლების სისტემაში.**

ხელისუფლების წარმომადგენლები თვლიან, რომ მათი ფსევდორეფორმებით აღშფოთების მიზეზი ქართული საზოგადოების მენტალიტეტია, თითქოს ქართული კულტურა ძნელად თავსებადია ლიბერალური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებთან. მათ მიაჩნიათ, რომ საზოგადოება ბნელია და ეწინააღმდეგება მისთვისვე სასიკეთო ცვლილებებს.

სინამდვილეში საქმე სწორედ რომ პირიქით არის. **მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის უნიკალობა იმითაც გამოიხატება, რომ ქართველი ხალხი შეუცდომლად გრძნობს და მხარს უჭერს ხოლმე ისეთ ნოვაციასა და ცვლილებებს, რაც ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესებშია.**

**ჩვენს საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდა და დღესაც არსებობს წესრიგის, კანონიერების, სამართლიანობის მოთხოვნა. ვიმეორებ, ხალხი მზადაა, მიიღოს და მხარი დაუჭიროს ისეთ რეფორმებს, რომლებიც რეალურად პასუხობს მათ ინტერესებს.**

ამის ნათელი ნიმუშია ის ორი პრეცედენტი, რომელიც ამ გაუაზრებელი, არსებითად თვითმიზნური რეფორმების პროცესში გამოვლინდა. ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამ კორუფციის სამარცხვინო ლაქა ჩამორეცხა საქართველოს განათლების სისტემას. საზოგადოება ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა ხელისუფლების ამ ნოვაციას, მაგრამ ამ კონკრეტული რეფორმის იქით განათლების სისტემაში უმძიმესი შეცდომებია დაშვებული.

წარმატებული იყო სამართალდამცავი სისტემის რეფორმაც, რომლის შედეგად მივიღეთ არაკორუმპირებული, კრიმინალთან ეფექტიანად მებრძოლი პოლიცია. ამ რეფორმას საქართველოში არ მოჰყოლია რაიმე რყევა, იგი მიმდინარეობდა სწორედ რომ ქართული საზოგადოების გამოკვეთილი მხარდაჭერის ფონზე.

დღეს საქართველოს პოლიციაში ათიათასობით ჩვენი თანამემამულე მუშაობს პროფესიული ღირსების შეგნებით. მით უფრო სამწუხაროა, რომ ასეთ თვალსაჩინო წარმატებას თან მოჰყვა გაუნუკითხავი სადამსჯელო ოპერაციები, გაუმართლებელი ადამიანური მსხვერპლი და, რაც მთავარია, სამართალდამცველი სტრუქტურების დაუფარავი პოლიტიზაცია, როდესაც მათ ხელისუფლება საზოგადოების დათრგუნვისა და დაშინების იარაღად იყენებს. ეს ანგრევს მიღწეულ წარმატებას.

**ჩვენ ისეთი სახელმწიფო გვჭირდება, სადაც სახელმწიფო ბიუროკრატია მოემსახურება ხალხს და არა მმართველ პოლიტიკურ ელიტას.**

საზოგადოების მოთხოვნაა სამართლიანობა და არა რეპრესია, რასაც ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით დაწყებული საშუალო სკოლებიდან, დამთავრებული სასამართლო ხელისუფლებით.

ხელისუფლებისთვის ჩვენ, ყველა — სხვაგვარად მოაზროვნეები, ქვეყნის მტრები და მოღალატეები ვხდებით მაშინაც კი, როდესაც უშუალოდ „ნაციონალურ მოძრაობას“ ან მის ლიდერს კი არ ვუპირისპირდებით, არამედ ვითხოვთ სამართლიან სასამართლოს, გამჭვირვალე საარჩევნო სიებს, თავისუფალ მედიას, ანუ, უბრალოდ, ვიცავთ ჩვენს კონსტიტუციურ უფლებებს; უფლებებს, რომლებმაც ჩვენ და ჩვენი სამშობლო ცივილიზებული სამყაროს ნაწილად უნდა აქციოს.

**დღეს ჩვენ ისეთი სახელმწიფოს მოქალაქეები ვართ, რომლის მმართველიც, მის მიერ ჩადენილ შეცდომათა გამო, მიუღებელია საერთაშორისო და საშინაო ასპარეზზე. ხელისუფლებამ სრულად ამოწურა ყველა საშინაო და საგარეო კაპიტალი და იქცა მთავარ ხელშემშლელ ძალად ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების გზაზე.**



**«საქართველოს უმძიმესი დარტყმა მიაყენა 2008 წლის აგვისტოს ომმა. უბედურება ეწვია მრავალ ქართულ, აფხაზურ და ოსურ ოჯახს; კონფლიქტებით გავლებული საზღვრების სხვადასხვა მხარეს დარჩნენ ოჯახის წევრები და ახლობლები. საქართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილი ოკუპირებულია. სავალალო პირობებში ცხოვრობს ათასობით დევნილი»**

დადგა დრო, თვალი გავუსწოროთ სიმართლეს და ჩვენს თავს დავუსვათ შეკითხვა: ხომ არ შეეგუა საქართველოს საზოგადოება არსებულ რეალობას — იმას, რომ გვისმენენ და გვითვალთვალებენ, უტიფრად გვატყუებენ, ღირსებას გვილახავენ, ხომ არ შევეგუეთ იმას, რომ „უპურო სანახაობის“ ქვეყანაში ვცხოვრობთ.

დადგა დრო, დავუბრუნოთ საქართველოს წარსული და ავაშენოთ ღირსეული მომავალი, ვიყოთ პირნათელი წინაპრებისა და მომავალი თაობის წინაშე.

**მიგვაჩნია, რომ:**

სახელმწიფოს მართვის სისტემა უნდა დავაფუძნოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების განუხრელ დაცვაზე;

უნდა აღვადგინოთ ბალანსი აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის, რაც გამორიცხავს ძალაუფლების თავმოყრას ერთი პოლიტიკური ძალის ხელში და ავტორიტარულ მმართველობას;

ნებისმიერი საკონსტიტუციო ცვლილება ან განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კანონი უნდა მივიღოთ მხოლოდ საზოგადოებასთან კონსულტაციების საფუძველზე;

მთავრობის საქმიანობა უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და მისი დამქირავებლის — საქართველოს ხალხის ინტერესების გამომხატველი, როგორც საბიუჯეტო ხარჯების, ისე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისას;

მედია უნდა გავათავისუფლოთ სახელმწიფო კონტროლისგან. იგი უნდა იქცეს ხელისუფლების კონტროლის მექანიზმად, რაც საზოგადოებას საშუალებას მისცემს, მრავალმხრივი, მიუკერძოებელი ინფორმაციის საფუძველზე გააკეთოს არჩევანი;

სასამართლო უნდა დავიცვათ ნებისმიერი გარე გავლენისგან, ხოლო მართლმსაჯულების აღსრულება უნდა დავაფუძნოთ ერთადერთ პრინციპზე — კანონის უზენაესობაზე.

გვწამს, რომ ამ პრინციპებისადმი საზოგადოების თითოეული წევრის ერთგულება „ქართული ოცნების“ ასრულებამდე მიგვიყვანს.

**დღეიდან ჩვენი მიზანია:**

ისეთი სახელმწიფოს აშენება, სადაც თითოეული მოქალაქისა და მთელი ქვეყნის კეთილდღეობის წარმატების საწინდარი იქნება პატიოსნება, ღირსება და პროფესიონალიზმი;

ჩვენი აფხაზი და ოსი თანამოქალაქეების ნდობის მოპოვება და ქვეყნის გამთლიანება;

ჩვენი მოქალაქეების დასაქმება და ღირსეული შემოსავლის უზრუნველყოფა;

დასავლური დემოკრატიის ღირებულებათა დანერგვა და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია;

სამართლიანობის დამკვიდრება და ჩვენს თანამემამულეებში იმედისა და რწმენის გაძლიერება;

ჩვენი მიზანია საქართველოს გამარჯვება და არა ვინმეს დამარცხება.

ჩვენ არ ვაპირებთ ახალი ისტორიის დაწერას 2012 წლიდან. ჩვენი ვალია აღვადგინოთ კავშირი წარსულსა და მომავალს შორის და ამ ჯაჭვში შევინარჩუნოთ საქმენიც და ადამიანებიც, რომლებიც ამ წლებში ახერხებდნენ და ემსახურებოდნენ არა ხელისუფლებას, არამედ ქართულ სახელმწიფოს. ჩვენ ერთად უნდა ვაშენოთ მომავლის საქართველო.

ჩვენი მიზნების აღსრულება არ არის უბრალოდ ჩვენი არჩევანი, ეს ჩვენი უზენაესი მოვალეობაა.

**ერთად ავაშენოთ თავისუფალი, ღირსეული მოქალაქეებით დასახლებული, ყველასთვის საოცნებო საქართველო!**

**«დღეს ჩვენ ისეთი სახელმწიფოს მოქალაქეები ვართ, რომლის მმართველიც, მის მიერ ჩადენილ შეცდომათა გამო, მიუღებელია საერთაშორისო და საშინაო ასპარეზზე. ხელისუფლებამ სრულად ამოწურა ყველა საშინაო და საგარეო კაპიტალი და იქცა მთავარ ხელშემშლელ ძალად ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების გზაზე»**



## იაპონიაში რადიაციამ ისევ გაჟონა



**იაპონიაში ქვეყნის სამხრეთით მდებარე „გენკაის“ ატომურ ელექტროსადგურზე რადიოაქტიური წყლის გაჟონვა მოხდა.** ამის შესახებ ინფორმაცია იაპონიის მთავრობამ გაავრცელა. ელექტროსადგურის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ რადიაცია არ გავრცელებულა. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში იზრდება დაძაბულობა მიმდინარე წლის მარტში „ფუკუსიმა-1“-ზე მომხადი ავარიის გამო, რაც ატომურ ელექტროსადგურებზე უსაფრთხოების სისტემების ფუნქციონირებას უკავშირდება.

## აშშ შეშფოთებულია

**აშშ იუწყება, რომ ირანელების მიერ ჩამოგდებულ უპილოტო თვითმფრინავს ცენტრალური სადაზვერვო სამსახური ირანის ბირთვულ ობიექტებზე ინფორმაციის შეგროვებისთვის იყენებდა.** ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზების გამო მასთან კავშირი დაიკარგა. ამჟამად ირანელი სამხედროების განკარგულებაში არსებული უპილოტო თვითმფრინავი ისე იყო დაპროგრამებული, რომ, ოპერატორთან კავშირის გაწყვეტის შემთხვევაში, თავად დაბრუნებულიყო ბაზაზე, მაგრამ ამ პროგრამამ არ იმუშავა და, სავარაუდოდ, ეს გახდა მიზეზი თვითმფრინავის ჩამოვარდნისა. ვაშინგტონში შიშობენ, რომ ამ უპილოტო თვითმფრინავის წარმოების ტექნოლოგიები რუსეთს ან ჩინეთს ჩაუვარდება ხელში.

საქართველო და მსოფლიო
ოპოზიცია?
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„უსინდისო კაცია ზაზა ქარსანიძე. იცით, რა იკადრა? მე მაგის სადევნელად სად მეცალა კონცერტის დაწყებამდე და აჭარის ტელევიზიისთვის მიუცია ინტერვიუ, ეს საქველმოქმედო კონცერტი „ქრისტიან-დემოკრატებმა“ დავაფინანსეთ, ჩვენი ეგიდით იმართებაო, უარესიც ქნა: უჩუმრად მოახერხა, კონცერტის წამყვანები გააფრთხილა წინასწარ და ორჯერ გამოაცხადებინა, რომ ამ კონცერტის დამფინანსებლები „ქრისტიან-დემოკრატები“ არიანო.“



# გიორგი ახვლედიანმა სამჯერ გამიმეორა — ქარსანიძე გავრიცხეთ პარტიიდან, გავაგდეთ და ამით მოვრჩეთ, ჩვენ ვერაფრით დაგეხმარებითო

**ჯაბა მურცხვალაძის სახელი, მგონი, ყველამ იცის საქართველოში. ჯაბა სამშობიარო ტრავმით დაიბადა, ჰიდროცეფალიის დიაგნოზით, და ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, ეს ბავშვი ინვალიდის ეტლს თუ მოსწყდებოდა და გაივლიდა. მამის, გოგიტა მურცხვალაძის შეუპოვრობით, უფლისა და კეთილი ადამიანების შემწეობით, ჯაბამ მკურნალობის არაერთი კურსი გაიარა, მათ შორის, 5 ურთულესი ოპერაცია გაუკეთდა. მართალია, პირველი და მესამე ოპერაციის დროს მძიმე შეცდომები დაუშვეს, მაგრამ მამა-შვილი ბრძოლას არ წყვეტდა. სასწაული 2000 წლის გაზაფხულზე მოხდა — მედიკოსთა საერთო დასკვნით, ინვალიდის ეტლისთვის გამეტებულმა 8 წლის ჯაბა მურცხვალაძემ სამთავროს მონასტერში, ბერ გაბრიელის საფლავზე პირველად გაიარა.**

## გოგიტა მურცხვალაძე:

## ჩემი ინვალიდი შვილის ლუკმას, ჩემი და ჯაბას აბუჩად აგდებას «ქრისტიან-დემოკრატებს» არ შევარჩენ!

**„ეს უფლის სასწაული იყო და, ცხადია, შედეგი იმ ადამიანების ქველმოქმედებისა, რომლებიც მხარში დამიდგნენ და ჯაბას მკურნალობისთვის არაფერი დაიშურეს,“** — იგონებს გოგიტა მურცხვალაძე.

„საქართველო და მსოფლიოს“ ამ ამბის გასახსენებლად არ სწვევია გოგიტა მურცხვალაძე. ჯაბა ამჟამად 19 წლისაა, I ჯგუფის ინვალიდი და კვლავაც ინტენსიურ მკურნალობას საჭიროებს, რაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ამიტომაცაა, რომ ქველმოქმედ ადამიანებს გამუდმებით ეძებს ჯაბას მამა — ღმერთმა ჯაბას სიცოცხლე შეუნარჩუნა და მამა მოვალეა, შვილს ყველაფერი გაუკეთოს, რათა ის ტკივილი, რასაც ინვალიდობა ჰქვია, შეუმსუბუქოს და მისი გამოჯანმრთელებისთვის იბრძოლოს.

**გოგიტა მურცხვალაძე, არც მეტი და არც ნაკლები, აცხადებს, რომ „ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის“ წარმომადგენლებმა, მეტიც, ლიდერებმა, ის „გადააგდეს“ — მას და მის ინვალიდ შვილს ლუკმა წაართვეს: დახმარებას დაჰპირდნენ, მაგრამ საბოლოოდ 1300 ლარი ვალად აჰკიდეს.**

**— ბატონო გოგიტა, მოდით, თავიდან დავიწყოთ: რატომ და როდის მიხვედით „ქრისტიან-დემოკრატებთან“ და როგორ დაიწყო თქვენი ურთიერთობა?**

— ჩემი ინვალიდი შვილის და არა მარტო ჩემი შვილის გამო საქველმოქმედო აქციების მოწყობის მრავალწლიანი გამოცდილება დამიგროვდა. შარშან, ადგილობრივი არჩევნების წინ, გადავწყვიტე, რომელიმე პოლიტიკური პარტიისთვის მიმემართა დახმარებისთვის, მინდოდა, საქველმოქმედო კონცერტი გამემართა, მცირე თანხა დამრჩებოდა შვილის სამკურნალოდ და რომელიმე პარტია ამ აქციას პიარისთვის გამოიყენებდა. ახალს არაფერს ვამბობ, უამრავი ასეთი აქცია გამართულა. რატომღაც „ქრისტიან-დემოკრატებს“ მივადექი ოფისში, ცაგარელის ქუჩაზე. ვიკითხე, ასეთ საკითხებს ვინ განაგებს-მეთქი. მითხრეს, რომ ამგვარ საკითხებს წყვეტდა ზაზა ქარსანიძე. ეს კაცი პარტიის ცენტრალურ ოფისში იჯდა. შემხვდა, ავუხსენი, რაც მინდოდა, ვუთხარი, საქველმოქმედო კონცერტი მინდა ჩავატარო ბათუმის თეატრში, ამდენი და ამდენი ჯდება, დააფინანსეთ ეს კონცენტი და გამოიყენეთ წინასაარჩევნოდ-მეთქი. ქარსანიძემ ჩემი მობილური ტელეფონის ნომერი ჩაიწერა, საკუთარი მომცა და მითხრა, დაგირეკავო. მართალია, დამირეკა რამდენიმე დღეში და მითხრა, რომ თანახმა იყო კონცერტი დაეფინანსებინა, მაგრამ წინასაარჩევნოდ არ გვინდა, არჩევნების მერე გავაკეთოთ ეგ საქმეო. კეთილი, მაშინ ინვალიდთა დაცვის დღეს, 14 ივლისს გავმართოთ კონცერტი, უკეთესი იქნება-მეთქი. კარგიო, მითხრა და ამის მერე სისტემატიურად საქმის კურსში მყავდა, დეტალებს ვუთანხმებდი...

საკმაოდ სოლიდური კონცერტი იყო დაგეგმილი ბათუმის თეატრში. სატელევიზიო პროექტ „ნიჭიერის“ პირველი ათეული — ამირან შარვაძე, გულნაზი გოლეთიანი, მარიამ კახელიშვილი, ანი ხანჩალიანი... ყველა დამთანხმდა, რომ უჰონორაროდ ემღერათ; რამდენიმე მომღერალი ბათუმიდანაც იყო.

**— სულ რა ჯდებოდა ეს კონცერტი?**

— ბათუმის თეატრის ერთი კონცერტისთვის დაქირავება 3000 ლარი ღირს. თეატრის დირექტორმა, ზაზა ხალვაშმა დიდი შეღავათი გამიწია — 1500 ლარად მომაქირავა დარბაზი, ანუ ამ კაცმა ქველმოქმედება გასწია. ამ 1500 ლარის გარდა, საჭირო იყო აფიშების, პლაკატების დაბეჭდვა... სულ 2700-2800 ლარი ჯდებოდა. ეს პლაკატები და აფიშები, ასე ვთქვათ, „პოსლეზე“ დავაბეჭდინე, რადიო „აჭარაში“ უკვე მიდის კონცერტის რეკლამა-ანონსი, ყველამ იცის, 14 ივლისს, აჭარის თეატრში უნდა გაიმართოს კონცერტი. ცხადია, ზაზა ქარსანიძემ იცის, რომ მაქსიმუმ 2800 ლარი ჯდება. მოკლედ, კონცერტამდე დაახლოებით 10 დღით ადრე მირეკავს ზაზა ქარსანიძე და მეუბნება, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მთლიან თანხას — 2700 თუ 2800 ლარს ვერ დავფარავთ, მაგრამ თეატრის ქირას — 1500 ლარს გადავიხდითო.

**— ვისი სახელით გელაპარაკათ ზაზა ქარსანიძე — საკუთარი თუ პარტიის ლიდერების?**

— ცხადია, პარტიის ლიდერების, რადგან მითხრა, ასე გადავწყვიტეთ პარტიაშიო. ისიც მითხრა, რომ თეატრის ქირას უეჭველად გადაიხდიდნენ, ამისი ნუ გედარდებაო. წეღან რომ გითხარით, აფიშები, ბანერები და პლაკატები დავბეჭდე „პოსლეზე“-მეთქი. მინდა ახლა დავაზუსტო: როცა ზაზა ქარსანიძემ მითხრა დაბეჯითებით, რომ თეატრის ქირას გადავიხდითო, მაშინ გადავწყვიტე მათი დაბეჭდვა, რეკლამაც მერე გავუშვი რადიოში. ვიფიქრე, არ ვიზარალებ-მეთქი. თან ეს ყველაფერი ქარსანიძეს შევუთანხმე.

ერთი კვირა რჩება კონცერტის დაწყებამდე, ვურეკავ ქარსანიძეს, მაგრამ ან არ პასუხობს ჩემს ზარებს, ან გათიშული აქვს ტელეფონი, არადა, კონცერტს ვერ გადავდებ, გამორიცხულია. მივხვდი, **ქარსანიძემ „გადამაგდო“. საბედნიეროდ, ჩემი თბილისელი მეგობარი დამეხმარა, „ელიტ ელექტრონიქსის“ მესვეურთ სთხოვა და ამ კომპანიამ, იმავე დღეს გადმომირიცხა 800 ლარი.**

კონცერტის თეატრში გამართვა გამორიცხული იყო უკვე, რადგან ზაზა ხალვაშმა, რომელმაც დიდი პატივი დამდო, მთხოვა, 1500 ლარის ნაწილი წინასწარ ბეს სახით გადამეხადა. იძულებული გავხდი თეატრზე უარი მეთქვა, „ელიტ ელექტრონიქსმა“ ამის მერე გადმომირიცხა ეს 800 ლარი. გადავწყვიტე, „ერას“ მოედანზე, ღია სცენაზე გამემართა კონცერტი. ვინც სცენა და აპარატურა მომაქირავა, მათაც დიდი შეღავათი გამიწიეს.

**— ზაზა ქარსანიძე საერთოდ არ გამოჩენილა?**

— გამოჩნდა, მაგრამ ნეტა არ გამოჩენილიყო! კონცერტის დღეს ჩამოვიდა ბათუმში. რაღა დაგიმალოთ, გავიწიე მასზე, მაგრამ დამაკავეს. ქარსანიძე მოვიდა და მებოდიშება — რაღაც ოჯახური პრობლემა მაქვს, სხვა დროს გეტყვი, შენც გამიგე, ადამიანი არა ხარო?

**— რა პრობლემა ჰქონდა ქარსანიძეს?**

— არ ვიცი, არ უთქვამს. დავემუქრე, ამ ამბავს ასე არ დავტოვებ, შენს უფროსობას შევატყობინებ პარტიაში და პრესითაც გავახმაურებ-თქო. ამ დროს დამირეკა ზაზა ქარსანიძის დედამ, ოღონდ პარტიაში არ დარეკო და ზაზას ხელმძღვანელები არ ჩააყენო საქმის კურსში, აი, მე ოქროს ვყიდი თუ ვალომბარდებ და რაღაც თანხას მოგცემთო. მართლაც, 650 ლარი ჩამირიცხა ქარსანიძემ. ბოლოს აღიარა, რომ პარტიიდან ის 1500 ლარი მიუციათ და თავად დაუხარჯავს.

**— და ეს პარტიის ლიდერებმა არ იცოდნენ?**

— ქარსანიძე ძალიან უცნაურად იქცეოდა. ჯერ ხომ ეგ მითხრა, რომ ის 1500 ლარი მე დავხარჯეო. მე ვუთხარი, ვიდრე სრულად არ დაფარავ დარჩენილ თანხასაც, არავითარ შემთხვევაში არ გავჩერდები-მეთქი. შეცბა და მითხრა, კარგი, მოვაგვარებ ამ საკითხსო. აიღო ტელეფონი, დაურეკა ვიღაცას და კარგა ხანს ელაპარაკა. რა უთხრა, არ ვიცი, მაგრამ მოვიდა და მითხრა — **ახლა ველაპარაკე ლევან ვეფხვაძეს, ასე მითხრა, ოღონდ გოგიტა ახლა ნუ ატეხს სკანდალს და ძალიან მალე ჯაბას ჩვენ სოლიდურ საჩუქარს გავუკეთებთო. ახლაც ველოდები ამ „სოლიდურ საჩუქარს“.**

**— მართლა ლევან ვეფხვაძეს ელაპარაკა ტელეფონით თუ მოგატყუათ?**

— არ ვიცი, მე კი მითხრა, ველაპარაკეო და... **უსინდისო კაცია ზაზა ქარსანიძე. იცით, რა იკადრა? მე მაგის სადევნელად სად მეცალა კონცერტის დაწყებამდე და აჭარის ტელევიზიისთვის მიუცია ინტერვიუ, ეს საქველმოქმედო კონცერტი „ქრისტიან-დემოკრატებმა“ დავაფინანსეთ, ჩვენი ეგიდით იმართებაო, უარესიც ქნა: უჩუმრად მოახერხა, კონცერტის წამყვანები გააფრთხილა წინასწარ და ორჯერ გამოაცხადებინა, რომ ამ კონცერტის დამფინანსებლები „ქრისტიან-დემოკრატები“ არიანო.**

იქვე თუ არ მოვკვდებოდი, არ მეგონა, შემძრა ამხელა უსინდისობამ. ორჯერ მქუხარე ტაშმა იხუვლა „ქრისტიან-დემოკრატთა“ საპატივცემულოდ, მაგრამ სცენაზე ხომ არ ავვარდებოდი და ხომ არ ვიყვირებდი მიკროფონში — ტყუილია ეს და ზაზა ქარსანიძე უსინდისო კაცია-მეთქი?

**— თქვენ არ შეგითანხმათ, ამას რომ აპირებდა?**

— ლევან ვეფხვაძეს როცა ელაპარაკა, „სოლიდური დახმარებას“ რომ დამპირდა, მაშინ **მთხოვა, ოღონდ ახლა გაჩერდი, ჩვენი პარტიის ეგიდით ჩატარდეს კონცერტი და ყველაფერი რიგზე იქნებაო.** მაგრამ მე უარი ვუთხარი, ვეღარ ვენდობოდი იმ კაცს, რომელმაც აღიარა, რომ საკუთარ პარტიას ფული მოუტეხა, თან რა ფული — ინვალიდი ბავშვისთვის საქველმოქმედოდ გამოყოფილი 1500 ლარი.

**— ბატონო გოგიტა, თუ ასეთ შავ დღეში იყავით და ლამის კონცერტი ჩაგეშალათ, ვერ მიაწვდინეთ ხმა „ქრისტიან-დემოკრატების“ რომელიმე ლიდერს? იქნებ გვარდებოდა პრობლემა? ბოლომდე ზაზა ქარსანიძეს რატომ ენდეთ?**

— არ ვენდე, კაცო, ბოლომდე. როცა პირველად აორთქლდა ქარსანიძე, ანუ კონცერტამდე დაახლოებით 1 კვირით ადრე, მაშინ დავურეკე „ქრისტიან-დემოკრატების“ აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარეს, აჭარის პარლამენტის წევრ ნიაზ ზოსიძეს, რომელმაც, ბოდიში და, ორჯერ ფეხებზე დამიკიდა, წესიერადაც არ მომისმინა...

**— რატომ დროულად არ მიმართეთ პრესას?**

— გეტყვით. ამ კონცერტის მერე ჩამოვედი თბილისში, მივედი ამ პარტიის ოფისში ისევ, პარტიის პრეს-ცენტრის უფროსი ჯონი კალანდაძე ვნახე; დალოცოს ღმერთმა, მომისმინა, თანამიგრძნო ამ კაცმა და შემახვედრა გიორგი ახვლედიანს, მოვუყევი ყველაფერი დეტალურად. ახვლედიანმა მითხრა — კი, ვიცით ეგ ამბავი და ზაზა ქარსანიძე გავრიცხეთ პარტიიდანო. ყოჩაღ, ბატონო გიორგი, კარგად მოქცეულხართ, მაგრამ ჩემს გაჭირვებას ეს ვერ წაადგება-მეთქი. შევახსენე, 1300 ლარი მადევს ვალად კისერზე, ქარსანიძემ ინვალიდი ბავშვის ფული შეჭამა და მარტო გარიცხვა კმარა-მეთქი? ვინ გადამიხდის იმ 1300 ლარს-თქო, — ვკითხე. **გიორგი ახვლედიანმა სამჯერ გამიმეორა — ქარსანიძე გავრიცხეთ პარტიიდან, გავაგდეთ და ამით მოვრჩეთო, ჩვენ ვერაფრით დაგეხმარებითო.**

**— თვლით, რომ „ქრისტიან-დემოკრატები“ მოვალენი არიან, დაგიფარონ ეს თანხა?**

— იცით, ცუდი სიტყვაა ამ შემთხვევაში „მოვალე“, როცა საქმე ქველმოქმედებას ეხება. მაგრამ თუ ასეა, ვიტყვი: დიახ, ეს თანხა მათი დასაფარია. **ქარსანიძემ თუ პარტიის ფული შეჭამა, ეს ხომ ჩემი ბრალი არ არის? მოატანინონ ის ფული უკან და, რასაც ქარსანიძე პარტიის სახელით დამპირდა, გააკეთონ ის.**

ახლა, თქვენ და მკითხველი რომ არ დაიბნეთ, ერთ დეტალს განვმარტავ, რადგან ეს კითხვა ორთავეს გაგიჩნდებათ: ქარსანიძე 1500 ლარს დამპირდა და 650 ლარი მომცა, მისაცემი დარჩა 850 ლარი და 1300 ლარს რატომ ედავებითო, იკითხავთ. ქარსანიძეს რომ მოეცა 1500 ლარი დროულად და ბათუმის თეატრი მექირავებინა, მაშინ ვალი აღარ დამედებოდა. თეატრი რომ ვერ ვიქირავე, სწორედ ამიტომ ცალკე სცენა ვიქირავე, ცალკე — აპარატურა და ამან გამიზარდა ხარჯი 2000 ლარამდე, თორემ თეატრში სცენაც იყო, აპარატურაც და 1500 ლარი ღირდა ორივე. რაც შეეხება ქარსანიძის მოცემულ თანხას, იმით სტამბა გავისტუმრე და სხვა წვრილმანი ხარჯიც მქონდა.

**— გიორგი თარგამაძემდე ვერ მიაღწიეთ? იქნებ პარტიის ლიდერი არ არის საქმის კურსში და მან მოგიგვაროთ პრობლემა?**

— ეგ მეც ვიფიქრე და ორიოდ კვირის წინ შევხვდი ზაზა გაბუნიას; ახლა მას მოვუყევი ყველაფერი. გაბუნია შემპირდა, ვეტყვი თარგამაძეს ყველაფერსო. გაბუნია შეხვდა თარგამაძეს და უთქვამს ჩემი პრეტენზიების შესახებ. **გიორგი თარგამაძემ — ეგ კაცი გასტუმრებული გვყავსო.**

გაბუნიამ სმს-ით შემატყობინა ეს ამბავი. ჰოდა, როცა იმედი საბოლოოდ გადამეწურა — არც ქარსანიძისა და მისი დედის შეპირებული თანხა ჩანს და არც ლევან ვეფხვაძის „სოლიდური დაპირება“, გადავწყვიტე, პრესისთვის მიმემართა. ისე, თქვენამდე რამდენიმე გაზეთში ვიყავი და, „ქრისტიან-დემოკრატები“ ვახსენე თუ არა, უარი მითხრეს ჩემი პრეტენზიების პრესით დაფიქსირებაზე — ჩვენი კოლეგები არიან და ვერ დავარტყამთო. ინვალიდი ბავშვის ლუკმას ვინც შეჭამს, ისინი რანაირი კოლეგები არიან ჟურნალისტების, თან პოლიტიკოსები, ვერ გავიგე?!

**— ახლა რას აპირებთ, ბატონო გოგიტა?**

— „ქრისტიან-დემოკრატები“ ამ თანხას თუ არ გადაიხდიან, მოვუწყობ აქციებს, ძალიან არაორდინალურ აქციებს, სასამართლოსაც მივმართავ. წინასწარ მეტს არაფერს ვიტყვი. **ვიმეორებ, ჩემი ინვალიდი შვილის ლუკმას, ჩემი და ჯაბას აბუჩად აგდებას არავის შევარჩენ.**

**ლევან ჯავახიშვილი**

**P.S. „საქართველო და მსოფლიომ“ „ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერს, ლევან ვეფხვაძეს დაუკავშირდა აღნიშნულ საკითხზე კომენტარისთვის. ის შეგვპირდა, რომ ამ თემაზე კომენტარს ან თავად გააკეთებდა, ან მაგდა ანიკაშვილი, რომელიც ამ საკითხში უკეთ იყო ჩახედული. გოგიტა მურცხვალაძესაც მასზე უკეთ იცნობდა. ამის შემდეგ კიდევ ორჯერ შევახსენეთ ვეფხვაძეს ეს საკითხი და გვითხრა, რომ დაგვიკავშირდებოდა, მაგრამ, ვეფხვაძე აღარ შემოგვხმიანებია.**

**2009 წლის იანვრიდან გაუქმდა ჯანდაცვის რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელთა გაუქმებამ მოსახლეობისთვის ძალიან მძიმე შედეგი გამოიღო. ესენია: ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა, ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა, მოსახლეობის ურგენტული (ანუ გადაუდებელი) მომსახურების პროგრამა, ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა.**

მედიცინა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მარინა ბერაძე:**

# მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ყველა თავის წევრ ქვეყანას მოუწოდებს, გარკვეული მედიკამენტები ყველგან და ყველასთვის ხელმისაწვდომი ან უფასო იყოს

## ჩვენთან ეს მითითება არ სრულდება

**რატომ არ ასრულებს საქართველო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მითითებებს, როგორ მუშაობს ქვეყანაში ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები და აქვს თუ არა მოსახლეობას საჭირო ინფორმაცია, — „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება „წინააღმდეგობის მოძრაობის" მედიაომბუდსმენი, ასოციაციის „გვახსოვდეს ჰოპოკრატე" ხელმძღვანელი მარინა ბერაძე.**

**— რა სახის ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები ფუნქციონირებს ამ დროისთვის ქვეყანაში და რა დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია მას?**

— 2011 წელს ქვეყანაში მოქმედი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო დაახლოებით 6 მილიონი ლარი, რაც ქვეყნის ბიუჯეტის მხოლოდ 2%-ს შეადგენდა. რა იქნება 2012 წელს, ჯერჯერობით უცნობია.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჯანდაცვისთვის გამოყოფილი თანხა ჯერ 5 მილიონი ლარით, შემდეგ კი 7 მილიონით შეამცირეს. როგორც ჩანს, სახელმწიფოს სხვა პრიორიტეტები აქვს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მართალია, 2003 წლიდან 2011 წლამდე ჯანდაცვის დაფინანსება ყოველწლიურად იზრდებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ თანხების განკარგვა არასწორად ხდებოდა, მოსახლეობის მდგომარეობას ეს მაინც არ ამსუბუქებდა.

**2009 წლის იანვრიდან სამინისტროში გაუქმდა ადრე არსებული სახელმწიფო პროგრამები და შედეგად მოსახლეობის 42% სახელმწიფოს ხარჯზე პირველადი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების, ხოლო 75% სახელმწიფოს ხარჯზე გადაუდებელი დახმარების გარეშე დარჩა. ამ ყველაფრის სანაცვლოდ, მოსახლეობას მიაწოდეს ე. წ. ხუთლარიანი დაზღვევა.**

ჩამოვთვლი ჯანდაცვის რამდენიმე სახელმწიფო პროგრამას, რომელთა გაუქმებამ მოსახლეობისთვის ძალიან მძიმე შედეგი გამოიღო. ესენია: ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა, ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა, მოსახლეობის ურგენტული (ანუ გადაუდებელი) მომსახურების პროგრამა, ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა.

საყურადღებოა, რომ **2011 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპატარის შენახვის თანხები გაიზარდა 2 მილიონ 635 ათას 900 ლარით, მაშინ, როდესაც ჯანდაცვის ბიუჯეტი 5 მილიონ 167 ათას 500 ლარით შემცირდა.** ამას გარდა, საინტერესოა, როგორ ფინანსდება ეს პროექტები. შეიძლება ითქვას, რომ **სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებით 5-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობა ვერ სარგებლობს.** ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში ასაკობრივი ზღვარია დაწესებული, რაც დისკრიმინაციაა. მსოფლიომ მსგავსი მაგალითი არ იცის. მაგალითად, გაურკვეველია, რატომ ეკუთვნის ჯანდაცვის პროგრამით დაფინანსება 60 წლის და უფროს ადამიანს და 59 წლისას არა? ან, მაგალითად, 3 წლამდე ბავშვს თუ ეკუთვნის ოპერაციის დაფინანსება, 5 წლისას რატომ აღარ ეკუთვნის? მართალია, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობას აქვს ე. წ. სადაზღვევო პაკეტი უმწეოებისთვის, მაგრამ თავად ამ პროგრამებითაც მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი სარგებლობს, ვინაიდან **ოფიციალურად ქვეყანაში უმწეო 1 მილიონ 800 ათასი კაცია, პროგრამაში კი მხოლოდ 900 ათასია რეგისტრირებული.** უამრავი ადამიანი გვირეკავს, რომლებიც, მისთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, ამ პროგრამებიდან ამოიღეს.

საერთოდ, ამ პროგრამებში გარკვევა ძალიან რთულია. რომ წაიკითხოთ, გეკუთვნით თუ არა ჯანდაცვის პროგრამიდან დაფინანსება, ძალიან დაიბნევით. უამრავი ქვემდებარე აქტია, რომელთაც ადამიანი ვერ გაიგებს. მაგალითად, წერია, რომ ამ პროგრამების მთავარი მიზანი არის მიზნობრივი ჯგუფებისთვის ფინანსური გარანტიების შექმნა სამედიცინო მომსახურების მიზნით, ანუ **პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ქართული სახელმწიფო ჯანდაცვა ყველას დასახმარებლად არ არის მოწოდებული, არამედ — მხოლოდ მიზნობრივი ჯგუფებისთვის.** ამ კრიტერიუმებით შერჩევა კი არანაირ მტკიცებულებებს არ ემყარება. **როგორც აწყობთ, ისე არჩევენ, ვინ უნდა დააფინანსონ.**

მაგალითისთვის განვიხილოთ ოთხი პროგრამა, რომლებიც ნამდვილად არ არის მიზნობრივი ჯგუფებისთვის და ნებისმიერ ჩვენგანს შეიძლება დასჭირდეს. მაგალითად, ასეთია ინფექციური დაავადებების მართვა. ამ პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურება ანაზღაურდება თანაგადახდის პრინციპის გამოყენებით. 18 წლამდე პირებისთვის თანაგადახდის წილი შეადგენს ფაქტობრივი ხარჯის 20%-ს. 80% პროგრამის ხარჯზე იფარება. 18-დან 60 წლამდე ასაკის მოქალაქეების თანაგადახდის წილი შეადგენს 50%-ს, ხოლო, 60 წლის და უფრო მეტი ასაკის პირებისთვის თანაგადახდის წილი შეადგენს 30%-ს და, როდესაც ადამიანს აინტერესებს ინფექციური დაავადებების დაფინანსება ხდება თუ არა ქვეყანაში, ხელისუფლების წარმომადგენელი ეტყვის, რომ ხდება, ოპოზიციის წარმომადგენელი ეტყვის, რომ არ ხდება, ანუ თან ხდება და თან არა, მაგრამ მოსახლეობა სათანადო ინფორმაციას არ ფლობს. ერთადერთი ინფორმაცია, რომელიც მოსახლეობას მიეწოდება, ხელისუფლების პიარია. გაპიარებულია რომელიმე კლინიკა, სადაზღვევო კომპანია, რაც მოსახლეობისთვის არაფრის მომცემი არ არის.



**რაც შეეხება ონკოლოგიურ დაავადებებს, მუნიციპალური სკრინინგის პროგრამა დაფინანსებულია დონორი ორგანიზაციების მიერ, სანდრა რულოვსის სკრინინგის ცენტრიც მუშაობს, მაგრამ ეს პროგრამებიც ეკუთვნით მხოლოდ 40-45 წლის ზემოთ მყოფ პირებს, მანამდე კი მკურნალობა ფასიანია. პროგრამის მიზანია, 18 წლამდე და 60 წლის ზემოთ ასაკის ონკოლოგიური პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. ისმის კითხვა: რა უნდა ქნან სხვებმა? გამოდის, რომ მხოლოდ პაციენტის ჯიბიდან არის თანხა გადასახდელი და სტატისტიკურად, 85% საკუთარი ჯიბიდან იხდის მკურნალობის თანხას, ხოლო თუ თანხა არ აქვს, განწირულია. ამიტომაცაა, რომ ქალაქში ბევრი შემთხვევაა, როცა სამედიცინო მომსახურებისთვის გადახდილი თანხის გამო ოჯახი უსახლკაროდ დარჩენილა. ეს არის ტრაგედია.**

გულის ქირურგიული პროგრამაც 60 წლის და მეტი ასაკის ადამიანებს ეკუთვნით. ისევ ისმის კითხვა: სხვებმა რა ქნან? არადა, ბოლო წლებში დაავადება „გაახალგაზრდავდა". გამოდის, რომ ახალგაზრდები სრულიად დაუცველები არიან.

საყურადღებოა, რომ რეფერალური მომსახურების პროგრამის **„ა"** პუნქტში წერია, რომ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს: სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და, რაც საინტერესოა, საქართველოს მთავრობის მიერ სხვა განსაზღვრული შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარებას. გამოდის, რომ სტიქიური უბედურებისა თუ კატასტროფის დროს დაზარალებული ადამიანები მიიღებენ თუ არა სამედიცინო მომსახურებას, საქართველოს მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს სტიქიურად და არანაირი შერჩევის კრიტერიუმი არ არსებობს, რატომ უნდა დაფინანსდეს, მაგალითად, პეტრე და პავლე არა.

**საინტერესოა, რომ „ბ" პუნქტის მიხედვით ხდება საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირთა, მათი ოჯახის წევრთა გეგმიური სამედიცინო ხარჯების ანაზღაურება. ხომ კარგად არიან დაცულები? მათ ხელფასებიც მაღალი აქვთ, დაზღვევაც და რეფერალური პროგრამაც უზრუნველყოფს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას. ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მალე ჩვენ გვეყოლება ჯანმრთელი ხელისუფლება და ავადმყოფი მოსახლეობა ან საერთოდ აღარ გვეყოლება.**

მოსახლეობის ურგენტული მომსახურება — ესეც მხოლოდ 60 წლის ზემოთ ასაკის მოქალაქეებისთვის. არადა, ამ დროს ოპერაცია ან მკურნალობა სასწრაფოა და, თუ მკურნალობა დაგვიანდა, პაციენტი ან დაიღუპება, ან დაინვალიდდება.

მაგალითად, ტუბერკულოზით დაავადებულებისთვის მკურნალობა უფასოა, მაგრამ ტუბერკულოზის პროგრამით რომ ისარგებლო, ჯერ უნდა დაამტკიცო, რომ ეს დაავადება გაქვს. ანკეტა უნდა გახსნა, 60 ლარი გადაიხადო, შემდეგ სხვადასხვა გამოკვლევა უნდა ჩაიტარო საკუთარი ფინანსებით და ექიმის ზედამხედველობით. ეს ყველაფერი კი ფასიანია და ამის საშუალება ბევრს არ აქვს, რადგან ხშირად სოციალური პირობებია ამ დაავადების გამომწვევი, ტუბერკულოზი ღარიბების დაავადებად ითვლება, ამიტომ ხშირად დაგვიანებულია, როცა ექიმს აკითხავენ.

**— თქვენ აღნიშნეთ, მოსახლეობას სათანადო ინფორმაცია არ აქვსო. სამკურნალო დაწესებულებებშიც არ ეუბნებიან პაციენტს, რა დაფინანსება ეკუთვნის?**

— არ ეუბნებიან. საავადმყოფოში თანხის გადახდა, ხომ იცით, როგორც ხდება? ვთქვათ, ხართ დაზღვეული, უნდა უმტკიცოთ სადაზღვევო აგენტს, რომ ნამდვილად ავად ხართ და მკურნალობა გჭირდებათ. ის ეცდება, დაგიმტკიცოთ, რომ თანხა არ გეკუთვნით.

**— რაც შეეხება მედიკამენტების ფასებს, რამდენად მისაღები ფასებია საქართველოში?**

— მედიკამენტების ფასები სამ-ოთხჯერ უფრო ძვირია, ვიდრე ევროპაში. ეს იმიტომ ხდება, რომ სახელმწიფო არ ერევა ფასწარმოქმნის პროცესში. ეს არის ლიბერტარიანული მიდგომა, რაც მედიცინაში, ჩემი აზრით, მიუღებელია. თავისუფალი ბაზარი ვერ დაარეგულირებს ფასებს, მაშინ, როდესაც კანონმდებლობაში დიდი ხარვეზებია. გამიჯნული არ არის საცალო და საბითუმო ფასები, რაც მონოპოლისტებს შესაძლებლობას აძლევს, თავად დაადგინონ ფასები და მთავარი „მოთამაშეებიც" ბაზარზე თავად იყვნენ.

**ამას გარდა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ყველა თავის წევრ ქვეყანას მოუწოდებს, გარკვეული მედიკამენტები (ასეთი კი, დაახლოებით 350 დასახელების მედიკამენტია) იყოს ყველგან და ყველასთვის ხელმისაწვდომი ან უფასო.**

**ჩვენთან ეს მითითება არ სრულდება.**

არადა, ეს მედიკამენტები არის სიცოცხლისთვის აუცილებელი, ანუ „ჯენერიკები". არსებობს ზედა ზღვარი, რომლის ზემოთ ფასის მომატება აღნიშნულ მედიკამენტებზე არ შეიძლება. სახელმწიფოს ვალდებულებაა, ეს მითითება შეასრულოს, მაგრამ ჩვენთან ეს არ სრულდება და ეს მედიკამენტები ჩვეულებრივ იყიდება. სახელმწიფომ პასუხისმგებლობა მთლიანად მოიხსნა და ფარმაცევტული კომპანიები, რასაც უნდა, იმას აკეთებენ.

მედიცინა მეცნიერებაა და არა ბიზნესი. ჩვენთან კი პირიქით — მედიცინა ბიზნესად იქცა. მთელი ჩვენი სამედიცინო მომსახურება კერძო სადაზღვევო კომპანიების იმედზეა. ხოლო ვისაც დაზღვევა აქვს, ხშირად ისიც ვერ სარგებლობს, ვინაიდან, დაგიმტკიცებენ, რომ არ გეკუთვნის დაზღვევა. პაციენტს არ აძლევენ ექიმისა და სამკურნალო დაწესებულების არჩევის საშუალებას, რაც მოქალაქის კონსტიტუციური უფლების დარღვევაა. აუცილებელია, კერძო სადაზღვევო კომპანიებთან ერთად არსებობდეს სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია ან სისტემა, როგორც დანარჩენ მსოფლიოშია. ჩვენს ნათქვამს ადასტურებს კონტროლის პალატის მონაცემები, სადაც აღნიშნულია, რომ სადაზღვევო კომპანიების მუშაობა დიდი ხარვეზებით მიმდინარეობს.

**— თქვენ ორგანიზაციას ხელმძღვანელობთ, თუ მიგიმართავთ დახმარებისთვის სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, მაგალითად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის და რა პასუხი მიგიღიათ მათგან?**

— პრესის საშუალებით ვეხმიანებით მიმდინარე პროცესებს, ხელისუფლების წარმომადგენლები კი ამ დროს ხვდებიან გაურკვეველ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ექსპერტებს, მაგრამ რისთვის და რას აკეთებენ, აბსოლუტურად გაუგებარია, რადგან მოსახლეობა რეალურ დახმარებას მაინც ვერ იღებს.

ესაუბრა
**შორენა ციძარაშვილი**

**სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებით 5-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობა ვერ სარგებლობს. ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში ასაკობრივი ზღვარია დაწესებული, რაც დისკრიმინაციაა"**

საქართველო და მსოფლიო

სილიკონის ველი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სიმართლისთვის მებრძოლი“ ეს ქალბატონი არც საკუთარ თანამშრომლებს, ჯაშუშობის ბრალდებით დაპატიმრებულ ფოტორეპორტიორებს გამოსარჩლებია და არც პრესის ჟიხურების აღება გაუპროტესტებია. „შლაპა ფართი“ – აი, თაკო ფხაკაძის ჟურნალისტური და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მწვერვალი!

# ნანუკა, თაკო და ბლაგვი ჩანგალი

**ლალი მოროშკინამ ბევრი გამწარებული რესპონდენტის ოცნებას შეასხა ხორცი და „პრაიმ ტაიმის“ მთავარ რედაქტორს ფიზიკურად გაუსწორდა. არაერთი პერსონა, რომელსაც გიგი უგულავას მიერ დაფინანსებულმა ამ „ტაბლოიდმა“ სისხლი გაუშრო, გულში იმეორებს: „დაგელოცოს მარჯვენა“!**





საქმე კი ასე იყო. ნანუკა ჟორჟოლიანის საახალწლო შოუზე მიწვეულმა ლალი მოროშკინამ აღმოაჩინა, რომ „პრაიმ ტაიმმა“ იგი ნუკი კოშკელიშვილთან ერთად „ყველაზე უგემოვნო ქალების“ ნომინაციაში დააჯილდოვა.

ლალი მოროშკინა: **„3 დღის წინ დამირეკეს და „ნანუკას შოუს“ საახალწლო გადაცემის ჩაწერაზე დამპატიჟეს. იქ მისულმა აღმოვაჩინე, რომ საახალწლო შოუ „პრაიმ ტაიმთან“ ერთად იდგმებოდა და მე მაშინვე უკან წამოსვლა გადავწვიტე, მაგრამ ნანუკამ დამარწმუნა, რომ „ცუდი არაფერი მოხდებოდა“. შოუს ფარგლებში სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები გამოავლინეს – ძალიან ლამაზ ნომინაციებში. მე და ნუკი კოშკელიშვილი ერთად მიგვიწვიეს სცენაზე. ნანუკამ კონვერტი გახსნა და აღმოჩნდა, რომ ჩვენ გვაჯილდოებდნენ ნომინაციაში „უგემოვნოები“.**

მოროშკინამ იქვე გააკეთა საჯარო განცხადება, რომ თაკო ფხაკაძე ვერც ჟურნალისტად და ვერც ადამიანად ვერ შედგა და ნანუკა ჟორჟოლიანს სთხოვა, მისი განცხადება გადაცემის მონტაჟისას არ ამოეჭრა. **„როცა გარანტია ვერ მივიღე, რომ ჩემი განცხადება ეთერში გავიდოდა, სხვა გზა არ დამრჩა, გარდა იმისა, რომ ძალადობით დამეცვა ჩემი თავმოყვარეობა. მე ლექტორი ვარ და თვითონ ვასწავლი, რომ ჩვენი თავმოყვარეობა უნდა იყოს დაცული ნებისმიერი გზით. მე დავინახე, როგორ ქირქილებდა თაკო ფხაკაძე ჩემზე და ამის გამო მუშტი მოხვდა ყბაში. დიპლომატიური ლაპარაკი დავამთავრე“**, — აღნიშნა მოროშკინამ. ნანუკა ჟორჟოლიანი საპირისპიროს ამტკიცებს: **„ნომინაციის მიღებისთანავე მოროშკინა ფხაკაძის პირად შეურაცხყოფაზე გადავიდა. ისაუბრა, ვის როგორი სახე, ფეხი და ხელი აქვს და თან მითხრა, რომ მიმეცა პირობა, ეს განცხადება ეთერში გავიდოდა. კადრებშიც ჩანს, რომ მე მას ამის პირობა მივეცი“.**

იმავე საღამოს ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში მოროშკინამ დააზუსტა, რომ ფხაკაძეს სილიკონით დაბერილი სახე, ლამის არის, გადაასკდეს და ამიტომ იგი ჯანმრთელ ქალებს ვერ იტანს. თაკო ფხაკაძემ საკუთარი, „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბის მომსახურებით ისარგებლა და პრესკონფერენცია გამართა: **„ცოცხალი მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ ჩანგალი, რომელიც მოროშკინამ კისერში ჩამცხო, ბლაგვი იყო. ეს არის ადამიანის მოკვლის ჩვეულებრივი მცდელობა, რაც ძალიან უბრალო და უწყინარ მიზეზს მოჰყვა. კერძოდ, გაზეთმა „პრაიმ ტაიმმა“ ჩაატარა კვლევა, რომელშიც სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული ადამიანები გამოვავლინეთ. ლალი მოროშკინა, საზოგადოების გადაწყვეტილებით, ყველაზე უგემოვნო ქალის ნომინაციაში მოხვდა, რაც, როგორც ჩანს, მისთვის საკმარისი მიზეზი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჩემი მოკვლა ეცადა“**, — განაცხადა თაკო ფხაკაძემ.

თაკო ფხაკაძე კიდევ უფრო ამძიმებს მოროშკინას ბრალს და აცხადებს, რომ იგი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. **„ვინაიდან ეს იყო საახალწლო გადაცემა, მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, დაელიათ შამპანური. როგორც ჩანს, მოროშკინამ ზომაზე მეტი დალია. კიდევ ერთი დეტალი — როგორც მოგვიანებით მითხრეს, სანამ მოროშკინა ჩანგალს გამოიყენებდა, მან შამპანურის ბოთლიც მოსინჯა და დანას პირიც მოუსინჯა“**, — აღნიშნა თაკო ფხაკაძემ. „პრაიმ ტაიმის“ მთავარი რედაქტორი ლალი მოროშკინას საზოგადოებისთვის საშიშ ადამიანად მიიჩნევს და შესაბამის უწყებებს ურჩევს, რომ მოროშკინას ფსიქიატრიული შემოწმება ჩაუტარონ.

საქალაქო სასამართლომ მოროშკინას 15-დღიანი პატიმრობა მიესაჯა. ფხაკაძე გასაჩივრებას არ აპირებს, სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციაში არ ჩაერევა და უბრალოდ ითხოვს, — სადაც ის იქნება, ლალი მოროშკინა 100 მეტრის სიახლოვეს არ მიეკაროს. თაკო ფხაკაძეს ამერიკული ფილმების გავლენა აშკარად ეტყობა და ჩვენს „დამოუკიდებელ“ სასამართლოს, ალბათ, ამ მანძილის დაკანონებასაც მოსთხოვს, თუმცა თავად მშვენივრად ახერხებს, ყოველგვარი სასამართლო სანქციის გარეშე, საკუთარ კოლეგებსა და საზოგადოებას ისე დაშორდეს, რომ მათმა რეალურმა ინტერესებმა ოდნავადაც არ შეაწუხოს.

**„სიმართლისთვის მებრძოლი“ ეს ქალბატონი არც საკუთარ თანამშრომლებს, ჯაშუშობის ბრალდებით დაპატიმრებულ ფოტორეპორტიორებს გამოსარჩლებია და არც პრესის ჟიხურების აღება გაუპროტესტებია. „შლაპა ფართი“ — აი, თაკო ფხაკაძის ჟურნალისტური და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მწვერვალი!**

თაკო ფხაკაძე ამტკიცებს, რომ მოროშკინას მასზე თავდასხმა წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი: **„მოგვიანებით, ინციდენტის კადრები ვნახე. მასში კარგად ჩანს, როგორ დგას ლალი მოროშკინა და როგორ ამბობს, რომ ის ყველა ნიუსში მოხვდება“.**

მეორე დიდი ქართველი ჟურნალისტი – ნანუკა ჟორჟოლიანი კი თავს იკატუნებს და აცხადებს, რომ სამართალდამცავი ორგანოების გამოძახებას არ აპირებდა; ეგონა, რომ მომხდარი ბოდიშის მოხდით ამოიწურებოდა, თუმცა **პოლიცია საქმის კურსში ტელეკომპანია „იმედის“ დაცვის სამსახურმა ჩააყენა, რაც მისი პირდაპირი ვალდებულება იყო. პოლიციის გამოძახება ნანუკა ჟორჟოლიანს რომ არ უჭირს, ეს საზოგადოებას კარგად ახსოვს, როცა მან მის ტელეფონზე დარეკვისთვის ორი ახალგაზრდა დააპატიმრებინა,** ახლა კი ამბობს: **„ძალიან ძნელი იყო, პოლიციისთვის დამერეკა და მეთქვა, ლალი მოროშკინა დათვრა, თაკო ფხაკაძე სცემა და მოდით და დაიჭირეთო. ჩემს გადაცემას არ ახასიათებს სტუდიიდან სტუმრების აყვანა. ვიცი, რომ ეს დანაშაულის დაფარვის მუხლით კვალიფიცირდება და, თუ ჩემი დაკითხვა გახდება საჭირო, ამისთვისაც მზად ვარ“**, — „თავგანწირვით“ აღნიშნა ჟორჟოლიანმა.

**მოროშკინა ჯერ პოლიციაში დაკითხეს, შემდეგ კი საქალაქო სასამართლოში გადაიყვანეს, სადაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გაასამართლეს. სასამართლომ მას 15-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა.**

ანრი ჯოხაძე ფიქრობს, რომ მოროშკინას 15-დღიანი სასჯელი 400-ლარიანი ჯარიმით შეეცვლება. იგი გადაცემის ჩაწერას ესწრებოდა და დაკითხვის შემდეგ ასეთი კომენტარი გააკეთა: **„ორივე მხარეს რომ მოუსმინო, ორივე მართალია, თუმცა ეს იყო სასაცილო. გამიტყდა, რომ ამ სფეროს ნაწილი ვარ. ჩემს ოჯახში ქალები ერთმანეთს არ ცემენ. 4-მა კაცმა ვერ გააშველა მოროშკინა. კუნინძურ ფაქტს შევესწარი“.**

**ნანუკა ჟორჟოლიანის აზრით, მოროშკინა ამ ინციდენტით ისარგებლებს და თავის მომავალ წიგნს გააპიარებს. ამ ლოგიკით, ნანუკაც თავის შოუს აპიარებს და თაკოც – თავის გაზეთს. წაგებული მხოლოდ საზოგადოებაა, რომელსაც „ქართული ოცნების“ პრეზენტაციის დღეს ნანუკა, თაკო და ბლაგვი ჩანგლები შეატოვეს ხელში.**

**თამარ დავითულიანი**







მოკლედ

## იტალიაში კამორას სინდიკატის მაფიოზი დააკავეს

**იტალიის პოლიციამ კრიმინალური კლანის — „კაზალეზის“ მეთაური მიქელე ძაგარია დააკავა.** „კაზალეზი“ კამორას კრიმინალურ სინდიკატში შედის. მიქელე ძაგარია 16 წლის განმავლობაში მკვლელობის, გამოძალვის, ძარცვისა და სხვა დანაშაულისთვის იძებნებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, ის მის მშობლიურ ქალაქ ნეაპოლში, მიწისქვეშა ბუნკერში იპოვეს. „კაზალეზის“ კლანი, რომელიც კამორას კრიმინალურ სინდიკატში შედის, ჩრდილოვან სფეროებს აკონტროლებს კამპანიის რეგიონში, ნეაპოლის მახლობლად.

## ევროკავშირის ლიდერები ვერ შეთანხმდნენ

**ბრიუსელში ევროკავშირის სახელმწიფოთა მეთაურები ევროკავშირის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანაზე ვერ შეთანხმდნენ.** ხელშეკრულების ცვლილება ითვალისწინებდა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასა და სახელმწიფო ვალების მოცულობაზე კონტროლის გამკაცრებას. ხელშეკრულების გაფორმება დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა დაბლოკა. გერმანია და საფრანგეთი მოითხოვდნენ ლისაბონის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას, რომელიც საჯარიმო სანქციებს დააწესებდა საბიუჯეტო დისციპლინის დამრღვევი ქვეყნებისთვის. დიდი ბრიტანეთის პრემიერი კი ითხოვდა გარანტიებს დიდი ბრიტანეთის საფინანსო სექტორისთვის.

„კოტე გაბაშვილის“ სტადიაში ავადმყოფს აღენიშნება საკუთარი წინაპრებისადმი უცნაური დამოკიდებულება. ყოფილა შემთხვევა, როცა პაციენტს საკუთარი გარდაცვლილი მამის ოქროს კბილებისგან ბეჭედი გაუკეთებია საკუთარი ხელების შესამკობად. „გოკა გაბაშვილის“ ეტაპზე ავადმყოფის მდგომარეობა მძიმდება. შესამჩნევია ინტელექტის ზრდა სინდისის ხარჯზე, აგრეთვე, წონის მერყეობა — სნეული ხან სუქდება, ხან წონაში იკლებს, შესამჩნევად იზრდება თვალების ზომა.

## დიაგნოზი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რომ შვილი სჯობდეს მამასა?!

**დღეს გადავწყვიტეთ, გესაუბროთ დაავადებაზე, რომელიც, უკვე რამდენიმე ათეული წელია, აწუხებს ჩვენს მედიცინას. ესაა არაინფექციური, მაგრამ ძალიან საშიში დაავადება „გაბაშვილები“. საქმე ისაა, რომ საზოგადოებისთვის არა თავად დაავადება, არამედ დაავადებული ადამიანი ხდება სახიფათო.**





### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

**ძირითადი სიმპტომები:** „გაბაშვილები“-ს მთავარი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ეს სნეულება გენეტიკურია, ანუ მამიდან შვილს გადაეცემა.

დაავადება მიმდინარეობს ორ ეტაპად. დასაწყისში მას „კოტე გაბაშვილი“ ეწოდება, ხოლო შემდეგ, თუ დროზე არ მოხდა განკურნება, უფრო მძიმე ფორმაში, „გოკა გაბაშვილში“ გადადის.

დაავადება ვლინდება შეტევებით, რის პროვოცირებასაც ავადმყოფის მოწინააღმდეგის არგუმენტირებული მსჯელობა ახდენს. შეტევის დროს „გაბაშვილი“ ხდება ცინიკური, უჩნდება დაუოკებელი სურვილი, რომ ყველა დასმულ შეკითხვას თავად უპასუხოს, მიუხედავად იმისა, პოლიტიკას ეხება ეს შეკითხვა, ეკონომიკას, ფეხბურთსა თუ გია სურამელაშვილის ბიოგრაფიას.

შეკამათების შემთხვევაში პაციენტი იწყებს ოპონენტების დაცინვას, აპელირებს მათი წარსულით, რაც ავადმყოფური, დაბინდული გონებით სამარცხვინო ჰგონია.

„კოტე გაბაშვილის“ სტადიაში ავადმყოფს აღენიშნება საკუთარი წინაპრებისადმი უცნაური დამოკიდებულება. ყოფილა შემთხვევა, როცა პაციენტს საკუთარი გარდაცვლილი მამის ოქროს კბილებისგან ბეჭედი გაუკეთებია საკუთარი ხელების შესამკობად.

„გოკა გაბაშვილის“ ეტაპზე ავადმყოფის მდგომარეობა მძიმდება. შესამჩნევია ინტელექტის ზრდა სინდისის ხარჯზე, აგრეთვე, წონის მერყეობა — სნეული ხან სუქდება, ხან წონაში იკლებს, შესამჩნევად იზრდება თვალების ზომა.

**დაავადების ორივე ეტაპზე შეინიშნება „გაბაშვილებით“ დაავადებულის სწრაფვა ხელისუფლებისკენ, თანაც ნებისმიერი ხელისუფლებისკენ.**

**გამომწვევი მიზეზები:** დამტკიცებულია, რომ „გაბაშვილებს“ იწვევს დაუსჯელობის სინდრომი, დიპლომატიური იმუნიტეტი და ავადმყოფობისთვის ხელსაყრელი გარემო, მაგალითად, პარლამენტის შენობა, მმართველი პარტია და ა. შ.

**რისკ-ჯგუფი:** „გაბაშვილები“ ძირითადად კომუნისტების დროის ელიტის წარმომადგენლებს ემართებათ, ანუ ადამიანებს, რომელთა გენეტიკაც დაბინძურებულია სხვადასხვა ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობით. ასევე საფრთხის ქვეშ არიან რევოლუციისკენ მიდრეკილი პირები. რევოლუცია საფრთხეს წარმოადგენს დაავადების განვითარების ორივე ეტაპზე — როგორც „კოტე გაბაშვილზე“, ასევე „გოკა გაბაშვილზეც“.

**დაავადების პრევენცია:** ცინიზმისა და დემაგოგიის პირველივე ნიშნების გამოვლენისას ავადმყოფი უნდა მოვარიდოთ მიკროფონსა და ხელისუფლებას. სასურველია 3-თვიანი კარანტინი წინასაარჩევნოდ, რათა თავიდან ავიცილოთ მდგომარეობის გართულება და პაციენტის ხელისუფლებაში მოხვედრა.

**„კოტე გაბაშვილის“ პერიოდში დაუშვებელია პაციენტის მოგზაურობა საზღვარგარეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაავადების კონტროლი გაძნელდება.**

**საინკუბაციო პერიოდი:** „კოტე გაბაშვილის“ სტადიაში დაავადება შეიძლება რამდენიმე ათეული წელიც გაგრძელდეს ისე, რომ ვერც მივხვდეთ, სჭირს თუ არა ადამიანს „კოტე გაბაშვილი“, მაგრამ საკმარისია, ხელისუფლებაში ახალი ძალა მოვიდეს ან ქვეყანაში რევოლუციის საფრთხე გაჩნდეს, რომ დაავადება მაშინვე იჩენს თავს და პრობლემებიც გარდაუვალია.

„გოკა გაბაშვილის“ სტადიაში დაავადება თავიდანვე სახიფათოა, იმიტომ, რომ ადრეულ სტადიაში ვლინდება და უფრო ძნელი მოსაშორებელია, ვიდრე „კოტე გაბაშვილი“.

**მკურნალობა:** „გაბაშვილების“ საბოლოო განკურნება შესაძლებელია მხოლოდ ჰომეოპათიური საშუალებებით, ანუ „მსგავსის მსგავსით მკურნალობით.“ „გაბაშვილების“ ცინიზმს უნდა დავუპირისპიროთ ჯანსაღი იუმორი, დემაგოგიას — სიმართლე, დაცინვას — ღიმილი და ა. შ. ეს ყველაფერი გამოიწვევს დაავადების ესკალაციას, რაც, თავის მხრივ, შოკში გადაიზრდება და საბოლოოდ დაავადება განიდევნება ორგანიზმიდან.

**ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ!**

**სპეციალურად „საქართველო და მსოფლიოსთვის“,
პოლიტიკურ დაავადებათა დოქტორი,
ექიმი ნოდარ ჰაუსი**

# ლაზიკაში მახათის გიგანტური ქანდაკება დაიდგმება

**ამას წინათ ქუჩაში ახალგაზრდა გოგონები იდგნენ. ერთს ტელეფონზე დაურეკეს და რაღაც ისეთი უთხრეს, რომ მან გაღიზიანებით უპასუხა: „თქვენ თქვენს კვერცხებს მოუარეთო“! მეგობრებმა მაშინვე ჰკითხეს: „ვინ იყო და რა უნდოდაო“? მან უპასუხა: „ჩემი ბათუმელი ამხანაგი იყო და გამეღადავა, — ველოსიპედი როგორ გყავთო“.**



კარგადა გვყავს, აი, ბათუმის ბოთლსა და კვერცხებს კი გაუჭირდათ; ორივე მოხსნეს. არა, სამსახურიდან — არა, სხვა თანამდებობაზე გადაიყვანეს. კვერცხები ახალ ბულვარში გადააქვთ, ბოთლს კი ალბათ, ელჩად დანიშნავენ ბელარუსში, უკრაინაში ან ყირგიზეთში. ეს ხომ ის ბოთლია, ამ სამი ქვეყნის „დემოკრატიზატორმა“ გივი თარგამაძემ რომ გადააფშვნა თავზე პოლიციელს. ეს იყო თბილისში, ოღონდ რევოლუციამდე და თარგამაძე არ დაიჭირეს. იმიტომაც ყვიროდა, რომ შევარდნაძის ხელისუფლება არაფრის მაქნისი იყო.

ბოთლი იქით იყოს და, ზიგმუნდ ფროიდის მიხედვით, კვერცხები ქალის სასქესო ორგანოს სიმბოლოა. თორმეტი კვერცხი — თორმეტი ქალის თორმეტი სასქესო ორგანოსი. აბა, გამოიცანით, ვის არ ჰყოფნის ერთი ქალის ერთი სასქესო ორგანო? ალბათ, ვისაც გადააქვს — იმას. ვინ არის ბათუმის მთავარი არქიტექტორი? ბათუმელები ამას სააკაშვილს აბრალებენ, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ პრეზიდენტია! მართალია, თვითონ ავიწყდება ხოლმე, მაგრამ 2013 წლამდე კვერცხებს, ბოთლებს და ველოსიპედებს მან უნდა მიხედოს.

ლილი ფანტოცის (ალბერტო სორდის ბუღალტერ ფანტოცის მოგვარის) ქანდაკება კიდევ უფრო მკაცრი იყო, ვიდრე მისი ბათუმური ანალოგი; იქ კვერცხებზე ბოტასები იდგა, აქ ფლოსტები გვაკმარეს. ფანტოციმ ფრანგული ანდაზა განასხეულა ამ უნიკალურ ქმნილებაში: „ვიდრე ცოცხალი ხარ, ისე უნდა იარო, თითქოს კვერცხებზე აბიჯებ“!

ერთი აღმოსავლური ზღაპარი პატარა ქალაქში დატრიალებულ მკვლელობებს აღწერს. მკვლელს რომ ვერ მიაგნეს, დიდი ქალაქიდან ერთი ბრძენი ჩამოიყვანეს და მას თხოვეს დახმარება. ბრძენმა ქალაქში გაიარა, ქალაქელებს დააკვირდა და საღამოს ქალაქის მამებს ჰკითხა: „ვინ არის ის კაცი, ფეხებზე ზანზალაკები რომ აქვს დამაგრებულიო?“ მათ უპასუხეს: ეგ ერთი სათნო კაცია, ზანზალაკები კი იმიტომ უკეთია ფეხებზე, რომ ჭიანჭველები არ გასრისოს, — ასე აფრთხობსო“. ბრძენმა მიუგო: „ჰოდა, სწორედ ეგ არის მკვლელიო“.

ისე, რას ერჩით კვერცხთაყვანისმცემლებს; ჩიკაგოში ჟანგიან ლურსმანს დაუდგეს ძეგლი, მაინის ფრანკფურტში — ჰალსტუხს (აბა, აბა, ეგეთები არ იყოს!), ვენეციაში, იმ სილამაზეში ნაგვის ქანდაკება იწონებს თავს. 12 კვერცხი ამის ფონზე რა დასაძრახია? მართალია, 1,6–მეტრიან კვერცხებში 160 ათასი ლარის გადაყრა ნამეტანია, მაგრამ ნაგავსაც ჯობია, ჟანგიან ლურსმანსაც და დაღეჭილ ჰალსტუხსაც!

უახლოეს მომავალში, ქალაქ ლაზიკაში მახათის გიგანტური ქანდაკების დადგმა იგეგმება. იგი მზის მიმართულებით იტრიალებს, ხოლო მის გიგანტურ ყუნწში სააკაშვილის უჰალსტუხო ბიუსტი დაიდებს ბინას.

## აშშ-ს ვირტუალური საელჩო დაუბლოკეს

**აშშ-მა ირანი ამ ქვეყანაში აშშ-ის ვირტუალური საელჩოს ბლოკირებისთვის გააკრიტიკა.** საუბარია ორ საიტზე, რომლის შესახებ განცხადება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა. საიტები ინგლისურ და სპარსულ ენებზეა, მაგრამ მათზე შეღწევა ირანის ტერიტორიაზე შეუძლებელია. საიტის გახსნისას მომხმარებელი კუთხულობს ინფორმაციას, რომ ეს ინტერნეტრესურსი არღვევს ირანის კიბერკანონმდებლობას. შეგახსნებთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ირანში ვირტუალური საელჩო დააფუძნა, რათა ირანის მოსახლეობასთან კონტაქტი ონლაინ რეჟიმში იქონიოს.



## პაკისტანის პრეზიდენტი ჰოსპიტალში მოხვდა

**პაკისტანის პრეზიდენტი ასიფ ალი ზარდარი დუბაის ერთ-ერთ საავადმყოფოში გულის პრობლემების გამო მოათავსეს.** პრეზიდენტის პრესსპიკერის განცხადებით, ზარდარი დუბაიში მკურნალობის კურსს იტარებს. პაკისტანურმა მედიამ პრეზიდენტის გამგზავრება მის შესაძლო გადადგომას დაუკავშირა. ზარდარი პაკისტანის ხელისუფლებაში 2008 წელს მოვიდა, როდესაც „პაკისტანის სახალხო პარტიამ“ არჩევნებში გაიმარჯვა. პარტიას ხელმძღვანელობდა მისი მეუღლე, პაკისტანის ყოფილი პრეზიდენტი ბენაზირ ბჰუტო, რომელიც 2007 წელს მოკლეს.

## რასმუსენის რჩევა რუსეთს

**ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა რუსეთს მოუწოდა, „გამოგონილ მოწინააღმდეგეზე ფული არ დახარჯოს“.** ეს განცხადება რასმუსენმა მას შემდეგ გააკეთა, რაც რუსეთს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების საკითხში თანამშრომლობისკენ კვალავ მოუწოდა. რასმუსენმა რუსეთის პრეზიდენტის — დიმიტრი მედვედევის მიერ გაკეთებული განცხადებებიც გაიხსენა და აღნიშნა, რომ მედვედევის განცხადება ორი ნაწილისგან შედგებოდა — პირველი ნაწილი ნატოს „პრო“-ს ეხებოდა, მეორე ნაწილი კი — დიალოგისთვის გახსნილ კარს. რასმუსენმა განაცხადა, რომ მას ურჩევნია, განცხადების მეორე ნაწილზე შეაჩეროს ყურადღება.

დეფოლტის ზღვარზე

საქართველოს სახელმწიფომ, 157 მლნ დღემდე გაურკვეველი წარმოშობის ვალის გადავადებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან 141 მლნ დოლარის სესხად მიღების სანაცვლოდ, რუსეთისგან დაახლოებით 3 მლრდ დოლარის მიღებაზე უარი თქვა.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლიკბეზი ეკონომიკის მინისტრისთვის

## ექსპერტების პროგნოზი, რომ პრივატიზების შედეგად დაიწყებოდა უცხოური ინვესტიციების მოდინება, არ გამართლდა



## მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა ძირითადად ხდება ვაჭრობისა და მომსახურების ხარჯზე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №42-44

**„ლიკბეზი“ — ეს სახელწოდება სახკომსაბჭოს 1919 წლის 26 დეკემბრის დადგენილებიდან მოდის, რომელმაც დაამტკიცა რსფსრ-ში უწიგნურობის ლიკვიდაციის სახელმწიფო პროგრამა — Ликвидация безграмотности — (Ликбез). უწიგნური ხელისუფლების გასანათლებელი საქმე, ჩვენი თხოვნით, თავს იდო ცნობილმა მეცნიერმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ამირან ჯიბუტმა. დღეს ვაგრძელებთ წინა ნომრებში დაწყებულ საუბარს.**

ამირან ჯიბუტი



ეგრეტ წოდებულმა „ნულოვანმა ვარიანტმა“ ყოფილი საბჭოთა კავშირის აქტივებისა და პასივების გაყოფასთან დაკავშირებით საქართველოში მხოლოდ 7 წლის შემდეგ გამოიწვია დიდი აჟიოტაჟი.

**„ნულოვანი ვარიანტის“ შესახებ ქვეყანაში ორი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული აზრი ჩამოყალიბდა:**

**ა) ქართველ ეკონომისტთა ერთი ჯგუფი მხარს უჭერდა „ნულოვან ვარიანტს“** შემდეგი არგუმენტების გამო:

1. საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ყოფილმა რესპუბლიკამ, ბალტიისპირეთის ქვეყნების ჩათვლით, ხელი მოაწერა „ნულოვან ვარიანტს“;

2. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქონება ეფემერული აქტივებია და მისი ოდენობის დადგენასა და გარკვევას 20-30 წელი დასჭირდება;

3. ყოფილი საბჭოთა კავშირის ვალების გადახდას რუსეთი დაუყოვნებლივ მოსთხოვდა საქართველოს და ამ ვალების ძირითადი ნაწილისა და მომსახურების თანხის ისედაც ძალიან მძიმე ტვირთი კიდევ უფრო გააუარესებდა ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას;

4. საქართველო ვერ მიიღებდა დაფინანსებას საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან. დავკარგავდით საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობას და 2001 წლისთვის ბიუჯეტიდან დაგეგმილის გადამეტებით გადასახდელი გვექნებოდა 550 მლნ ლარი;

5. საქართველოს არავითარი გარანტია არ გააჩნდა საბჭოთა კავშირის ქონების საზღვარგარეთ არსებული ლიკვიდური აქტივებისა და საბჭოთა კავშირის მიმართ განვითარებადი ქვეყნების სრულიად უიმედო დავალიანების მიღებისა, ხოლო საბჭოთა კავშირის საგარეო ვალების გადახდისთვის დაუყოვნებლივ გავხდებოდით პასუხისმგებელნი.

როგორც ვხედავთ, ეკონომისტთა ამ ჯგუფს მიზანშეწონილ გადაწყვეტილებად მიაჩნდა „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირება, თუნდაც რუსეთის ვალების რესტრუქტურიზაციის სანაცვლოდ.

**ეკონომისტთა მეორე ჯგუფის აზრით, არ იყო სწორი ვალის გადავადების მიზნით ქონების კუთვნილ წილზე ხელის აღება, რაც რუსეთის ვალს ბევრად აღემატებოდა.** ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მართლაც წამგებიანად ჩანდა რუსეთის ვალის (156,5 მლნ დოლარის) გადავადების გამო ორ ან სამმილიარდიან წილზე უარის თქმა.

საქართველოს პარლამენტის მიერ „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირების დაგვიანებას რუსეთმა მთელი რიგი მოთხოვნები და შეზღუდვები დაუპირისპირა. კერძოდ, მანამ არ მოახდენდა 179 მლნ დოლარის რესტურქტურიზაციას, სანამ საქართველოს მთავრობა პარლამენტში არ შეიტანდა განსახილველად აღნიშნულ ხელშეკრულებას და საბოლოოდ არ მოახდენდა მის რატიფიცირებას.

**საქართველოს ვალის რესტრუქტურიზაციის სანაცვლოდ, რუსეთი ორ მოთხოვნას აყენებდა:**

**ა) საქართველოს სასწრაფოდ უნდა გადაეხადა 2000 წლის დავალიანება — 22,43 მლნ დოლარი;**

**ბ) პარლამენტში განსახილველად შეეტანა „ნულოვანი ვარიანტი“ და მოეხდინა მისი რატიფიცირება.**

საქართველომ ორივე ეს მოთხოვნა შეასრულა. რუსეთს გადაუხადა 22.43 მლნ დოლარი და პარლამენტმაც მძაფრი დებატების შემდეგ, 2001 წლის 16 თებერვალს რატიფიცირება გაუკეთა შეთანხმებას „ნულოვანი ვარიანტის“ შესახებ, რომლის თანახმად, საქართველომ რუსეთის სასარგებლოდ საბოლოოდ უარი თქვა საკუთარ წილზე — 1,62%-ზე ყოფილი სსრკ-ის საგარეო აქტივებიდან.

## «ნულოვანი ვარიანტი» მიღებულ იქნა რუსეთის მიმართ საქართველოს ვალის ორიოდე წლით გადავადების დაპირების სანაცვლოდ. ეს წარმოუდგენლად დიდი შეცდომა იყო

მაშასადამე, **საქართველოს სახელმწიფომ, 157 მლნ დღემდე გაურკვეველი წარმოშობის ვალის გადავადებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან 141 მლნ დოლარის სესხად მიღების სანაცვლოდ, რუსეთისგან დაახლოებით 3 მლრდ დოლარის მიღებაზე უარი თქვა.**

საქართველომ, მართალია, „პარიზის კლუბში“ ვალების რესტრუქტურიზაციას მიაღწია და ქვეყნის კომერციული ვალები 20 წლით, ხოლო არაკომერციული — 18 წლით გადაივადა, მაგრამ ეს შეღავათები, სსრ კავშირის აქტივებიდან მის მიერ მისაღებ წილთან შედარებით, ანგარიშში არაა მისაღები. **ქვეყანამ „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირებით მილიარდები დაკარგა.** ამასთან, „პარიზის კლუბმა“ რესტრუქტურიზაცია საქართველოსთვის მაქსიმალურად უშეღავათო პირობებით განახორციელა. ძირითადი ვალის გადახდა 2 წლის შემდეგ დავიწყეთ, წლიური 4%-ის მომსახურების გადახდით.

მაშასადამე, საქართველომ ვალების რესტრუქტურიზაციით მხოლოდ დრო მოიგო და დროებით (2 წლით) ტვირთი შეიმსუბუქა „მსხვილი“ ვალების ქრონოლოგიური გადაწევით, სამაგიეროდ, მას 2002-2003 წლებში ბევრად მეტი თანხის გადახდა მოუხდა.

„პარიზის კლუბს“ საქართველომ წარუდგინა რამდენიმე პროექტი, რომლებიც ვალების ხანგრძლივ გადავადებას ითვალისწინებდა. ვარიანტებს შორის იყო ნეაპოლისა და ჰიუსტონის მოდელები. აქედან პირველი, რომელიც ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტი საგარეო ვალის ნაწილობრივ ჩამოწერასა და რესტრუქტურიზაციას ითვალისწინებდა, არ მიიღეს.

„პარიზის კლუბმა“, საქართველოს ვალების (1995-1997-1998 წლებში) რესტრუქტურიზაციასთან შედარებით, 2001 წელს უფრო შეზღუდა ვადები და მხოლოდ ორი წელი „გვაცალა“.



საქართველოს საგარეო ვალების 18-20 წლით გადავადება იმას ნიშნავდა, რომ, თუ 2001-2002 წელს უნდა გაგვესტუმრებინა 241 მლნ აშშ დოლარი, 18 წლის განმავლობაში მოგვიხდება 985 მლნ აშშ დოლარის (241 მლნ დოლარი პლუს ყოველწლიურად 4%) და, აგრეთვე, სხვა ვალების განვადების პროცენტი) გასტუმრება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „პარიზის კლუბის“ მიერ განვადებულ იქნა მხოლოდ რუსეთის, ავსტრიის, ჩინეთის, ირანის, თურქეთისა და აშშ-ის კრედიტები. რაც შეეხება სომხეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, თურქმენეთის, უკრაინისა და უზბეკეთის ვალების გადავადებას, ეს მათ არ განახორციელეს.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ 2003 წლიდან საქართველოს მნიშვნელოვნად გაეზარდა საგარეო ვალის მომსახურების ხარჯები და იგი იძულებული გახდა, ეკონომიკის დაფინანსების ნაცვლად მევალე ქვეყნების სასარგებლოდ ეხადა თანხები. ამდენად, **„ნულოვანი ვარიანტი“ მიღებულ იქნა რუსეთის მიმართ საქართველოს ვალის ორიოდე წლით გადავადების დაპირების სანაცვლოდ. ეს წარმოუდგენლად დიდი შეცდომა იყო.** სასურველი იყო, შექმნილიყო ორმხრივი კომისია (მასში პარალელურად უნდა ჩართულიყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც) და რუსეთთან ჯერ კიდევ 1993-1994 წლებში დაგვეწყო მოლაპარაკება ამ საკითხების მოსაგვარებლად და პრინციპულად მოგვეთხოვა ჩვენი კუთვნილი წილი. სადავო საკითხების გადასაწყვეტად უნდა გამოგვეყენებინა ჰააგის სასამართლო, ვენის კონვენცია, აგრეთვე, „პარიზისა“ და „ლონდონის კლუბები“. ვენის კონვენციის თანახმად (რომელსაც საქართველო 1993 წელს შეუერთდა) და სხვა საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, ამ ქონებას რუსეთი ვერ განკარგავდა საქართველოს გარეშე. თუ საქართველო თავისი ნებით არ დათმობდა კუთვნილ წილს, რუსეთი ვერ აიცილებდა საბჭოთა კავშირის საგარეო ▶



**საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა უნდა განხორციელდეს სამეწარმეო და სასესხო ფორმით, ამასთან, მხარი უნდა დავუჭიროთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ყველაზე პოპულარულ ფორმას — ერთობლივი საწარმოების შექმნას.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დღეს საზოგადოებისთვის გაუგებარია, რატომ დაირღვა სახელმწიფო ვალის სამართალმემკვიდრეობის შესახებ ვენის კონვენციის დებულება, რატომ მოხდა «ნულოვანი ვარიანტის» რატიფიცირება



◀ აქტივების გადმოცემას. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დღეს მთელ მსოფლიოში აპრობირებულია ვალების გაყიდვის პრაქტიკა, მათი ღირებულების 10, 20 ან 25 პროცენტის ფარგლებში. საქართველოს (უკიდურეს შემთხვევაში) შეეძლო სსრკ-ის ქონებიდან თავისი წილი გადაეცა სოლიდური უცხოური ბანკებისთვის, რომლებიც ვენის კონვენციის შეთანხმების საფუძველზე მას ამოიღებდნენ.

სამწუხაროდ, ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობამ 1992 წლიდან მოყოლებული თითქმის არაფერი გააკეთა. მუდმივმა დათმობის პოლიტიკამ საერთაშორისო აქტუალობა დაუკარგა ამ პრობლემას და, შესაბამისად, ვერ მივიღეთ ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა. ჩვენი მთავარი მიზანი ვალის გადავადება კი არ უნდა ყოფილიყო, რათა აგველო ახალი სესხი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, არამედ პრინციპულად უნდა დაგვედგინა და მოგვეთხოვა რუსეთისგან ჩვენი კუთვნილი წილი. შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ 1991 წლის 4 დეკემბერს და 1993 წლის 14 სექტემბერს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ გააცნობიერეს, თუ რა დოკუმენტზე მოაწერეს ხელი. განა შეიძლებოდა ისეთ ხელშეკრულებაზე (შეთანხმებაზე) ხელის მოწერა, სადაც ზუსტად არ იქნებოდა გაანგარიშებული და დადგენილი ყოფილი სსრკ-ის აქტივები და პასივები და მასში საქართველოს წილი?

როგორც ვნახეთ, „ნულოვანი ვარიანტის“ შესახებ რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები არსებობს. საქართველო თუ არ მოახდენდა ამ დოკუმენტის რატიფიცირებას, იგი დაკარგავდა თავის იმიჯს დასავლეთის ქვეყნებსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში; „დიდი შვიდეული“, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა დონორი ორგანიზაციები და ქვეყნები განუდგებოდნენ და ზურგს შეაქცევდნენ; „პარიზის კლუბსა“ და „ლონდონის კლუბში“ გამორიცხული იქნებოდა მოლაპარაკებები არათუ ვალების ჩამოწერის, არამედ გადავადების თაობაზეც; რუსეთისგან ვერ მივიღებდით ჯერ კიდევ დაუთვლელ და გაურკვეველი აქტივების მეათედსაც კი; დავძაბავდით მასთან პოლიტიკურ ურთიერთობას და, შესაბამისად, საბიუჯეტო კრიზისის გაღრმავებით გაძლიერდებოდა ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორების ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების შენარჩუნებაზე.

აქედან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტს სხვა გზა მართლაც არ ჰქონდა და აუცილებლად უნდა მოეხდინა „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირება. ეს არგუმენტები მხოლოდ მიზეზებია იმისა, თუ რისთვის დავთანხმდით რატიფიცირებაზე. მაგრამ, მეორე მხარეა ის, თუ რა იყო რეალობა, სინამდვილე. ჩვენ ვერ დავამტკიცეთ ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც ქვეყნის გარეთ, თუ რატომ მოვაწერეთ ხელი „ნულოვან ვარიანტს“.

ფაქტი ის იყო, როგორც რუსეთის პრეზიდენტმა ვ. პუტინმა პრეზიდენტად არჩევის წლისთავთან დაკავშირებით მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, „...ნულოვანი ვარიანტი რუსეთისათვის მატერიალურად წამგებიანია და მასზე ხელის მოწერა რუსეთის შეცდომად მიმაჩნია“.

რუსეთის საზღვარგარეთულ აქტივებზე თუ მართლაც მეტი იყო პასივების ღირებულება, მაშინ რატომ აიძულებდა იგი მუქარით უკრაინას, საქართველოს, აზერბაიჯანს, უზბეკეთსა და მოლდოვას, ხელი მოეწერათ „ნულოვან ვარიანტზე“?

თუ „ნულოვანი ვარიანტი“ არ იყო მისაღები რუსეთის მხარისთვის, რამ განაპირობა მისი აუცილებლობა? მანამდე, 1991 წლის 4 დეკემბერს, ხომ გაფორმდა შესაბამისი შეთანხმება, რომლითაც განსაზღვრული იყო სსრ კავშირის აქტივებსა და პასივებში ე. წ. მოძმე რესპუბლიკების წილი? ორი წლის შემდეგ, 1993 წლის 14 სექტემბერს რატომ დაარღვია რუსეთმა ყოფილი საბჭოთა კავშირის ვალისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის შესახებ 1991 წლის 4 დეკემბრის შეთანხმება? რატომ იკისრა რუსეთმა მთელი საგარეო დავალიანების გადახდა? და რატომ დააძალა რუსეთმა მოკავშირე რესპუბლიკებს, დაეთმოთ სსრ კავშირის საზღვარგარეთ არსებული აქტივები?

რატომ უარყოფენ „ნულოვანი ვარიანტის“ მომხრეები იმას, რომ „დიდმა შვიდეულმა“, იმის შიშით, სსრ კავშირის დაშლის შედეგად დასავლეთის კრედიტორ ქვეყნებს არ დაჰკარგვოდათ სსრ კავშირის მიმართ ადრე არსებული ვალები, 1991 წლის 28 ოქტომბერს მოსკოვში რუსეთის მთავრობას ძლიერი ზეწოლის პირობებში მოაწერინა ხელი მემორანდუმზე?

თუ რუსეთს ხელს არ აძლევდა „ნულოვანი ვარიანტი“, რატომ არ მიიღო მოკავშირე რესპუბლიკების და, განსაკუთრებით, უკრაინის წინადადება, რომ იგი სსრ კავშირის კუთვნილი აქტივების მიღების შემთხვევაში აუცილებლად გადაიხდიდა საგარეო ვალებს?

ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია რუსეთის მომიზეზება, თითქოს „მოკავშირე რესპუბლიკები ვერ მოახერხებენ ვალების მომსახურებას“.

რატომ გამოთქვამდა რუსეთი შიშს, თითქოს „მოკავშირე რესპუბლიკები თავს ვერ გაართმევდნენ ურთიერთობებს სოციალისტურ ქვეყნებთან“?

გასაკვირია ის ფაქტიც, რომ საქართველოს პარლამენტში ისე მოახდინეს „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირება, საზოგადოებას არ მიაწოდეს ყოფილი სსრ კავშირის სახელმწიფო ვალებისა და აქტივების ზუსტი (თუნდაც რუსეთთან შეთანხმებული) მონაცემები. **დღეს საზოგადოებისთვის გაუგებარია, რატომ დაირღვა სახელმწიფო ვალის სამართალმემკვიდრეობის შესახებ ვენის კონვენციის დებულება, რატომ მოხდა „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირება და რა იყო უმთავრესი: წმინდა ეკონომიკური ეფექტიანობა თუ ძალიან სერიოზული პოლიტიკური მოტივაცია?**

**ალბათ, ჩვენი შთამომავლობა ზუსტად გაიანგარიშებს და დაადგენს ყოველივეს და მკაცრად მოჰკითხავს კიდეც რატიფიცირების ავტორებს.**

## სავალო კრიზისის დაძლევის გზები და საშუალებები

**როგორც სათანადო მონაცემების ანალიზით ირკვევა, საქართველო უახლოეს მომავალში თავს ვერ დააღწევს სავალო კრიზისს, რადგან ეკონომიკური ზრდის ტემპის აბსოლუტური სიდიდე არცთუ შთამბეჭდავად გამოიყურება.** არ მუშაობს მრეწველობის მთელი რიგი დარგებისა, სათანადო ყურადღება არ ექცევა სოფლის მეურნეობას და ა. შ. **მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა ძირითადად ხდება ვაჭრობისა და მომსახურების ხარჯზე.**

საქართველოში უნდა შეიქმნას მტკიცე წანამძღვრები მატერიალური წარმოების რამდენიმე პრიორიტეტული დარგის განვითარებისთვის. ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაცია უნდა მოხდეს მრეწველობის აღორძინებით. იგი არა მარტო ბიუჯეტის შევსების წყაროა, არამედ სხვა დარგების განვითარების საფუძველიც. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობისა და მისი ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას. ამ მხრივ აუცილებელია ქვეყანაში რადიკალური ღონისძიებების განხორციელება.

საჭიროა, უზრუნველყოფილ იქნეს ეკონომიკის ზრდის პროცესის შეუქცევადობა, რათა პერსპექტივაში შესაძლებელი გახდეს ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიღწევა.

ამისათვის კი აუცილებელია ეკონომიკური გარემოს შემდგომი გაუმჯობესება, ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგისა და სფეროს რესტრუქტურიზაცია, ახალი სამეურნეო კავშირების ფორმირება, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბება, მიღებული საგარეო ვალების მაღალეფექტიანი გამოყენება.

ქვეყანაში უნდა შეიქმნას მატერიალური წარმოების სფეროს ფუნქციონირებისთვის საჭირო პირობები. **მარტო საქონელმიმოქცევიდან და მომსახურებიდან ამოღებული გადასახადებით სახელმწიფო დიდხანს ვერ იარსებებს.** ამ მიმართულებით საჭიროა:

ა) მსხვილი ინვესტიციების მოზიდვა;

ბ) მცირე ბიზნესის განვითარებისთვის ხელის შეწყობა.

**ყურადღება უნდა შევაჩეროთ მაქსიმალურად შეღავათიან კრედიტებზე** (ხანგრძლივი ვადით, დაბალი სარგებლის განაკვეთითა და რესტრუქტურიზაციის მაღალი შესაძლებლობით). სასურველია ხელშეკრულებაში ჩაიდოს ვალუტის ფიქსირებული კურსი, რომლითაც შემდგომში მოხდება ანგარიშსწორება. ამ მხრივ არჩევანი უნდა გაკეთდეს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის სესხებზე, რადგან საქართველოს დღეისთვის საგარეო სესხებს შორის სწორედ ამ ორგანიზაციიდან აქვს მიღებული კრედიტები დაფარვის ყველაზე ხანგრძლივი ვადით და დაბალი სარგებლის განაკვეთით.

**მცირე ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელია: მეწარმეობისთვის სათანადო სამართლებრივი ბაზის შექმნა; შეღავათიანი კრედიტების გამოყოფა, გარკვეული საგადასახადო შეღავათების დაწესება და მეწარმეებისთვის გარკვეული დახმარების გაწევა საგარეო-ეკონომიკური კავშირების დამყარებაში.**

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური საქმიანობის ანალიზით, რომლებმაც თავი დააღწიეს ჩამორჩენილობას, ირკვევა, რომ ეკონომიკის განვითარებისთვის საჭირო ინვესტიციების დონე დაახლოებით მშპ-ის ღირებულების 20-25%-ს უნდა შეადგენდეს.

ამჟამად საქართველოში სახელმწიფო ინვესტიციები მშპ-ის ღირებულების 6-7%-ს არ აღემატება. **ექსპერტების პროგნოზი, რომ პრივატიზების შედეგად დაიწყებოდა უცხოური ინვესტიციების მოდინება, არ გამართლდა.** ინვესტიციური ხასიათის კრედიტების თანხიდან კაპიტალდაბანდებებისთვის გამოიყენება მხოლოდ 15-20%.

საჭიროა ქვეყანაში შეიქმნას ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო უცხოური ინვესტიციების აქტიურად მოზიდვის მიზნით. **დაბალი შემოსავლებისა და შეზღუდული სახელმწიფო ფინანსური რესურსების პირობებში კაპიტალდაბანდებათა ძირითადი წყარო უნდა გახდეს უცხოური ინვესტიციები**.

უცხოური ინვესტიციები განხილული უნდა იქნეს, როგორც ეკონომიკური და ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, საწარმოო პროცესების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დაუფლების და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების დონეზე კადრების მომზადების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

**საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა უნდა განხორციელდეს სამეწარმეო და სასესხო ფორმით, ამასთან, მხარი უნდა დავუჭიროთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ყველაზე პოპულარულ ფორმას — ერთობლივი საწარმოების შექმნას.**

## საერთაშორისო დონეზე მოლაპარაკებები გადახდისუნარიანობის კრიზისის დაძლევის მიზნით კრედიტორ და მსესხებელ ქვეყნებს შორის

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმეჯერ მოხდა საქართველოს საგარეო ვალების შეღავათიანი პირობებით რესტრუქტურიზაცია, ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები საკმარისი არაა, ე.ი. ვალის ძირითადი თანხისა და მომსახურების (პროცენტების) გადახდის პირობებში არსებობს სერიოზული პრობლემები.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მოქმედებდა კრედიტორებთან მიღწეული შეთანხმებები, რომელთა მიხედვით ვიხდიდით მხოლოდ ვალის პროცენტს და არა მის ძირითად ნაწილს.

მაშასადამე, თუ დროულად არ მოხერხდა ამ ვალების ხელსაყრელი პირობებით განვადება, საქართველო მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან ამისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველკვარტალურად გადასახდელი ექნება ასეულობით მილიონი დოლარი — საგარეო სესხების ძირითადი თანხებისა და მათზე სარგებლობის თანხების დასაფარავად. ეს კი გამოიწვევს სოციალური და სხვა სახის პროგრამების დაფინანსების მნიშვნელოვანწილად შემცირებას.

საქართველოს საგარეო დავალიანების დასაფარავი თანხა (რომელიც შეიცავს ძირითად და მომსახურების საპროცენტო თანხებს და ვადაგადაცილებულ დავალიანებაზე დარიცხულ საჯარიმო თანხას) ყოველთვის აღემატება ნებისმიერი მომდევნო წლის ბიუჯეტის შესაძლებლობებს.

ამდენად, **საგარეო ვალების მომსახურების საკითხი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება და, მთავრობის ფისკალური პოლიტიკის მკვეთრი გაუმჯობესების გარეშე, არსებული საბიუჯეტო კრიზისის კიდევ უფრო მეტად გაღრმავების რეალური საფრთხეა მოსალოდნელი.**

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# მარტო საქონელმიმოქცევიდან და მომსახურებიდან ამოღებული გადასახადებით სახელმწიფო დიდხანს ვერ იარსებებს

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ევროკავშირის ერთიანი ბიუჯეტის შექმნა იმას ნიშნავდა, რომ ფრანგი და შვედი გადასახადების გადამხდელები, ფაქტობრივად, გახდებოდნენ იძულებულნი, ერჩინათ ბერძნები ან რუმინელები. დასავლეთ ევროპის მცხოვრებთ აშინებდათ აღმოსავლეთიდან იაფი მუშახელის ნაკადის წამოსვლაც. ევროკავშირის პრეზიდენტის, საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის, დროშის, ღერბისა და ჰიმნის ხსენება ხომ საერთოდაც დამოუკიდებლობის დაკარგვის ილუზიას ქმნიდა.

# ოცნება ერთიან ევროპაზე

**1 დეკემბერს ევროკავშირის ფუძემდებლური დოკუმენტის — ლისაბონის შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წელი შესრულდა. ამ დოკუმენტმა თითქოს ახალ დონეზე გაიყვანა ევროპული ინტეგრაცია, ევროკავშირი თითქმის ზენაციონალურ სუპერსახელმწიფოდ აქცია, მაგრამ გავიდა ორი წელი და გაირკვა: ევროპული ერთობის სიმყარე მხოლოდ ქაღალდზე გამოვლინდა.**






## მკვდრადშობილი ევროკონსტიტუციის მემკვიდრე

ლისაბონის შეთანხმებას ხელი მოაწერეს 2007 წლის 13 დეკემბერს, მაგრამ ევროკავშირის ოცდაშვიდივე წევრი ქვეყნის მხრიდან მისი რატიფიცირებისა და დოკუმენტის ძალაში შესვლამდე ლამის ორი წელი გავიდა. ეს დოკუმენტი ევროკონსტიტუციის შემცვლელია. ამ უკანასკნელს „ლისაბონამდე" სამი წლით ადრე მოაწერეს ხელი, მაგრამ, 2005 წლის შუა პერიოდში საფრანგეთსა და ჰოლანდიაში ჩატარებული რეფერენდუმების შედეგების თანახმად, უარყოფილ იქნა. კიდევ ორი წლის მანძილზე ევროკავშირის ჩინოვნიკები და სახელმწიფოთა მეთაურები საერთო ევროპული კონსტიტუციის გადარჩენას ცდილობდნენ, მაგრამ ევროკონსტიტუციის შექმნის პროექტი სრული კრახით დასრულდა.

**ამომრჩეველს არ მოეწონა ის, რომ ცალკეული ნაციონალური სახელმწიფოების უფლებამოსილება მინიმუმამდე დავიდა, მათი მმართველი კი იქნება ბრიუსელის არაარჩევადი ბიუროკრატია ევროკომისიის სახით. ევროკავშირის ერთიანი ბიუჯეტის შექმნა იმას ნიშნავდა, რომ ფრანგი და შვედი გადასახადების გადამხდელები, ფაქტობრივად, გახდებოდნენ იძულებულნი, ერჩინათ ბერძნები ან რუმინელები. დასავლეთ ევროპის მცხოვრებთ აშინებდათ აღმოსავლეთიდან იაფი მუშახელის ნაკადის წამოსვლაც. ევროკავშირის პრეზიდენტის, საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის, დროშის, ღერბისა და ჰიმნის ხსენება ხომ საერთოდაც დამოუკიდებლობის დაკარგვის ილუზიას ქმნიდა.**

როგორც ევროპელებს, ასევე ნაციონალ ბიუროკრატებსაც დოკუმენტის გარკვეული რევიზიის ჩატარება მოუხდათ, რათა არავის მოჩვენებოდა, რომ ევროპის შეერთებული შტატები იქმნებოდა. ზენაციონალური ორგანოების უფლებამოსილება ცოტათი შეამცირეს, ღერბისა და ჰიმნის ხსენებაც კი მოსპეს. ევრო აღარ ცხადდებოდა ყველასათვის ერთადერთ გადახდის საშუალებად (ეს ევროკონსტიტუციაშიც არ ეწერა), და ევროკავშირის არა ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობებს. ცალკეული სახელმწიფოების დამოუკიდებლობა მნიშვნელოვნად შეიკვეცა. თუ ადრე ევროკავშიის ნებისმიერ წევრ ქვეყანას შეეძლო ვეტო დაედო მისი რომელიმე გადაწყვეტილებისთვის, დოკუმენტის მიღების შემდეგ ეს უფლება მხოლოდ ოთხ ქვეყანას დარჩა.

## გაჭიანურებული რატიფიკაცია

დოკუმენტის რატიფიკაცია გაჯანჯლდა. ბრიტანელმა კონსერვატორებმა პირდაპირ მიანიშნეს, რომ დასაწყისშივე უარყოფენ მას. გამართლება იყო, რომ ბრიტანეთში 2010 წლამდე ხელისუფლებაში ლეიბორისტები დარჩნენ და მათ დოკუმენტი მოიწონეს. შეთანხმების ქვეშ ხელის მოწერაზე უარს აცხადებდა პოლონეთის აწ განსვენებული პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკიც. მას სურდა, რომ პოლონეთს ევროკავშირის საბჭოში იგივე წონა ჰქონოდა, რაც საფრანგეთს, იტალიასა და ბრიტანეთს. მისი აზრით, რომ არა მეორე მსოფლიო ომი, პოლონეთში 65 მილიონი ადამიანი იცხოვრებდა ახლანდელი 37 მილიონის ნაცვლად. კაჩინსკი ლამის ძალად დაიყოლიეს ხელმოწერაზე.

**რომ არ დაეშვათ იგივე კონფუზი, რაც ევროკონსტიტუციის შემთხვევაში მოხდა, ლისაბონის შეთანხმება რეფერენდუმზე არ გაუტანიათ — პარლამენტში კენჭისყრით შემოიფარგლნენ. გამონაკლისს ირლანდია წარმოადგენდა და 2008 წლის ივნისში ლისაბონის შეთანხმების რატიფიცირება შეჩერდა. კელტების უმეტესობამ არ მოინდომა უფლებამოსილებების გადანაწილება ზენაციონალურ ორგანოებთან. დოკუმენტი მხოლოდ მეორე ცდით მიიღეს 2009 წლის ოქტომბერში. ევროკავშირის კრედიტების გარეშე ვალების ორმოში ჩავარდნილი ირლანდია საერთოდაც ფსკერზე დანარცხების საფრთხის წინაშე იდგა.**

და ამ დროს თავისი წონადი სიტყვა თქვა ჩეხეთის პრეზიდენტმა ვაცლავ კლაუსმა. წლების მანძილზე ის ზენაციონალური ორგანოებისთვის უფლებამოსილებების გადაცემის ლამის მთავარი კრიტიკოსის როლში გამოდიოდა და საკუთარი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვას შიშობდა. ჩეხეთის პარლამენტმაც და საკონსტიტუციო სასამართლომაც გადაწყვიტეს, რომ ლისაბონის შეთანხმება არ ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის კონსტიტუციას, მაგრამ კლაუსმა ახალი მიზეზი მოძებნა — მოითხოვა, რომ მის ქვეყანაზე არ გავრცელებულიყო დოკუმენტის თანმხლები ქარტია ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ.

კლაუსის ლოგიკის გაგება შეიძლებოდა. ამ ქარტიის საფუძველზე 1945-46 წლებში ჩეხოსლოვაკიიდან გასახლებულ გერმანელებს შეეძლოთ ჩეხეთზე მრავალმილიარდიანი სარჩელები შეეტანათ. ჩეხეთის პრეზიდენტმა თავისას მიაღწია — ევროკავშირმა მის ქვეყანაზე ეს „დანართი" არ გაავრცელა. 2009 წლის 3 ნოემბერს კლაუსმა ლისაბონის შეთანხმებას ხელი მოაწერა, მაგრამ განაცხადა, რომ ახლა ჩეხეთი სუვერენიტეტს კარგავდა. ამის შემდეგ ევროკავშირს შეეძლო შვებით ამოესუნთქა, მაგრამ, როგორც გაირკვა, შვება ხანგრძლივი არ იყო.

## ევროინტეგრაციის სხვადასხვა დონე

**გავიდა ორი წელი, მაგრამ ლისაბონის შეთანხმება სრულად მაინც ვერ ამუშავდა. ამ დრომდეც ევროკავშირში ინტეგრაციის რამდენიმე ხარისხი არსებობს. ევროკავშირის ბირთვად შეიძლება ჩაითვალოს გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი, ბენილუქსის ქვეყნები და ფინეთი, რომლებიც ევროს ზონაშიც ველყოფაც კი შეუძლიათ. უკიდურესი, რაც შეიძლება მოხდეს, ისაა, რომ ბელგია დაიშალოს, მაგრამ ამ დრომდე ქვეყანა არსებობს და სხვებთან შედარებით — არც თუ ცუდად.**

ყველა გაერთიანებაში შედიან ასევე იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, მალტა, სლოვაკეთი, სლოვენია და ესტონეთი. მათი ეკონომიკები გერმანულსა და ფრანგულთან შედარებით ბევრად მცირე და არქაულია. სავალე ორმოს, რომელშიც ჩაცვენილნი არიან ამ სიის პირველი ოთხი სახელმწიფო, შეუძლია, ფსკერისკენ მთელი ევროზონა ჩაითრიოს. სლოვაკეთი და ესტონეთი იმავე საბერძნეთსა და პორტუგალიაზე მნიშვნელოვნად ღარიბები არიან და ისინი ევროზონაში აშკარად „ავანსად" მიიღეს.

**„ჩაღრმავებული" ევროინტეგრაციისგან, როგორც წესი, განზე დგას დიდი ბრიტანეთი. ის არ აღიარებს ევროსასამართლოს მთავრობას, ევროს, შენგენის ზონებს. ცალკეული კონსერვატორი პოლიტიკოსები კი გახსნილად აცხადებენ ევროკავშირიდან გასვლის აუცილებლობაზე. ინგლისელებზე ძალიან დიდი დამოკიდებულების გამო „შენგენს" ვერ უერთდება ასევე დეფოლტის ზღვარზე მდგარი ირლანდია, თუმცა ევროზონაში შესვლა მან მაინც მოახერხა. „შენგენში" ვერ შევიდა კვიპროსიც, რომელიც, უბრალოდ, არ შეუშვეს იქ ქვეყნის ჩრდილოეთ (თურქული) ნაწილის სტატუსის დაურეგულირებლობის გამო.**

განვითარებული და კრიზისის არც თუ ცუდად გადამტანი დანია და შვედეთი ევროზონას არ შეუერთდნენ. ანდერსენის სამშობლოს უფლება აქვს, საკუთარ ტერიტორიაზე არ შეუშვას ტურისტები, რომელთაც შენგენის სხვა ქვეყნის მიერ გაცემული ვიზები აქვთ, ცოტა ხნის წინ კი მან სასაზღვრო კონტროლიც აღადგინა. გასაგებია, რომ საბერძნეთის კრიზისის პირობებში კარგად მცხოვრებ ჩრდილოელებს ევროზონაში შესვლა სულაც არ ეჩქარებათ.

ლატვია, ლიტვა, პოლონეთი და უნგრეთი „შენგენში" მიიღეს, მაგრამ ევროზონაში მათ მიღებას არ ჩქარობენ. ეს გასაგებიცაა: ევროპული საზომის მიხედვით, ქვეყნები ღარიბები არიან, გარდა ამისა, პოლონეთის გარდა ყველა კრიზისშია. **ვიდრე საბერძნეთის პრობლემები დაიწყებოდა, ევროკავშირის მთავარი თავისტკივილი სწორედ უნგრელები და ლატვიელები იყვნენ. მათზე ოდნავ მაღლა დგას ჩეხეთი. მას ევროზონაში სამი წლის წინაც მიიღებდნენ, მაგრამ პრეზიდენტმა კლაუსმა ეროვნულ ვალუტაზე უარი არ დაუშვა. და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, სწორადაც მოიქცა — ჩეხური კრონი ევროზე ბევრად უფრო სტაბილურია.**

**და ბოლოს, რუმინეთი და ბულგარეთი. ევროკავშირმა, ალბათ, უკვე ასჯერ მაინც ინანა, რომ საკუთარ რიგებში მათ მიღებას დათანხმდა. ამ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დონე ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე დაახლოებით 2,5-ჯერ ნაკლებია. კორუფცია ყვავის, ამ ქვეყნებიდან ჩასული ბოშები მთელ ევროპას თავზარს სცემენ. კრიზისმა ლამის საბოლოოდ მოუღო ბოლო უამისოდაც სუსტ ადგილობრივ ეკონომიკებს.** ლამის დათანხმდნენ ამ ქვეყნების შენგენში მიღებასაც, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრეს — ბოშების საკითხმა გარკვეული როლი შეასრულა. დღესდღეობით ბულგარეთსა და რუმინეთს ევროკავშირისთვის პრაქტიკულად რაიმეს მიცემა არ შეუძლია.

## შეთანხმების განაჩენი

რაღა გასაკვირია, რომ ლისაბონის შეთანხმებით გამყარებული ნორმები არ მუშაობს. ევროკავშირის ცალკეული ქვეყნები ნებისმიერ საკითხზე კამათობენ. ამის კლასიკური მაგალითი საბერძნეთისთვის ფულის გამოყოფა ან არ გამოყოფაა. და რა მოხდება, თუ 60-მილიონიანი იტალია იქნება გადასარჩენი? ან როგორ უნდა შეთანხმდნენ ქვეყნები, რომლებსაც განვითარების სხვადასხვა დონე აქვთ? მათი ინტერესები, ბუნებრივი მიზეზების გამო, ერთმანეთისგან განსხვავდება.

**გარდა ამისა, ლისაბონის შეთანხმებით გამყარებულია ერთიანი თავდაცვითი სისტემაც, მაგრამ სადაა ეს სისტემა? ევროკავშირის ქვეყნების დიდი უმრავლესობა ნატოს წევრია, იქ კი მესაჭე აშშ-ია და ალიანსში არშემავალი ქვეყნები აქტიურად თანამშრომლობენ მასთან. სადაა ევროკავშირის ერთიანი და ვაშინგტონისგან განსხვავებული სიტყვა? ლიბიის საკითხზეც, სირიის საკითხზეც ევროპა ვაშინგტონთან ხმაშეწყობით გამოდის. კოსოვოს საკითხზე კი ევროპამ გადააჭარბა კიდეც ამერიკული გეგმების ცხოვრებაში განხორციელების მხრივ. ალბათ, ბევრ ევროპელს, განსაკუთრებით ბევრ ფრანგს, აშშ-ისგან დამოუკიდებელი პოლიტიკა სურთ, მაგრამ ასე ვერ გამოდის — ლისაბონის შეთანხმებამ ძალზე სწორხაზოვანი კონსტრუქცია შეადუღაბა.**

გამოდის, რომ ევროპის ერთიანობა მხოლოდ ქაღალდზე მიღწეული და 1 დეკემბრის დღესასწაულსაც ევროკავშირმა არასაზეიმო განწყობით შეხვდა.

win.ru




**აშშ-ის მოსახლეობის ხელისუფლება, ქვეყანაში მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, მოსახლეობის რეპრესიებს აპირებს და ამისათვის ქვეყნის ტერიტორიაზე უკვე ააშენა 800-ზე მეტი საკონცენტრაციო ბანაკი. თითოეულ საკონცენტრაციო ბანაკს არანაკლებ 20000 ადამიანის „გადამუშავება“ შეუძლია.**



დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რასაც დასთეს, იმას მოიმკი — ვაშინგტონი სამოქალაქო ომისთვის ემზადება



**უკანასკნელი წლებისა და თვეების მანძილზე სხვადასხვა ქვეყანასა თუ კონტინენტზე განვითარებული მოვლენების ანალიზი მათ უხილავ კავშირზე მიგვანიშნებს.**












ჯერ პარიზის გარეუბნების ამბოხი აალებული ავტომანქანებით, შემდეგ — თანდათან განვითარებადი ევროზონის კრიზისი. ირლანდია, ისლანდია, პორტუგალია, ესპანეთი... საბერძნეთში საკუთარი უფლებების დასაცავად და ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი მილიონობით ადამიანი ქუჩებში... რიგში, როგორც ჩანს, იტალია დგას: ევროზონის დაჩქარებულმა ნახევრად-დაშლამ თავის გზაზე თვით სილვიო ბერლუსკონიც კი წალეკა. იტალიაში უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ დაკარგულ თაობაზე, ახალგაზრდობის უმუშევრობაზე, დასაქმებულთა 700-ევროიან ხელფასებზე და ა.შ. ამ ყველაფერმა მსოფლიო გააოცა. იტალია ხომ მუდამ ტურისტულ ფერადოვან ნახატთან ასოცირდებოდა და ამ ნახატზე ასახული იყო ის ქვეყანა, რომელზეც მხოლოდ ოცნება შეიძლება.

ამავე დროს ახლო აღმოსავლეთში მრავალ არაბულ ქვეყანაში საპროტესტო მიტინგები არ წყდება; ბევრგან ხელისუფლება დაემხო კიდეც, მაგრამ ოკეანის გაღმიდან დასუსტებადი ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები კვლავაც განაგრძობენ იქაურ მეამბოხეთა წაქეზებას. რამდენიმე წლის წინ ერაყი ამ ყველაფრისთვის საცდელი კურდღელი იყო. ამას ლიბია და კადაფი მოჰყვა, ახლა სირიასა და იემენშია ალიაქოთი...

მეორეს მხრივ, 2005-2007 წლების მოვლენების შემდეგ კვლავ განახლდა ირანის ირგვლივ ტრიალი. ისრაელისა და აშშ-ის მხრიდან მასზე თავდასხმის მუქარა ისმის. ამ ყველაფერს საინფორმაციო მხარდაჭერას უწევს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო, გაეროს „შვილობილი“, რომელიც აცხადებს, რომ თეირანი საკუთარი ბირთვული იარაღის შექმნას აპირებს. ყველას კარგად ახსოვს ბაღდადთან დაკავშირებული ანალოგიური მდგომარეობა, როდესაც აშშ-ის იმჟამინდელ პრეზიდენტ ბუშ უმცროსს თავისი „შევარდნები“ არწმუნებდნენ, რომ ერაყს მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა.

**როგორც მსოფლიო ნავის რყევის აპოთეოზი, საპროტესტო აქციები თავად ამერიკაშიც დაიწყო — მოძრაობა „დაიკავე უოლ-სტრიტი“ ნიუ იორკიდან ლამის მთელ მსოფლიოს მოედო. ნიუ იორკში მის მონაწილეებთან მკაცრად გასწორება, უნდა ითქვას, რომ ნამდვილი დემოკრატია იყო მოქმედებაში.**

**ამ მსოფლიო არასტაბილურობის ფონზე ამერიკელები მშვიდად და ნელ-ნელა განაგრძობენ თავიანთი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განთავსებას ევროპაში, ცხადია, ამ უკანასკნელის თანხმობით (და ეს ხდება, ფაქტობრივად, ბირთვული ზესახელმწიფოს — რუსეთის კარიბჭესთან). რუსეთი ერთადერთია, რომელსაც ჯერ კიდევ შესწევს ძალა, ადეკვატური პასუხი გასცეს ყველას, მასზე ბირთვული თავდასხმის შემთხვევაში. როგორც ჩანს, სწორედ ეს უბიძგებს აშშ-სა და ნატოს, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან დაკავშირებული ბანკეტი განაგრძონ, ოღონდ კი რუსულ რაკეტებს აფრენის საშუალება არ მისცენ. ამასთან, ისინი პრაქტიკულად გავიდნენ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმებიდან და რუსეთს არ აყენებენ საქმის კურსში თავიანთი ჯარების გადაადგილების თაობაზე.**

რუსეთის საზღვრებთან ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ობიექტების განთავსებასთან დაკავშირებით პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის მკაცრი პასუხი უკვე საყოველთაოდ ცნობილია. ასევე ცნობილია მდგომარეობის კიდევ უფრო დამძაბველი განცხადებები ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობის მხრიდან იმის თაობაზე, რომ აშშ რუსეთს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ობიექტებისა და რაკეტების ალყაში აქცევს და რომ უახლოეს მომავალში რუსეთის ტერიტორიაზე ბირთვული ომის დაწყების შესაძლებლობა გამორიცხული არაა. **უკანასკნელი სიახლე საინფორმაციო ბრძოლის ველზე ის იყო, რომ კალინინგრადში გამოსაცდელ-საბრძოლო მორიგეობის რეჟიმში გადავიდა სარაკეტო თავდასხმის გამაფრთხილებელი რადიოლოკაციური სადგური, რომელიც მთელ ევროპას „ფარავს“**. როგორც ჩანს, დესერტადაა შემონახული განიარაღების უკანასკნელი შეთანხმებიდან სავარაუდო გასვლის შესახებ ცნობაც.

ყველა ამ გლობალური რყევის ბეგრაუნდად იქცა პრესაში გავრცელებული ცნობა იმის თაობაზე, რომ რუსეთში დაწყებულია ახალი ბუნკერების მშენებლობა. როგორც ამბობენ, საბჭოთა კავშირში დაბომბვებისას თავშესაფრებთან დაკავშირებით ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ 20 წლის მანძილზე ყველაფერი მოიშალა და განახლების დროა. როგორც ტელეარხი Russia Today იტყობინება, მხოლოდ მოსკოვში 5000 ახალი თავშესაფარი შენდება. მიზანი ისაა, რომ ამგვარი თავშესაფრები აშენდეს საკმაო რაოდენობით, მოსკოვის თითქმის მთელი მოსახლეობისთვის.

გეგმის თანახმად, მშენებლობა 2012 წლის ბოლოსთვის დასრულდება და ამ დროისთვის ნებისმიერ მოსკოველს შეეძლება, უახლოეს თავშესაფრამდე ორიოდე წუთში მივიდეს. **შემთხვევითია კი მთელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ამგვარი დამთხვევა და განსაკუთრებით რუსულ-ამერიკული ურთიერთობების ობამასეული გადატვირთვის თვალსაჩინო განტვირთვა?** მაგრამ არც ესაა მსოფლიო დასაშვებ ზოლზე მიმდინარე მოვლენების დასასრული. ვიდრე რუსეთში სწრაფად ითვისებენ თავშესაფრებში ჩადებულ ფინანსებს, როგორც აღმოჩნდა, არც ამერიკულ ნაპირზე თვლემენ. ინფორმაცია, რომელმაც შემთხვევით გაჟონა ინტერნეტის დასავლეთ სექტორში, არა მხოლოდ წარმოსახვას სცილდება, არამედ აჩენს კითხვებს, რომლებზეც ჯერჯერობით შერაცხადი პასუხები არ არსებობს.

**სხვადასხვა საიტზე სხვადასხვა წყარო ასახავს, რომ უკანასკნელ წლებში აშშ-მა ააშენა 130-დან 800-მდე სპეციალური ობიექტი ადამიანებისთვის. ერთნი ამ ობიექტებს ციხეებს უწოდებენ, მეორენი — საკონცენტრაციო ბანაკებს. მოწმეებად წარმოდგენილნი არიან უბრალო ადამიანები, რომელთაც საკუთარ ქალაქში შემთხვევით აღმოაჩინეს ახალი მშენებლობა, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები.**

ერთ-ერთი წყარო, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას, ამერიკელი მწერლის — რენდ კლიფორდის სტატიაა სათაურით „America! Be Truly Afraid“ („ამერიკა, გაქვს ის, რისიც უნდა გეშინოდეს!“). სტატიაში ასახულია აშშ-ის მოსახლეობის შემზარავი მომავალი ამერიკის ხელისუფლების საიდუმლო მოქმედებებთან დაკავშირებით. მწერლის თქმით, **ხელისუფლება, ქვეყანაში მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, მოსახლეობის რეპრესიებს აპირებს და ამისათვის ქვეყნის ტერიტორიაზე უკვე ააშენა 800-ზე მეტი საკონცენტრაციო ბანაკი. თითოეულ საკონცენტრაციო ბანაკს არანაკლებ 20000 ადამიანის „გადამუშავება“ შეუძლია.**

ჟურნალისტები ზოგიერთ კონკრეტულ ბანაკებზეც მიანიშნებენ, რომლებიც კალიფორნიაში, მერილენდში, არიზონაში, ტეხასში, ვირჯინიასა და სხვა შტატებში აღმოაჩინეს. დისკუსიის მონაწილეთა მტკიცებით, **ყველაზე დიდი ბანაკი ალიასკაზე მდებარეობს. მას ერთდროულად ორ მილიონამდე ადამიანის მიღება და განთავსება შეუძლია. ყველა აღნიშნავს ერთ დეტალს: ბანაკ-ციხეებს აქვთ შესაბამისი ინფრასტრუქტურა, კომპლექტირება, აღჭურვილობა; ზოგიერთებში არის გაზის კამერებიც და, რაც მთავარია, ეს ცარიელი ტერიტორიები 24 საათის განმავლობაში დაცვის ქვეშაა.**

მაგრამ არც ამით მთავრდება. როგორც ამერიკელი ჟურნალისტი ალექს ჯონსი ირწმუნება თავის რადიოშოუში „FEMA ბანაკები ამერიკაში: ალექს ჯონსის საკვირაო ტელეგამოშვება“, **ფედერალური ხელისუფლების დაკვეთით დამზადდა მილიონობით პლასტიკატის კუბო,** რომლებიც შემდგომ განსაკუთრებულ შემთხვევათა ფედერალური სააგენტოს (Federal Emergency Management Agency, FEMA) დახურულ ბაზებზე გადანაწილდა. აღმოჩნდა, რომ ამ კუბო-კონტეინერების დამამზადებელი ფირმა არის Polyguard and Co. მის საიტზე ნებისმიერს შეუძლია წაიკითხოს დამკრძალავი მომსახურებების — განსაკუთრებული პლასტიკატისგან ზეგამძლე კუბოების დამზადების თაობაზე. როგორც საიტზე იტყობინებიან, ეს პლასტიკატი ბეტონზე და ფოლადზე უფრო გამძლეა და მისი დაუშლელობის გარანტია 100 წელს ითვლის. კუბოების რეკლამაში ნათქვამია: **„ეკონომიკურად რთული პერიოდი პოლიმერებს ძვირადღირებული ფოლადის კუბოების მშვენიერ ალტერნატივად აქცევს“.** მოსახლეობის მიერ აღმოჩენილი ბანაკებიც FEMA-ს საკუთრებაშია და, როგორც გაირკვა, მათ კომპანია Halliburton-ი აშენებს. დასახელებულია თანხაც — 386 მილიონი დოლარი. სწორედ ესაა ამ სიამოვნების ღირებულება ამერიკელი გადასახადების გადამხდელებისთვის.

მწერალი რენდ კლიფორდის მტკიცებით, ხელისუფლების მიერ მეამბოხე მოქალაქეებისთვის აშენებული ბანაკების კარიბჭეები საომარი მდგომარეობის გამოცხადებისას გაიღება. იგი წერს, რომ **ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკების მსგავსი ამერიკული ბანაკები წითელ და ცისფერ ზოლებად იყოფა.**

„წითელ სიაში“ შეყვანილნი არიან ახალი მსოფლიო წესრიგის მტრები. **სამხედრო მმართველობის შემოღებამდე ორი კვირით ადრე მათ ბანაკებში გაუშვებენ დაუყოვნებლივ განადგურებისთვის. ესენი რეალური და პოტენციური ლიდერები და აქტივისტები არიან. „ცისფერ სიაში“ ასევე არიან მტრები, მაგრამ არა ლიდერები. საომარი მდგომარეობის შემოღების შემდეგ ამ ადამიანებს დაიჭერენ და ბანაკებში გაამწესებენ „გადასაპროგრამებლად“.**

ინტერნეტში დევს სხვადასხვა დოკუმენტი, რომლებმაც შემთხვევით „გაჟონა“ და რომლებსაც თემასთან აქვს კავშირი, მაგალითად, კონგრესმენ ბილ ჰეფნერის წერილი ან სენატორ ჯონ ბრენსისთვის პენტაგონიდან მიწერილი წერილი სათაურით „ციხის ბანაკები სამოქალაქო პირთათვის“.

**ყველა ამ ზომას ამერიკის ხელისუფლება მიმართავს სამოქალაქო ომის შედეგად აშშ-ის ეკონომიკისა და ფინანსური სისტემის კოლაფსის შემთხვევაში.**

სხვა დროში ამერიკელი მწერლებისა და ჟურნალისტების ეს გაფრთხილებები შეიძლებოდა დაშინებად ან კატასტროფული აზროვნების პროდუქტად ჩაგვეთვალა, მაგრამ დღეს, როდესაც მთელ მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ქარიშხლები მძვინვარებს, შეუძლებელი აღარაფერია. ევროპაში ამ მხრივ არაფერი ისმის, რუსეთშიც ასე ღრმად არ თხრიან. რევოლუციებსა და ხელისუფლებების რყევებს, როგორც ჩანს, აქ არ ელიან და არც უფრთხიან.

rosbalt.ru

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ სირიის საქმეში შეიარაღებულ ჩარევას სხვა სახელმწიფოები დე იურე არ ახორციელებენ, მაშინ ტერიტორიის ნაწილის ანექსირებისა და ქვეყნის სუვერენიტეტზე თავდასხმის განზრახვა სახეზეა. თურქეთი და საფრანგეთი ხელს უწყობენ სირიაში იმ რეგიონების განვითარებას, რომლებიც სირიის ხელისუფლებას, ფაქტობრივად, არ ემორჩილებიან. საუბარია ეგრეთ წოდებული უსაფრთხოების ზონების შექმნაზე, რომლებშიც ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეები და მეამბოხეები დამალვას შეძლებენ.**

# სირია — გეგმიური სამოქალაქო ომი



**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი მოულოდნელად დაეთანხმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — სერგეი ლავროვის გამონათქვამებს, როცა ამ უკანასკნელმა შეშფოთება გამოხატა სირიაში სამოქალაქო ომის შესაძლო დაწყებასთან დაკავშირებით. მანამდე სახელმწიფო დეპარტამენტი მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდა მოვლენათა ამგვარ შეფასებას და „ხალხისა და ტირანის“ დაპირისპირების მოდელს ანიჭებდა უპირატესობას. მაგრამ, როგორც ჩანს, გადახედეს, თუ როგორ უნდა იქნას სწორად წარმოდგენილი სირიული დრამა. სავარაუდოდ, საწყისი ვერსია დიქტატორ ასადზე, რომელიც ანადგურებდა დემოკრატიის ყლორტებს, დამუშავდა და მისგან სრულად გამოიწურა ყველაფერი სასარგებლო. სირიის პრეზიდენტმა „დაკარგა ლეგიტიმურობა“, სირიის წინააღმდეგ შემოღებულ იქნა მთელი რიგი სანქციები და აკრძალვები, მაგრამ ამ ყველაფერმა არ გასცა პასუხი კითხვას: რა უნდა ქნან შემდეგ?**



პირდაპირი სამხედრო აგრესია ავიადარტყმების თანხლებით დიდ დანაკარგებსა და დანახარჯებთანაა დაკავშირებული. სირიის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა გაცილებით უკეთეს ფორმაშია, ვიდრე ლიბიისა იყო. გარდა ამისა, რუსეთის ფედერაციამ სირიის სანაპიროებზე რამდენიმე გემი გაგზავნა. ცხადია, რუსეთის ფლოტის იქ ყოფნა აშშ-ს ვერ აიძულებს, უარი განაცხადოს თავის შორს მიმავალ გეგმებზე, მაგრამ მდგომარეობაზე გავლენას აუცილებლად იქონიებს. საბრძოლო მოქმედებების დროს ხომ შესაძლებია, რომ რუსული გემები ცეცხლის ქვეშ მოყვნენ და შესაძლოა იძულებულნი გახდნენ, თავი დაიცვან, რაც აუცილებლად გამოიწვევს დანაკარგებს ნატოს ავიაციაში და შემდგომ მოვლენებსაც, რომელთა წინასწარ განსაზღვრა ძალიან ძნელია. ცხადია, რომ **სირიაზე პირდაპირი თავდასხმის შემთხვევაში საქმეში, შესაძლოა, ირანიც ჩაერთოს.**

**ამ ფონზე სირიაში სამოქალაქო ომი აშშ-ისთვის გაცილებით მისაღებ ვარიანტად გამოიყურება, ვიდრე მორიგი „ჰუმანიტარული ინტერვენცია“. ეს მეთოდი მრავალი საკითხის გადაჭრის საშუალებას იძლევა.** პირველ რიგში, სირიის მრავალ მოკავშირეს აღარ მიეცემა ფორმალური მიზეზი, აშშ სხვა სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევის გამო დაადანაშაულოს. ამავე საფუძველზე გაჭირდება სამხედრო დახმარების განხორციელება ირანის მხრიდან და ამასთან, მოქმედების სრულ თავისუფლებას მოიპოვებენ სამხედრო ფორმირებები, რომელთაც წარმოშობის საიდუმლო ისტორიები აქვთ. საუბარია რაიმე სტრუქტურაში გაერთიანების გარეშე სირიის არმიასთან მებრძოლ მეამბოხეებზე და ასევე თურქულ ტერიტორიაზე დისლოცირებულ „სირიის განმათავისუფლებელ არმიაზე“, რომელსაც ჰყავს ოფიცრები, აქვს საწვრთნელი ბანაკები და ჰყავს მთავარსარდალი, პოლკოვნიკი ალ-ასადი. ეს არმია ტერორისტულ აქტებს ახორციელებს სირიის არმიისა და სამართალდამცავი ორგანოების წინააღმდეგ.

**ლიბიის ყოფილ და სირიის მომავალ ომებს შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარ არმიებს თავისუფლად შეუძლიათ ნატოს დახმარების გარეშე გაძლონ. მათი იარაღით, კადრებითა და რესურსებით მომარაგება პრაქტიკულად წინააღმდეგობისა და კონტროლის გარეშეც შეიძლება.**

დამატებითი სარგებელი ისაა, რომ შესაძლებელი ხდება ლიბიის რევოლუციის პრობლემური კადრების „დასაქმებაც“. ამ უკანასკნელთ, იგემეს რა გამარჯვება, არანაირი სურვილი არ აქვთ, მშვიდობიან მშენებლობაზე გადაერთონ.

ლიბიის გარდამავალი ეროვნული საბჭოს ოფიციალური ორგანო Libya Now იტყობინება, რომ აბდელჰაკიმ ბელხაჯი, რომელიც ნატოს დახმარებით გარდამავალი ეროვნული საბჭოს ბოევიკების მიერ ტრიპოლის აღების შემდეგ ლიბიის დედაქალაქის სამხედრო მეთაური გახდა, სხვის სახელს ამოფარებული თურქეთში იმყოფება. სალემ ალ-ალვანად წოდებული ბელჰაჯი 700 ადამიანისგან შემდეგარი ბატალიონის სათავეში დგას და თურქეთ-სირიის საზღვარზე მყოფი სირიაში შეჭრისთვის ემზადება, რათა იქ მონაწილეობა მიიღოს ტერორისტულ შეტევებში. ამასთან, ეს რაზმი ერთადერთი არაა. როგორც იორდანიის პრესა იტყობინება, **ლიბიიდან დაახლოებით 600 ბოევიკმა თურქეთის გავლით უკვე შეაღწია სირიაში და „სირიის განმათავისუფლებელ არმიას“ შეუერთდა.**

აბდელჰაკიმ ბელჰაჯს მსგავსი პუბლიკის მართვისთვის საჭირო ყველა თვისება აქვს და არც დივერსიული მოღვაწეობის გამოცდილებას უჩივის.

როგორც ცნობილია, ბელჰაჯი სათავეში ედგა ტერორისტულ დაჯგუფებას „ლიბიის საბრძოლო ისლამური ჯგუფი“. 2004 წელს ცსს-სა და „მი-6“-ის ერთობლივი ოპერაციის შედეგად იგი დააკავეს და ჯამაჰირიის ხელისუფლებას გადასცეს. 2010 წელს, დადო რა პირობა, რომ შეწყვეტდა ტერორისტულ მოღვაწეობას, ბელჰაჯი გაათავისუფლეს. როგორც ჩანს, პირობა პირობად დარჩა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კადაფის ჩამოგდების საქმეში.

Libya Now-ის მტკიცებით, ბელჰაჯი თავისუფალი ლიბიის მებრძოლების ხელმძღვანელობით მონაწილეობას მიიღებს სირიის განთავისუფლების ოპერაციაში. თურქეთი მას სამხედრო მხარდაჭერას გაუწევს. „ალ-არაბიაზე“ დაყრდნობით „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, რომ **ლიბიის ახალ ხელისუფლებას სურვილი აქვს, სირიელ მეამბოხეებს ფინანსურად დაეხმაროს, იარაღითა და კადრებით მოამარაგოს. ამის შესახებ ჯერ კიდევ ოქტომბერში მოილაპარაკეს ახალი ლიბიის წარმომადგენლებმა და სირიის ოპოზიციამ ტრიპოლსა და სტამბოლში გამართულ შეხვედრებზე. „ტელეგრაფის“ ინფორმაციით, არსებობს სირიისთვის შეიარაღებისა და ბოევიკების მიწოდების გეგმები და სირიაში გასაგზავნი კადრები აქტიურ მოქმედებას რამდენიმე კვირის განმავლობაში დაიწყებენ.**

თავის მხრივ, ისრაელის პორტალი DEBKA იტყობინება, რომ სირიაში შეჭრის ოპერაცია უკვე დამუშავებულია. თურქეთის ქალაქ ისკანდერუნში კი ჩამოყალიბებულია ნატოსა და სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების ერთობლივი დაჯგუფება. ამ დაჯგუფებას პრობლემების ოპერატიული გადაწყვეტის ფუნქცია აკისრია, იმ პრობლემებისა, რომლებიც „განმათავისუფლებელი არმიისთვის“, შესაძლოა, ძალზე რთული აღმოჩნდეს. თურქულმა მასმედიამ გამოაქვეყნა მთელი რიგი ცნობებისა, რომელთაგან ირკვევა, რომ თურქმა სამხედროებმა სირიის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ქურთების საწვრთნელი ბანაკები. იმის მიუხედავად, თუ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ეს ინფორმაცია, თურქეთს ახლა აქვს საფუძველი, სირიის ტერიტორიაზე დარტყმების მისაყენებლად. ამავე მიზეზით თურქეთის ჯარი რეგულარულ რეიდებს ახორციელებს ერაყის ტერიტორიაზე.

**მიუხედავად „არმიებისთვის“ მინიჭებული პლაცდარმებისა, სიტყვიერად თურქეთი სირიაში კრიზისის დარეგულირების საქმეში ჩარევის წინააღმდეგ გამოდის. უკიდურეს შემთხვევაში ამას ამბობს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ახმეტ დავუთოღლუ,** თანაც, მხოლოდ ის არა. ახლა არავინ აცხადებს, რომ სირიის კრიზისის სამხედრო გზით მოგვარების მომხრეა. მაგრამ ტერმინი „სამხედრო ჩარევა“ ძალზე განუსაზღვრელი მცნებაა. მოიცავს თუ არა ის სირიის მოქალაქეთა შეიარაღებული დაჯგუფებების ჩამოყალიბებისთვის სისტემატურ მუშაობას, რათა მათ ოდესმე სირიის სხვა მოქალაქეებთან იომონ? და რა უნდა ეწოდოს ყველა პირობის შექმნას იმისათვის, რომ სროლის მსურველი და კომფორტული არსებობისთვის სათანადოდ შეიარაღებული ადამიანები თავისუფლად შევიდნენ სირიის ტერიტორიაზე?

**თუ სირიის საქმეში შეიარაღებულ ჩარევას სხვა სახელმწიფოები დე იურე არ ახორციელებენ, მაშინ ტერიტორიის ნაწილის ანექსირებისა და ქვეყნის სუვერენიტეტზე თავდასხმის განზრახვა სახეზეა. თურქეთი და საფრანგეთი ხელს უწყობენ სირიაში იმ რეგიონების განვითარებას, რომლებიც სირიის ხელისუფლებას, ფაქტობრივად, არ ემორჩილებიან.**

საუბარია ეგრეთ წოდებული უსაფრთხოების ზონების შექმნაზე, რომლებშიც ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეები და მეამბოხეები დამალვას შეძლებენ.

გარდა ამისა, **საფრანგეთს ახალი შეთავაზება აქვს, „ჰუმანიტარული დერეფნები“, რომელთა დახმარებითაც სირიაში გადაადგილება იქნება შესაძლებელი.** ამ წინადადებით გამოვიდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ალენ ჟიუპე. მისი თქმით, თუ ვერ მოხერხდება სირიის დარწმუნება, დამოუკიდებლად შექმნას ამგვარი დერეფნები, შეიძლება ქვეყანაში შევიდნენ შეიარაღებული დამკვირვებლები, რომლებიც ჰუმანიტარული მისიების უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. ამასთან, მინისტრმა კიდევ ერთხელ გამორიცხა სამხედრო ჩარევა სირიის შიდა საქმეებში. მაგრამ ძნელი სათქმელია, სხვა რა არის, ჰუმანიტარული დერეფნების შეიარაღებული კონტროლი, თუ არა — შეიარაღებული ჩარევა.

ამრიგად, სირიაში **ყველა პირობა იქმნება იმისთვის, რომ სამოქალაქო ომში „საჭირო მხარემ“ გაიმარჯვოს. სირიელი „განმათავისუფლებლებისთვის“ იქმნება როგორც სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მუდმივი ბაზირებისთვის განკუთვნილი ბაზები, ასევე მარშრუტები,** ►






**თუ ირანი ზედმეტს მოინდომებს, უამრავი სხვადასხვა სახის მტრის სამიზნე გახდება. ბაჰრეინში, საუდის არაბეთსა და ერაყში არეულობების პროვოცირებაში ირანის როლი გამოგონილი ან გაზვიადებული იყო. მაგრამ მშვიდობიანი დემონსტრანტების ირანის დავალებით მოქმედ რევოლუციონერებად წარმოჩენა თავად ირანს აძლევს ხელს. შემდეგში განაწყენებულმა რეფორმატორებმა შეიძლება მართლაც ეძებონ მხარდაჭერა გარედან.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **რომლითაც „განმათავისუფლებელ არმიებს" შეუძლიათ გადაადგილება. მეამბოხეთა რიგები გამოცდილი რევოლუციონერების ღირებული კადრებით ივსება; ალბათ, საქმეში ევროპული და არაბული ქვეყნების სპეცრაზმებიც ჩაერევიან. ამ პოტენციალის მთლიანად რეალიზებისთვის, „ცივილიზებული" მსოფლიო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სანქციებით გაუარესდეს სირიის ეკონომიკური მდგომარეობა იმ უკიდურეს ზღვრამდე, რომლის შემდეგაც სოციალური აფეთქება გარდაუვალი იქნება.**

გაეროს ექსპერტი-უფლებადამცველების საერთაშორისო დამოუკიდებელმა კომისიამ სირიის ხელისუფლებას ანტისახელისუფლო აქციების დარბევისას კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში დასდო ბრალი. ამასთან, კომისიის წევრებმა დაიჩივლეს, რომ ისინი სირიის ტერიტორიაზე არ შეუშვეს.

მაგრამ, გაეროს გულახდილობა ყველამ არ დაიჯერა. მაგალითად, ფრანგმა ჟურნალისტმა ტიერი მეისანმა, რომელიც სირიაში განხორციელებულ მხეცობებზე მოხსენებას აკრიტიკებს, არა მხოლოდ თავისუფლად შეაღწია ამ ქვეყანაში, არამედ იმ დასკვნამდეც მივიდა, რომ **ანტისირიული განწყობა მსოფლიოში ფაქტების ღიად გაყალბებით იქმნება.**

სირიის კომისია გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა. მისი ამოცანა იყო ამ ქვეყანაში 2011 წლის მარტიდან შექმნილი მდგომარეობის შესწავლა. მუშაობის მანძილზე კომისიამ დაადგინა სიკვდილით დასჯის, თვითნებური დაპატიმრებების, ადამიანთა გატაცებების, წამების, სექსუალური ძალადობის (მათ შორის, ბავშვების მიმართაც) ფაქტები.

კომისიის მეთაურმა პაულო პინეირომ დააზუსტა, რომ მათ მიერ მიღებულ იქნა სარწმუნო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა სირიაში სექტემბრის დასასრულიდან ნოემბრის შუა რიცხვების ჩათვლით. ამ დროის განმავლობაში კომისიის წევრები ხვდებოდნენ რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სამართალდამცავებს, ჟურნალისტებს, ექსპერტებს, ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლთ და ქვეყანაში განვითარებული მოვლენების მოწმეებს.

**„კომისიის მიერ შეგროვებული მტკიცებულებების მნიშვნელოვანი მოცულობა ადასტურებს, რომ ადამიანის უფლებათა ეს ყველაზე უხეში დარღვევები სირიის ჯარისა და სამართალდამცავების მიერ დაშვებულ იქნა 2011 წლის მარტში პროტესტების დაწყებიდან,"** — აღნიშნავენ მოხსენების ავტორები. ამასთან, კომისიის წევრებმა დაიჩივლეს, რომ სირიის ხელისუფლებამ მათ ქვეყანაში შესვლის საშუალება არ მისცა.

**დასავლეთში ყველა არ იზიარებს მოსაზრებას დამასკოს მიერ საკუთარი მოსახლეობისადმი ენით აუწერელი სისასტიკის შესახებ.**

ფრანგი ჟურნალისტი ტიერი მეისანი დარწმუნებულია, რომ ანტისირიულ განწყობას ხელოვნურად ამძაფრებენ.

მაგალითად, გაეროს მონაცემებით, სირიის ძალოვნებმა 3500-ზე მეტი მშვიდობიანი დემონსტრანტი მოკლეს, მაგრამ ამ ინფორმაციის სისწორე გარკვეულ ეჭვებს იწვევს, რადგან მისი წყაროა ლონდონში მობინადრე ამოუცნობი სირიული უფლებადამცველი ორგანიზაცია Observatoire syrien des Droits de lhomme (OSDH). მისმა ყოველდღიურმა ანგარიშებმა ლამის დამასკოს საწინააღმდეგო სამხედრო ოპერაცია განაპირობა, მაგრამ ოპერაცია შეუძლებელი გახდა, რადგან გაეროს უშიშროების საბჭოში დასავლეთის მიერ წარდგენილ რეზოლუციის პროექტს რუსეთმა და ჩინეთმა ვეტო დაადეს.

მეისანის თქმით, ვითომდა სირიელი ძალოვანების მიერ მოკლული 3500 სამოქალაქო პირიდან უმეტესობა ცოცხალია და თავს მშვენივრად გრძნობს, დაღუპულთა სიაში კი მათი სახელები ტელეფონების წიგნიდან მოხვდა.

უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის წევრებისგან განსხვავებით, ფრანგმა ჟურნალისტმა სირიაში შესვლის უფლებაც მოიპოვა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების ნებაც დართეს.

იგი ირწმუნება, რომ **სირიაში ძალადობის პროვოცირებას ახდენენ შეიარაღებული დაჯგუფებები, რომელთა შემადგენლობაშიც გაერთიანებულნი არიან დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები და უცხოელი დაქირავებული მებრძოლები. დაქირავებულთა შორის არიან ერაყის, იემენის, პაკისტანის, ავღანეთისა და ჩეჩნეთის მოქალაქეებიც.**

„ჩვენ შევხვდით გადარჩენილებს, ვნახეთ დასახიჩრებული სხეულები მორგებსა და საავადმყოფოებში. მსხვერპლთა უმეტესობა სამხედრო პირები არიან და არა მშვიდობიანი მოქალაქეები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საუბარი არაა ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან მშვიდობიანი მოსახლეობის პოლიტიკურ რეპრესიებზე," — წერს მეისანი.

ჟურნალისტი დარწმუნებულია, რომ სირიის წინააღმდეგ მიმდინარეობს საინფორმაციო ომი, ტელეარხების მიერ გავრცელებული და ქვეყნის მდგომარეობის ამსახველი კადრები კი ხშირად სირიის მსხვილი ქალაქების მთავარი მოედნების იმიტაციით სწორედ ამისთვის აშენებულ გადასაღებ პავილიონებში იდგმება.

ამ მტკიცებულებებში სიმართლის მარცვალი ნამდვილად არის. მაგალითად, 18 წლის სირიელი ზეინაბ ალხოსნი, დასავლეთის მასმედიის მტკიცებით, ძმის ოპოზიციონერობის გამო ძალოვანებმა გაიტაცეს და მხეცურად მოკლეს. ამის შემდეგ გოგონა, რომლის დამარხვაც ნათესავებმა უკვე მოასწრეს, სირიის ერთ-ერთი ტელეარხის ეთერში მკვდრეთით აღსდგა და განაცხადა, რომ არავის გაუტაცებია, უბრალოდ, თავად გაიქცა მშობლების სახლიდან იქ გამეფებული დესპოტური წესების გამო.

imperiya.by

# ირანი არც ისეთი მონსტრია, როგორადაც წარმოაჩენენ

**ვაშინგტონი უკვე ადანაშაულებს ირანს და მას ახლო აღმოსავლეთში ყველა ბოროტების წყაროდ წარმოაჩენს. საუდის არაბეთი თავად არაბეთსა და ბაჰრეინში მიმდინარე პროტესტების უკან ირანის ხელს ხედავდა. ამბობენ, რომ, როდესაც უკანასკნელი ამერიკელი ჯარისკაცი დატოვებს ერაყს, ეს უკანასკნელი უმალ ირანის პაიკად იქცევა.**



ირანის დემონიზაცია დროდადრო წარმოჩინდება როგორც აშშ-ისა და ისრაელის მხრიდან თავდასხმის მზადება. პროპაგანდისტური პოლიტიკა ძალიან ჰგავს იმავე პროპაგანდას, რომელიც 2002 წელს ერაყის წინააღმდეგ აგორდა. ორივე ქვეყანაში შეზღუდული რესურსების მქონე იზოლირებული სახელმწიფო ნელ-ნელა საფრთხედ იქცევა რეგიონისა და მთელი მსოფლიოსთვის. ნაკლებსავარაუდო და ხანდახან სასაცილო შეთქმულების თეორიები ხანდახან ოფიციალურ სტატუსს იღებს; მაგალითად, ტეხასში მეორადი მანქანების ირანოამერიკული დილერი, რომელიც ირანის რევოლუციურ გვარდიასთან ერთად შეთქმულებაში მონაწილეობდა და ვაშინგტონში საუდის არაბეთის ელჩის მოკვლას აპირებდა. **ირანის ბირთვული პროგრამა საფრთხედაა წარმოჩენილი ზუსტად ისევე, როგორც თავის დროზე ერაყის არარსებული მასობრივი განადგურების იარაღი იყო.**

ნამდვილი შოკი იყო, როდესაც ეგვიპტური წარმომავლობის გამოჩენილმა ამერიკელმა იურისტმა შერიფ ბაციუნიმ, რომელიც სათავეში ედგა ბაჰრეინში მიმდინარე წლის არეულობების გამოძიების დამოუკიდებელ კომისიას, წინა კვირას გამოცემულ თავის 500-გვერდიან მოხსენებაში კატეგორიულად განაცხადა, რომ ბაჰრეინის არეულობებში ირანის მონაწილეობის რაიმე მტკიცებულება არ არსებობს. არადა, ბაჰრეინის სამეფო ოჯახი და სპარსეთის ყურის მონარქები იმდენად იყვნენ ამაში დარწმუნებულნი, რომ ბაჰრეინმა კუვეიტის საბრძოლო გემებიც კი მოიწვია სანაპიროების გასაკონტროლებლად, — ვაითუ ირანმა შიიტ დემონსტრანტებს იარაღი მიაწოდოსო.

**უდავოა, რომ სპარსეთის ყურის მეფეებს და ემირებს გულწრფელად სჯერათ თავიანთი შეთქმულების თეორიების. მრავალი მათგანი, ვინც ბაჰრეინში პროტესტის დაუნდოველი ჩახშობისას აწამეს, აცხადებს, რომ მათ მუდმივად სთხოვდნენ, ირანთან კავშირი ეღიარებინათ. ჰოსპიტლების კონსულტანტებს აიძულებდნენ, მიეცათ წერილობითი აღიარება, რომ ისინი ქვეყანაში გადატრიალების მოწყობის ირანული შეთქმულების მონაწილენი იყვნენ.**

ბასიუნის მოხსენების მიღების შემდეგ მეფე ხამად ბენ ისა ალ-ხალიფამ განაცხადა, რომ მის ხელისუფლებას არ შეუძლია მტკიცებულებების წარდგენა, მაგრამ თეირანის როლის შემჩნევა ადვილია.

ირანთან დაკავშირებული იგივე პარანოია სჭირთ მთელი ახლო აღმოსავლეთის სუნიტებს. ერთმა ბაჰრეინელი დისიდენტი, რომელიც ყატარში დაახლოებით ერთი წლის წინ გაიქცა, ამბობს, რომ ყატარში მას მუდმივად ეკითხებიან, მართლა არსებობს თუ არა გვირაბი ირანიდან მარგალიტის მოედნამდე (და ეს ყოველთვის ხუმრობა არ იყო).

შიიტების პოლიტიკური აქტივობის ირანთან იდენტიფიკაცია სუნიტების ტვინში ძალზე ღრმადაა ჩაბეჭდილი. **მას შემდეგ, რაც** ოპოზიციის აქტივისტმა ხამზა ალ-ხასანმა განაცხადა, რომ **ყატარში 19 წლის ნასარ ალ-მეინი საკონტროლო გამშვებ პუნქტზე მოკლეს, საუდის არაბეთში საპროტესტო მოძრაობა განახლდა.** როგორც ყოველთვის, საუდის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ პოლიციასა და პროტესტანტებს შორის კონფრონტაცია საზღვარგარეთ დაიგეგმა, საზღვარგარეთში კი უდავოდ კვლავ ირანი იგულისხმება.

**საუდის ოპოზიცია აცხადებს, რომ ინტერნეტში საუდელების კომენტარები მოწმობს, რომ ხელისუფლების პოლიტიკა, ყველაფერი ირანს გადააბრალოს, იმდენად დამაჯერებელი აღარაა, როგორც წარსულში იყო.**

საუდის არაბეთის აღმოსავლეთ პროვინციაში პროტესტი მხოლოდ გამწვავდება; როგორც მთელ არაბულ სამყაროში, ახალგაზრდობა ტრადიციულ ლიდერებს უკვე აღარ ემორჩილება. საუდელი და ბაჰრეინელი მონარქები ირანის ტელევიზიას მდგომარეობის გამწვავებაში ადანაშაულებენ, მაგრამ სინამდვილეში შიიტების მრისხანებას ის განაპირობებს, რასაც ინტერნეტში კითხულობენ.

არაბული გამოღვიძების შემდეგ საუდიტების ტრადიციული მეთოდები აღარ ჭრის. აღმოსავლეთ პროვინციის გუბერნატორი მუჰამედ ბინ ფახდი წუხს, რომ პროტესტის შეწყვეტის მიღწევის ძველი მეთოდები აღარ ჭრის. საუდის არაბეთის ხელისუფლება არანაირ დათმობაზე არ მიდის შიიტების საწინააღმდეგო დისკრიმინაციასთან მიმართებაში. შიიტელი პატიმრები 1996 წლიდან სასამართლოს გარეშე ჰყავთ პატიმრობაში.

**საუდისა და ბაჰრეინის ხელისუფლებების რწმენა, რომ ყველაფერში დამნაშავე ირანია, ორივე ხელისუფლების სერიოზულ შეცდომებს განაპირობებს. ისინი თვლიდნენ, რომ რევოლუციის საფრთხის წინაშე იდგნენ მაშინ, როდესაც ორივე სახელმწიფოში შიიტები მხოლოდ სამუშაო ადგილების, ხელისუფლებაში პოზიციებისა და ბიზნესის თანაბარ გადანაწილებას დასჯერდებოდნენ. შიიტებს „კლუბის წევრობა" სურთ და არა მდგომარეობის აფეთქება. ამის დანახვაზე უარის თქმით მონარქები თავად ახდენენ საკუთარ ქვეყნებში მდგომარეობის დესტაბილიზებას.**

**ირანი არასდროს ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორადაც მას მტრები წარმოადგენენ. ირანის ხელისუფლების დემონიზაცია და რეგიონალურ საფრთხედ წარმოჩენა დიდწილად აკმაყოფილებს რეგიონული ზესახელმწიფოს პრეტენზიების მქონე ირანის ამბიციებს. პრაქტიკაში კი ირანის ხელისუფლების სისხლისმსმელი რიტორიკა მუდამ შეესაბამებოდა მის ფრთხილ და გულდაგულ გათვლილ საგარეო პოლიტიკას.**

შეეცდებიან თუ არა ირანელები ამერიკული ჯარის წასვლის შემდეგ გაჩენილი ვაკუუმის შევსებას? ერაყში ამერიკელების მნიშვნელოვნება შემცირდება, რადგან ჯარისკაცები წავლენ, ამერიკა კი ერაყზე გაცილებით ნაკლებ ფულს დახარჯავს. არადა, თავის დროზე ერაყის დაზვერვის დაფინანსება ქვეყნის ბიუჯეტში არ მოხვდა, რადგან მას მთლიანად ცსს აფინანსებდა.

ერაყში ირანის დომინირების რწმენა გულუბრყვილობაა: არსებობენ სხვა გავლენიანი მოთამაშეებიც — თურქეთი და საუდის არაბეთი. ერაყელი შიიტები ტრადიციებითა და მრწამსით განსხვავდებიან თავიანთი ირანელი მოძმეებისგან. ქურთები და სუნიტებიც წინააღმდეგნი იქნებიან. თუ ირანი ზედმეტს მოინდომებს, უამრავი სხვადასხვა სახის მტრის სამიზნე გახდება.

**ბაჰრეინში, საუდის არაბეთსა და ერაყში არეულობების პროვოცირებაში ირანის როლი გამოგონილი ან გაზვიადებული იყო, მაგრამ მშვიდობიანი დემონსტრანტების ირანის დავალებით მოქმედ რევოლუციონერებად წარმოჩენა თავად ირანს აძლევს ხელს. შემდეგში განაწყენებულმა რეფორმატორებმა შეიძლება მართლაც ეძებონ მხარდაჭერა გარედან.**





mixednews.ru

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ძალზე შორსაა ჩვენგან იოანე საბანისძე, მაგრამ იგი გვახსენებს, რომ ერისთვის არსებობს ზედროული პრობლემები; გვახსენებს, რომ ცალკეულ ეპოქათა მოღვაწენი პასუხს აგებენ ერის მრავალსაუკუნოვანი წარსულისა და მრავალსაუკუნოვანი მომავლის წინაშე, რომ ერისთვის ათასი წელი ჭეშმარიტად ერთი დღეა, რომ „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი“ ბევრი რამით ყველა დროისთვის საერთო უნდა იყოს.**

რევაზ სირაძე

# «ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი»



აბო თბილელი

**„ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი“ — იოანე საბანისძის ეს სიტყვები ყოველი დროისთვის მნიშვნელოვან, ფუნდამენტურ ეროვნულ კონცეფციას შეიცავს. ასე განმარტავს მათ ივანე ჯავახიშვილი. ეს სიტყვები გულისხმობენ, რომ ყოველ ერს თავისი ისტორიული გზა და კვალი აქვს. იგულისხმება ისიც, რომ ქართველთა მიერ გააზრებული უნდა იყოს თავისი სამშობლოს ცხოვრების ტრადიციული წესი, რაც ყოველ დროს და ყველასთვის სახელმძღვანელო უნდა გახდესო. ეს სიტყვები ნათქვამია 1200 წლის წინათ („წმ. აბო თბილელის წამება“ დაწერილია 786-790 წლებში).**

ჩვენ გვმართებს მოვიხმოთ დიდი ქართველი მწერლის მაღალი სიბრძნე, რომელიც გახდა საფუძველი მთელი შემდეგდროინდელი ჩვენი არსებობისა. ეს განსაკუთრებით გვმართებს სწორედ დღეს, როცა, შეიძლება ითქვას, ჩვენი სამომავლო ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება.

**ძალზე შორსაა ჩვენგან იოანე საბანისძე, მაგრამ იგი გვახსენებს, რომ ერისთვის არსებობს ზედროული პრობლემები; გვახსენებს, რომ ცალკეულ ეპოქათა მოღვაწენი პასუხს აგებენ ერის მრავალსაუკუნოვანი წარსულისა და მრავალსაუკუნოვანი მომავლის წინაშე, რომ ერისთვის ათასი წელი ჭეშმარიტად ერთი დღეა, რომ „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი“ ბევრი რამით ყველა დროისთვის საერთო უნდა იყოს.**

მაგრამ არსებობს ეპოქები, როცა ყოველივე ამის გათვალისწინება განსაკუთრებით საჭიროა.

ასეთი დროა ახლა, ასეთი დრო იყო VIII საუკუნეშიც. მაშინ არაბთა ძალმომრეობის ეპოქა იდგა. VIII საუკუნეს განსაკუთრებით დაეჯერება, რადგანაც მაშინ მსოფლიოს დამთრგუნველი ძალის წინაშე იდგნენ. თბილისის არაბთა საამირო უკვე დაარსებული იყო, რომელიც თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში არსებობდა.

ჩვენი ერის ისტორიაში, სხვაობათა მიუხედავად, ძნელბედობებით აღსავსე არაერთი ხანა ერთმანეთს ჰგავს. **დღეს „თანამედროვე ფორმით“ გვთავაზობენ, ჩვენივე თანხმობით დაკანონდეს ჩვენი ყოფნა სხვის სახელმწიფოში, რომელშიაც ნებაყოფლობით შემსვლელთ აღარ ექნებათ უფლება მისგან ნებაყოფლობითი გამოსვლისა. ამით ჩვენ დიდი ისტორიული გამოცდის წინაშე ვდგებით; ჩვენივე არჩევანმა უნდა განსაზღვროს, ვართ თუ არა ჩვენ ღირსნი თავისუფლებისა.** ამ პრობლემის გადაწყვეტისას ჩვენ პასუხს ვაგებთ მომავალი თაობების წინაშე, თანაც არა მხოლოდ ქართველთა წინაშე, არამედ წინაშე ყველა სხვა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერისა, რადგან, როცა ერთი ერი თმობს დამოუკიდებლობას, ამით სხვისთვისაც ქმნის არასასურველ პრეცედენტს.

„აბო თბილელის წამება“ მიმართულია არაბთა ძალმომრეობის წინააღმდეგაც, უფრო ზუსტად, — წინააღმდეგ ქართველთა მიერ რწმენის დაკარგვისა. ქართველები **„გარდაგულარძნესო (ე.ი. რწმენა გაუმრუდესო), — წერს იოანე საბანისძე, რომელნიმეო მზაკუვარებით და სხუანი, რომელნი-ესე ვართ მორწმუნენნი, მძლავრობასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე გუემულნი და ქეჯნილნი, ძვირად-ძვირად ზღუელნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“.** მიუხედავად ამისაო, — განაგრძობს იოანე საბანისძე, — „ქრისტეს სიყუარულითა და შიშითა, ჩვეულებისაებრ მამულისა სლვისა, ჭირთა მოთმინებითა, არა განეშორებიან მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა“.

ეს სიტყვები არაა გამიზნული მხოლოდ ეროვნულ ძნელბედობათა წარმოსაჩენად. აქ სხვა რამაა უმთავრესი სათქმელი, კერძოდ ის, რომ უბედურებათა განცდა სულიერ განწმენდას უნდა იწვევდესო და ვერ უნდა გვიკარგავდესო რწმენას. ასეთი იყო და არის „მამულისა ჩვეულებისაებრ სლვაო“.

აქედან ისიც ჩანს, რომ ერის სულიერი თავკაცი ერის ნაკლოვანებათა მხილებას არ ერიდება, სიმდაბლეს არ ამართლებს ძნელბედობით და ამიტომ **იოანე საბანისძე ჭეშმარიტი წინამორბედია ილია ჭავჭავაძისა. საერთოა მათთვის აზრი, რომ ერის სისუსტეა, თუ ის მხოლოდ თავის ღირსებებზე ფიქრობს, ხოლო ერის ძლიერება იმით გამოიხატება, თუ რამდენად ძალუძს მას თვალი გაუსწოროს საკუთარ ნაკლოვანებებს, ეპოქისეულსაც და მუდმივთამხლებსაც.**

არაბთა წინააღმდეგ მიმართულ იოანე საბანისძის თხზულებაში იდეალიზებულია არაბი აბო. ასეთი ეროვნული ტოლერანტობა საერთოდ დამახასიათებელია ქართული აგიოგრაფიისათვის (წმ. შუშანიკი სომეხი ქალია, წმ. ევსტათი სპარსელია) და მთელი ქართული მწერლობისავთის („ამირანდარეჯანიანი“, „ვეფხისტყაოსანი“). მწერლობის ამგვარი პოზიციაც გამოხატავს „მამულისა ჩუეულებისაებრ სლვას“. ის, პრაც გაიდეალდებოდა სხვათა სახეში, უფრო მეტად მოეთხოვებოდა ქართველს. ამ გზით მკვიდრდებოდა მნიშვნელოვანი აზრი, რომ ქართველთაგან ქართველობა მხოლოდ ღირსებად კი არ უნდა აღიქმებოდეს, არამედ მოვალეობად. ასეთი მიზნითაა იდეალიზებული „ვეფხისტყაოსანში“ არაბი პერსონაჟი, სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა გაიდეალებულიყო წარმომადგენელი იმ ქვეყნისა, რომელიც თითქმის ოთხ საუკუნეს ბატონობდა ქართლში.

ეროვნული ტოლერანტობა სრულიადაც არ მოასწავებდა ეროვნულ ნიჰილიზმს, რაც კარგად ჩანს „აბო თბილელის წამებიდანაც“, სადაც ქართლის ჭირის ერთ-ერთ მთავარ გამოხატულებად მიჩნეულია ის, რომ „აღვერიენით ერსა უცხოსაო“.

**იოანე საბანისძე ქართველთა დიდ სამომავლო საფიქრალთან აკავშირებს საკუთარ ეროვნულ ნაკლოვანებათა მხილებას და ქართველთა უღირსობას ხელაღებით მხოლოდ არაბობას კი არ აბრალებს, არამედ საკუთრივ ჩვენსავე თანამდევ თვისებად თვლის.** თანაც ეროვნული ნაკლულევანებანი თავის თავზე უნდა მიიღოსო პიროვნულად ყველამ. არვის შეჰფერის, რომ ცოდვებიან ერს დაუპირისპირდეს როგორც უცოდველიო. ეს ევანგელურ-აგიოგრაფიული იდეალი ქართულ მწერლობაში შემდეგშიაც მუდმივად ვლინდებოდა. დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანში“ ეს ასე გამოიხატა: ეროვნულ ნაკლოვანებებს თავისთავზე ყველაზე მეტად უნდა იღებდეს ერის თავკაცი, როგორც მეფე და როგორც პიროვნება. „ქართველთ მადლს ცოდვამ დასძლიაო“, — ამბობდა დავით გურამიშვილი და ყველაზე მეტად ცოდვილიანად თავის თავს რაცხდა.

**ერს უნდა აერთიანებდეს არა მხოლოდ პიროვნებათა ღირსებით თანასწორობა, არამედ თანასწორობა ეროვნულ ნაკლოვანებათა პირისპირ დგომისას. ღირსების შეგრძნება კი არ წარმოაჩენს ნაკლოვანებას, არამედ ნაკლოვანებათა შეგრძნება წარმოაჩენს ღირსებას. ამის შეგნებითაა გამსჭვალული იოანე საბანისძისეული გალობანი სინანულისანი, რასაც „აბოს წამების“ მეოთხე თავი შეიცავს (გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობდა: „სინანული — ცვლაა უმჯობესთა მიმართო“).**

იოანე საბანისძე ქართველთა ეროვნულ ღირსებებზედაც იმ მიზნით მსჯელობს, რათა გვიჩვენოს, თუ როგორ დავკარგეთ ანდა როგორ ვკარგავთ მათ. იგი გამოჰყოფს ქართველთა ეროვნულ-სარწმუნოებრივ ღირსებათა წარმომაჩენელ ოთხ ნიშანს: ჩვენ ვცხოვრობთ საქრისტიანო სამყაროს განაპირას და მარტოდ-მარტონი ვიცავთ ჩვენს რწმენასაო; ჩვენ ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანი ერი ვართ; ჩვენი სარწმუნოება ბერძნებისას ეთანატოლება; ჩვენი ქვეყანა წმინდანთა სამშობლოაო.

**იოანე საბანისძეს სურს, შეაგრძნობინოს ქართველობას, თუ რაოდენ დიდი ღირსების დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას. სურს შეაგრძნობინოს, რომ ამგვარ ღირსებათა დაკარგვა არანაკლები სიმდაბლეა, ვიდრე ყოველივე ამის თავიდანვე არქონა.** იგი იმედოვნებდა, რომ დიდი უბედურების ზღურბლზე დგომა გამოაფხიზლებდა ქართველებს. უბედურების შეგრძნებამ შეიძლება გონიერება შეჰმატოსო ერს და უფრო უკეთ გააზრებინოს თავისი წარსული, აწმყოც და მომავალიც. ამ გზით ერი შეძლებს თავისი უბედურება ბედნიერებადაც კი გადაიქციოსო. ცხადია, ყოველივე ეს იოანე საბანისძისათვის არ იყო ოდენ-მჭვრეტელობითი პრობლემა. მისი ნააზრევის სირთულე ანარეკლი იყო რთული ეპოქისა.

**„მამულისა ჩვეულებისაებრ სლვას“ უკავშირდება ი. საბანისძესთან იმის გათვალისწინება, რომ ჩვენ ვცხოვრობთ საქრისტიანო სამყაროს განაპირას („ყურესა ამას ქუეყანისასა“) და მარტოდ-მარტონი ვიცავთ ჩვენ თავსაო „ზედამდგომელთაგან ამათ ჩუენთა, მფლობელთა ამის ჟამისათა“. და ეს მიაჩნია ჩვენი ეროვნული არსებობის მუდმივთანმხლებ ფაქტორად. მართლაცდა, ეს დღესაც ასეა.**

იოანე საბანისძე ეროვნულ ამოცანებს განსჯის გარემომცველ მსოფლიოში ჩვენი ქვეყნის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით: სამხრეთიდან არაბთა ძალმომრეობაა, ხოლო „ქუეყანასა მას ჩრდილოისასა არს სადგური და საბანაკე ძეთა მაგოგისათა, რომელ არს საზარნიო“ (იოსებ ფლაბოისის განმარტებით: „მაგოგემ დაასახლა მხარე, რომლის მცხოვრებლებსაც, მისი სახელის მიხედვით, მაგოგები ეწოდება, ხოლო ელინები მათ სკვითებს ეძახიანო“. — იუდეველთა სიძველენი, თ. ყაუხჩიშვილი თარგმანი, გვ. 80). დასავლეთითაა „საბრძანებელი ქრისტეს მსახურისა იონთა (ბერძენთა) მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კონსტანტინეპოლისასა“.

ასეთი იყო ჩვენი გარემოცვა და არავინ იყო ჩვენი დამხმარე. ნერსე ერისთავი ხაზარეთს წასულა, ალბათ, იმის იმედით, რომ არაბების მტრობით შეიძლება დახმარება აღმოგვიჩინონო (სხვათა შორის, ბერძნებიც ამ დროსაც და შემდეგაც იმავე საფუძველზე ეძებდნენ ხაზართა დახმარებას). მაგრამ ნერსეს ხაზართაგან (ანუ სკვითთაგან) დახმარება ვერ მიუღია. აქედან აფხაზეთს გადასულა, სადაც ოჯახი ჰყოლია გახიზნული. ი. საბანისძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აფხაზეთში ქრისტიანობაა და „არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრ იპოვებისო საზღუართა მათთა, რომეთუ საზღუარ მათდა არს ზღუაი იგი პონტოისაი, სამკვიდრებელ ყოვლად ქრისტიანეთაო“.

მართალია, მას შემდეგ დიდად შეიცვალა რწმენა-ურწმუნოებით ჩვენი გარემოცვა, მაგრამ ბევრი რამ უცვლელი დარჩა ისტორიული გეო-პოლიტიკიდან და ეს მეტად ნიშანდობლივია.

**იოანე საბანისძე ეროვნულ სარწმუნოებრივ პრობლემებს განსჯის არა მხოლოდ გეო-პოლიტიკურ ფაქტორთა გათვალისწინებით, არამედ დროის ფაქტორთა კვალობაზედაც. დრო უაღრესად მრავალნაირადაა მის მიერ გააზრებული: კერძოდ, რელიგიური თვალთახედვით, პოლიტიკური თვალსაზრისით თუ ისტორიული ქრონოლოგიის მიხედვით.** რელიგიური თვალსაზრისი გამოიხატება იმით, რომ მოვლენები გააზრებულია, ერთი მხრივ, მარადიულობის, ხოლო, მეორე მხრივ, წუთისოფლის მიხედვით. აქვე მოხმობილია კონსტანტინეპოლის მეფეთა და არაბთა ხალიფის ზეობის დრო-ჟამი, ქართლში არსენის კათალიკოსობა და სტეფანოზის ერისმთავრობა. იოანე საბანისძისათვის ყოველივე ამის ურთიერთგარდაკვეთას წარმოადგენს კონკრეტული ეროვნული დრო-ჟამი. ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოვლენები გააზრებული და ურთიერთშეჯერებულია ყველა შესაძლებელი დროული თვალსაზრისით. ასე ფართოდ ხედავს იოანე საბანისძე მოვლენათა არსს, მათ დროულ და ზედროულ რაობას.

დღეს არცთუ იშვიათად გაიგონებს კაცი იოლად ნათქვამს — საქართველოში პოლიტიკური აზროვნების ტრადიციები არ ყოფილაო. ამის უარსაყოფად იოანე საბანისძის ნააზრევიც კმარა.

**იოანე საბანისძესთან შეგვიძლია დავინახოთ ბევრი ისეთი კონცეფცია, რომელიც განსაკუთრებით აკლია დღევანდელობას.**

მხედველობაში გვაქვს შემდეგი პრობლემა: ამა ▶

**ეროვნულ უფლებისთვის ბრძოლა ისევე ძველია, როგორც თვით ერი. მას აქვს თავისი მეთოდები, საუკუნოებით ნაკურთხი და ერებიც იმარჯვებდნენ ვიდრე არ ღალატობდნენ ამ მეთოდებს ბრძოლისას. მაგრამ რა ბოლო უნდა ჰქონდეს ისეთ ბრძოლას, რომელშიაც მთავრობა მხოლოდ ნაციონალურ ნიადაგზედ გვებრძვის და ჩვენ კი კლასობრივ ბრძოლაზედ აგებულს პასუხს ვაძლევთ?**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თუ იმ ეპოქის რაობას უმეტესწილად ვახასიათებთ ხოლმე მხოლოდ შემდეგი თვალსაზრისით: სოციალური ასპექტით, ანდა პოლიტიკურით, ანდა ეკონომიკურით, ანდა კულტურულ-ისტორიული თვალთახედვით და ვივიწყებთ, რომ ეპოქა არის ფსიქოლოგიური რაობა, რომ საჭიროა ეპოქის ფსიქოლოგიური არსის გაგება. ეპოქისეული ფსიქოლოგიის საფუძველია კოლექტიური განწყობა, ეროვნული განწყობა (დ. უზნაძის კვალობაზე თუ ვიტყვით, ეროვნული „მზაობა"). დღევანდელობისათვის კონკრეტულად საკითხი ასე დგება: რამდენად შეესაბამება ჩვენი დღევანდელი ფსიქოლოგია ჩვენსავე ბუნებას? რამდენად შეესაბამება ჩვენი დღევანდელი ფსიქოლოგია ჩვენსავე დიდ ეროვნულ მიზნებს?

როცა დროის ანალიზი იზღუდება სოციალური და პოლიტიკური ასპექტებით, ბატონდება მექანიკური თვალთახედვა ეროვნული ყოფის გააზრებისას, თვით მაღალი პოლიტიკური მიზნების განხორციელების გზათა გამოსარკვევად. ბატონდება პანლოგიზმი. ბატონდება თვალსაზრისი, რომ ყველაფერში ლოგიკააო. ადამიანური ეპოქა შეუძლებელია არ იყოს ფსიქოლოგიური რაობა, ანდა, თუნდაც — ანტიფსიქოლოგიური. მაგრამ შეუძლებელია ის იყოს არაფსიქოლოგიური. არადა, კარგადაა ცნობილი, რომ ადამიანური სულიერი ცხოვრების სირთულე ვერ დაიყვანება ლოგიკაზე, რაციონალურზე. მასში ბევრია მეტალოგიკურიც და ირაციონალურიც. პანლოგიზმი, იდეალისტურიც კი, ძალზე ახლოა მარქსისტულ დეტერმინიზმთან, რომელიც თვით ადამიანის ფსიქიკას მთლიანად ეკონომიკური ბაზისით ხსნის. **დღესაც გვეძალება პანლოგიზმი, როცა გვგონია, რომ ყველაფერი ლოგიკურად ახსნილია, ყველაფერი ვიცით და ფაქტიურად დავიწყებულია, რომ მაღალსულიერება და ღვთაებრიობა არსებითია.** მაღალსულიერება და ღვთაებრიობა ძნელადსაწვდომია, რადგან სიღრმისეულია და არსებითი, რაც არა ჩანს, მაგრამ იგულისხმება. პანლოგიზმი კი ყველაფერს ხსნის, მაგრამ ზედაპირულად. პანლოგიზმი ბადებს საშიშროებას ლენინური ყოვლისმცოდნეობისა. შეიცან თავი შენიო, — თუ ამას ერის მიმართ ვიტყვით, მასში, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური მდგომარეობა უნდა ვიგულისხმოთ. სადღეისოდ უნდა ვიგულისხმოთ ერის სულიერი გაწონასწორება, ქართულად ამას ჰქვია დარბაისლობა. სამწუხაროდ, ეს სიტყვა სულ უფრო ნაკლებად ისმის. იქმნება სამწუხარო შთაბეჭდილება, რომ ეს სიტყვა ხშირად აღარცკი გვჭირდება. ისიც კარგადაა ცნობილი, რომ მტერთან ბრძოლაზე ძნელია ბრძოლა თავის თავთან. ეს პიროვნებებზედაც ითქმის და ითქმის მთელ ერზედაც.

**იოანე საბანისძე ქადაგებდა, რომ მტერთან საბრძოლველად გვჭირდებაო ბრძოლა თავის თავთან. ამის საფუძვლად მას მიაჩნდა ერის სულიერი განწმენდა, ერის თვითსრულყოფა.**

იმ დროისათვის ეს რომ მხოლოდ, როგორც იტყვიან, ლიტერატურული პრობლემა არ იყო, ამას გვიჩვენებს შემდეგი გარემოებანი: „აბოს წამების" დაწერის დროს უკვე დაწყებული ჰქონდა თავისი დიდი სამომავლო მნიშვნელობის მქონე ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოღვაწეობა გრიგოლ ხანძთელს ტაო-კლარჯეთში. ეს იყო მრავლისმომცველი ანტიარაბული აქცია. თბილისის საამიროს დაარსების შემდეგ ქართლი კარგავდა ქვეყნის უმთავრესი ცენტრის მნიშვნელობას. საჭირო იყო, ასე ვთქვათ, ქართლის მონაცვლე ცენტრის შექმნა, ე.ი. იმნაირი ცენტრის ჩამოყალიბება, რომელიც ქართლის მაგივრობას გაწევდა. ამის განხორციელება მიზანშეწონილი იყო არაბებიდან შორს და ბიზანტიასთან ახლოს, თანაც მიზანშეწონილი იყო ისიც, რომ დიდი პოლიტიკური მიზანდასახულების შემცველი მოძრაობა დაწყებულიყო სამონასტრო მოძრაობის სახით. გასავლელი იყო მრავალი ეტაპი: ჯერ სარწმუნოებრივი აღორძინება ტაო-კლარჯეთისა, შემდეგ მისი კულტურული დაწინაურება და მერე მისივე გადაქცევა საერთო-პოლიტიკურ ცენტრად. ყოველივე ეს განხორციელდა ტაო-კლარჯეთში და თანაც ქართლის და სრულიად-საქართველოს აღდგენის ნიშნით. სწორედ აქ ჩამოყალიბდა ბაგრატიონთა დინასტია, რომელიც შემდეგ მთელი საქართველოს საუკუნოებრივი გამგებელი გახდა. იმ დიდი ისტორიული მისიის დამწყებია გრიგოლ ხანძთელი. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ იგი ბევრის მხრივ წამომწყებია იმ დიდ მიზანდასახულობათა, რომლებიც საბოლოოდ განასრულა დავით აღმაშენებელმა.

გრიგოლ ხანძთელი პრაქტიკულად ახორციელებდა იმას, რასაც ქადაგებდა იოანე საბანისძე. სრულიად აშკარაა, რომ არსებობდა ეროვნული აღორძინების ერთიანი კონცეფცია, რომელსაც სხვადასხვა სახით ემსახურებოდნენ სამუელ ქართლის კათალიკოსი და ნერსე ერისთავი, გრიგოლ ხანძთელი და იოანე საბანისძე და, ცხადია, სულიერი წინამძღვარი ყველასთვის იყო კათალიკოსი სამუელი. მეტადრე, როცა ქვეყანას არ ჰყავდა ერთიანი ხელისუფლება. სწორედ სამუელ კათალიკოსმა უკარნახა იოანე საბანისძესაც „აბოს წამების შექმნა".

გრიგოლ ხანძთელმა ყველაფრის წინაპირობად გამოაცხადა ადამიანთა პიროვნული სრულყოფა, სულიერი თუ ყოფითი სიწმინდე. ამას იგი ერთნაირად ითხოვდა ბერ-მონაზონთაგანაც, ეპისკოპოსთაგანაც და კურაპალატებისგანაც. მონოპოლია ჭეშმარიტებაზე განისზღვრებოდა მხოლოდ და მხოლოდ მაღალსულიერებით. ასე ამზადებდნენ ქვეყნის მომავალს. ამ გზის მიმდევარნი კი არ ემზადებოდნენ მხოლოდ მომავალი სიკეთისათვის, ისინი უკვე ცხოვრობდნენ სიკეთით. მაშასადამე, ცხოვრობდნენ ისე, როგორც უნდა ეცხოვრათ მომავალში, ცხოვრობდნენ შინაგანი სულიერი თავისუფლებით. ასე იცავდნენ ისინი თავსა და ერს „ზედამდგომელთაგან მათ ჩუენთა, მფლობელთა მის ჟამისათა" „უყრესა ამას ქუეყანასა". ამიტომაც გასცდა მათი ღვაწლი მათსავე დროს. ამიტომაც არიან ისინი ფრიად ახლობელნი და მაგალითის მომცემნი დღევანდელობისთვისაც.

ეს იყო დიდი ისტორიული გამოცდილება, რომელიც თავადაც დაემყარა და ჩვენთვისაც განსაზღვრა „მამულისა ჩუეულებისაებრ სლვაი".

**ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა"**

*შალვა ამირეჯიბი*

# პოლიტიკური კრიზისი საქართველოში



შალვა ამირეჯიბი

**საქართველო სასტიკ პოლიტიკურ კრიზისს განიცდის. იგი გამოწვეულია ერთის მხრივ მთავრობის ყოფაქცევით, როგორც ამას გაზეთი „იმერეთიც" აღნიშნავს, მეორეს მხრივ — საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა მოქმედებით. ჩვენ ვსცხოვრობთ კოლექტიურ აზრსა და დისციპლინას მოკლებულ დროს. ეროვნული პოლიტიკის უქონლობა წითელი ზოლია, რომელიც ჩაჰქსოვია ყოველ მოვლენას, რომელსაც კი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ბეჭედი აზის. მონობასთან ბრძოლა დღეს, პოლიტიკურ პარტიებისათვის, მთავრობასთან კავშირით შეიცვალა და გუშინდელი ნაზარეთი დღეს აღთქმის ქალაქად იქცა, საიდანაც ურწმუნონიც კი მესსიას მოელიან. მთელი საქართველო გახრწნილ ლაზარეს დაემსგავსა, რომლის მეგობრებს კიდევა სურთ მისი აკლდამაში შეგდება.**

სრული უქონლობა ეროვნულ პროგრამისა დამახასიათებელი თვისებაა მომენტისა. თვით ეროვნული იდეია, რომელიც სულ ახლო წარსულში საკამათო საგნად ითვლებოდა, იმავ წარსულის წყალობით, დღეს სასტიკ სუბორდინაციას განიცდის. ცნება ერისა და ეროვნული მოთხოვნილებანი დღეს რთულ თეორიულ და აბსტრაქტულ სოციალურ სისტემებს ექვემდებარება და ეროვნული პოლიტიკა, თავის ბუნებით ლაღი და ფრიად პერმანენტული, უძრავად სდგას სასტიკ რეაქციის ჭაობში ჩაფლული. ეს სუბორდინაცია არის, რომ ჰქმნის პოლიტიკურ კრიზისს. აიღეთ თანამედროვე ქართული პროგრამები: შიგ ნახავთ სოციალიზმსაც და ფედერალიზმსაც, რვა საათის სამუშაო დღესაც და მუშათა დაზღვევას, მაგრამ თქვენ ვერ ნახავთ, რომ ეს პროგრამები იძლეოდნენ პრაქტიკულ დასკვნებს, რომელიც საჭირონი არიან ყოველი ქართველისთვის მათს მძიმე ცხოვრებაში და ბრძოლაში. აღზრდა ქართველის მოქალაქისა სულით და ხორცით, ნათელის მსოფლმხედველობით და უდრეკ პატრიოტიზმით — აი რა უნდა იყოს დანიშნულება ამ პროგრამებისა, რასაკვირველია, იმის გარდა, რომ ეს პროგრამები ამასთანავე სავსებით უნდა გამოხატავდნენ ქართულ პოლიტიკურ მისწრაფებას. ნამდვილად კი, ამის ნაცვლად ისინი გვიზრდიან რაღაც „მსოფლიო მოქალაქეს" ამ მსოფლიოს ვითარების სულ მდარე ცოდნით. და ამრიგად, რაც უფრო „აფართოვებენ" ეს პროგრამები ჩვენს ჰორიზონტს, მით უფრო ხედვის ენერგია პერიფერიებში მიგვდის და მით უფრო ხედვის ენერგია ცენტრში კლებულობს და პოლიტიკური სიბეცეც ხომ სწორედ ამასა ჰქვიან — ყველაფრის დანახვა შორ მანძილზედ და არაფრის დანახვა შორ მანძილზედ და არაფრის დანახვა ახლოს!

განსაკუთრებულმა გატაცებამ ინტერნაციონალურის იდეებით შეჰქმნა ის, რომ გამოტოვებულ იქნა თვით ნაციონალური იდეია და თვით ისინიც კი, რომლებიც ეროვნულ პოლიტიკის მჭედლებად ითვლებიან, უკეთეს შემთხვევაში ისეთ მებრძოლთ მოგვაგონებენ, რომლებიც საბრძოლველად კი გამოსულან, მაგრამ წინდაწინვე დასტირიან თავიანთ მტრებს, რომელთა სისხლი ბრძოლის ველს ჯერ კიდევ არ მიუღია. ასეთი ოპერატიული გულკეთილობა მებრძოლთა ჩვენ მიგვაჩნია ჭეშმარიტ პოლიტიკურ სილაჩრედ.

**დრო მოითხოვს, რომ ჩვენი პოლიტიკური პროგრამები განწმენდილ იქნენ იმ ხორცმეტებისგან, რომლებიც ჰქმნიან მხოლოდ მის სანახაობას და არა შინაარსს. ეროვნული იდეა ისტორიის ყველა ხანაში განცვიფრებამდე კონკრეტული იყო, მას მიტომ ითვისებდა ხალხი, რომ იგი სადა იყო და არავითარი აბსტრაქციებით არ იყო დატვირთული.**

„რომი ან სიკვდილი", — იძახდნენ იტალიელები გარიბალდის მეთაურობით და ეს ორი სიტყვა გასაგები იყო ყოველ პატრიოტ კარაბინერისთვის. ჩვენში კი, მიუხედავად ყოვcovლივე ფიცისა, რომ ეროვნულმა იდეიამ მძლავრად გაიდგა ხალხში ფესვები, მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ იდეია ხალხზედ ჯერ კიდევ შორსა სდგას. რათა? იმიტომ, რომ იგი არ არის კონკრეტული, სადა. იგი დატვირთულია აბსტრაქციებით და ხალხს აღარ ეყურება. ეროვნული პოლიტიკა მოძრავი უნდა იყვეს, იგი ცეცხლსა ჰგავს ჩაუქრობელს, რომელიც არასოდეს არ უნდა ქრებოდეს იმიტომ, რომ მისი ანთება ყოველთვის ადვილი არ არის და როცა ეროვნულ იდეიას ზედ აკოწიწებენ სხვა რთულ სოციალურ აბსტრაქციებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მის განვითარებას აჩერებენ. ეროვნულ უფლებისთვის ბრძოლა ისევე ძველია, როგორც თვით ერი. მას აქვს თავისი მეთოდები, საუკუნოებით ნაკურთხი და ერებიც იმარჯვებდნენ ვიდრე არ ღალატობდნენ ამ მეთოდებს ბრძოლისას. მაგრამ რა ბოლო უნდა ჰქონდეს ისეთ ბრძოლას, რომელშიაც მთავრობა მხოლოდ ნაციონალურ ნიადაგზედ გვებრძვის და ჩვენ კი კლასობრივ ბრძოლაზედ აგებულს პასუხს ვაძლევთ? ეს არის non-sens-ი საქართველოს პოლიტიკურ მაჯისცემისა და ვიდრე ჩვენი პოლიტიკის მეთაურნი არ შეიგნებენ ამას, ჩვენ თავს ვერ დავაღწევთ ამ საშინელ კრიზისს.

ა-ი.

„კლდე" №35,
3 გიორგობისთვე, 1913 წ.




გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» ოცდამეოთხე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის" ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა" საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა" — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ტელეფონზე მოლაპარაკე კატა

**ბრაზილიაში კატამ ტელეფონზე პასუხი ისწავლა. შინაური ცხოველის მფლობელს გამუდმებით ურეკავდნენ მშობლები და მეგობრები და პრეტენზიებს გამოხატავდნენ იმის თაობაზე, რომ ყურმილის მეორე მხრიდან უცნაური ხმები ესმოდათ.** უცნაური ხმა კატის მეპატრონის პატარა დამ გაარჩია და მიხვდა, რომ ყურმილის მეორე მხარეს კატის კნავილი ისმოდა. „მას უყვარს ძილი და ვერ იტანს, როდესაც ტელეფონის ზარი აღვიძებს,“ — ამბობს კატის პატრონი.



# მემფისის მოჩვენებები

მემფისი სახელგანთქმულია თავისი მოჩვენებებით. ისინი კი, ვისაც მოჩვენებების არ სჯერა, ყოველივე ამას ლეგენდებს უწოდებენ.



## Blackwell House

Blackwell House მდებარეობს ბარტლეტში. ლეგენდა გვიამბობს, რომ ამ სახლში გადმოსვლიდან მეორე დღეს ნიკოლას ბლექველის ცოლი დაიღუპა. აქ არავინ ცხოვრობს, რადგანაც, როგორც ამბობენ, ცოლ-ქმარ ბლექველების მოჩვენებები ხშირად დახეტიალობენ სახლის ტერიტორიაზე.



## Ornamental Metal Museum

ეს მუზეუმი აშენებულია Memphis' old Marine-ის საავადმყოფოს ნანგრევებზე. როგორც ცნობილია, ის მოიცავს ამ საავადმყოფოს მორგის შენობას, სადაც ერთ დროს ეპიდემიის დროს დახოცილი ათასობით ადამიანი განათავსეს. დღესდღეობით კი უამრავი მათგანის ლანდს შეხვდებით მუზეუმის ტერიტორიაზე.



## Salem Presbyterian Church Cemetery

კიდევ ერთი სასაფლაო მემფისში. როგორც ცნობილია, აქ ერთ დიდ საფლავში არიან დაკრძალულნი აბორიგენი ამერიკელები და მონები. როგორც ხალხი ყვება, მათი ლანდები ხშირად დაბორიალობენ სასაფლაოზე და ძალიან გაბრაზებულები არიან.



## Brister Library

ბრისტერის ბიბლიოთეკა არის ძველი ბიბლიოთეკა მემფისის უნივერსიტეტში. ლეგენდის მიხედვით, უამრავი წლის წინ ამ ბიბლიოთეკაში სტუდენტი მოკლეს, მკვლელი არასოდეს დაუჭერიათ, ხოლო მოუსვენარი სული კი კვლავ დაბორიალობს შენობაში და ყველა მნახველს დახმარებას სთხოვს.




## Orpheum Theatre

ამ მუზეუმის მოჩვენება — მერი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოჩვენებაა მემფისში. მერი პატარა გოგონა იყო, რომელიც ამ მუზეუმის წინ ავარიაში დაიღუპა. ამბობენ, რომ საზარელი შემთხვევის შემდეგ გოგონა ხშირად თამაშობს ამ მუზეუმში — აღებს და ხურავს კარს, ხმამაღლა იცინის, ხელს უშლის ხალხს. ის ყველაზე ხშირად თავის საყვარელ ადგილას ჩნდება, იქ, სადაც ბევრჯერ მჯდარა სიცოცხლეში. როგორც მოჩვენებებზე მონადირენი ამბობენ, მერის გარდა აქ კიდევ 6 მოჩვენება „ცხოვრობს“.



## Voodoo Village

ეს სოფელი მდებარეობს სამხრეთ მემფისში. აქ მდებარეობდა წმინდა პაულის სპირიტული ტაძარი, რომელიც გარშემორტყმული იყო რკინის უზარმაზარი ღობით. მაგრამ, ლეგენდის მიხედვით, ამ სოფელში იყო სხვა ადგილიც, რომელიც დაკავშირებული იყო შავ მაგიასთან და სადაც ხშირად ხდებოდა შავი მაგიისთვის მსხვერპლის შეწირვა. სოფელი სახელგანთქმულია მოსიარულე მკვდრებით და სხვა ზებუნებრივი მოვლენებით.



## Ernestine and Hazel's

ესაა დანგრევის პირას მისული ბარი მემფისში. არავინ იცის, აქ რა მოხდა, თუმცა ამ ბარიდან ხშირად ისმის მუსიკისა და ცეკვის ხმა, მის ახლომახლო გამვლელები კი უამრავ მოჩვენებას ხედავენ.





## Overton Park

ლეგენდის მიხედვით, მეოცე საუკუნის სამოციან წლებში პარკში იპოვეს ახალგაზრდა ქალის გვამი, რომელიც ტბაში ტივტივებდა. როგორც ცნობილია, მას ლურჯი კაბა ეცვა. ამის შემდეგ უამრავი ადამიანი ხედავს ლურჯ კაბიან მოჩვენებას, რომელიც ტბის სიღრმიდან ამოდის.





## Bethel Cumberland Presbyterian Church--ის სასაფლაო

ეს სასაფლაო ცნობილია თავისი არამეგობრული მოჩვენებებით. ამბობენ, რომ აქ ხშირად ხედავენ კრიმინალების მოჩვენებებს, ასევე აქ შეხვდებით ბოროტი ბავშვებისა და მრისხანე სიკვდილმისჯილების ლანდებს. როგორც ლეგენდაშია ნათქვამი, სასაფლაოზე გვიან ღამით გარეული ცხოველები დათარეშობენ.

# გიგანტი ცხოველები



ლომისა და ვეფხვის ჰიბრიდი, რომელიც 408 კილოგრამს იწონის.



მსოფლიოში ყველაზე დიდი კურდღლის სიგრძე 81.5 სანტიმეტრია.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ფრენა წყალზე



ამ „ხელსაწყოს“ ჯეტლევი ჰქვია და ის მხოლოდ წყლის ჭავლზე მუშაობს. მას 200 ცხენის ძალა აქვს და ნახევარ წუთში 1000 გალონ წყალს მოიხმარს. 2012 წლის გაზაფხულიდან წყალზე ფრენის მანქანა მაღაზიებში გამოჩნდება, თუმცა საკმაოდ ძვირი სიამოვნება იქნება — ამისი საბაზრო ღირებულება 100 000 ამერიკულ დოლარს შეადგენს. მანქანა საათში 25 მილის სიჩქარით მოძრაობს.





# ხელოვნური ინტელექტი

**უკვე არაერთი ათწლეულია, რაც ადამიანი ხელოვნური ინტელექტის შექმნაზე წვალობს. ჩვენი ცხოვრების მრავალი მხარე უკვე ავტომატიზირებულია. ახლა საუბარია იმაზე, რომ ხელოვნურად შექმნილმა მოწყობილობებმა დამოუკიდებლად იფიქრონ და იაზროვნონ. აქამდე ადამიანებს ეს არც თუ ისე კარგად გამოსდიოდათ — რობოტებს მხოლოდ იმ პროგრამების შესრულება შეეძლოთ, რაც მათ სისტემაში ადამიანის მიერ იყო დაპროგრამებული. მაგრამ, როგორც ჩანს, ახლო მომავალში სიტუაცია შეიცვლება.**



მეცნიერების ჯგუფმა ტოკიოს ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან განაცხადა, რომ მათ ხელოვნური ინტელექტი შექმნეს. შემუშავებულ ტექნოლოგიას „თვითორგანიზებადი ინკრემენტული ნეირონული ქსელი“ დაარქვეს. მისი დამსახურება ისაა, რომ რობოტებს საშუალება ეძლევათ, თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება რაიმე კონკრეტულად დასახული მიზნის გარეშე.



ეს ტექნოლოგია ადამიანის ტვინის პრინციპით მოქმედებს. მისი დამსახურებით რობოტს შეუძლია დამახსოვრება, შესწავლა და ამ ცოდნის გამოყენება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რობოტს შეეძლება მიიღოს გადაწყვეტილება სრულიად უნიკალურ და მისთვის უცხო სიტუაციებში, რაც მის პროგრამაში არ არის აღწერილი. გადაწყვეტილებებს ის მიიღებს იმაზე დაყრდნობით, თუ რა გამოსცადა წარსულში, გამოიყენებს რა ადრე მიღებულ ცოდნას. ეს ადამიანური გამოცდილების ანალოგი იქნება.

**თუმცა, ადამიანებისგან განსხვავებით, ახალი ტიპის რობოტებს უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ ინფორმაციის დამუშავების კუთხით. როგორც ადამიანს, მასაც შეუძლია ხმოვანი, ვიზუალური და შეგრძნებით მიღებული ინფორმაციის აღქმა, ამასთანავე, მას ინტერნეტიდანაც შეეძლება ინფორმაციის მიღება. ადამიანთან შედარებით რობოტის მახსოვრობა არ არის დამოკიდებული მის ხასიათზე, გარემოსა თუ ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. აქედან გამომდინარე რობოტს უფრო მეტი ინფორმაციის დამახსოვრება შეუძლია და საჭირო მომენტში სწორედ იმ ინფორმაციას გამოიყენებს, რაც ყველაზე მეტად სასარგებლო იქნება. თუ რობოტი ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდება, როდესაც მას არ შეეძლება რაიმე გადაწყვეტილების მიღება, ის პირდაპირ იტყვის ამის შესახებ.**

რა თქმა უნდა, ჯერ ადრეა ასეთი რობოტების ფართომასშტაბიან მოხმარებაზე საუბარი, მაგრამ მრავალმა ექსპერიმენტმა, რომლებიც ამ ახალ მოდელს ჩაუტარეს, წარმატებით ჩაიარა!





# უცნაური ფობიები

**ფობია არაკონტროლირებადი, მოუშორებელი შიშია, რომელიც მხოლოდ კრიტიკულ სიტუაციებში მძაფრდება. შესაბამისი ორგანიზაციების მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოში დაახლოებით 10 მილიონი ადამიანი იტანჯება ფობიებით. ეს წარსულშიც საკმაოდ გავრცელებული სენი იყო და მის მსხვერპლთა შორის არაერთი ცნობილი ადამიანი იყო.**



**სერგეი ესენინი** სიფილოფობიით იტანჯებოდა. ეს სიფილისით დაავადების შიშია. მას ეშინოდა პოლიციელებისაც. ერთხელ, როდესაც იგი მეგობართან ერთად ზაფხულის ბაღთან სეირნობდა, კარიბჭესთან მცველი შეამჩნია. „ის მტაცებს ხელს მხრებში, მე დავინახავ მის გაყვითლებულ, დიდ თვალებს. ის მძიმედ სუნთქავს. არავის უთხრა, მე მეშინია პოლიციის. გესმის? მეშინია!“ — იხსენებს მისი მეგობარი ესენინის სიტყვებს.

მწერალი **ნიკოლაი გოგოლი**, კომპოზიტორი **ჯაკომო მეიერბერი** და ამერიკელი ნაციის მამა **ჯორჯ ვაშინგტონი** ცოცხლად დამარხვის შიშით (ტაფეფობია) იტანჯებოდნენ.

გოგოლის შიში ხშირად ვლინდებოდა მის წერილებში, იგი მეგობრებს სწერდა, რომ მხოლოდ მაშინ დაემარხათ, როდესაც მისი ცხედარი ლპობას დაიწყებდა.

მეიერბერმა კი ბრძანა, რომ მისთვის სიკვდილის შემდგომ ხელებსა და ფეხებზე მიემაგრებინათ ზანზალაკები, დაეყენებინათ ცხედართან დაცვა, ოთხი დღის შემდგომ გადაეჭრათ ვენები ხელსა და ფეხზე და მხოლოდ ამის შემდგომ დაემარხათ. ვაშინგტონმა კი თავის ადიუტანტს უბრძანა, მისი ცხედარი გარდაცვალებიდან ორი დღის შემდეგ დაეკრძალათ.



**ალფრედ ჰიჩკოკი** შეპყრობილი იყო ოვოფობიით (ოვალური ფორმის საგნების შიში). ქათმის კვერცხს, იგი მხოლოდ ომლეტის სახით მიირთმევდა, რადგანაც მოხარშულ მდგომარეობაში ისინი საშინლად ოვალური ფორმისანი იყვნენ.

არანაკლებ საოცარი ფობიით იყო დაავადებული **ზიგმუნდ ფროიდი** — ფსიქოანალიზის მამას გვიმრების ეშინოდა (ფტერიდოფობია). მისი შიშის მიზეზი უცნობია — ვარაუდის მიხედვით, ეს მცენარე დაკავშირებულია ბავშვობის ცუდ მოგონებებთან.

**სტალინს** მოწამვლის შიში ტანჯავდა (ტოქსიკოფობია), რასაც სრულიად გასაგები მიზეზები ჰქონდა. ასევე ექვობენ, რომ მას ძილის შიშიც (სომნიფობია) აწუხებდა.

# მსოფლიოს უდიდესი ობობის ქსელი

**ტეხასის პარკში ობობებმა მსოფლიოში უდიდესი ქსელი მოქსოვეს. ქსელი 180 მეტრის სიმაღლის ხეებს ფარავს და თეთრი იყო, სანამ მასში კოღოები და სხვა მწერები გაეხვეოდნენ. ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, ეს „ხელოვნების ნიმუში“ ერთი ობობის მიერ არის შექმნილი თუ მასზე ობობათა ჯგუფი კოლექტიურად მუშაობდა. ასევე უცნობია ობობის ჯიში.**







# რონი ფუქსი წიგნს წერს

**„ევრაზიანეტმა“ მოლი კორსოს სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც იგი პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ ებრაელ ბიზნესმენთა შესახებ წერს. „საქართველო და მსოფლიო“ 2 დეკემბერს წერდა: „რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის შეწყალება 73 მილიონი დოლარი ღირს. რას ერჩით ამ მთავრობას, ორი კაცის დაჭერა არ ჯობდა ამხელა ვალის გადახდას? თანაც, რომ არ დაეჭირათ, ერთი მესამედის გადახდაზე რომელი ჭკუათმყოფელი ბიზნესმენი დათანხმდებოდა? ერთი კი უდავოდ დამაიმედებელი უნდა იყოს ქართველებისთვის: ებრაელი ბიზნესმენების გათავისუფლების შემდეგ მთელი მსოფლიო გაიგებს, რა ხდება სინამდვილეში საქართველოში და მის იმ უსათუთეს ნაწილში, რომელსაც ციხე ჰქვია“.**



ახლა უკვე მოლი კორსო წერს: **„საქართველოში ზოგიერთებს კითხვა გაუჩნდათ. ხომ არ ღირს ციხიდან გამოსვლა 73 მილიონი დოლარი? კითხვები მას შემდეგ გაჩნდა, რაც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბიზნესმენები — რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი შეიწყალა“.**

სტატიაში ხაზგასმულია, რომ სააკაშვილმა შესაბამის განკარგულებას ხელი მას შემდეგ მოაწერა, რაც კომპანია Tramex-ი, რომელთანაც ფუქსი და ფრენკელი არიან დაკავშირებული, დათანხმდა იმაზე, რომ საქართველოს მთავრობისთვის საერთაშორისო არბიტრაჟის მიერ კომპენსაციის სახით დაკისრებული 98 მილიონი დოლარიდან 73 მილიონ დოლარზე უარს იტყოდა.

**„საქართველოს მთავრობამ შეწყალების აქტი ჰუმანურ ჟესტად წარმოაჩინა, რაც ბიზნესმენების, ფუქსის და ფრენკელის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობამ განაპირობა. ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა, რომელიც, ისრაელის მედიის მტკიცებით, რონი ფუქსის მეგობარია, თითქოს ასევე ლობირებდა ბიზნესმენების გათავისუფლების საკითხს. JERUSALAEM POST-ის მტკიცებით, დღეს ორივე ბიზნესმენი ისრაელშია, მაგრამ ამ ისტორიას ქვეტექსტიც აქვს, რომელიც ასევე შეიძლება გამოდგეს მომხდარის ასახსნელად.**

სწორედ იმ დღეს, როდესაც ბიზნესმენები გაათავისუფლეს, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ თბილისს, კომპანია Tramex -ის და ფუქსის საქმიან პარტნიორ იოანისს კარდასოპულოსს შორის კონფლიქტის დარეგულირების შესახებ განაცხადა. როგორც ჟურნალისტებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ თინა ბურჯალიანმა აცნობა, შეთანხმების შედეგად, მთავრობას და კომპანია Tramex-ს შორის, კომპენსაციის თანხა (რომელიც ამ მომენტისთვის პროცენტების გათვალისწინებით 110 მილიონი დოლარია) 73 მილიონი დოლარით შემცირდა. ვაშინგტონში ბაზირებული მსოფლიო ბანკის საინვესტიციო დავების დარეგულირების საერთაშორისო ცენტრმა 2010 წლის მარტში გადაწყვეტილება საქართველოს სასარგებლოდ არ გამოიტანა“, — წერს ავტორი.

საქართველოს მთავრობა, დიდი ხანია, უარყოფს ყოველგვარ კავშირს ამ სისხლის სამართლის საქმესთან და დავასთან, რომელსაც საარბიტრაჟო სასამართლო არჩევდა, თუმცა კომპენსაციის თანხის გადაუხდელობა შავ ლაქად აჩნდა ქრთამთან დაკავშირებულ ფუქსის და ფრენკელის საქმეს. **„კერძოდ, პროცესმა გააცოცხლა ძველი ბრალდებები საქართველოს სასამართლო სისტემის, როგორც ხელისუფლების მსახური ინსტიტუტის, მიმართ. პასუხად პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო „რეგიონში კორუფციის აღმოფხვრის საქმეში ლიდერია“. მან აღნიშნულ სასამართლო დავაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა, თებერვალში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ტელეარხის „პიკ“-ის ეთერში კი განაცხადა: „ეს ჩემი საქმე არ არის, ეს სასამართლოს საქმეა“.**

სააკაშვილის მხრიდან შეწყალების აქტზე ხელმოწერის მომენტის შერჩევა აძლიერებს ძველ ეჭვებს იმის თაობაზე, რომ საქართველოს სასამართლო სისტემა აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ქვეშ იმყოფება, — აღნიშნავს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი თამარ ჩუგოშვილი. მისი აზრით, სამინისტროს განცხადებამ „ნათლად ცხადყო“, რომ **ფუქსისა და ფრენკელის წინააღმდეგ წარმოებული საქმე იყო მანევრი, რათა თბილისს არ გადაეხადა სრულად საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხა. „ამ დაპატიმრებამ ბიუჯეტს 73 მილიონი დოლარის ეკონომიის შესაძლებლობა მისცა“,** — ამტკიცებს იურისტი. მსოფლიო ბანკის საინვესტიციო დავების რეგულირების ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ შეწყალების აქტს ხელი მხარეებს შორის სამთვიანი დაძაბული კონსულტაციების შემდეგ მოეწერა“, — ნათქვამია სტატიაში. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის აპარატში ხაზგასმით აღნიშნავენ, თითქოს შეწყალების აქტს არანაირი კავშირი არ აქვს საქმესთან, რომელსაც საარბიტრაჟო სასამართლოში განიხილავენ. როგორც ჟურნალისტებს პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ აცნობა, პრეზიდენტმა ბიზნესმენები „ჰუმანური მოსაზრებებიდან“ გამომდინარე და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეიწყალა.

**„სექტემბერში ზეევ ფრენკელს გულის შეტევა დაემართა, როდესაც ის თბილისის იზოლატორიდან (სადაც ის ფუქსთან ერთად იყო დაკავებული) 200 კილომეტრით დაშორებულ ციხეში გადაჰყავდათ. ფუქსის ადვოკატის, არჩილ კბილაშვილის თქმით, ორივე ბიზნესმენი სტრესის ქვეშ იმყოფებოდა და უძილობას უჩიოდა, მას შემდეგ, რაც მათ გაურკვეველი ნიღბიანი ადამიანები აშინებდნენ. ფრენკელს და ფუქსს არც სხვა პატიმრებთან ურთიერთობის საშუალება ჰქონდათ. კბილაშვილის თქმით, დაკავების პირობები ისრაელის საელჩოს ჩარევის შემდეგ გაუმჯობესდა (პატიმრებს ინტერნეტით და ტელეფონით სარგებლობის უფლებაც კი მისცეს). ადვოკატს მიაჩნია, რომ შეწყალების ფაქტი მოულოდნელი იყო. აპელაციაზე უარის მიუხედავად, ბიზნესმენები „შეწყალებას ელოდნენ... პირველი დღიდან“, თუმცა მათ არ იცოდნენ ეს როდის მოხდებოდა. მომხდარი, როგორც ჩანს, ფუქსის საქართველოსადმი ინტერესზე არ აისახა. კბილაშვილის თქმით, ბიზნესმენი მისი დაკავების ფაქტზე და პატიმრობაზე წიგნს წერს და საქართველოში ვიზიტსაც კი გეგმავს, თუკი „ოფიციალურ“ მოწვევას მიიღებს“,** — ნათქვამია სტატიაში.


წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
6. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru


## ეგვიპტის რევოლუციამ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა ააყვავა

**ეგვიპტეში გადატრიალების შედეგად სამართალდამცავი ორგანოების დაფინანსება მკვეთრად შემცირდა, რამაც დამნაშავეობის ზრდა გამოიწვია. კერძოდ, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობამ ინდუსტრიის სახე მიიღო.**



საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია Coalition for Organ-Failure Solutions (COFS)-ის მონაცემებით, კაიროში ადამიანის ორგანოებით იატაკქვეშა ვაჭრობა უკანასკნელ ხანს აყვავდა. მოხსენება სახელწოდებით „ეგვიპტეში ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის სუდანელი მსხვერპლები“ შეიცავს ვიდეომტკიცებულებებს, ულტრაბგერითი კვლევის დოკუმენტებს და ტრანსპლანტაციის ცენტრებიდან მოპოვებულ ჩანაწერებს, რომლიდანაც ირკვევა, რომ აფრიკელი ლტოლვილები ადამიანის ორგანოებით მოვაჭრეთა მსხვერპლნი გახდნენ. მოხსენებაში 60 ასეთი საქმეა შეტანილი.


pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net